


114
1978/③

507
341036940
20270001033

ገጽ ገጽ

9

1978



ლევ ტოლსტოი.

სურათი მხატვარ ი. ნ. კრამსკოისა.



ენათობი



საქართველოს დემოკრატიულ-სოციალური
და სავაჭრო-საზღვაო-საჰაერო უწყებების
შეერთებული გამომცემლობის გამომცემლობა

წელიწადი 55-ე

№ 9

სექტემბერი, 1978 წ.

საქართველოში საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

რეპე მარანიანი — ლექსები	3
სერგეი ბარუხინი — ლექსები, თარგ, ზუტა ბერუღაევი	9
ივა მარჯანიანი — ლექსები	14
რეპე ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი, რომანი, ვაგრაძელება	16
ლელა მახვი — ძირითადი ღვაწლი, მოთხრობა	42
გიორგი ივანიშვილი — ლექსები	54
ბაბუ ნაზარეული — ლექსები	59
ალექსანდრე ტახტაძე — ლექსები	62
რეპე კობახიძე — გვირგვინი ფოთლები, რომანი, ვაგრაძელება	65
გონი ჩაბიანი — ლექსი ფიქსიონალი, ლექსი	97
რეპე აბრამიანი — ლექსები	100
ირაკლი ტახტაძე — ვალენტინი, დიდიმედიტი მოთხრობა	104

150 ლ. ნ. ტოლსტოი 150

ლავროსი კალანდიაძე — ბავშვი მწიგნობარისაგან	112
ბაბუ მარჯანიანი — მხატვარი და კაცობრიობა	115
გიორგი ტახტაძე — ლექსი ტოლსტოი და საქართველო	123

კრიტიკა და კომენტარები

სერგეი ბარუხინი — ნიკოლოზ უსტინოვი	135
რეპე მარანიანი — ნიკოლოზ უსტინოვის რეალისტური ტინდერისტიკა და მხატვრობა	147
ფოთა მარჯანიანი — კომენტარები ხმა და კეთილი	155
გიორგი ივანიშვილი — „ბათა მარანიანი“ საბრძოლ-ნიმუშისტიკური მუშაობები	163

ფაქტები, მოგონებანი

ალექსანდრე მთათელი — მთავარი მადლი	172
ალექსანდრე ბარუხინი — მოგონებები ფრანკლინი	186

წიგნების მიმოხილვა

ნოდარ ტახტიანი — სავაჭრო კავშირის ისტორია	190
---	-----

მთავარი რედაქტორი ვიორჰი ნატროშვილი.

სარედაქციო კომისია:

ი. აბაშიძე, რ. ანაწყოელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერუღაშა, თ. ვივინიანი, გ. დი-
პანიძე, ლ. ნათელაძე, ა. სულაბერი, ა. ქაშიათელი, ხ. შანუნიანი, დ. შანია-
ლაძე, ნ. წულუკიანი, ვ. წულუკიანი, თ. შილაძე, ვ. ხარაძე, რ. ჯაფარიძე,
გ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაძვანია.

რედაქციის მისამართი:

თბილისი, რუსთაველის ქროსზე, № 12.

ბალეშონები: რედაქტორის — 98-55-11, უფ. 08847. ტირაჟი 15250. შეკვ. 2199.
რედაქტორის მოადგილის — 98-55-18, განყოფილება — 98-55-13, საჯ. კვ. ც-ის გამომცემლობის სტუ-
ფილები — 98-55-16, 98-55-17, 98-55-20. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

ჩემი წალიწდელი

მივაგან...

მივაგენ, რასაც
გადაღლილი დიდხანს ვეძებდი.
გაფაციცებით
უხილავის ხილვას ვნატრობდი.
რისთვისაც ხშირად
ნაღვლიანად თვალს ვაცეცებდი,
თუმცა ნაცნობი,
მაგრამ სულ სხვა გაჩნდა ტატნობი.

სიმწვანე თურმე
საუბრობდა და ჩურჩულებდა,
მე რა ვიცოდი,
დავდიოდი გულდაწყვეტილი.
სიმწვანეს თურმე
დავა ქჷონდა ნაკადულებთან
და მისთვის იყო
ასე ხშირად ყურდაცქვეტილი.

მივაგენ იმას,
რაც მრავალჯერ მქონდა ხილული,
ვერხვის გალობა
რისთვის დამრჩა შეუმჩნეველი?!
დღეს შევიცანი
სასაუბრო ლექსი ბინულის
და მოძახილიც
მოვისმინე მწვანე ტყე-ველის.

ეს სილამაზე
თუმცა ბევრჯერ მქონდა ნანახი,
კ. ვაიჭისის სახეობისაა დახეი

დღეს შევნიშნე, როგორ აზმორებს.
ან როგორ ღნავის,
სულს ძლივს ითქვამს ლორთქო ბალახი,
როდესაც ხვატი
შეურუჯავს კალთებს მთა-გორებს.

მივაგენ, თუმცა
ყოველივე მაქვს მონასმენი,
მაგრამ განცდილის
მოგონებით ახლაც ვბრუნდები.
კავკასიონი
ელვით არის თურმე ნაწერი
და წკრიალებენ
ზედ დაყრილი იაგუნდები.

დაფეთებული
ჩანჩქერების ფრთების ფარფაშში
მე გადავფურცლე
სასაუბრო წიგნი ჩქერალის;
გავიგე: მზეს — კლდე
შეუღვსავს რუხი ბათქაშით
და უსასრულო
სილურჯეში გრგვინავს მწვერვალი.

პაპის საფუტკრეც
თუმცა ბევრჯერ მქონდა ნანახი,
დღეს კი რატომღაც
მოვიხიბლე განსაკუთრებით,
რადგან ვიხილე

სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

ფიქვით სავსე ციხე-ქალაქი
და შევისმინე
საუბარი მუშა-ფუტკრების.

აღრე ხომ მათი
საუბარი სულ არ მესმოდა,
უნაწეს სუნთქვას
ვერა ვგრძნობდი ვარდის ფურცლობის.

ბუნების ხმების
საიდუმლო, რთული ესოდენ,
ჩემთვის იყო გამოუცნობი.

მაგრამ დღეს, როცა
გზას შევეუდექე, ქედი გადავჭერ
და ხელმეორედ
გადავხედე ნაცნობ სურათებს,
არყის ხეების
თბილ საუბარს დავედარაჟე
და გაწეპილი
ფაჭვის ჩურჩულს მივაყურადე.

თურმე ტყისაკენ
კრიმანტულით მიჰქრის ბილიკი,
იქ, სადაც ბუდე
ამოურჩავს ნაძვს ილიაში,
დაუშვყვედვია
ჭიკჭიკი და მწარე ქილიკი,
ენაჭარტალა,
მოუსვენარ ჩხიკვთა გნიახიც.

სიტყვა ავკრიფე,
გემრიელი, როგორც მოცხარი,
ყოველი ბგერა
მზატე იყო ფიჭვის გირჩივით,
როცა ეღურტული
შოუსმინე გასაოცარი
წამს გამახსენდა
ნახიამო ხმები კინკილის.

ავეყვი ნიავს,
ავედვენე უცხო ფრინველი,
ნიავის ენის
საიდუმლოს ახსნას ვცდილობდი.
გადაწინწკლული
სათიბების გაეხდი მხილველი —
ბუნების ძალთა
საოცარი ხელგარჯილობის,

ენგურის კენა
გახაგები გახდა ანახდად
და ჩემს გულში
ძლივს ჩაეტიე ჯველი თქმულება.
ამოუცნობი
დამაფრინდა ჩიტი-ანდაზა
და აღარც ფიქრობს
გაფრენას და შინ დაბრუნებას.

აღვასაც შევხვდი,
ცაში აჭრილს, აღვას დიდებულს,
შრიალით ვუხმე,
მისივ ენით შევეხმიანე
და მის კენწეორს
ვარსკვლავისგან ცეცხლმოკიდებულს
გულწრფელად
ჩემი ჭირ-ვარამი გავეუზიარე.

დამსწრეც კი გავბდი
ვარსკვლავის და აღვის საუბრის,
უბეში ფრთხილად
ჩავიყარე მათი ჩურჩული,
შემდეგ კი, შემდეგ
ისევ ნიავს მხარი ავუბი
და ფრენა-ფრენით
მოვიარე ყველა კუნტული.

როცა ენგურის
სათავისკენ გზა მიმასწავლეს,
მოვიწადინე
როგორც ძმასთან ფიქრის გამხელა,
ენგური იმ დროს
ცას სტაცებდა ცხელ-ცხელ ვარსკვლავებს
კალმანის ზურგზე
და ჩქერებზე გადასაყრელად.

ჭადრის შრიალში
ერთი ჰანგიც ამოვიცანი
და ორიოდეც —
მოვარვარე კალოს აღმურში.
გავიგე რისთვის
მოუხმობდა ციცარს — ციცარი
გამოხვეული
დილის მზეში და სიყვარულში.

ბუნების დიად
სასაუბროს ხელი დავტაცე,
და თოთო ბგერებს

გადავუსვი ხელი ალერსით.
 ხმა ავყაოლე
 ჩანჩქერის ხმას გვალდას კალთაზე
 და მისი ჭრეოლა
 ვაღამედო უმხურვალესი.

 ახლაც, ბუნების

თბილი ენის მადლით ვივსები,
 დავიარები
 ამაყი და წელგამართული.
 — მაინც როგორ ვდერს?
 — როგორია? — შენ მგვითხები.
 — დაახლოებით
 ისეთია, როგორც ქართული!

გაზაფხულის წიგ

ენგური მალე აიშღვრება,
 მალე ადიდდება.
 მთების მყუდროება დაირღვევა,
 მთების გარინდება!

წყალი გამუქდება,
 ჩქერი აღელდება,
 ტალღა გარუსდება.
 სუსტი ნაკადული,
 ძალა დაკარგული
 უცბად აქუზდება!

ღელეც აღელდება
 შეუმჩნეველად
 მზე რომ გახელდება.
 ზვავი დაიძვრება,
 ტანი შეულღებება
 ციცქნა ნაფლეთებდად,
 ფაფაღ გაიჭნება,
 მზეში ჩაინთქმება!

როცა ფერდობებზე
 საოცრებად
 ბალღი გამოჩნდება.

მაშინ გაიღვიძებს
 მკრთალი ია-ია,
 — ჭიტა! —
 წამოცდება.
 იმ დროს მდინარეთა
 მქუხარება
 ერთობ ძლიერია.
 ნაპირს გადმოსცდება,
 კლდეზე გადმოსცდება
 ტალღა რია-რია!

მაშინ არ იცინა
 შეჩერება
 ჩქარმა ჩანჩქერებმა.
 მაშინ დაიწყება
 ხეობების
 მძლავრი ამღერება.

ღიას, არავის შეუძლია
 მათი დამონება.
 სწორედ მაშინ,
 მაშინ იბადება
 მგოსნის შთაგონება.

. . .

შემინდვ კიდევ
 ერთი ცდუნება
 და ღვინით სავესე
 დოქი დამიდგი.
 ხომ ხედავ როგორ
 ტირის ბუნება,
 ხომ ხედავ როგორ
 ტირის კრამიტი.

გააღე ფართოდ
 ჩვენი ფანჯარა,
 შინ შემოვიდეს
 წვიმის ხმაური.
 შენც გიხაროდეს!
 ჩემთვის დამდგარა
 წვიმის და ღვინის
 დღესასწაული.

კახია


 საქართველოს
საზოგადოებრივი განვითარების
მინისტრო

ლხინსა და შუაღვის
ვერ გაეშვევი,
ვერსად წაუხვალ
ძმებს და ყონალებს.
ოღონდ ლხინამდე
შენი მერცხლების
სიმწრით ნაშენი
ბუდე მონახე.

ბედს, რათქმა უნდა
ვერ გაეშვევი,
ვერსად წაუხვალ
გვერდს ვერ აუქცევ.

ოღონდ არ გნახონ
ფუფე ღექსების
რალაც უცნაურ
დღესასწაულზე.

ბედს, რათქმა უნდა
ვერ გაეშვევი
და ჯერ უთქმელი
სიტყვა მონახე.
ოღონდ აუვსე
შვის ნაპერწკლებით
ჯაში განუყრელ
ძმებს და ყონალებს.

• • •

დაფიქრდი, ოღონდ
კარგად დაფიქრდი.
ყველაფერს რაც გაქვს
ნუ ამზერებ.
ემჩნევა დროის
გადანაფიქტი
გადავიწყებულ
ჩემს ძველ რვეულებს.

სძინავთ ზმანებებს.
ხელს ნუ შევუშლი
და ამის გამო
ნუ შეშინდები.
დე, ყვაფილივით
ჩარჩეს რვეულში
ჩამტკნარი ფიქრი
შარშანწინდელი.

ოღა ჩემს სიტყვას – მოვაკალში ხათქველს

სიცილ-ტირილში
უნდა გაგწაფო
და ცხელი ღველფით
მინდა გაგფერო,
რომ სასწაულად
იქვე სასწრაფოდ,
სიტყვავ, გულიდან
ამოსაფრენო!

მყარ კალაპოტში,
სულ სხვა ყალიბში
მინდა ჩაგტეოდო,
უცხოოდ გაგვერო.

რადგან არ მინდა
ობლად დამირჩე,
სიტყვავ, გულიდან
ამოსაფრენო.

მინდა მჩქეფარე
ჩქერი გასცურო,
ახალი ცხრა მთა
გადაგაფრინო,
რომ ერთგულემა
დამიდასტურო,
დამიმორჩილო
ზღვა უნაპირო.

სხვა შალაშინით
 მინდა გავრანდო,
 სხვა ჭრიამულად
 ქვეყნად მოგფინო,
 თრომტრიალში
 გამონაცადო
 და მაინც ბედის
 უკმაყოფილო.

სიყვარულისგან
 დამწვარ ბართში
 გულით მწადია
 განახო საჩინოდ.
 ყვაფილებისგან
 დაწულ კალათში,
 რომ ბევრჯერ, ბევრჯერ
 აღმოვაჩინონ.

არ შეუშინდე
 ავდარს — საშინელს
 სულ ჩემთან იყო,
 რათა გამათბო,
 რომ ჩვენზედაც სთქვან:
 — აღმოვაჩინეთ

ხელუხლებელი
 ერთი საბადოც!
 მსურს ძმათა ჩემთა
 შემწვედ გიხილო
 და ელვასავით
 ხშირად დააკვესო,
 გულთამხილაგო
 ჩემო ღიღინო
 სულის სიღრმიდან
 ამონაკენესო.

კიდევ ბევრჯერ მსურს
 რომ გამიცინო,
 აღმაფრთოვანო
 და გამალალო,
 მოუსვენარო
 ჩემო ღვიძილო,
 ყანავ, ვენახო
 და იალალო.
 მსურს მომავალში
 ისე გაგწაფო
 ბედის ტრიალმა
 ვედარ გაგთქეროს,
 ჩემო ოცნებაე
 დაუხაბამოვ,
 სიტყვაე, გულიდან
 ამოსაფრენო.



ეს არი შუთქვა გარდასულ დღეთა

I

მე ამ ცხრა მაისს უშენოდ ვხვდები,
პირველად ვხვდები და გვეკითხები:
რა დროს ეს იყო — უდროოდ დაღლა,
რატომ არა ხარ ჩემს გვერდით ახლა?

ვიცი და მაინც რომ არა მჯერა,
ღია კარისკენ გამირბის მჯერა:
მგონია მოხვალ მოსილი კდეშით
და იტყვი შენთვის: — საბრალო ჩემი!

იტყვი და დასძენ შემთხვევით ვითომ:
— გაფაწკრილებ ყველაფერს თვითონ!
მერე დაფსხდებით, როგორც წყაია...
ბავშვებს ეძინოთ, უკეთესია!

II

ნუ გადაიწყვეტ წინასწარ იმედს,
სჯობს უბნო ძალას, რაც გიშველიდა.
იხსენ, ვინც არის დაჭრილი მძიმედ
და გამოსტაცე სიკვდილს შელიდან.

ნუ დაიჩემებ, ძმაო და ღვიძლო,
რომ გძლევა ნაღველი და შეჭირვება.
გწამდეს: ვიდაცა თავს უკეთ იგრძნობს,
შენი სტრიქონი რადგან სჭირდება!

III

ახლა კი, ახლა ვიცით მე და შენ,
მეგობრობა რომ იცნობა ჭირში.
ჩრდილივით ჰქრება ყველა მეტაშე,
ნამდვილი მოძმის არ გქონდეს შიში.

თუნდაც მივადგეთ დასასრულს მიწის,
რომლის იქითაც აღარ თენდება, —
რომ გაიხსენებ მუათაის, ვიცი,
და მეც მუსთაი გამახსენდება.

IV

მიწაზე,
რომ ჰგავს ჩიურლიონისის უცნაურ ფერებს,
უცნაურსა და გაუგებარს,
მიმჭრალსა და მოულოდნელს,
როგორც არის ვე ზამთარი, —

მე გხედავ
შენ და
თვალწინ მიდგას
პორტრეტი შენი:
ძველ ჯარიკაცულ გიმნასტურაში,
გახამებულ გიმნასტურაში,
იმ ათას ცხრაას ორმოცდაერთის
ძველ ფოტოსურათზე...
მშვენიურია — მშვენიერება!

V

ჩვენ დღენიადაგ ვცხოვრობდით ასე:
რაიც მე ვიცი,
ის იცი შენცა.

წლების მანძილზე ვცხოვრობდით ასე:
რაიც იცოდი,
ვიცოდი მეცა.

ასე აეწყო ომის დროიდან
და სახლში წესად ეს შემოვიდა...

მაგრამ აი დღეს — წმინდა სიცრუე!
მის მნიშვნელობას ჩავწვდები გვიან...

ო, რა ძნელია ცრუობდე კაცი,
ო, რა მწარეა ვცრუობდე შენთან!



არიც მე ვიცი,
ის შენ არ იცი.

არც მე ვიცოდე, ნეტავ, ყოველი,
არც მე ვიცოდე,
არც მე ვიცოდე!
მხოლოდ ხელთ მეპყრას შენი ხელი და
ვფიქრობდე შენზე!

VI

შენ ესტონეთის ასული იყავ
ფინეთის ცისქვეშ დაბადებული,
მაგრამ ცხოვრობდი მოსკოვ-ქალაქში,
შენ გიბრძოლია გერმანიაში,
შენ გიბრძოლია მონღოლეთშიაც,
შენ გიბრძოლია მანჯურიაშიც.
და შენ ხარ დედა ჩვენი სვეტასი,
ჩვენს პორტ-არტურში რომ დაიბადა...

მოლდავეთში კი,
ომის შემდეგ,
გერ მოგხვდით ერთად.

შენ ესტონეთის ასული იყავ
და მე მოსკოვში გნახე,
ომამდე.
ომის დღეებში გხედავდი ხოლმე
დედაქალაქის მისადგომებთან,
შემდეგ ელნაში შეგვეყარა ბედმა
და კენიგსბერგის კარიბჭეებთან...
შემდეგ კი იყო მრავალი წელი
უძნელესი და მზებედნიერი.

მოლდავეთში კი —
შენ ვერ მოხველ
ომის შემდეგაც.

შენ ესტონეთის ასულიც იყავ
და ერთად ბევრი ვიმოგზაურეთ
უცხო ქვეყნებში თუ ქალაქებში.
მთელი რუსეთი შემოვიარეთ,
ბულგარელებსაც ვესტუმრეთ ორგზის.
ბევრჯერ ვიყავით
შენს ესტონეთში
და ლატვიაშიც...

მოლდავეთი კი,
მშვენიერი,
შენ ვერ იხილე.

შენ ესტონეთის ასული იყავ...
მე და შენი ძე, ჩვენი ვაჟბაბი,
ვართ მოლდავეთში — ნანატრ მიწაზე,
ხილვა რომლისაც შენ არ გეღირსა...
შენ კი სადა ხარ?
აღარ ხარ უკვე.
წვეხარ რუსეთში,
მოაკოვის ცისქვეშ,
სადაც მრავალთა ბედი წყდებოდა.

VII

მე წავიკითხე,
სიკვდილის წინ დაწერე რაიც.
მასში ამგვარი გულდამწველი სტრიქონებია:
„რა დროს ჩემს გმირულ სიმტკიცეზე ლაპარაკია!
არ მემინია...
მე უბრალოდ უნდა ვიცოცხლო...
არც ომში იყო უფრო ადვილი...“

VIII

აბლა,
როდესაც აღარ ხარ უკვე,
იმ თარიღისკენ
ვბრუნდები
ისევ.

სამ ათეულ წელს
ვითვლი
იმ დღიდან....
ნამ ათეულ წელს...

და ჩვენ კი!
და ჩვენ კი?

ეს არი —
ჩვენი ცხოვრება მთელი,
ეს არი —
ფეთქვა გარდასულ დღეთა,
ეს არი — რაც ვართ მე და შენ ერთად.



IX

მე ახლა ვფიქრობ იმ ბიჭუნებზე,
მე ახლა ვფიქრობ იმ გოგონებზე,
რომ შეუსრულდათ ჩვიდმეტი წელი,
რომ შეუსრულდათ თერამეტი წელი,
ორმოცდაერთში — ორმოცდახუთში.

ვიცი, როგორნი იყვნენ ისინი
იმ შორეულ და ახლობელ წლებში.

მე ახლა ვფიქრობ იმ ბიჭუნებზე,
მე ახლა ვფიქრობ იმ გოგონებზე,
რომ დაიღუპნენ მოსკოვთან ახლოს,
რომ დაიღუპნენ ბერლინთან ახლოს
და ვერ იხილეს დღე გამარჯვების.

თუმც რახანია მიწყდა ქუბილი,
მათი მშობლები ცოცხლობენ ზოგჯერ.

მე ახლა ვფიქრობ იმ ბიჭუნებზე,
მე ახლა ვფიქრობ იმ გოგონებზე,
სად მიდიოდნენ, ეს რომ იცოდნენ,
რად მიდიოდნენ, ეს რომ იცოდნენ
და არ ეწადათ მაინც სიკვდილი...

X

კვლავ დუბულტაში ხმაურობს ზღვა,
უწინდელივით ხმაურობს კვლავ,
მე შენთან ვარ,
შენ ჩემთან ხარ,
მაინც ვერ გამჩნევ იმედის კვალს.

თუმცა რას ვამბობ,
იმედიც გვაქვს! —
ჩვენი ბავშვები გვარტყიან გარს...

და კიდევ: წინ გვიდევს
რამდენი რამ —
წიგნები, ფიქრები და ვრცელი გზა!

XI

ანდრეი დემინტიშვილი

გუნიალური აზრები, ძმაო,
ნიადაგ ლამით იბადებოიან,
დღისით კი, დღისით იმ აზრებიდან
არულ უაზრობად იქცევა ბევრი.



კაცს ღამით უნდა ვეძინოს, დიახ,
ჩვენ უყოყმანოდ ვენდობით ექიმს,
რომ სჯობს გვეძინოს, ვიდრე ვფხიზლობდეთ,
რომ უძილობა მტერია ჯანის.

მაგრამ მე და შენ როგორ მოვიქცეთ,
როგორ მოიქცენ ჩვენისთანები,
თუკი სიყრმიდან, ომის დროიდან,
ჩვენ სულ სხვა განრიგს ვართ მიჩვეული?

თუკი ბრძოლაა შუადამიანს,
თუკი შორს, სადღაც ისმის გუგუნეი,
თუკი იქ ჩვენებს ვჭირდებით ძალუმ
და არღა უწყვი, რა გველოდება?!

XII

თხმ მუსთაი კარიმს

და შენ ლენინის ქუჩაზე ცხოვრობ.
არის უფაში ქუჩა ამგვარი.
ლენინის ქუჩებს შეხედებით ყველგან
და ვერ დაითვლი, რომ დაითვალ!

იქნებ ცოტათი ვფანტაზიორობ,
მე მნიშვნელობას ვანიჭებ მაინც,
რომ შენ ლენინის ქუჩაზე ცხოვრობ.
და რომ ამას აქვს აზრი თავისი.

...დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს,
არა ომიდან. მოგვიანებით.
თუმცა მეზობლად ვყოფილვარ ფრონტზე,
ომის შემდგომი ვართ მეგობრები.

იყო იგივე სიძნელე ომის
და სიხარულიც იყო პირველი,
იყო რაუზა,
იყო ლაინც —
ჩემი ფრონტული სიყვარულიც და...

არა, არ არის ეს უმთავრესი!
რადგანაც გიცნობ, მე ძალშიმს ვითბრა:
შენ რომ ლენინის ქუჩაზე ცხოვრობ,
ამას აქვს აზრი თავისებური.

მე შედარება არ მსურს ამჟერად,
შეუდარებელს არ ადარებენ...
მაგრამ ლენინის ქუჩაზე ცხოვრობ
და ეს მახარებს, ძმავ კეთილო.

026 ორჯონიძისძე

მთელი დღე გალოდი

მთელი დღე გელოდი,
 დღესაც და გუშინაც...
 ხან წვიმდა,
 ხან ქარი
 ნისლს დაატარებდა
 და ხშირი ფანტელი
 როს წამოუშინა,
 მე ენა წამერთვა —
 მუზა კი ბრძანებდა...
 სარკმელში გამოჩნდა
 ალგები შიშველი
 და შორი სინათლე
 სბვისი აივანის
 და შენი თვალების
 ბინდი და გიშერი
 და თბილი ნაპირი

წარსულის მტკივნის,
 და ვიდრე გაწვიმდა,
 და ვიდრე გათოვდა,
 და ვიდრე ქარბუქი
 ფიფქს დაატარებდა,
 გუშინაც, ვით ერთხელ
 მშვენიერ ყმაწვილთან,
 მე დიდხანს ვიდექი
 ლოდინის კარებთან...
 და მატლი მტარვალი
 ჩამძვრალი საგულეს,
 (ვით ეჭვი მავრისა
 სიწმინდის წარმსდენი!)
 წყალი მივარდნოდა
 საძირკვლის აგურებს,
 ჩრდილი მისდგომოდა...
 სიყვარულს რამდენი...

• • •

დაგემშვიდობო უნდა!
 თებერვლის დღეა ჟამი...
 გულს ჰგავდა თოვლის გუნდა,
 მე დავიჯერე ლამის...
 გამოგეთხოვო უნდა
 სამარადისოდ, იქნებ,
 აღარ გეგონოს ხურდა
 განძი, რომელსაც ვიკლებ...

გზა მშვიდობისა, ჩემო,
 გზა სიცოცხლის და მზისა!
 ზამთარს წაუბდა გემო,
 გაზაფხულისთვის გისვამს
 ღვინო ნალღლიან დღეთა,
 ბანგი გატეხილ ლამის,
 უკანასკნელად მხედავ!
 თებერვლის დღეა ჟამი...

არ შეშინია,
 მითხარი,
 ვიცი...
 ელდას მოჰყვება ელდა!
 მითხარი,
 გული აღარც კი მიცემს,
 მერე იდავე მკვლელთან...
 არ შეშინია,
 აი, ამ წუთას
 არც გიცქერ,


აღარც მესმის...
 გადამსხვრევია
 მოაჯირს თუთა,
 პატარა ტოტი კენესის...
 როგორც ბავშვობას
 მომწყურდა დედა, —
 თბილი ნუგეშის კალთა,
 არა მესმის რა,
 არც არას ვხედავ,
 დაუვიწყარის გარდა...

• • •

ბიას

შენ მაპატიე,
 შვილო, ყოველი,
 და მოწმენდილი
 ზეცა მარჯვენე,
 მე გაზაფხულებს
 აღარ მოველი,
 ზამთრის პურია
 სხვა დანარჩენი...
 შენ მაპატიე
 და არას ვჩივი,
 ბედი, რომელიც გაგინაწილე
 ჩემი ოცნების
 ჩამქრალი სხივი,
 ის სიყვარული,
 ის სიყმაწვილე...
 შენ მაპატიე
 ცრემლი მალული,
 შენს აუღმვრეველ
 გულში ჩალვრილი,
 თავდავიწყებით

და სინანულით
 გადაგდებული
 ყველა აღვირი...
 შენ მაპატიე,
 რაც დამჩნა ხანი,
 რაც უნდა სიმწრის
 ღიმილი ვღვარო,
 ჩემი ქართულის
 მალალი ვანი
 ჩემი დილეგი
 და ჩემი ხარო...
 შენ მაპატიე,
 მხოლოდ შენ, შვილო,
 უშენოდ დადგეს
 წუთი რამდენიც,
 რასაც ცდილობდა
 და დღესაც ცდილობს
 გული, არც როდის
 ავის ჩამდენი...



რედაქცია ჯაფარიძე

მიმე ჯვარი

რედაქცია ოთხ წიგნად

წიგნი მესამე

თავი XXXIV

1757 წლის ზამთრის მიწურულმა და მთელმა გაზაფხულმა, წინა გაზაფხულთან შედარებით ნაგვიანედად რომ ჩამოდგა და თან გადაუღებელი კოცისპირული წვიმები მოიყოლა, გურჯისტანის ვილაიეთის ბეგლარბეგის კარზე ხშირ მისვლა-მოსვლასა და ორომტრიალში გასტანა.

ქრთამითა და ნიარშით ყელამდე ავსებული კაფიჯი-ბაში გაისტუმრა და მარტო დარჩა თუ არა, ჰასან-ფაშამ თითქმის ყველა თავისი ყოფილი კარისკაცი დაიბარა არზრუმიდან, სახელოები უბოძა და რაბათში დაასახლა.

ისინი, ვინც უბედური ჰაჯი-აჰმადის ზეობაში საფაშოსა და მთელი საქრისტიანო საქართველოს ბედს განაგებდა, სხვადასხვა საბაბის მომიზეზებით საქმეებს ჩამოაშორეს და სიტყვის უთქმელად სასახლიდან დაითხოვეს. ჰასან-ფაშა თავის ყოვლისშემძლეობაში დარწმუნებული კაცი იყო, ვაზირ ახამისაგან ზურგი მაგარი ჰქონდა და, როგორც ჩანდა, არად დაგიდევდა, თუ მის გარე-

შემო უკმაყოფილონი სოკოსავით მრავლდებოდნენ და ჩუმად დრტვინავდნენ.

ჰაჯი-აჰმადისკამინდელ ძველ დიდებულთაგან თავის ადგილზე სულ რამდენიმემა დარჩა, მათ შორის ახალქალაქის სანჯაყ-ბეგი ფალავანდიშვილი, ზედმეტსახელად ჭავახეთის ფაშა.

ბეგლარბეგს ფალავანდიშვილი პირველი ნახვისთანავე თვალში მოუვიდა და ამ წყალობასაც არ დასჯერდა: საგანმგებლოდ სანჯაყი შეუნარჩუნა და, ამავე დროს, ვილაიეთის იანიჩართა აღაღაც დანიშნა.

ეს ფრიად მაღალი სახელო ადრე ზერთვისელ ვაჩნაძეთა საგვარეულოს ეკუთვნოდა და ძირძველი მესხი აზნაურების, ვაჩნაძეების, რამდენიმე თაობა მას შესაფერი ღირსებითაც ფლობდა, მაგრამ იმის გამო, რომ იმპერიის სხვადასხვა კუთხეში, თვით სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლშიაც კი, არასაკმაოდ პატივის მიგებით თუ გასამრჩელოს სიმცირით უკმაყოფილო იანიჩართა აჯანყებები ერთობ გახშირდა, ახალციხის ფაშებმა იანიჩარ-ილას სახელო გააუქმეს და, დღემოდამ დენთით სავსე კასრზე

რომ არა მსხდარიყვნენ, იანიჩართა რაზმები თვით დაიჭვემდებარეს. იანიჩრებთან წაქიდებას და მათთან ურთიერთობის გაფუჭებას თვით ყოვლისშემძლე სულთნებიც ერიდებოდნენ. მათ ერჩივნათ, მთელი დიდკაცობა ამხედრებულყო, ოღონდ იანიჩრები დარჩენილიყვნენ შერყეული ტახტის მხარეზე.

ჰასან-ფაშამ თავის უფლებამოსილ წინამორბედთა თვითნებური საქციელი კანონის ხელყოფად მიიჩნია და იანიჩარ-ალას სახელო ისევ აღადგინა.

მუთი-ბეგ ფალავანდიშვილი ბეგლარბეგის ამ მეტისმეტ კეთილგანწყობილებას დიდი სიხარულითა და აღფრთოვანებით არ შეხვედრია, რადგან მხოლოდ და მხოლოდ თავისი მდგომარეობის შენარჩუნებაზე ზრუნავდა, აღხევებას ჩრდილში დგომა ათასწილ ერჩია, მაგრამ ჰასან-ფაშას მოწყალედ გამოწვდილ ხელს ზურგი უდიერად მაინც ვერ შეაქცია და იძულებული გახდა, ახალქალაქის სსახლე მოსწრებელი შვილების ანაბარა დაეგდო და საცხოვრებლად ახალციხეში გადმობარგებულყო.

საქმეების გარეთ აღმოჩნდა ვილაიეთის უზენაესი ყადი სელიმიც, თუმცა პირადად მას ვაგლახად არაიენ შეშხებია და გადამბრუნებული სიტყვა არ უკადრებია. პირიქით, სელიმს კვლავაც გამორჩეული პატივით ექცეოდნენ, არ უფიქვებდნენ ძველ დამსახურებას. მაგრამ ყადი გამოქექილი კაცი იყო და უტყუარი ალღოთი გრძობდა, რომ პაჯი-აჰმადის დამზობისთანავე მისი ყველიც გავიდა და სამოქმედო ასპარეზზე ახლა სხვები, აღრე ჩრდილში მდგარი ან საიდანდაც მოთრეული ვიგინდარები გამოდიოდნენ.

რამაზანის უქმეების წინ უზენაესი ყადი კონსტანტინოპოლს გაიწვიეს. იმხანად ხმა დაირბა, ბედნიერმა სულთანმა იმპერიის ყადი-ასკერი რაღაც დანაშაულის გამო შერისხა, გადააყენა, შემდეგ კიდევაც მოაკვლევინა და შესაძლოა, სიკვდილით დასჯილი ყადი-ასკერის ადგილი სელიმ გაყელმა დაიკავოსო. ჰასან-ფაშამ აქვე დასჯილი თავ-

მდაბლობა და თავაზიანობა გამოჩინა, სამგზავროდ მომზადებულ სელიმს თვით ეახლა და კეთილმგზავრობა უსურვა. გუშინდელი ძლევამოსილი მოხელის პატივმოყვარეობას ესაღბუნა ბეგლარბეგის უანგარო ყურადღება. ის კი გვიან შეიტყო, რომ ფაშამ ყველაფერი წინასწარ გაამზადა, ქრთამით მოლორებული დიდი ვეზირი ახლაც მოხერხებულად გამოიყენა და სამსახურში არასასურველი შორეული ნათესავი თავიდან უხმაუროდ და უდავიდარაბოდ მოიშორა.

ცვლილებები და ძირფესვიანი გადაკეთებები საფაშოს დედაქალაქ ახალციხეში მარტო დივანმა და სამოხელეო უწყებამ როდი განიცადა. ახალმა ფაშამ არზრუმიდან განთქმული ოსტატები მოიწვია და თუმცა ხუროებისა, ქვისმთლელებისა, მეჩუქურთმეებისა და კედლების მომხატველების ნაკლებობას, ხუროთმოძღვრებზე რომც აღრაფერი ვთქვათ, ახალციხე არასოდეს არ განიცდიდა, ყველა სამუშაო სწორედ მათ მიანდო. ახალციხელი ოსტატები და ხუროთმოძღვრები გულხელდაკრფილნი იდგნენ და დაღვრებილი ადევნებდნენ თვალს, როგორ აცლიდნენ ლუქმას პირიდან, მათ კი, ვისი მადლიანი მარჯვენათაც ჩილდირის საფაშოსა და მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მრავალი ბრწყინვალე ციხე-დარბაზი და მდიდრული სასახლე აშენებულყო, საყვედურის გამოთქმის უფლებასაც აღარ აძლევდნენ.

ტომითა და მოდგმით ქართველ ფაშას სისხლით ნათესავი თავისიანის რწმენა არ ჰქონდა, რაიე უთუოდ ოსმალთ ბატონებისაგან გადმოსდებოდა, მისი სამკვიდრო ქვეყნის შვილებს ათვალწუნებით უყურებდა და მზად იყო, როგორც კი ამის მცირეოდენი საშუალება მიეცემოდა, მამაპაპური საცხოვრისიდან ყველა აეყარა და მათს ნაფუძარზე სულ სხვა, ბედნიერი სულთნისათვის უფრო მისანდო და ცხოვრების ყადრის მცოდნე უცხო ტომები ჩამოესახლებინა.

სახელმწიფო რ.საუბლო
ბიბლიოთეკა

საგრძნობი ცვლილება განიცადა რაბათის მეჩეთმა, გურჯისტანის ვილაიეთის ბეგლარბეგთა კარის სალოცავმა, რომელიც კონსტანტინოპოლის აია-სოფიას თარგზე იყო აგებული. მას რამდენიმე სათავსო მიემატა და დამშვენდა კიდევ ერთი ცაში აპრილი ლურჯთვალა მინარეთით. ძველი ჰარამხანა დასცალეს, ძვირფასი ავეჯი ახალი მფლობელის გემოვნების მიხედვით გადაკეთებულ წიგნსაცავის დარბაზებში გადაიტანეს და ბეგლარბეგის ცოლების სამყოფელი აქ, თვით რუსუდანისეული სასახლის ქერქვეშ გამართეს. ჰარამხანის ყოფილი შენობა მედრესეს დაეთმო. მედრესეს აქამდე ერთი პატარა და ნესტიანი ქვითკირის ქოხი ეკავა ჭალაქის კედლის მიღმა, სოფელ ივლიტაში. ამიერიდან იგი რაბათში გადმოდიოდა, მშვენიერი სასახლის რამდენიმე ნათელ დარბაზს იკავებდა და რაკი სწავლა-განათლებლისადმი ფაშა ასე ცხოველ ყურადღებას იჩენდა, მისი ეს მოწყალე ყურადღება მედრესეს არც შემდგომ უნდა მოჰკლებოდა.

დიდკაცობა და ჭალაქის ვაჭრები, მათთან ერთად დაბალი წოდებაც, მოწონებით შეხვდა ჰასან-ფაშას საგანმანათლებლო წამოწყებას. ყველა უყოყმანოდ მზად იყო, თავისი შვილები მედრესეში მიეზარებინა და, თუნდაც უკანასკნელი პერანგის საფასურით, საჭირო წიგნების შესაძენად და გონებგაბნეული არზრუმელი შეიხების მოსაწვევად სახსრები გაეღო.

ვილაიეთის შინაური საქმეები რომ გაართვა და, როგორც იტყვიან, თავისებურ აქურში მოიყვანა, ჰასან-ფაშა საგარეო საქმეებსაც გადასწვდა და პირველ ყოვლისა მზერა ქართლ-კახეთის სამეფოს მიაპყრო.

ერთელ და თეიმურაზი საეკვოდ ღუმდნენ. მარბიელი ლეკების დევნაში გართულებმა უთუოდ თავიანთი ხუთი თითივით იცოდნენ, რაც სამცხეში მოხდა და დადარაჯებული უცდიდნენ. რა გეზს აირჩევდა ახალი ფაშა, ჰაჯი-ამბლისებრ ცხერის ქურქს წამოისხამდა,

თუ საზღვრებზე ჯარებს მოაყრიდა და მოთხოვნებს წამოაყენებდა.

ჰასან-ფაშა დიდი ვეზირისაგან წინასწარ გაფრთხილებული იყო, რომ გურჯისტანის მეფეებთან, მანამდე მინც, სანამ დასავლეთში ომის გრიგალი არ ჩადგებოდა, კეთილმეზობლური ურთიერთობა შეენარჩუნებინა და მათი საშუალებით განმდგარ გიჟურ სოლომონსაც მისწვდომოდა. ხმაზე უფრო ხშირად სიტყვა ჰქონდა. იქნებ სიტყვას ახლაც გაეჭრა და თავისივე გამარჯვებით შეშინებული სოლომონი, ცათა სწორი სულთან იმას არასდიდებით არ შემარჩენსო, საამქვეყნოდ მოექცია.

ფაშამ მისის დამლევამდე იცადა და რაკი არც თეიმურაზისაგან და არც ერეკლესაგან ამბის მომტანი არავინ გამოჩნდა, გადაწყვიტა, ამპარტავნობა უკუეგდო და პირველი ნაბიჯი თვით გადაეგდა.

ტფილისში ახალქალაქის სანჯაყ-ბეგი და ვილაიეთის იანიჩარ-აღა მუთი-ბეგ ფალავანდიშვილი გაიგზავნა. როგორც შემდეგ მწყალობელ ფაშას აღუწყო, ქართლისა და კახეთის მეფეებმა ფალავანდიშვილი უადრესი პატივით მიიღეს და მირთმეული ხელმწიფური არმადანის სანაცვლოდ ბეგლარბეგს სამაგიერო არმადანიც აახლეს. რაც შეეხებოდა აჩიკ-ბაშის მეფე სოლომონს, გვირგვინოსანი მამა და შვილი ფაშას პვირდებოდნენ, რომ საჯანგებოდ კაცებს გაგზავნიდნენ ლიხთიმურეთის სამეფო კართან მოსალაპარაკებლად, მაგრამ ამასთანავე ექვს გამოსთქვამდნენ, ვაითუ იმის შემდეგ, რაც მოხდა, სოლომონმა ბეგლარბეგის მოთხოვნა არ შეიწყნაროს და ახალციხეში ნებით არ ეახლოსო.

ჰასან-ფაშას ეს პასუხი არ გააკვირვებია, იოტისოდენა იმედიც არა ჰქონია, რომ სიტყვიერი პირობით, ვითომდა რაბათში მოსულ გიჟურ სოლომონს, ათიათასობით მართლმორწმუნე მუსულმანის სისხლი რომ ეღო, ბუხსაც არ ავეუფრენ და კვლავ აჩიკ-ბაშის ტახტზე დავამტკიცებო, რაიმეს ვახდებოდა. სიტყვის გადაგდება მინც საჭიროდ მი-

იხნია. დაე, ყველას სცოდნოდა, თუნდაც თეიმურაზსა და ერეკლეს, რომ ის, პასან-ფაშა, თავიდანვე ზავის მოწადინე იყო, ომითა და სისხლისღვრით არავის ემუქრებოდა, მაგრამ აქ ბედნიერი სულთნის ღვთაებრივი ნების აღმსრულებლად იქნა და, ნურას უკაცრავად, მალაღობი ალაჰისა და სულთნის მტრებს თავზე ხელს ვერ გადაუსვამდა!

გაიარა დათქმულმა სამმა კვირამ. თეიმურაზი და ერეკლე ახალს არაფერს იტყობინებოდნენ. ეს სწორედ ნიშანი იყო იმისა, რომ მამა-შვილის შუაგულში უშედეგოდ ჩაიარა და თავისი ძალების მოიმედე ფაშას აწ სხვა ღონისათვის უნდა მიემართა!

შკათათვის 26-ს აჩიკ-ბაშის მეფე სოლომონი დივანში ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა. სოლომონს ბრალად ედებოდა სულთნის დალატი, რისთვისაც საბლით მოშობა მიესაჯა და მის მადგირ რწმუნების სიგელი ებოძა თეიმურაზ ბატონიშვილს, ბატონიშვილ მამუკას მხოლოდშობილ ძეს, ამიერიდან აჩიკ-ბაშის გვირგვინოსან მეფეს...

განახალხეს ძველი გუჯრები. ამ გუჯრებში, რომლებიც ხარკისა და ტყვე გოგო-ბიჭების ოდენობას, აგრეთვე ბრწყინვალე პორტის მტრებთან ომში აჩიკ-ბაშითა სავალდებულო მონაწილეობის პირობებს ადგენდა, ახალი დაკლავნილი ხელრთვა და ბეჭედი გაჩნდა. თეიმურაზიც, იმერეთის პირველი მამადიანი მეფე, ისევე როგორც სოლომონი და მათი მამა-პაპა, თავს სულთნის ყმად და ფერხთა მტრად სახავდა.

ყველა საჭირო საბუთის დამოწმება რომ გასრულდა, აჩიკ-ბაშის ახალ ბატონს ყურანი გადაუშალეს, ზედ ორივე ხელი დაადებინეს და სულთნის ერთგულებაზე დააფიცეს. თეიმურაზმა გულმხურვალედ წარმოთქვა ფიცის სიტყვები, რომლებიც თვით პასან-ფაშამ უკარნახა, საჯაროდ დიფიცა, რომ სიცოცხლეს ქრისტეს ვერისა და ხატის წინააღმდეგ ბრძოლას, ქვეყნად ყველაზე უფრო სამართლიანი სარწმუნოების, ისლამის გავრცელებას და ურჯულოების

წყვედიადმი მყოფი თავისი ქვეყნის სონათლისა და ქეშმარიტების განსახელებად მოყვანას შესწირავდა.

სასახლიდან სხვადასხვა საბაბით დათხოვნილ საფაშოს ძველ მოხელეებს ეს ამბავი სიცოცხლად არ ეყოთ. სოლომონი იქ, აჩიკ-ბაშში მეფობდა, ტახტის სადავეები ხელთ ეპყრა, ყმა-მამული შემომტყციებული ჰქონდა, არც გარეშე შემწე და მზრის დამჭერი აკლდა და აბა, რის მაქნისი იყო საფაშოს დივანის ლიტონი გადაწყვეტილება, გინდ გამოეტანათ ის და გინდა არა!

ახალმა ვითარებამ, ვილაიეთში რომ შეიქმნა, ძველი ნამსახური ხალხი ფაშას დაუპირისპირა და, მიუხედავად სარწმუნოებრივი სხვადასხვაობისა, ძალაუხნებურად იმერთა ქრისტიანი მეფის მხარეზე დააყენა.

ერთადერთი, ვისაც შეეძლო მათი ჯავრი ამოეყარა, მეფე სოლომონი იყო და პასან-ფაშას კრიჭაში მდგომნიც ფარული სიხარულით ხვდებოდნენ ბეგლარბეგის ყოველ წაფორბილებას, რაც არცთუ იშვიათად ხდებოდა და, ბოლოს და ბოლოს, კულს მის საბედისწეროდ მოიქნევდა.

საქმე იმანაც გაართულა, რომ ადრიან გაზაფხულზე, როგორც კი ზეკარის უღელტეხილზე თოვლმა დნობა დაიწყო და საქარავნო გზა გავიდა, იმერეთიდან სერასკირ ბაშადას ლაშქრობის რამდენიმე ათასი მონაწილე უვნებლად დაბრუნდა და თავთავიანთ სოფლებში წავიდ-წამოვიდა.

ეს მხოლოდ ნაწილი იყო იმ ჯარისა, ხრესილის ომში სოლომონს ტყვედ რომ ჩაუვარდა და აქამდე აჩიკ-ბაშში დარჩენა მოუხდა.

თითქოსდა მკვდრეთით აღმდგარმა მოლაშქრეებმა, ლეჩაქვაშავებულ დედებს, დებსა და ცოლებს უკვე გამოტყრებული რომ ჰყავდით, მთელს კუთხეში წარმოუდგენელი სიხარული შემოიტანეს და დამგლოვიარებული ქვეყანა ფეხზე დააყენეს. ტყვეობიდან მობრუნებულთ, ყველა სოფელი და დაბა ისე გახარებული რომ ეგებებოდა, თითქოს

მშობლიურ ადგილებში თავიანთი ჯარის ძლევაშისილი გამარჯვების ამბავი მოეტანოთ, ხალხი საიდან არ მოაწყდა. ყველა იმედოვნებდა. იქნება მწყალობელმა ალაშა დაგვიფარა, ოჯახის მარჩენალი ცოცხალია, ისიც სხვებთან ერთად უვნებლად მობრუნდა, ანდა იმ ღვთისნიერ აჩი-ბაშებს ჰყავთ ისევ ტყვედ და დღეს თუ ხვალ შინ გამოუშვებნო.

სოლომონს უამრავი მომხრე და მამყებარი გამოუჩნდა თვით გათათრებულ და ისლამის ბანგით გონებადაბინდულ ადგილობრივ მკვიდრთა შორის. მეტადრე თავი ქალებმა გამოიღეს. ბევრი მთვანი ვულში ისევ ქრისტიანი იყო, მაღულად პირჯვარს იწერდა, თუმცა სოფელ-ქვეყნის დასაწახავად მეჩეთში დადიოდა, ქართული საერო და საეკლესიო წიგნებს კი სამალავებში ინახავდა, შვილებს საიდუმლოდ უეითხავდა და ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ისინი მამაპაპურ წესსა და რიგზე გაეზარდა.

— დარჩა იქ კიდევ ვინმე, თუ ყველა წამოხვედით? — ეკითხებოდნენ ომში სასწაულად გადარჩენილ და შინ მშვიდობით მობრუნებულ მოლაშქრეთ.

— ბევრი დარჩა, ბევრი წამოვიდა, — ბუნდოვნად პასუხობდნენ ისინი.

— კი მარა, რაღას უცდიან, როდემდე უნდა იყურყუტონ იქ, თუკი სოლომონი არ იქერს და ოთხივე კუთხივე გზას უხსნის?

— რაღას უცდიან და არაფერს, აღარ გვსურს უკან გაბრუნებაო.

— როგორ თუ არა გვსურსო, რას მიედ-მოედებით, ვეყო!

— კი არ მივედ-მოვედებით, აგრეა და ჩვენ რა ვქნათ! ცხრა გოგაშენელი ბიჭი, შვიდიც ზერთვისელი და ჩვიდმეტი ხიზაბავრელი ჩვენს თვალწინ მოინათლა. მღვდელმა მირონი სცხო. ჯვარს ემთხვევიენ...

— ფუ-ფუ-ფუ-ფუ, მოგვიკვდეს თავი, — შეიცხადეს თვალეგამოღამებულმა თავსაფრიაანმა დედაკაცებმა, თავში წაიშინეს და ვაი-ვიში მორთეს. — ეგ რა გვესმის, ეგ რა გაიგონა ჩვენმა ყურებმა!

— რაც გაიგონა! — დამწვარზე მღულარეს ასხამდნენ ტყვეობდნენ დაბრუნებულნი. — მონათლულებს მეფე ორი დღის სახნავ-სათეს მიწას, სამოსახლოს და უღელ ხარს პირდებდა. აგიაშვილმა და წულუკიძემ ასე გვითხრეს, გინდა ახლავე დარჩით და დასახლდით, გინდა შინ გადადით, ჯალაბს დაეკითხეთ და მერე დაბრუნდით, ჩვენ ჩვენს სიტყვას მისდღემში არ გადავალთო.

— იქნება ტყუილია, ხალხო? — იყვირა ვიღაც ურწმუნო თომამ ათას ხმაზე აყაყანებულ ბრბოში.

— რა არი ტყუილი, შე საპყარო. ჩვენ იქ ვიყავით და შენ ამბავს გვიყვები?

— თქვი აბა, რიგიანად გაგვაგებინე!

— ახლავე გადავარდნას აპირებ თუ? რა ვთქვათ მეტი, გითხარით და ეს არის!

— ძალით არ გაგვაქრისტიანებენ, ღორის ხორცს არ გვაქმევენ?

— ნუ ჰამ, თუ არ გინდა, ვინ გამალებს!

— არც ღვინოს ჩაგვასხამენ კისერში?

— სად არის თქვენი გასაფუჭებელი ღვინო!

— არ იქნება ეგ აგრე, ხალხო, მანდ რაღაცაშია საქმე!.. — დაასვენეს უფრო ფრთხილებმა, გლეხობის თავკაცებმა, სოფელში რომ სხვაზე მეტი პატივითა და ნდობით სარგებლობდნენ, და საქმის დაწვრილებით განსჯა-გამოძიებას შეუდგნენ.

არ გაუვლია ერთ კვირასაც, სოფლებს ბეგლარბეგის მანდატურები დაესხნენ, მათრახები დაატრიალეს და აჩი-ბაშის ნატყვევარი კაცების გაცემა მოითხოვეს. მათ ისლამისა და ბედნიერი სულთნის საწინააღმდეგო ლაუბობა ბრალდებოდა. ხალხი აყაყანდა. მიდგამოდგა, როგორ თუ გავცეთ, ჩვენ აქ რომელი გამკემი გენახეთო, ზოგმა ნაჯახს წამოავლო ხელი, ზოგმა ფიწალს. ზოგმა მარგილი ამოაძრო ღობიდან და მანდატურებს შეუტია. ამჯერად მათ უკან დაიბიეს, მაგრამ მოსალოდნელი იყო, რომ ხვალ უფრო მეტი ჯარი მოვიდოდა და სოფლებში ცოდვის კითხვას დაატრიალებდა. ჯერ თითო-ოროლა



ოჯახი გაიხიზნა და თავი ტყვეს შეაფარა, მერე მთელს უბნობით დაიწყეს აყრა. ვიდრე საფაშოს მენაპირენი გონს მოეგებოდნენ და გზებს შეკრავდნენ, ბევრმა გაასწრო და დაღოს მითს გადაღმა თავი სამშვიდობოს დაიგულა. გაჩნდნენ გზაკვალის მკოდნე შეგზურები მწყემსთაგან და მონადირეთაგან, რომლებიც თითოეულ სულზე თითო ყურუმ გასამარჯვლოს იღებდნენ, ლტოლვილთ ნადირის ბილიკებზე მიუძღვებოდნენ და უზიფათოდ ახერხებდნენ ძნელადსავალ ქედზე გადასვლას.

ყველა გზისა და ბილიკის შეკრა შეუძლებელი იყო. ამას რომ ცდილიყავ, ათას ხევსა და ღელეში ატარაცხელი ჭარი უნდა ჩაგეყენებინა.

პასან-ფაშა მიხვდა, ძალით ვერაფერს გაეაწყობო და ხალხის განუწყვეტელი დენა რომ როგორმე შეენელებინა, შემრიგებლურ გზას დაადგა: ყოველ კომლს გადასახადების შემციირებას და ზედზედ სამი წლის განმავლობაში სამხედრო ბეგარისაგან გათავისუფლებას დაჰპირდა. ვინ არ იცოდა, რომ არც ერთი დარც მერე დაპირების შესრულება ფაშას ნება-სურვილზე არ ეკიდა, რადგან ის, თუ ვის რა გამოსაღები გამოეყო და სად რამდენი მოლაშქრე გამოეყვანათ ყოველი ათი კომლიდან, კანუნნამეში ეწერა, ანდა შორს, კონსტანტინოპოლში წყვეტდნენ ბედნიერი სულთნის ვეზირები, მთელ დანარჩენ ქვეყანას კი მათი უმაღლესი გადაწყვეტილების განუხრელი შესრულება ეკისრებოდა.

ბეგლარბეგის მოწადინებამ და დაპირებებმა, ასე გასინჯეთ, სასურველი შედეგი მაინც გამოიღო. ბევრმა, ვისაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, მამაპაპეული ფუძიდან სამუდამოდ აყრილიყო და სულისა და მომავლის გადასარჩენად ქრისტიან თანამომქმეს შეჰკედლებოდა, ხელი ჩაიქნია, შეკრული ბარგი გახსნა და უკვე შეჩვეულ ყოველდღიურ ცხოვრებას დაუბრუნდა. პასან-ფაშას კაცები, ყადიები, მოლები, ბეგლარბეგის კარზე უხვად დაჯილდოებული დერვიშები, ვინ არა, ხალხში დადიოდნენ და სულ-

თნის მიერ შერისხული, ტახტიდან სამარცხვინოდ გადაყენებულნი და სხვა კვდილმისჭილი გიაური სოლომონის საწინააღმდეგო ხმებს ავრცელებდნენ.

ჯერ ერთი, როგორც ისინი ამბობდნენ და ბევრ მალემრწმენსა და ყრუს კიდევაც აჯერებდნენ, სოლომონი უკვე აღარ იყო მეფე, აჩიკ-ბაშის სამეფო ტახტს მალე მართლმორწმუნე მუსულმანი, ვილაიეთის დივანის მიერ მეფედ დამტკიცებული თეიმურაზი დაიკავებდა და ქვეყანაში სოლომონისაგან გაცემულ ყველა პირობას აღკვეთდა. სოლომონს, შესაძლოა, ტახტი ნებით არ დაეთმო, ხალხი აეგულიანებინა და წინააღმდეგობის გაწევა ეცადა, მაგრამ ბედნიერი სულთნის ძლევამოსილ მხედრობას, რომელსაც ბევრი ქვეყანა დაემხო, მისი დამხობა არ გაუქირდებოდა. აჩიკ-ბაშში უამრავ ტყვეს შეიპყრობდნენ აღმოსავლეთის ტყვეთა ბაზრებზე გასაყიდად და ნუთუ აქედან იქ გაქცეულ მართლმორწმუნე მუსულმანთ სურდათ, თავიანთი ოჯახებიც ისევე აკლუბული და მიწასთან გასწორებული ეხილათ, როგორც აჩიკ-ბაშებს აიკლუბდნენ და მიწასთან გაასწორებდნენ?

უკანასკნელმა შეგონებამ გულალრენილი ხალხი დააფიქრა. გადასახლების მოწადინე და სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფსად სფაშოს ფარგლებიდან გასვლის მსურველი სულ უფრო ნაკლები და ნაკლები ხდებოდა. ფაშა გათამამდა, თანდათანობით ძალასაც მიმართა: გზაში შეპყრობილებს უკან აბრუნებდნენ, სხვათა დასანახად და ჭკუის სასწავლებლად, ქონებას ართმევდნენ, კბილით გასაკენეტსაც აღარაფერს უტოვებდნენ და არზრუმის ვილაიეთის ყველაზე უფრო მწირსა და უდაბურ ადგილებში ასახლებდნენ.

ბატონიშვილი თეიმურაზი, აწ უკვე სულთნის ყმდნაფიცი აჩიკ-ბაშის კანონიერი მეფე, საუკეთესო დროს უმაქნის მოწმესავით ახალციხეში, ბეგლარბეგის კარზე კლავდა, სადაც სატახტო ქალაქ კონსტანტინოპოლიდან სხვადასხვა საქმის გამო მობრძანებული დიდკაცების

პატივსაცემად გამართულ ხალხმრავალ წვეულებებს ესწრებოდა და მისი მისამართით გამოთქმულ ბევრ მწარე შენიშვნასა და კალამბურს ითმენდა. გულგატეხილობასა და უიმედობას საზღვარი არ ჰქონდა. როდისღა უნდა მოღებოდა ბოლო ამ გაუთავებელ ლოდინს? როდის შეიკრიბებოდა საკმაო მხედრობა, რომლის ძალითაც იმერეთის ტახტზე უნდა ასულიყო?

თეიმურაზს ხელ-ფეხს უფრო ის უბორკავდა და სასოწარკვეთილებაშიაც უფრო ის აგდებდა, რომ ქართლისა და კახეთის მეფეებს იმერეთის ახალი მეფის სახელის გაგონებაც არ უნდოდათ. გვირგვინოსანმა მამა-შვილმა არამცთუ არა სცნეს თეიმურაზის მეფობა, მისი ელჩები სასახლეშიაც არ მიიღეს და, როგორც კი შეიტყეს, ქართლში რისთვის და რა მიზნით იყვნენ მისული, გორიდანვე ცივად უკან გამოაბრუნეს.

სილა, კახატონმა ერეკლემ და ქარაღლის მეფე თეიმურაზმა თეიმურაზ მა-

მუკას ძეს რომ გააწნეს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, თვით ბეგლარბეგს მასანფაშასაც მწვავედ ზედმებოდა. გურჯი მეფეების გამომწვევი საქციელი რაბათში ასეც იქნა შეფასებული, მაგრამ ამით თეიმურაზის მდგომარეობა ოდნავადაც არ შემსუბუქებულა.

თეიმურაზს გულს უკლავდა და სულს უშფოთებდა სიმამრის, რაჭის ერისთავ როსტომის, დაყინებული დღმილი. რა მოხდა? ნუთუ სიმამრიც და ცოლისძმებიც სიკეთის ეკას გადაუდგნენ და თავიანთ დამლუკველ სოლომონს მიჰკერძეს? თეიმურაზმა რამდენჯერმე გაგზავნა სანდო კაცები და მოთმინებით აღიპურვა, დღეს თუ არა, ხეალ ჩემთვის სასიამოვნო პასუხს მივიღებო. კაცები კი მიდიოდნენ, მაგრამ, მისდა გასაოცრად, უკან აღარავინ ბრუნდებოდა. ვითომ სოლომონს გზები შეკრული ჰქონდა და ყველა მსტოვარი მის ხელში ვარდებოდა?

თავი XXV

ქრისტეშობისთვის ოცდაექვსს დედოფალთ-დედოფალ მარიამს მეორე ასული შეეძინა. ეს სასიხარულო ახალი ამბავი სოლომონს გელათის მონასტერში შეატყობინეს, სადაც დარბაზის ერთან ერთად მთელი იმერეთის სამღვდლოებს მოეყარა თავი და საეკლესიო კრება მიმდინარეობდა. მტრის მიერ უწყალოდ აკლებული და მოთხრილი ვარციხე ჯერ კიდევ არ აღედგინათ და მარიამი და სამეფო კარი, ზუთასი მხედრისაგან შემდგარი მცველი რაზმითურთ, კვლავ სკანდის სასახლესა და ციხეში იდგა. თითქმის ორ კვირაზე მეტი იყო გასული, რაც მეფეს თანამეცხედრე არ ენახა და მოზღვავებულ სიხარულთან ერთად, მახარობელმა რომ მოუტანა, გულს ახლა სინანულიც შემოაწვა, რადგან ძნელ წულებში მარიამთან

არ იყო და მის ახლო ყოფნით ერთგული მეუღლისადმი თავის განუსაზღვრელ მაღლიერებას არ გამოხატავდა.

მეფე მთლიანად დანგრეული ქვეყნის აღმშენებლობაზე ზრუნვამ და ათასმა მოუგვარებელმა საქმემ ჩაითრია. მაგრამ ცოლ-შვილის უნახაობას და გამუდმებულ გარე-გარე წოწილას მარტო მოუცლელობას ვერ დააბრალებდა. სულ ბოლო დროს მომხდარმა ამბავმა სოლომონი შიგ გულში დაჰკოდა და ძველი ჭრილობა ისევ გაუახლო გეგუთში ყოფნისას, სადაც დროთა განმავლობაში ყედლებდამზარულ და თითქმის დანგრევამდე მისულ თამარისეულ სასახლეს ქვეყნის ყველა კუთხიდან შემოკრებილი ხუროები ესივნენ და შიგნით და გარეთ ძველ ბრწყინვალეობას უბრუნებდნენ, ოდიშიდან მამად სახადი

სიმაჰრის, ოტია დადიანის საიდუმლო წიგნი მოუვიდა. არც ხელითა და არც სიტყვის მობრუნებით, რაც მთავარია, არც იმით, რაც შიგ ეწერა, წიგნი მთავრის დაწერილს არა ჰგავდა, უფრო სალაპარტიანოს ბატონის შეთხზული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვისაც არ უნდა დაეწერა, თვით ოტიას, თუ მის ძეს, კაცას, უყურადღებოდ მაინც ვერ დასტოვებდი.

მეო, წერდა წიგნის მეორე ნახევარში ოტია დადიანი, დიდი ხანია მინდოდა ეს შენთვის მომეწერა, მაგრამ მოგერიდე, მამაშვილობის მაღლმა, ვერ შემოგბედე, დღეის დღეს კი იძულებული ვხდები, ცალი ფეხით სამარეში მდგომმა სნულმა კაცმა ყოველგვარი გაუბედავობა და ყოყმანი უკუვაგალო და ხელში კალამი ავიღო, ვინაიდან სიტყვა იმერეთისა და ოდიშის შემდგომ თანადგომას, ლიხთიმერეთის ტახტის სიმტკიცეს და ჩემი ღვიძლი ასულის, ჩემი მარიამის კეთილდღეობას შეეხებაო.

„მართალია თუ არა, რომ იმერთა ძლევა მოხილ და მრავალი დიდებით შემკულ სეფე-დროშას გვერდში კიდევ ერთი დროშა უდგას, რომელიც შეფეს ყველგან განუშორებლივ თან ახლავს? — ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ და შეულამაზებლად ეკითხებოდა სოლომონს ოტია დადიანი. — კითხვა მართო მე და შენ როდი ვიცით, მეფეო, შვილზე მეტად საყვარელო სიძევ ჩემო და თვალისჩინო. გაჩნდნენ კაცები, ვინც ეგ წარწერა, დროშაზე რომ არის ამოქარგული, წაიკითხა და ჩემს ყურამდე მოიტანა. ნეტამც არ გამეგო, ნეტამც ყურები დამხმვოდა! ახლა, შვილო სოლომონ, თუ ჩემზე, სნულ და უძლურ ბერიკაცზე გული არ აგყრია და კვლავ შენს კეთილისმყოფელ სიმაჰრად მივაჩნევარ, მიიღე ეს გონივრული რჩევა: ნურც თვალისსერიის მოყვარულ ხალხს ალაპარაკებ და ნურც შენს კრავივით უცოდველ თანამეცხედრებს, ჩემს ასულ მარიამს მოუკლავ გულს — დროშა დააწვევინე ან შენს კარს განარიდე, უბრალო

რამის გულისათვის ნუ არევ ქვეყანას, მოყვარეს მტრად ნუ მოიკიდევს შენს წიგნს ვაჟს, კაცობას, წყალში ნუ ჩაგვიყრის!“

სოლომონი სულთ ხორცამდე აღაშფოთა და შეაძრწუნა სიმაჰრის სიტყვებმა და ისე განრისხდა, წიგნის მომტან, თავის ძველ თანამებრძოლ თავად ფალავას კინაღამ უკადრებელი არ აკადრა. საქმეში მეფის შუათანა ძმა, გენათელი მიტროპოლიტი იოსები ჩაერია. განმარტოებული ძმების საიდუმლო ბუობა იმით დასრულდა, რომ იმავე საღამოს, დადიანის მოციქულის თვალწინ, დედოფალყოფილ თინათის ხელით ნაქარგი დროშა მიტროპოლიტის მხლებელმა ბერებმა ხონს წაასვენეს და იქ წმიდა გიორგის ეკლესიას შესწირეს.

სოლომონს გული დაუცარიელდა. გაახლებულმა ტკივილმა მთელი მისი არსება შეიპყრო. ღამე თეთრად გაათენა. არავის და არაფრის დანახვა არ უნდოდა. დილას თავატყევებული და თვალმდამსიებული წამოდგა და მაშინვე იესე მოიკითხა. მიტროპოლიტი გვირგვინოსანი ძმის გამოღვიძებას აღარ დალოდებოდა და „პირველ მამლიყიულზე“ გელათს წაბრძანებულყო.

„განზრახ გამეპარა, — გაიფიქრა სოლომონმა. — იცის, მისი თანხმობის მიუღებლად გადაწყვეტილებას ვერ შევცვლი და ეკლესიისათვის შეწირულ დროშას უკან ვერ მოვაბრუნებ. არ უნდა დამეთმო, ასე მორჩილად არ უნდა დაეყოლოდი ოტიას ნებას. ნამღვილი ლაჩრობა და სულმდაბლობა გამოვიჩინე. ფუ, თავსლადი დავასხი ამისთანა სიცოცხლესაც და ამისთანა მეფობასაც როდემდე უნდა ვუყურო სხვას თვალმდამსიებულში, რა ეწყინება და რა ესიამოვნება, როდემდე უნდა ვუგორო კვერცხი ხელისგულზე? იმნაც იცის, რომ სხვა გასაძრავი ღონე არა მაქვს და სატევარს ზედ ყელზე მამჯენს, ვინცლო თავი არ ავიშვა და ურჩობა არ ვაგებდო!“

უკანასკნელ თორმეტ წელიწადში, რა რომ რაჰის ერისთავთა სახლის შვილმა

ბესარიონმა ეკლესიის საკეთილშობილს კერძო მიიღო და თავზე უწმიდესი კათალიკოსის მიტრა დაიდგა, იმერთა მეფეებს საეკლესიო კრება აღარ მოუწვევიათ და ეკლესია სამღვდლოების ლოცვა-კურთხევის ანაბარა იყო მიტრებული. ამ ხნის მანძილზე ქვეყანას ბევრი ჭირი გადახდა, სამეფო ტახტზე ტახტის მოცილენი და კანონიერი მეფეები ერთმანეთს ცვლიდნენ, თვით ეკლესიაც ერთობ დაკნინდა, დაქვეითდა და, რომ იტყვიან, მართლა ხელით სათრევი გახდა. 1690 წლიდან მოყოლებული მართო ლიხვიდმოღმა საქართველოში, ურჯულს მიერ მიტაცებულ და გათათრებულ მესხეთზე, აწ უკვე გურჯისტანის ვილაიეთზე რომ აღარაფერი ეთქვათ, ოთხი საეპისკოპოსო კათედრა გაუქმდა. მათ შორის სატახტო ქალაქ ქუთაისის კათედრაც, რომელსაც მეფის მოღალატე სახლთბუცების, სენია ჩხეიძის მიერ მოყვანილი ოსმალები დაეპატრონენ და აქ თავიანთებური წირვალოცვა გააჩაღეს. სხვა საეპისკოპოსოები, შეიძლება ითქვას, სულს დაფიქრდნენ. უკიდურესად შემცირდა საეკლესიო ყმა-მამული და შემოსავალი. რაც მტერმა დააკლო, ერისთავისა და წერეთლებისა არ იყოს, ეკლესია-მონასტრებს ხელი ადგილობრივმა მებატონეებმა მოუთავეს, მეფეების წყარუებით ისარგებლეს, მამულებსა და ყმებს დაეპატრონენ და, ასე გასინჯეთ, ნასყიდობისა და სხვა ხასიათის სიგელ-გუჯრებით კი იშოვნეს თავიანთი მფლობელობის დასაცავონებლად.

ერთადერთი უწმიდესი კათალიკოსის საჯდომი გელათი იყო, რომელსაც ძველი პატივი სულ ბოლო დრომდე არ მოკლებია, მაგრამ საყოველთაო გაჩანაგების მსახერალი ხელი ასეთი ისე მასაც მისწვდა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ბედზე დააფიქრა. რაღაც უნდა ელონათ, ასე გაგრძელება უკვე აღარ შეიძლებოდა.

გარდა იმისა, რომ ისლამი კეს ნაბიჯით, მაგრამ აქა-იქ, მეტადრე მტრის ხელთ იყოფ სატახტო ქალაქ ქუთაისში,

ფეხს მაინც იკიდებდა, ქვეყნის ყველა კუთხეში მისიონერი ბერებმა მონაწილეობა მიიღეს. რომის წმიდა კონგრეგაციის დროს არა კარგავდა, მეომარ ხელმწიფეთა ზურგსუკან თავის საქმეებს აჯანბრებდა და ეკლესიის გზასაცდენილ შვილთა სულების სახსნელად შორეულ საქართველოში კათოლიკური სარწმუნოების ახალ და ახალ კერებს ქმნიდა.

ქართლის მეფე თეიმურაზის საგანგებო ბრძანებით ტფილისისა და გორის მისიონი, მართალა, მოიშალა, მაგრამ უპატიურად დათხოვნილმა პატრებმა ლიხის მთა გადმოვლეს და ახალი თავშესაფარი იმერეთსა და გურია-სამეგრელოში პოვნეს.

რომის პაპის რჩეულთა გამოჩენას, როგორც ისინი რომის წმიდა კონგრეგაციის პრობანდა ფიდეს საიდუმლო წიგნებში იხსენიებოდნენ, ადგილობრივი სამღვდლოება სიხარულით შეეგება. ეკლესიებსაც კი უთმობდნენ და კათოლიკურ წირვა-ლოცვას მოწიწებით და კრძალვით ესწრებოდნენ, მაგრამ როდესაც მრევლმა პირი აქეთ ჰქნა და თავის სულიერ მამებს ბევრი შენდობასაც აღარა სთხოვდა, მაშინდა მიხვდნენ, რა გამოუსწორებელი შეცდომაც მოუვიდათ.

მორწმუნეთა ერთი ნაწილი, მათ შორის დიდკაცობაც, ისე იყო აღტაცებული ახალმოვლენილი მოძღვრებით, რომ უცხოელებს შინ ებატოებოდა, ბალებს გასაწერთნელად აბარებდა, განუსაზღვრელ ნდობას უცხადებდა, მდიდრულად ასაჩუქრებდა, თავის ჯამიდან პურს აჭმევდა, საკუთარი ხარჯითა და მუშახელით სახლს უშენებდა და სახლის ირგვლივ ხის მაღალ მესერსაც აგებდა, რათა ვინმე ხელმრუდისათვის სულს არ წაეძლია და ღვთის მსახურნი არ გაეჭურდა.

გულხელდაკრებილი არც თვით პატრები ისხდნენ. სანიმუშო მეურნეობა გამართეს, ენახიც რაღაც თავისებურად გასხლეს, უზღვევო ფუტკარი მოაშენეს, სწულთ და დავრდომილთ ბალახელის ძირებით მკურნალობ-

დნენ, დანასაც და ჩქიფსაც ოსტატურად ხმარობდნენ და ბევრ სასიკვდილოდ გადაგებულს სიცოცხლეს უბრუნებდნენ, თავისუფალ დროს კი ბალღებს და ყველა მსურველს საეკლესიო გალობას, ხატვას ლათინურ და იტალიურ ენებს ასწავლიდნენ.

ადგილობრივი მღვდელ-დიაკვნები გაგულისდნენ. პატრებს ეკლესიის კარი დაუკეტეს და შიგნით საწირავად აღარ უშვებდნენ. იქნებ ამით პრეველს გული აღტრუნდებოდა, მაგრამ როდესაც კათოლიკე მძებმა წირვა-ლოცვა ღია ცისქვეშ მოაწყეს და გულის აცრუების მაგიერ მრევლმა კიდევ მეტი გულმხურვალება გამოიჩინა, ჩოჩქოლი შეუდგათ. ბერძნის მიტროპოლიტი დანიელ დასკალი, რომელსაც ზურგს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქი უმაგრებდა, ყველაზე მეტად ცხარობდა, რამდენჯერმე ეწვია უწმიდეს კათალიკოს ბესარიონს, თავისი გულისწყრომა რომაელ ერეტიკოსთა უტიფრობის გამო დაუფარავად გამოთქვა და ლიბთიმერეთის სამეფოდან მათი დიპლომატიის გაყრა მოითხოვა. არა და ყოველივეს მსოფლიო პატრიარქს მიეწერა, ის განსჯის და სათანადო გადაწყვეტილებასაც ის მიიღებსო.

ვერც დანიელ დასკალმა და ვერც სხვებმა კათალიკოსისაგან გარკვეული პასუხი ვერ გამოიტანეს. ვინ არ იყო, რომ ბესარიონი, რაჟის ერისთავთა სახლის შვილი, ორჭოფულ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი. იქით კათოლიკეებელი მძა და მძისწულები, აქ მართლმადიდებლური სამწყსოს მღვდელმთავრობა ერთმანეთს არ ესადაგებოდა და კათალიკოსსაც ეს აიძულებდა, ორივე მხარისათვის თავისი მიეგო, ანუ ერთის მიმართაც დიდსულოვანი შემწყნარებლობა გამოეჩინა და მეორის მიმართაც.

საბოლოოდ საქმე იმან ვაამწვავა, რომ ორი ბერძენი მღვდელი რაჟას მივიდა, იქაური მღვდლები და ეკლესიის მსახურები მოიხმარა, ერისთავის სახლის კათალიკობა არაფრად ჩააგდო

და დღისით მზისით მისიონერებს ორის სამლოცველო და საცხოვრებელი შენობა დაუნგრა. მისიონერები კეტულნი ცხრალით გამორევეს და კიდევაც დამეჭრნენ, თუ თქვენი არ მოგიშლიათ და აქედან არ წათრეულხართ, რაც მოგივით, საკუთარ თავს დააბრალებთო. კათოლიკე მძებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, ღვთის განგებას მინდობილნი მართლმადიდებელ ზუცესთა ძალადობასა და ბილწსიტყვაობას უდრტყინველად შეხვდნენ, თავიანთი ახალი სამწყსო თვალცრემლიანმა მიატრევს და ქუთაისის მისიონის დაუბრუნდნენ. მისიონის პრეფექტი მონსინიორ ქლაუდიო დე რეჩიელი სკანდის სასახლეში ეახლა ჯერ დედოფალთ-დედოფალ მარიაჰს, სოლო შემდეგ თვით მეფეს და ბერძენი მიტროპოლიტის მიერ შეგულისანებული უმეცარი მღვდლებისაგან მისიონის დაცვა უმორჩილესად ითხოვა.

სოლომონმა იცოდა, რომ მძა, გენათელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი იოსებ, კათალიკოსის შეურთებელი მოძულე იყო და მიუდგომელ მსაჯულად არ გამოდგებოდა, მაგრამ რჩევის საკითხავად, უფრო კბილის მოსასინჯად მაინც მოიხმო.

მეფე განცვიფრდა, როდესაც იესემ ისეთივე ათვალწუნება გამოამეღავსა ბერძენების მიმართაც, როგორსაც კათოლიკე პატრების მიმართ იჩენდა. არც ერთთ და არც მეორეთ საქრისტიანო საქართველოში არაფერი ესაქმებათო, პირდაპირ განაცხადა ბატონიშვილმა, მადლობა ღმერთს, აუტოკეფალია ჯერ კიდევ მეფე ვახტანგ გორგასალის დროიდან მოპოებული გვაქვს, დღემდე ჩვენი ეკლესიის მწყემსმთავარს ჩვენვე ვირჩევთ და დროა ერთმორწმუნე ბერძენებმა შეიგნონ, რომ მართლმადიდებლობა, იგივე ქალკედონისტობა იმას არ ნიშნავს, რაჟი თავდაც ჩვენებრ მართლმადიდებლები არიან, თავზე წამოგვასხდნენ და ქართული ქრისტიანული ეკლესია საჭირთო მოედნად გაიხადონო.

სოლამონმა ყურადღებით მოუსმინა უჩვეულოდ გაფიცებულ ძმას და მისი თათბირი ჰკუთნი დაუჯდა, თუმცა მრავალმხრივ განათლებული და ზნეობრივად სუფთა იტალიელი ბერებისადმი მისი თანაგრძნობა და პატივისცემა ამით ოდნავადაც არ შერყეულა.

ბერძნები საეკლესიო კრებაზედაც გამომწვევად იქცეოდნენ. ძნელი მისახვედრი როდი იყო, რომ ისინი აქ თავს ინდგომარეობის ბატონ-პატრონად თვლიდნენ. დანიელ დასკალმა იმდენი იბრძოლა და იმდენს მიადწია, რომ მეფესა და კათალიკოსს, ჯერ კიდევ კრების დაწყებამდე, კათოლიკეების დამამკობებელი გადაწყვეტილება მიადებინა: არც მისიონის პრეფექტი და არც მისი რომელიმე წევრი, როგორც სხვა სარწმუნოებრივი აღმსარებლობის მატარებელი, კრებას არ ესწრებოდნენ. კათალიკოსი ბესარიონი აქაც ორქოფობდა, ორ სჯამზე იჯდა, მეფე კი შიშობდა, ვათუ ეკლესიის საქმეში ზედმეტი ჩარევა შემწამონო და პირველ ხანებში, სანამ გარემოება ისე არ დაიძაბა, რომ მისი მტკიცე ხელის აღმართვა საჭირო არ ვახდა, ზომიერებას იჩენდა.

ბერძნის მიტროპოლიტმა დანიელ დასკალმა ღვთისმეტყველებაში ღრმად განსწავლული იტალიელი პატრების აქ არყოფნით მარჯვედ ისარგებლა, სიტყვა მესამედ მოითხოვა და ეს მესამე სიტყვაც იმის მტკიცებას მიუძღვნა, რასაც პირველ ორ სიტყვაში ამტკიცებდა: მსოფლიო მართლმადიდებლური სამყარო თავს ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის გარშემო იყრის და ყველა ჰეშმარიტ ქრისტიანს, თუ არა სურს მწვალებელთა და კათაკმეველთა გვერდით აღმოჩნდეს, კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის უზენაესობა უნდა აღიაროს.

— ნება მიზმოძეთ შევეპასუხო მის მალაყოვლადუსამღვდელოესობას დანიელ დასკალს, — წამოგდა ეპისკოპოსი მამსიმე აბაშიძე და, როდესაც კრების თავში მჯდომი მეფისაგან თანხმობა

მიიღო, ბერძნის მიტროპოლიტს მიუბრუნდა და პირდაპირ მიმართა: — ჩვენ აქ მეორე დღე ვსწავდებით, თქვენო მეუფებავ, და იობის მოთმინებით ვისმენთ თქვენი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის მტკიცებას, თითქოს ჩვენს მიერ არჩეული უწმიდესი კათალიკოსი, რომელიც, დამემოწმებით, მსოფლიოს ყველა ავტოკეფალურ ეკლესიას უზის, როგორც მისი უზენაესი ნების გამოშატველი და შუამავალი ზენაარსა და მრევლს შორის, კიდევ უფრო უზენაესი, მღვდელმთავრის ქვეშევრდომი ყოფილა და ასეთ უზენაესთა უზენაეს მღვდელმთავრად, თუ სწორად ჩაეხვდი თქვენს ნაბრძანებს და ყურმა არ მომატყუა, კონსტანტინოპოლის ეგრეთწოდებული მსოფლიო პატრიარქი უნდა მივიჩნიოთ.

დანიელ დასკალი წამოწითლდა, ყვრიმალეზი დაებერა, წერილ-წერილი სისხლძარღვების აბლაბუდით დაქსეულილ ფუმფულა ლოყებზე სისხლი მოაწეა.

— ღმერთს ნუ სცოდავ, ეპისკოპოსო, ყოვლად უწმიდეს კონსტანტინოპოლის პატრიარქს, მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის მამას და კონსტანტინოპოლის ღვთის ჰეშმარიტი მორწმუნენი უფრო მეტი მოწიწებით ისენიებენ, ვიდრე თქვენ ახლა ინებეთ!

— მეც სწორედ მანდ ვახლავარ, თქვენო მეუფებავ, — მოკამათის გესლიან კილოს ყურადღება არ მიიქცია, მხოლოდ სიტყვის დასრულება დააცალა და შემდეგ ღირსებით შენიშნა ეპისკოპოსმა მამსიმე აბაშიძემ. — ჩვენ აქ, ერისკაცნიც და ეკლესიის მამებიც, საკმაოდ განსწავლული ხალხი შევეკრებილვართ. საღვთო წერილი ყველამ იცის. ცოტა იმას იქითაც გაეგება. მე აქ ვხედავ ბატონიშვილ იოსებს, თავად გიორგი წულუკიძეს, თავად პაპუნა წერეთელს, უწმიდეს კათალიკოს ბესარიონს, თვით ბატონ მეფეს, ვხედავ თქვენს მალაყოვლადუსამღვდელოესობას!..

— კეთილი ინებეთ და საგანზე ილა-

პარაკეთ, უკეთეს სათქმელი ვაქვთ რამე! — კიდევ უფრო აპილილდა დანიელ დასკალი, რადგან ამ წუთამდე საქმე თითქოს მის სასარგებლოდ მიმდინარეობდა, ახლა კი გრძნობდა, რომ დინჯი და აუჩქარებელი მაქსიმე აბაშიძე თანდათან იპყრობდა დამსწრეთა გულსა და გონებას, რასაც შეიძლება ყველაფერი თავდაყირა დაეყენებინა, — ვიცით, ჩვენ აქ ყველა განათლებული ხალხი ვსხედვართ, მაგრამ, ჩვენდა სამარცხინოდ, მის უდიდებულესობა მეფესთან ბოდიში მომიხდია, მაინც ვერ შევთანხმებულყართ. რომ ყოველ ჰეშმარიტ ქრისტიანეს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქის უზენაესობის აღიარება მართებეს!

— გასაკვირიც ვგ არის, თქვენო მეუფებავ, რომ არ არსებობს არავითარი მსოფლიო პატრიარქი! — თითქოსდა სრულიად უმნიშვნელო რასმე ამბობსო, კვლავ მშვიდად შენიშნა მაქსიმე აბაშიძემ და სანამ მოულოდნელი დარტყმის მიყენებით ვაოგნებული დანიელ დასკალი გონს მოეგებოდა, ხალხმრავალ კრებას გადაჰხედა. ყველა მას შემოჰკუთრებდა, როგორც მხსნელს, თვით მეფეც კი, და მოუთმენლად მოელოდა. რას მიუგებდა ამაზე ვაცოფებული დანიელ დასკალი.

— შეიპყარიო! — შეცვლილი, უცნაურად გაწვრილებული ხმით დაიყვირა უცებ ტუჩებზე დუქომოდგარმა ბერძენმა მღვდელმთავარმა, ზეზე წამოვარდა და ხელი მაქსიმესაკენ გაიშვირა. — ამან შეურაცხყო მსოფლიო პატრიარქი! მაცხოვარი ჰგმოს! ახლავე განკვეთეთო!..

— არ არსებობს მსოფლიო პატრიარქი, — გარკვევით, დინჯად გაიმეორა მაქსიმე აბაშიძემ და გულხელი დაიქლო. — მსოფლიო პატრიარქი კონსტანტინეპოლის პატრიარქებმა თავად უწოდეს თავის თავს და დღემდე ამ თვითნებობისათვის პასუხი არ უვციათ!

— სწორია! — სხვადასხვა ადგილას გაისმა რამდენიმე ხმა. ამ ხმებში ერთი განათელ მიტროპოლიტ ბატონიშვილ

იოსების ხმაც ვრია. იოსები მხარმარჯვნივ უჯდა გვირგვინოსან ძმას, მაქსიმე აბაშიძის სიტყვის დასაწყისით სიტყვებული იყო და ამას არც მალავდა.

— შეიპყარიო! განკვეთეთო! ნუთუ ვერ ხედავთ თქვენი ბედნიერი თვალით, რას სჩადის ეს ურწმუნო! — დანიელ დასკალმა უკანასკნელი სიტყვები მეფეს შეჰლაღა და ზედმეტი აღუღვებისაგან აქოშინებული მუხლებზე დაეცა.

სოლომონმა კოპები შეჰყარა და კბილებს შუა გამოსცრა:

— აზრი მოიკრიბეთ, თქვენო მეუფებავ. ღვთის ნებით და ერის დასტურით აქ მხოლოდ ჩვენ ვართ ერთი, ვისაც ვისიმე შეპყრობა ხელეწიფება, ხოლო საეკლესიო კრება და უწმიდესი კათალიკოსი მეორე, ვისაც ეკლესიისაგან განკვეთის განაჩენი გამოაქვს. ეპისკოპოსი მაქსიმე თქვენ, რამდენადაც გვესმის და მივმხვდარყვართ, პაექრობაში გიწვეთ, თქვენ კი, იმის მაგიერ, რომ პასუხი გასცეთ და თქვენი სიტყვის ჰეშმარიტებაში დაგვარწმუნოთ, მოპაექრის შეპყრობას, ურწმუნოდ გამოცხადებას და ეკლესიისაგან განკვეთის მოითხოვთ. ვგ არც ერთ სჯულის კანონში არ სწერია!

— თქვენო უმაღლესობავ, ბატონო მეფე, — მაქსიმე აბაშიძემ თვალი აარიდა საქციელწამხდარ დანიელ დასკალს, მელოტ კეფაზე ოფლის მსხვილი წვეთები რომ ასხდა, და სოლომონს მიმართა. — თქვენი მოწყალე ნებართვით მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას მინდა ვკითხო, თუ იცნობს მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების ოქმს, რომელიც იმპერატორ თეოდოს მცირის დროს 431 წლის თიბათვის 22-ს შესდგა ქალაქ ეფესოში და რომელსაც ყველა ქრისტიანული ქვეყნის ორასი მღვდელმთავარი ესწრებოდა? მე თან წამოვიძღვანე ოქმის ბერძნული და ლათინური პირი. თუ საქიროდ მიიჩნევთ, ჩემულ ქართულ თარგმანსაც წარმოვიდგენთ!

— მესამე მსოფლიო საეკლესიო კრების მსჯელობის საგანს ჩვენს მსჯელო-

ბასთან საერთო არაფერი აქვს — შესძახა იმით იმედგაღვიძებულმა დანიელ დასკალმა, რომ მოწინააღმდეგის ორთავ მუხლზე წამოჩოქების საშუალება ეძლეოდა. — მესამე კრება ნესტორის მწვანეებულური მოძღვრების უარსაყოფად შეიკრიბა და წმიდა კირილე ალექსანდრიელის კამათის შემდეგ კიდევაც უარპყვეს ეს ცრუმოდღვრება!

— არ გედავებით, — გულზე ხელი მიიდო და თავი დახარა მაქსიმე აბაშიძემ. — მესამე მსოფლიო კრება ნესტორისა და ნესტორიანელების ცრუმოდღვრების დაგმობას მიემდგნა. იქ სხვა ამბებიც დატრიალდა, მაგრამ თქვენი მეუფობის ბრძანებისა არ იყოს, ჩვენ ყველაფერს ნუ გამოვეციდებით, მხოლოდ ერთი, ჩვენთვის საგულისხმო ამბავი გავიხსენოთ. კრებამ, ჩემზე ნაკლებ ეს თქვენ არ მოგესხენებათ, გარჩია კვიპროსელი ეპისკოპოსის, რეგინის, საჩივარი. ეპისკოპოსი რეგინი იოანე ანტიოქიელ ეპისკოპოსს უჩიოდა იმის თაობაზე, რომ ანტიოქიელი მღვდელმთავარი კვიპროსის ეკლესიის საკუთარი ეკრთხისადმი დაქვემდებარებას ცდილობდა და ამ მიზნის მისაღწევად ყველა პატროსან და უბატონონო გზას მიმართავდა. საყოველთაოდ ცნობილი გახლავთ, რომ კვიპროსის ეკლესიას თვით მოციქულთა დროიდან თავისი ეპისკოპოსი განაგებდა და ის ეპისკოპოსი, გარდა საკუთარი საეკლესიო კრებისა, ვისგანაც არჩეული და ხელდასხმული იყო, არავის ექვემდებარებოდა. ეფესოს საეკლესიო კრებამ უკანონოდ სცნო ანტიოქიელი ეპისკოპოსის აჩემება და თავისი ნება ნიკეის საეკლესიო კრების გადაწყვეტილებას დააფუძნა, რომლის საფუძველზედაც უკლებლივ ყველა ეკლესია. მართავანმგებლობის მხრივ, თავისი თავის ბატონ-პატრონი იყო და ქედს არავის უხრიდა. ისე რომ, ეგ ედა და მოწადინება, თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ახალი სულაც არ გახლავს, მსგავსი მცდელობა წინათაც ყოფილა და, ღვთის განგებით, სამარცხვინოდ

ჩაფუშულა. ორივე კრების გადაწყვეტილება საზეიმოდ აცხადებს და აღსატურებს ეკლესიათა თანასწორობას. მაშ, თუ ასეა და რომ ეს ასეა, კვერს საბუთები გვიკრავენ, კონსტანტინოპოლის უწმიდესმა პატრიარქებმა რაღას დააფუძნეს თავიანთი მტკიცება, თითქოსდა ისინი მსოფლიო პატრიარქები იყვნენ და ყველა მართლმადიდებლური ეკლესიის სხვე-ბედს განაგებდნენ? მე თანა მაქვს ნიკეის კრების გადაწყვეტილებაც ბერძნულ და ლათინურ ენებზე, სწორედ ახლა მოვატანიე, თქვენ ორივე ენის ჩინებული მცოდნე ბრძანდებით და შეგიძლიათ აქვე გაეცნოთ!

მაქსიმე აბაშიძემ გულზე ოქროს ძეწვევით დაკიდებული პატარა ჯვარი შეისწორა, გრძელი ანაფორიდან წაღიანი ფეხი გამოჰყო და მწვანეაუღვადათარებულ ოთხკუთხა მაგიდაზე, რომელზედაც ქართული სახარების უძველესი ხელნაწერი წიგნი იყო გადაშლილი, ზბოს ტყავის ორი გრაგნილი დასლო.

ღვთისმშობლის ტაძარში სამარისებური სინუმე სუფევდა. გრაგნილთან მიახლოება და ეპისკოპოს მაქსიმე აბაშიძის მიერ აგრერიგად სარწმუნოდ ნათქვამი სიტყვის შემოწმება არავის უცდია. გამარჯვება სრული და უზინჯო იყო. აბაშიძემ მოწინააღმდეგე წელში გასტეხა და ბერძნის მიტროპოლიტს ამ წუთიდან ხმა აღარ ამოუღებოდა. ეს სხვეზე უკეთ თვით დანიელ დასკალმა იგრძნო, მოპაექრის მიერ წარმოდგენილ საბუთებს, პირველ და მესამე მსოფლიო საეკლესიო კრებების ოქმებს, ზედაც არ შეხედა, წამოდგა, სრული ღირსებით, თითქოს გამარჯვება სწორედ მას რგებოდეს და არა ვინმე სხვას, ღვთისმშობლის ხატის წინაშე პირჯვარი დაიწერა და ტაძრიდან უსიტყვოდ, ხისლანჩიანი ბერული ქოშების თანაბარი კაყუნით გავიდა.

რას მოასწავებდა ეს? კონსტანტინოპოლის მართლმადიდებლურ ეკლესიასთან კავშირის გაწყვეტას? ბერძ-

ნების ერთხელ და სამუდამოდ გადაიტრებას? თუ დანიელ დასკალის მიერ საეკლესიო კრებებს მიტოვება მისი პიროვნული განაწყენებით უნდა ახსნილიყო?

იმავე დღეს რაღა მოესწრებოდა და მეორე დილას აღშფოთებული და სულთ ხორცამდე შეურაცხყოფილი მიტროპოლიტი დანიელ დასკალი, არქიმანდრიტისა და თხუთმეტიოდე ბერმონახენის თანხლებით, კონსტანტინოპოლს გაემგზავრა. საეკლესიო კრებებს მსვლელობაზე ამას რაიმე განსაკუთრებული გავლენა არ მოუხდენია, თუმცა მაქსიმე აბაშიძის მეშურნენი და ავის მდომნი ჩემად დრტეინავდნენ და ჭართული მართლმადიდებლური ეკლესიის თავგამოდებით დამცველ ეპისკოპოსს კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქთან ურთიერთობის გაფუჭებას უცეინებდნენ. რა რჯიდა, ბატონო, ყოველ კუთხე-კუნძულში სისინებდნენ ისინი, კონსტანტინოპოლის პატრიარქის რწმუნება რომელი მაგისი შესამოწმებელი იყო, ვანა სხვები ყრუ და ბრმები არიან, ხმას რომ არ იღებენ, თუკი ხმის ამოღება ვინმეს მართებდა, ან დიდი მართლმადიდებელი რუსეთი სად არის, ანდა მცხეთა, უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოსი ანტონი რად გაჩუმებულაო?

ჩუჩული მხოლოდ მაშინ მიწედა, როდესაც მეფე სოლომონმა კრებას ყოველი კეშმარიტი ქრისტიანის სანუკვარი ოცნების აღსრულება, ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენა, მისთვის დროთა განმავლობაში გაფანტული ყმა-მამულის დაბრუნება, ახალი საბოძერის მიცემა და ეპისკოპოსად მაქსიმე აბაშიძის, ამიერიდან მაქსიმე ქუთათელის დადგინება ამცნო.

სადღესასწაულოდ შემოსილი სამღვდლოება ფეხზე წამოდგა და ისე მიესალმა ამ დირსშესანიშნე მოვლენას. წამოდგნენ უკანა რიგებში მსხდომი ერისკაცებიც, რომელთა ერთი ნაწილისათვის ხელმწიფის მოულოდნელ გადაწყვეტილებას გუნება შესაძინებდა

გაეფუჭებინა, და მალულად ერთმანეთს გადახედეს. ვილაცას, თუ ყრულებს ვერა თად არა, ხმა უნდა ამოეღრა და მეფისათვის ჩაეგონებინა, რომ ეკლესიის უსაზნნო ამაღლება, რასაც კრუქის მონასტრის ფეხზე წამოყენების შემდგომ ლიბთიმერეთში განუხრელად და თანამიმდევრულად მისდევდნენ, და ქვეყნის ბურჯი თავად-აზნაურობის გაღარიბება საქრისტიანოს კარგს არას უქადდა, მაგრამ კრება იმდაგვარი ზეაწეული ერთსულოვნობით წარიმართა, კრინტიც ვერაინ დასძრა და უკმაყოფილების გამჟღავნება ვერაინ გაბედა. გაამჟღავნებდი და ამ მიღეთის ხალხში თითოთ საჩვენებელი გახდებოდი, იქნებ ორჯერ მეტიც წაგეგო და შვილი და მომავალი ულუკმაპუროდ დაგეყარა!

სოლომონი თვით ციხეების მფლობელ ერთგულ დიდებულებსა და დარბაზის წევრებსაც არ მოერიდა: ქუთაისის საეპისკოპოსო კათედრის აღდგენით საგრძნობლად დაზარალდნენ, უპირველეს ყოვლისა, აგიაშვილი, ლორთქიფანიძე და წერეთლები. დიდძალი ყმა-მამულის დათმობა მოუხდა თვით მეფესაც, ორი და სამი სოფელი შეწირეს ეკლესიას წულუკიძეებმა, მიქელაძემ, ჩიჯავაძემ, მესხმა და იოსელიანმა. ამით სხვებზე მეტი შეგნებულობა გამოამჟღავნეს: ოდესღაც მათი მამაპაპის მიერ სხვადასხვა გზით მიტაცებული და დასაკუთრებული ყმა-მამული სიხარულით დაუბრუნეს „ღვთისაგან კურთხეული ეკლესიის წილს“, თუმცა, უნდა ითქვას, დიდად არ აჩქარებულან, აქაც ერთმანეთს უყურებდნენ, არაფერში მოვტყუვდე, ჯერ სხვა და მერე მეო.

ძველ სიგელ-გუჯრებსა და აღაპებში, მეფისა და უწმიდესი კათალიკოსის ბრძანების თანახმად, ბერებსა და მორჩილებს გელათისა და სხვა მონასტრების წიგნსაცავებიდან რუდუნებით რომ ამოეკრიფათ, ყველაფერი დაწერილებით და ზუსტად იყო მითითებული.

გელათის არქიმანდრიტმა სილიბის-

ტომ, რომელსაც მხარმარჯვნივ და მხარმარცხნივ თმაწვერმოშვებული ახალგაზრდა ბერები ამოსდგომოდნენ და ხელთ კაცის სიმაღლე ანთებული სანთლები ეპყრათ, სულ ბოლოს, კრების დახურვის დღეს, სანთლებითვე გაიჩრადნებულნი საკურთხეველიდან ტყვის-მსყიდველობის საბოლოოდ აკრძალვის თაობაზე ლიხთიმერეთის თავადაზნაურთა და საეკლესიო მამათა პირობის წიგნი გამოიტანა და მეფისა და უწმიდესი კათალიკოსის მოწყალებულ ნებართვით საჯაროდ წაიკითხა.

ეს იყო „მტკიცე, შეუცვალელებელი და დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა აღსრულების ხელთაწერილი, მსაჯულისა მის მხსნელისა ჩუენისა იესოს ქრისტეს წინ მისატანი წიგნი და პირობა“, რომელსაც ქვემოთ ხელისმომწერნი: დანიანის ძე კაცია, გურიის მთავარი მამია, რაჭის ბატონი ერისთავი როსტომ, ბატონიშვილები გიორგი, მამუკა და არჩილ, წერეთლები, წულუკიძეები, მიქელაძეები, ჩიჯავაძეები, აბაშიძეები, ნიჟარაძეები, აგიაშვილები, იაშვილები, ლორთქიფანიძეები, მხეიძეები, ლოლობერიძეები, მაჭავარიანები, მესხები, ავალიანები, იოსელიანები, „ერთობით იმერნი, დიდნი და მცირენი“, ჩიჩუბები, ჩიჭუანები, ფალავეები, ახვლედიანები, ასათიანები, აფაქიძეები, დგებუაძეები, ჭაიანები, ჭოჩაქიძეები, მიჭაძეები, ჯოლიები, შელიები, ქართველიშვილები, საჯაიბი, „ერთობით ოდიშარნი, დიდნი და მცირენი“, „გურიულთ ერისთავი“ მაჭუტაძე, ნაკაშიძე და შალიკაშვილი, ყორღანია, გუგუნივა და თათისშვილი, „ერთობით გურიულნი, დიდნი და მცირენი“, შვიდი კრების და ოთხი პატრიარქის შუამდგომლობით და „ჩვენის მწყემსმთავრის, ყოველად სანატრელი უფალის კათალიკოს ბესარიონის დამტკიცებით, ჭყონდიდელ მიტროპოლიტ გაბრიელის, გენათელი იოსების, შემოქმედელი ნიკოლოზის, ცაგერელი გრიგოლის, მთავარეპისკოპოს იოსების, ნიკორწმიდელი გერმანის ნინოწმინდელი მაქსიმეს, ბედიელი მაქ-

სიმეს და ყოველთა იმერთა, ოდიშართა, გურიულთა სამღვდელთა-საწირთაწინო მწყობრთა, ღმრთისა და ყოველთა საღმრთო დასთა შურობითა“ მიართმევდნენ „თავად დაუსაბამო სამებით დიდებულ ღმერთს“ და ლიხთიმერეთის დღითვე კურთხეულ მეფე სოლომონს.

„ესე რომე, — დადადებდა შემდეგ პირობის წიგნი. — ახალციხის ფაშამ პასანმა საზარებო და საშინელი სიტყვა შემოგვითვალა, რომ ადამის ტომს არც პირველ სმენია და არც შემდგომად სმინება ამისთანა საშინელი სასმენლად საზარო სიტყვა: „ტყვეს თუ არ გაყიდით, არ იქნებაო.“

ახლა ამაზედ ასე ერთპირობით დაგვიმტკიცებოა, რომ სანამდის სული გვედგას, ეს საქმე ჩვენგან არ იქნეს, არც ამაში ერთმანეთს ვუსუსტოთ, კიდევაც ერთმანეთს მივუდგეთ, მეფე სოლომონის მორჩილ და ბრძანების აღსრულებლად ვიქნეთ...

ესე პირობა და სიტყვა დაგვიდგია დღეთისა და კაცისათვის.

აჲ ამის დამტკიცების მუშაკი კათალიკოსი ბესარიონ და მისი კრებული ერთობით ამას ვამტკიცებთ: რამანც ხელმწიფემ ან დედოფალმან ან თავადმან ან აზნაურმან, დიდმან ან მცირემან, ამ სარწმუნოებაზე ვინც მოკვდეს, ან ამ სარწმუნოების მიმდევრი თავისი დღით მოკვდეს და შვილი და მოპავალი გაალარბოს ან წასახდენად მოინდომოს, ამათ შინა წერილთაგან შეჩვენებულ იყოს სულით და ზორციით, ამინ!

აჲ რამანც ტემან კაცისაგან ამას შინა წერილი მოშალოს და მეფეს უსუსტოს ან ამ ხელითწერილს გარდახდეს და ურჯულოება ქნას და ერთმანეთს არ მოუდგეს. ვინც იმას მიუდგეს ან მომხმარედ და შემწედ ექმნეს, ან შეიწყნაროს, ან უწიროს და ულოცოს, ან მოკვდეს და მიწა აღირსოს, შეჩვენებულ იყოს სულითა და ზორციით განუხრწნელად, ამ სოფელს მოწყვედით და იმ სოფელს იუდასთან კრულებით.

მე, არქიმანდრიტს სილიბისტროს,

დამიწერია ყოველთა მოწმობით და ერთხმობით ბრძანებული ესე ქრისტეს აქეთ აქეთ ჩლნთ, ქრისტეშობის თვეს, დღესა ე.

ვინც ეს აღასრულოს და დაამტკიცოს, საუკუნემც არს სსენება მისი, სულით და ხორციით აწ და უკუნისამდე, ამინ!..“

თავი XXXVI

სატატო ქალაქ ქუთაისის მწყემს-მთავრად დადგინებულ ეპისკოპოს მამია აბაშიძეს, ქუთათელს, ეკლესიის საქმეებისათვის ზრუნვა რომელია დასცალდა. არ გაუვლია სამ თვესაც, აღების მომდევნო კვირასში, 1760 წლის გაზაფხულზე, მეფისა და დარბაზის ერის განკარგულებისამებრ, სამგზავროდ შეიკაზმა და კარგა მოზრდილი ამაღის და მცველი რაზმის თანხლებით, საგარეო საქმეთა განმგებელ თამაზა მესხთან ერთად, ქართლის გზას გაუდგა. იმ დღეს სოლომონი საგანგებოდ ჩამობრძანდა საწერეთლოდან, სადაც იქაურები წყალსადენს აშენებდნენ და ნანატრი წყაროს წყალი თიხის მილებით სოფელში გამოყავდათ, მგზავრებს სიმონეთის ბოლოზე დაუხვდა და თავისი ამორჩეული ელჩი, რომლის გამოცდილებასა, განსწავლულობასა და დიპლომატიურ უნარზე ყოველთვის დიდ იმედს ამყარებდა, შორაბნამდე გააცილა.

შეუთანხმებლობა-ლა აბრკოლებდა. კახბატონი ერეკლე ბოლოს იმ გადაწყვეტილებას დაადგა, რომ თვით აპირებდა ბრწყინვალე ელჩიონის სათავეში ჩადგომას, რათა სამოც წელს გადაცილებული, ათას ქირგამოვლილი სსენული მამა შორი და დამქანცველი მგზავრობისაგან ეხსნა. მეფის ამ სურვილის აღსრულებას წინ ვერც ვერავინ აღუდგებოდა. ლეკებისა და ერევნის სახანოსაგან, სადაც სპარსეთის ტახტის მოცილე აზატ-ხანი იჯდა და ერეკლეს, როგორც ირანის ძველ ყმადნაფიცს, მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა და უსიტყვო მორჩილებას თხოვდა, ერთი წუთი მოსვენება და მოცლა რომ ყოფილიყო. უკეთუ რამაზანის უქმეებამდე კახბატონს ერევნის ციხეში გამოცხადებულს და ქედმოძრეკილს არ დინახავდა, აზატ-ხანი თვით აპირებდა კახეთზე გამოლაშქრებას, რათა თავისი ბასრი ხმლის სიმამხვილე კახელების კისერზე გამოეცადა და ამას კიდევაც იზამდა, თუ ერეკლეს სამეფოს გარეთ დაიგულებდა და ქართლიც სიბერისაგან დაუძღურებული თეიმურაზის ამარა დახვდებოდა. იმავეს მოიმოქმედებდნენ კახბატონის წასვლით ხელ-ფეხგახსნილი მოთარეშე ლეკებიც, ისე რომ, რუსეთიდან უკან მობრუნებულ ერეკლეს ქართლსა და კახეთის ნადგომ ადგილზე გადამწვარ-გადაბუგული და მოსახლეობისაგან ერთიანად დაკლილი ქვეყანა დახვდებოდა.

ქუთათელს შორი გზა ელო. იგი ხელწიფე-იმპერატორ ელისაბედ პეტრეს ასულთან შემწეობის სათხოვნად მიმავალ თეიმურაზ ქართლის მეფეს რუსეთს უნდა გაპყლოდა, როგორც იმერთა დესპანი, და ერთმორწმუნე ხელმწიფისათვის ურჯულოთა ცეცხლის რკალში მოქცეული იმერეთის მეფის. სოლომონის, უკიდურესი გასაჭირი ემცნო.

არჩევანი, ასე და ამგვარად, თეიმურაზის მხარეზე გადაიხარა. ერეკლე იძულებული გახდა, შექმნილი მდგომარეობა ფხიზელი თვალთ შეეფასებინა, მოხუცებული მამის რჩევა და შეგონება ყურად ელო, თეიმურაზის დაბრუნ-

ისნის სასახლეში კარგა ხანს ყოყმანობდნენ, ვიდრე ასე დიდ გზაზე მოხუცებული და სსეული მეფის გაშვებას გადაწყვეტდნენ. ელჩიონი უკვე შემდგარი იყო, თითქმის გზასაც ადგა და მის გამგზავრებას გვირგვინოსანი მამაშვილის, თეიმურაზისა და ერეკლეს,

ებამდე ქართლის განმგებლობაც ეკისრა და ელჩიონისათვის გზა დაელოცა.

მაქსიმე ქუთათელი და მისი ამაღლ ტფილისიდან მომავალ ელჩიონს მცხეთაში ელოდნენ, საიდანაც პირს ჩრდილოეთისაკენ იზამდნენ და დარიალის ხეობისაკენ გზას ერთად გაავრცელებდნენ.

მაქსიმემ მცხეთაში, საპატრიარქოშივე შეიტყო ბოლო დროს აქ მომხდარი ამბები და გული მწუხარებით აეგსო. რუსეთში გამგზავრების წინ, თითქოს ავი წინათავრძობით შეპყრობილ, უკან ცოცხალი ვერ დაგბრუნდებო, თემურაზ ქართლის მეფეს საეკლესიო კრება მოეწვია და თავისი ნათესავი, უწმიდესი და უგანათლებულესი მღვდელმთავარი ანტონი, რომელსაც ეს ერთი ხანია კათოლიკურ რომთან ფარულ სარწმუნოებრივ კავშირს აბრალებდნენ, ბოროტი ენების ჩაგონებით, კათალიკოსობიდან გადაყენებინა. ახლა მცხეთის სამოციქულო ეკლესია უწინამძღვროდ იყო, მას დროებით, ვიდრე ახალი საეკლესიო კრება ახალ კათალიკოსს აირჩევდა, კათალიკოსის ქორეპისკოპოსი სამთავნელი კირიონი განაგებდა.

თუ დაყრილ ხმებს დაუჭერებდი, კათალიკოსობიდან გადაყენებულ ანტონს, მეფე ერეკლეს სიყრმის განუყრელ მეგობარს და ნათესავს, კიდევ მეტი ბრალი ედებოდა, ვიდრე კათოლიკე მისიონერებთან ფარული კავშირი იყო: მას სანკტ-პეტერბურგიდან ახალდაბრუნებული ბიძაშვილის, პაატა ვახტანგის ძის თანამოაზრეობასა და თანამზრახველობას მიაწერდნენ. თეიმურაზს არ უნდოდა, დრომდე ეს საქმე სალაპარაკოდ გაეხადა და კათალიკოსის წინააღმდეგ მღვდელ გაბაშვილის მიერ წამოყენებულ ერთადერთ ბრალდებას დასჭერდა. რუსეთიდან მობრუნებული, იჭაურ ყაიდაზე აღზრდილ-განათლებული პაატა, ვახტანგ მეფის უკანონო შვილი, თავის საგვარეულო მამულში, მუხრანში დასახლდა, რითაც ყველას ავრძნობინა, რაკი მამაჩემი მეფე ვახ-

ტანგი, ჩემი ძმა ბაქარი და მისი შვილები რუსეთს გადასახლდნენ და ქართლის ტახტზე ნებაყოფლობით თქვეს უარი, ქართული სამართლის ყველა წესით და რიგით ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე მე-ლა დავრიჩო, მაგრამ სხვათა გასაგონად არაფერს ამბობდა და, როგორც კერძო პირი, ყველასაგან განმარტოებული მუხრანბატონების ძველისძველ სასახლეში ცხოვრობდა.

იმერთა მეფის ელჩს და მის თანმცლებ პირებს ტფილისიდან მეპმანდარი აახლეს, მდაბალი ბოდიში მოუხადეს, როდი გვეგონა, თუ მანდ ამდენ ხანს გალოდინებდითო და დიდი პატივით ისინი სასახლეში მიიწვიეს.

— რა მოხდა? — იკითხა გაკვირვებულმა და ლოდინისაგან მართლაც გულგაწყალბებულმა ქუთათელმა. — ხომ არ გადაიფიქრა მისმა უმალღეობა თეიმურაზმა რუსეთს გამგზავრება?

— გვიკადრეს და ქალაქში ყვაილი ბატონები გვეწვივნენ, თქვენო მეუფე-ბავ, თუთა ბატონიშვილი, კახბატონის ასული, ერთობ შეგვიწუხდა. მეშვიდე დღეა, გამოუწუნებელ სიციხეებს აძლევს, საზე რუმბივით დაუსივდა. ცხვირის ნესტოებიდან და ყურებიდან ჩირქი სდის. პაპა შვილიშვილის საწოლს ვერ შორდებდა...

— ღმერთო კი მომკალი! — შეწუხდა ქუთათელი და თავში ხელი შემოიკრა. — ჯვარი სწერია ბატონიშვილს! აქამდე როგორ მიუშვით საქმე, ნუთუ აქაურ აქიმებს ყვაილის აცრა არ ეხერხებათ?

— ეხერხებათ, როგორ არა, თქვენო მეუფე-ბავ, მაგრამ დალოცვილი ბატონები ხანდახან მაინც ხელდებიან და თუ ლეთის განგებით ვინმეს შემოსწყურნენ...

ბატონიშვილმა თუთამ, თექვსმეტი წლის მოწიფულმა ქალმა, რომელიც გივი ამილახვრის შვილიშვილს ჰყავდა დანიშნული და საიდგომოდ ჯვარაც უნდა დაეწერათ, ამ წუთიდან სამად სამი დღე იცოცხლა. მან თვალი საყ-

ვარელი პაპის მკლავზე დახუჭა, ყველას თავზარი დასცა და აღდგომის კვირახალზე ისინსა და თელავის სასახლეები ძაძით შემოსა. ელჩიონის რუსეთის გამგზავრება ნააღდგომეამდე გადაიდო. მოხუცებულ მეფეზე ნისხელში გაზრდილი თუთა ბატონიშვილის მოულოდნელმა სიკვდილმა საშინლად იმოქმედა. თეიმურაზი ლოგინად ჩავარდა, საბრალო თუთას თელავს წასვენებასაც აღარ დასწრებია და აღარავის ეგონა, თუ ის კიდევ ფესზე წამოდგომის და შორეულ მოგზაურობაში წასვლას შესძლებდა.

ახალი მოლოგინებული თანამეცხედრისა და შვილების დასახედავად სულ რამდენიმე საათით სკანდის სასახლეში მობრძანებულ სოლომონს ყველა ეს ამბავი მაქსიმე ქუთათელის მიერ ტფილისიდან გამოგზავნილმა მალემსრბოლმა შეატყობინა და მთელი სამეფო კარი დიდად დაამწუხრა.

ქართლში ელჩიონის გასატუმრების წინ მეფეს მესამე შვილი, ამჯერად უკვე ვაჟი, ტანტის მემკვიდრე შეეძინა, რომელსაც გვირგვინოსანი ბაბუის სახელი აღექსანდრე დაარქვეს და მეფე სიხარულით ცაჲ ეწია. სადაც არ უნდა ყოფილიყო და რა საზრუნავიც არ უნდა ჰქონოდა, თვალწინ სულ თავისი პირმშო ვაჟიშვილი ედგა და მის ყოველ წარმოდგენისას პირზე ნეტარი ღიმილი ეფინებოდა. ქუთათელის მალემსრბოლმა მეფის წუთიერ ბედნიერებას ცაჲი წყალი გადაასხა. მას ყური უკვე ყიზლარისაკენ ჰქონდა მიპყრობილი, საიდანაც საიმედო ამბებს ელოდა და როგორ წარმოიდგენდა, ფიქრად როგორ მოუფიქროდა, თუ ელჩიონი ჯერ ტფილისიდანაც არ იყო გასული!

სოლომონმა სამხიმრის წიგნი შეადგენინა კარის მდივანს ორივე მეფის სახელზე და მაშინვე უმცროსი ძმა, არჩილ ბატონიშვილი მოიკითხა. მამა-პაპური ჩვეულებისამებრ, არჩილს დიდი ამაღა უნდა ეახლებინა და ცოლის დანაფლავებაზე ტფილისს წასულიყო. თუ ინებებდა, დამწუხრებულად

თანამეცხედრეც წაყვანა და გვირგვინოსანი ძმის სამხიმრის წიგნიც თან წაეღო.

სწორედ ამ დროს მოხდა ის, რისი მოლოდინიც ყოველთვის უნდა ჰქონოდათ, მაგრამ მაინც რატომღაც ყველაზე ნაკლებ მოელოდნენ: ეკალ-მუხუერიდან ზურაბ მიქელაძის კაცები მოიჭრნენ და მეფეს აგარიანა დიდი ლაშქრის სამეფოს ფარგლებში შემოსვლა აუწყეს.

სოლომონს დასცეცხლა. თითქოს პირთან მიტანილი ლუკმა ხელიდან გაუვარდა, კარის მცველ ქეშიკებს საყვედურით აშხედა, ეს ოჯახკეტინები რაღა აქ, ბავშვების ოთახში დამაყენეთ თავზეო, უცხო კაცების მოსვლით შემკრთალი ცოლშვილი უხმოდ დასტოვა და მიქელაძის მალემსრბოლების დასაკითხავად მეზობელ ოთახში გავიდა აქ უკვე ელოდნენ სახელმწიფო ბეჭდის მცველი გიორგი წულუკიძე, მისი ძმა ბერი, ქაიხოსრო აგიაშვილი და პაპუნა წერეთელი, რომელმაც ხრესილის ოქში სახლთუხუცესს ლომკაც ჯავარიძის დალუბვის შემდეგ სახლთუხუცესის სახელი მიიღო და ბინა მეფის სასახლეში დაიდო. დიდებულები განაცვიფრა მეფის ვარეგნულმა სიმშვიდემ და აღჩქარებლობამ. სოლომონი გრძობდა, რომ ქმრის ნახვას და ოჯახურ სიბოძს დანატარებულო მარიაში კარს უკან იდგა და მათს ლაპარაკს ყურს უგდებდა.

— რა ამბავია ჩვენს თავს, სოლომონ? — ჰკითხა ზეწარივით ვაფითრებულმა დედოფალმა მეფეს, როცა მან მალემსრბოლები დაითხოვა, დიდებულებს შესაფერი მითითებები მისცა, თავ-თავის საქმეზე გაისტუმრა და ლაშქრად წასვლის წინ კვლავ ბავშვების ოთახში შევიდა.

— ისეთი არაფერი, მარია, სულ არ მინდოდა. შენთვის გამეგებინებინა, — სოლომონმა წამოზრდილი ბატონიშვილი დარეჯანი და წლინახევრის ნინო ხელში აიყვანა და გულზე აქეთ-იქიდან მიიხუტა.

— მე რას მიმაღა, — იწყინა დადი-

ანის ასულმა — სულ ერთია, ბოლოს ხომ მაინც გავიგებ. ბევრი არიან?

— თორმეტი ათას კაცს ამბობენო, — ძლივს გამოსცრა სოლომონმა, შეილებს ესოყვარულბოდა, წამდაუწუმ მძინარე ალექსანდრეს დახედავდა და სახეზე ჭერ ისევ უზრუნველი ბედნიერება ეხატა.

— ბევრი ყოფილან. თორმეტი ათასი ურჩულოს გამკლავება ხუმრობა საქმე არ არის!

— ბავშვებს მიხედვ. ალექსანდრეს მარტო გამდლებს ნუ ანდობ. ცოტა ხანს თავი დაანებე ქსენონს, — მეფე აშკარად გაუბნობდა თანამეცხედრესთან თავის მხედრულ საქმეებზე ლაპარაკს — დავრდომილებს მონაზუნები მოუვლიან. თუ ღმერთი გაგვირისხდა და აქედან იყრაც საქირო გახდა, კაცებს გამოვგზავნი და პაპუნა ყველაფერს მოაგვარებს. სვერის ციხე გამაგრებულია. იქ უფრო უშიშრად იქნებით!

— ჩვენი ჯავრი ნუ გაქვს, თავს როგორმე შემოვუვლით, სასახლის ყველა ფარეშს, ქალსა და კაცს შევადარადებ, მეც დამბახას დავიჭერ ხელში!

— ხუთას მეთოფეს მცველად გიტოვებ. ვნახოთ, ერთი ამდენი იქნება კიდევ მოგაშველო. დრო ძალიან ცოტა გვაქვს დარჩენილი ან მოვასწრებთ ჯარის შეგროვებას და ან ვერა.

— მაშ, რაღას აყოვნებ, სოლომონ, წადი ღვთით, მიღალი ღმერთი და იესო მაცხოვარი იყოს შენი შემწე და მფარველი! უამბობით გულს ნუ გაგვიხეთქავ, შეგვატყობინე, როგორ იქნეს საქმე!

— ომში პირველად ხომ ან მივდივარ, მარბამ!

მეფემ ბავშვები დაკოცა, თითქოს შუშისა არიან და ეშინია, არ დაიშხვრნენო, ძირს ფრთხილად ჩამოსვა, ალექსანდრეს ხილაბანდი გადახადა და რამდენიმე წუთს პირზე დიმილმოძვარი დასცქეროდა.

— გულდავიტ ძინავს! ადგ, ბიჭო. ბატონიშვილო, მამას მოეხმარე, მტე-

რი კარზე მოგვადგა, ავტო უნდაწი

კოპია თეთრ კაბასა და თეთრ ვეტრებში გამოწყობილი დარეჯანი ყველაფერს ხელებოდა, თვალებს მუშტებით ისრესდა და დედისეული თხელი ტუჩები სატირლად ეგრიხებოდა.

სოლომონს თანამეცხედრისათვის არ გაუმხელია, რომ ურუმის ლაშქარს ახლა უკვე ვინმე გადათივლი კი არა, თვით მათი სისხლი და ხორცი, გულის ბიძაშვილი, ოსმალების მიერ მის ნაცვლად იმერეთის მეფედ დამტკიცებული, თათრის რჩულზე შემდგარი თეიმურაზ ბატონიშვილი მოუძლოდა.

ლაშქრის სიმცირე და თეიმურაზის ასე ნაგვიანვეად გამოგზავნა იმის უტყუარი ნიშანი იყო, რომ ჰასან-ფაშა ჯარების ნაკლებობას განიცდიდა და ახალი მეფის ტახტზე ასაყვანად და ქვეყნის მოსარბევედ უფრო მეტი ძალის გამომეტება არ შეეძლო.

ფარიაანებმა, უთუოდ თვით თეიმურაზის რჩევით და დაეინებით, იმერეთში გადმოსვლის გზა-კვალი ამჯერად შესცვალეს მას აჭარის მხრიდან მოუარეს და დაიმედებულნი, რომ ჯერ ქობულეთის ბატონ თავდგირიძეს, ხოლო შემდეგ გურიის მთავარ მამიას თავის მხარეზე გადაიბირებდნენ და, ამგვარად, ლაშქარს გაიიორკეცებდნენ, გოდერძის უღელტეხილით სამცხიდან ხემთ აჭარაში გადმოვიდნენ და გზა უღელტეხილიდან ბათუმის ციხემდე ისე გამოიარეს, ერთი თოფიც არსად გვიარდნილა და ლაშქრის წინსვლისათვის ხელი არაფერს შეუშლია.

ჩაქვის კლდესთან მეწინავე რაზმან ცხენოსნები თავდგირიძის მენაბირეთა საფარს წააწყდნენ და იძულებული გახდნენ, იარაღი ეხმარათ. არც თეთრი ბაირალის აწევამ გასჭრა, არც ყვირილმა, ალაპი არ გაგიწყრეთ, არ გვესროლოთ, თქვენიანები ვართო. მოხერხებულ ადგილას ჩისაფურეულმა ქობულეთელმა მეთოფეებმა მოსულთ პასუხად ტყვია დაუშინეს და რამდენიმე კაცი მოუკლეს. მოლა აბდულა-ფაშა, აგარიანთა ჯარის სარდალი, წვერს იგ-

ლექდა და მომხდართთ გოგნებულ და თავზარდაცემულ თეიმურაზს საველე სასამართლოზე გადაცემით ემუქრებოდა, ეგეც შენი თავდგირიძეო, დასხაოდა, ეგეც შენი გურიელიო, ისე პირი წილმა დაიბანე, როგორც ეგენი შენ მოვესმარონ, მხარი ავიბან და გაიური სოლომონის წინააღმდეგ ომში წამოგყენნო.

აბდულა-ფაშას ენამ უყვილა: მაშია გურიელმა, მტრის მოახლოების ამბავი რომ შეიტყო, ოზურგეთის ახლომახლო სოფლებში ჯარი შეკყარა, ქვინას მიაშველა, თვით კი სხვა ჯარის მოგროვება განაგრძო, რათა ოსმალები სამთავროში არ შემოეშვა და მეფისათვის საჭმის ვითარების შესატყობინებლად მიქელაძესთან კაცები აფრინა.

აგარიანებმა ღამე ჩაქეთან გაათიეს და დილაბნელზე მტრის საფარის შემოვლა დაიწყეს. აბდულა-ფაშა ახლავა მიხვდა თავის გამოუსწორებელ შეცდომას, რომ წუხელ ერთ მუქა მეთოფეებს შეეპუა, ზედმეტ მსხვერპლს მოერიდა და მთელი ღამე სულ ტყუილად დაჰკარგა. ღამის განმავლობაში თავდგირიძემაც და გურიელმაც მომზადება მოასწრეს და ჩაქეიდან ოზურგეთამდე საფარი საფარზე გამართეს. აბდულა-ფაშა უკვე ზედავდა და ამ პირველი წარუმატებლობით საშინელ სირცხვილში ჩავარდნილი თეიმურაზიც დარწმუნდა, რომ თავდგირიძესთან და გურიელთან წინასწარი მოლაპარაკებისა და შეთანხმების გარეშე იმერეთში შესასვლელად აჭარა-გურიის გრძელი გზა არამც და არამც არ უნდა იერჩიათ, მაგრამ გურიელისა და თავდგირიძის გაფრთხილება თვით სოლომონის გაფრთხილებასაც მოასწავებდა და ხეირს არც ეს დააყრიდათ.

სოლომონმა საჯავახოსთან რიონი ბრტყელძირიანი ნაგებით გადავლო და სამი ათასი კარვად შეიარაღებული კაცთა კულაშის მიდამოებში დაბანაკდა სადაც მას ზურაბ მიქელაძის ათას ექვსასი და ქვემოხარის სარდალ ბერილორთქიფანიძის ორი ათასი კაცი შე-

მოუერთდა და ექვსი ზარბაზნისაგან შემდგარი არტილერია მოიტანა. ამხელა ჩებად ისევ ის გაათარებული მესხები იყვნენ, რომლებიც ადრე ხრესილისა და ცუცხვათის მეციხოვნეებად მსახურობდნენ. მათ, უკლებლივ ყველამ, მამაბაბის ადრინდელი სარწმუნოება, ქრისტიანობა, მიიღეს, ძველი ქართული გვარები აღიდგინეს, თანახმად პირობისა, სხვა მესხებთან ერთად სახასო მიწებზე დასახლდნენ და ომში კვლავ თავიანთ მხედრულ ხელობას მისდევდნენ.

მეფის ჯარი ორ ნაწილად გაიყო: ერთი რომ აქ, კულაშის მიდამოებში, იდგა, მეორე ნაწილი ზემომხრის სარდალ ქაიხოსრო წერეთლისა და ჩიჯავაძის მოთავეობით ვაღმა, სულორის პირას იყრიდა თავს, სეზეკას ციხეს ამავრებდა და მტრის უეცარი თავდასხმის მოსაგერიებლად ემზადებოდა.

ბერი წულუკიძე და მისი ორი ათასი ცხენოსანი სოლომონმა მარჯავად დასტოვა და სკანდის ციხის დასაცავად დარჩენილი ზუთასი მეთოფეც მას შეუერთა. რაჭოდან ბაიბური არ ისმოდა. პირველი სადროშოს სარდალი, სპასპეტი და ვიპატოსი, ლიხთიმერეთის ტახტის „გარეშე მოხელე“ როსტომ რაჭის ერისთავი არც კარგს იტყობინებოდა და არც აფს. თქმა არ უნდა, თვალსაწიერზე თეიმურაზ ბატონიშვილის გამოჩენამ როსტომი უძნელესი არჩევანის წინაშე დააყენა და ჯერჯერობით, სანამ ბურუსი არ გაფანტულიყო, როგორც ყოველთვის, თავისი მიუვალი კლდეკარებიდან გამოსვლას ვერც ახლა ზედავდა.

სიფრთხილეს თავი არა სტკიოდა და სოლომონმა ბერი წულუკიძე საგანგებოდ გააფრთხილა, მაგ ჩვენს მტერ-მოუვარეზე თვალი ფხიზლად გეპიროსო.

რიონზე გადასული ცხენოსანი მხირები ისე გათამამდნენ, გურიის სიღრმეში ნახევარი დღის სავალზე შეიჭრნენ და მზის ჩასვლისას მაშია გურიელის მიერ გამოგზავნილ მალეშარბო-

ლებთან ერთად მობრუნდნენ. ჩაქურდებში გამოწყობილი და ასეთივე ფერის ჩაბალახით თავწაქრული მკვირცხლი გურულები მეფის კარვის მცველმა ჭეშოკებმა ტყვედ შეპყრობილ ვათათრებულ მესხებად მიიღეს და თვალემა აედ დაუბრიალეს.

— რას მაცულობავ მაგ თვალებს, ძამია? — ვერ მოითმინა ერთმა და ახლო გავლისაა ხელშუბიან ჭეშოკის ნიდაყვი მოუღიროა. — ვასათხოვარი მამიდა ხომ არ შემომიგინებია?

— ვაგიწყდა მიწა, — მიაყოლეს ხარხართ. — შემოგიგინებია თუ არა, აქ მოგვგრის ახლავე!

გურული და თავდგირიძე, რომლებიც ამყამად ქობულეთის აღმოსავლეთით, სოფელ მუსახეტატესთან იდგნენ და მტერს ხეეს გამოღმა არ უშვებდნენ, მეფეს ყელს უწევდნენ და ჭარბთ დაუყოვნებლივ დახმარებას თხოვდნენ.

— შეურცხვით თავი, — უბოროტოდ ჩაილაპარაკა ახალი ცნობის მიღებით ერთობ კმაყოფილმა სოლომონმა. — თორმეტი ათას უნიფორმის უჩვენოდ ვერ გაუმკლავდნენ?

ერთი პირხმელი, შავწყვერა გურული ლი წინ წამოდგა და ვაცხარებულმა მეფეს რაღაცის მტკიცება დაუწყო. სოლომონმა ყური კარგა ხანს უგდო, თითო-ორი წინა ნაცნობი სიტყვიდან, გურული პანტაპონტით რომ ისროდა, აზრი ვერაფერი გამოიტანა, გაეღიმა და ჩქვე მდგომ ბერი ლორთქიფანიძეს მიმართა:

— ვამაგებინეთ, რას ამბობს ეს კაცი?

— მოგახსენებს, თავი არ დაგვიზოგია, ურჯულოები ბევრი არიან, ჩვენ — ცოტათ.

— მერე? არ შეიძლება, ადამიანურად თქვას და ყველას ვაგვაგებინოს? ნელა, ჩემო ძამო, რა გაჩქარის, კრიმინალური სიმღერაშია კაი.

გურულმა კიდევ რაღაც თქვა, სახეზე ეტყობოდა, უკმაყოფილო იყო და სულაც არ დაგვიდგდა, ესმოდათ მისი კრიმინალური ლაპარაკი თუ არა.

იმავე ღამეს ხუთი ათასი რჩეული

მხედარი შეიკაზმა, ბრტყელძირიანი ნაგებობით, რითაც რიონის მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდნენ, ვალმა გადაბარგდა და არა ლანჩხუთის, არამედ ჩოხატურის უმოკლესი გზით, მთა-მთა, საფრთხეში მყოფი ძმების გამოსახსნელად გაემართა ჯარს ციხისთავი და ქეშიკთუხუცესი ქაიხოსრო აგიაშვილი უწინამძღვრეს. აქვე იყო ქვემოხრის სარდალი ბერი ლორთქიფანიძე თავისი ოთხასი „ფიცის კაცი“ და ამდენივე მოლაშქრით იმერეთში ასალჩამოახლებულ მესხთაგან, რომლებიც პირველნი გამოეყენენ მეფის ლაშქარს და გურულების დასახმარებლად გაშვება ითხოვეს.

დიღას მალეშრბოლი მოვიდა სკანდიდან. დედოფალი-დედოფალი მარია-მი ომის ამბავს კითხულობდა. სოლომონს შერცხვა. ახლალა გაახსენდა თავისი ფიცხი დაპირება და უხერხულობის გასაფანტავად მაშინვე ჩველი ბატონიშვილი ალექსანდრე მოიკითხა.

ზავშეები, როგორც დატოვე, ისევე კარგად არიანო, იტყობინებოდა დედოფალი-დედოფალი მარია-მი, აქ სიწყინარეა, ბერი დროდადრო მოდის სასახლეში თქვენი და ჩვენი ამბავს გასაგებადო, ზავშეები კოცნას ვიგზავნიან, მეტადრე შენი რჩეული ალექსანდრე, რომელსაც გამდლებმა უჩივლეს, მეტიმეტად ქირვეულობს, ღამეებს თერთად ვვატეხინებსო.

— მერე ვერ გაუგეს, რა სჭირს? — მოიღუშა სოლომონი.

მალეშრბოლმა მეფის ეს კითხვა თავის თავზე მიიღო და უპასუხა:

— იმისთანა არაფერი, ბატონო, შეცვლი ეტკივება, იცის ბოვშმა...

— ვინა ხარ? სახით ძალიან მეცნობი, — სოლომონმა ახლალა მიაჭტია ყურადღება მალეშრბოლს. — კარგი ამბებს მოტანისათვის ეს შენ! — დაუმატა და თერთობ პირამდე ავსებული ქისა გადაუგდო.

— გოდოგნელი კაცი ვარ, ამესაძე — მალეშრბოლმა ქისა აიღო, გულზე მიიხუტა და მეფეს თავი მდაბლად და-

ჯერა. — ასკალონი შევია, ზოგი ასკია-საც მიძახის. შენ დიდებულებას საიდან გეხსოვები!

— როგორ არა, ძალიან კარგად მახსოვხარ! ის არა ხარ, ბატონიშვილ დარეჯანის დაბადება რომ მახარე საბა-ეოზე და ლაშქრიდან დაბოვება მთხო-ვე, არხი მაქვს ვენახში გასაყვანიო?

თმაწვერმომშვებულმა და თითქოს მთელი ოცი წლით ხნიერმა აბესაძემ ბირჯვარი გადაისახა, ღმერთო, რამ და-ამახსოვრა ამ დალოცვილს ჩემი უბე-დური თავიო და თვალეზი ცრემლით აფვსო.

— მერე? რა ქენი, გაიყვანე არხი?

— გევიყვანე, რავე არ გევიყვანე, მარა ახლა რაღად მინდა, შენი სიცოც-ხლით ვილას მოვახმარო!

— თქვი გასაგებად, რა დაგემართა, გიქირს რამე?

— ნუ დამიძალეზ, მეფეო, თქმას, ვათუ საწყენად დაგირჩეს.

— საწყენად დამირჩეს? როგორ თუ საწყენად დამირჩეს? ვინმე ჩემიანმა ჯერო რამე თუ? თქვი, რა არის მოსა-რიდებელი!

— შენი დიდებულება რომ მუხურას ბრძანდებოდა და მე უბედურს კარზე დამიძახეს, ლაშქარში გამოდიო, ბატო-ნი მობრძანებულყო თავისი კაცებით და ღამის გათევა ეთხოვა

— ბატონი? ვინ ბატონი?

— ლევანი...

სოლომონს სახე მოექუფრა, თვალე-ბში რისხვა ჩაუდგა.

— ბაბუაჩემი?

— დიას, შენი ქირიმე, მეფეო. ქალს შეშინებოდა, მარა მაინც შემოეშვა ის სულგანათლებული...

— მერე, მერე?

— ბოლოს ქე მიმხვდარიყო უბედუ-რი ჩემი ქალი, რომ ბატონისათვის ღა-მის გასათევი ბინის მიცემა ჩვენგნით არ იქნებოდა და მამაშვილურად შეხ-ვეწნოდა, იწამე ღმერთი, ნუ დამილუ-პამ ოჯახს, ამაღამ სხვაგან წაბრძანდი, ღამე სხვაგან გაათიე, ხომ ხედავ შენი თვალით, კაცი სახლში არა მყავს და

არც ვიცი, როდის მოვაო. სცემოდნენ უბედურს... ქალის ღონე რა არის, ღმერთი ჩერით ამოეტენათ და საწახლის იბ-დურზე დაეკრათ. ბიჭი მყავდა აკენის, სულ პაწია, იმ ხაფხულზე სამი თვის შესრულდა... იმისთვისაც ჩერით ამოე-ტენათ პირი და გადავარდნილიყვნენ. დილას ბოვში გაგუდული ნახეს მეზობ-ლებმა. ოფშვეს ქალი და რა ოფშვეს, სრულ გონებაზე აღარ იყო საცოდავი. ასე დამლუბა და დამაქცია სულგანათ-ლებულმა, ცეცხლზე წყალი დამისხა...

— წყეული და შეჩვენებული იყოს მისი სახელი უკუნითი უკუნისამდე! — გულის სიღრმიდან აღმოხდა განრისხე-ბულ სოლომონს. — შენი ცოდვა არ მოასვენებს იქ, სადაც არის! ღირსი იყო, შენი ხელით მოგეკლა!

— ორმა ვესროლეთ ხრესილში. არ ვიცი, რომლის ტყვია მოეწია.

— აბა, ის ხელთასი ყურუშიც შენი ყოფილა!

— არა, მეფეო, კაცის და ისიც ჩემი ბატონის სისხლში აღებული ფული ღმერთმა ნუ მამახმაროს, გამიგონია?

— მაგიტომ ვართ ღარიბი მეც და შენც, ჩემო ასკალონ. ვერც გაემდიდ-რდებით. მეორე ვინ იყო?

— კვამჭირელი ბიჭია, გუნცაძე. აგერ გახლავს ისიც! — აბესაძემ ხელი გაი-შვირა.

სოლომონმა ვაეიშვილზე მგლოვია-რე მსახურთუხუცეს ზურაბ მიქელაძეს გადაუღალაპარაკა:

— მონახეთ ის გუნცაძე და ჩაუთვა-ლეთ ხუთასი ყურუში. ჩვენ სიტყვას ვერ გადავალთ, შენი კი, აბესაძე, ოჯა-ხში მეტი არავინ დაგრჩა?

— ბიჭი მყავს ერთი და იმას შეე-ჩერებვიარ.

— ქვეყანას უნდა გაუზარდო ის ბიჭი და შენც გამხნედე, ვაგაკი ხარ, თავი ჯერს უნდა შეაქმევირო? იქნება ქალმაც მოიხედოს და ღეთას ნებით გამოყეთდეს.

— შენი მტერი არ არი, მეფეო...

— დედოფალს უთხარი ჩემი სახე-

ლით, პატრებს ვაგაყოლებს. თუ ღმერთმა ვაგვიმართლა, ჩვენც მალე წა-

მოვალთ აქედან და რაქც ვისაშველებთ.

თავი XXXVII

სოლომონს აგიაშვილის და ლორთქიფანიძისათვის აღარ დაუტლია, ბანაკი დასტოვა და სამასკაციანი მცველი რაზმის თანხლებით სასწრაფოდ შინ დაბრუნდა. კულაში კაცია დადიანის ძის გამოგზავნილი კაცები მოვიდნენ და ოდიშიდან ერთობ სამწუხარო ამბავი მოიტანეს. ლოგინად ჩავარდნილ მოხუცებულ მთავარს მარჯვენა ხელა და ფეხზე დამბლა დასცემოდა და ნეტყველების უნარიც დაეკარგა. საჭირო იყო მარიამის დაუყოვნებლოვ წახვლა რათა, თუ ვერაფერს უშველიდა. მამა სულთმოპობავე შაინც ენახა.

სოლომონი შესძრა ცოლისძმის შემონათვალმა. ახლა ერთბაშად იგრძნო, მამად სახადი საიმამრის სახით რა მტეიცე და საიმედო კედელიც ერღვეოდა. ერთმა ღმერთმა უწყის, რა გზას დაადგებოდა აწი კაცია, როცა მამის ნეშტს საგვარეულო სამარხში დაკრძალავდა და ყველა აუცილებელი ადათ-წყისის შესრულების შემდეგ ოდიშის ბატონი გახდებოდა. ოტია ბრძენი კაცი იყო ცხოვრებაში ავიც ბევრი ენახა და კარგიც, აღარაფერი აკვირებდა და სწორედ ამის წყალობით ყოველ საქმეში ზომიერებას იჩენდა. თუ ვაჭირი ხაროვით ჭიუტი და თავისნათქვამა კაცია აბუურების დაწყვეტას და თავის ნებაზე ჯირითს ვერ ახერხებდა, ამის ერთადერთი მიზეზი მოხუცებული მთავრის გაუტეხელი ნებისყოფა და დარწმუნების იშვიათი ნიჭი იყო. ამიერიდან კი? ვინდა შეაკავებდა შურითა და ღვარძლით ყელამდე საფე გავშებულ მოზვერს, ვინდა გაუწევდა, გონივრულ და უანგარო წინამძღვრობას?

პირველი, რაც სოლომონმა ცოლისძმის წიგნის მოსმენის შემდეგ იკითხა და სიტყვათა წყობა უნებლყოთ ოტიას ამასწინანდელი წიგნის სიტყვათა წყობას შეადარა, ის იყო, სკანდასაც ვაგ-

ზვენეს თუ არა კაცები და დედოფალმა მარიამმა უკვე იცოდა თუ არა სათაყვანებელი მამის უბედურების ამბავი. როგორც კი უპასუხეს, დიას, ბატონმა კაციამ კაცები იქაც გაგზავნა, რათა როგორმე დრო მოეგოთ, სოლომონმა მაშინვე ცხენი მოითხოვა და რიონის ამავე ნაპირით სკანდასკენ გაქუსლა. გზა აქეთ უკეთესი იყო დადიანის ძის მალეშარბოლებს შესაძლოა, გეგუთის ბორანთან დასწოდა, რომელიც აქ თამარისეული ციხე-დარბაზის აღსადგენად მომუშავე ოსტატებმა ვაჩიხესთან დასაკავშირებლად გამართეს და გეგუთიდანვე უკან გაებრუნებინა. ჭობდა, დედოფალ მარიამს თვით მისგან, გვირგვინოსანი თანამეცხედრისაგან შეეტყო თავისი უბედურება. ეს მწუხარებასაც უფრო აღვილად გადაატანებდა და გაჭირების ეამს საღ გონებასაც შეუწარჩუნებდა.

სანამ გაღმა გასული ბორანი აქეთა მხარეს გაღმოვიდოდა და ახალი მგზავრების ვადაყვანად ნაპირს მოადგებოდა, მეფის ამალას ზონიდან მომავალი ცხენოსნები შემოუერთდნენ.

— ვინ არიან? — იკითხა სოლომონმა.

— მეგრელები ვახლავან, ბატონო, — მიუგო სულთამ ავლიანმა, რომელიც მეფესთან სხეებზე ახლო იდგა და ახლომოსული მხედრების მეგრული ლაპარაკიც თავისი ყურით მოისმინა. — ახლავე მოგახსენებთ, საღ და რა მიზნით მიდიან.

მალე გამოირკვა, რომ ესენიც ოდიშიდან გამოგზავნილი კაცები იყვნენ. უფრო ადრე წამოსულნი მებორანეს დილას გადაეყვანა გაღმა და მისი ანგარიშით, ახლა სკანდაში თუ არა, ჩხარში მაინც იქნებოდნენ მისული. ოდიშარების თავკაცი აზნაური მეფეს წარუდგინეს. შავ ჩოხაში გამოწყობილმა,

შვიდ ჩაბალახით თავწაქრულმა აზნაურმა, ელდანაცემმა რომ კურთხეულ მეფეს აქ მოულოდნელად შეხვდა, მუხლები მოიყარა, ბატონს მდაბალი თავყანი სცა და თავში მჭიღების ცემითა და ხმამაღალი მოთქმა-გოდებით, როგორც მეგრელებს სჩვეოდათ, სამძიბარი გამოუცხადა.

— დავაგვიანე, — გაიფიქრა სოლომონმა და ცხენდაცხენ ბორანზე შედგა — რა იქნებოდა, ცოტა ჩქარა მევლო და სასახლეში დროით მიესულიყავი!

— აღარა გვყავს მამა, სოლომონ, — საოცრად შშვიდი ხმით უთხრა დედოფალმა, როცა მეფე მის ოთახში შევიდა. — დახუჭა თვალი ჩვენმა ჰევიანმა და მარად ჩვენზე მლოცველმა მამამ.

— უნდა შეგვრიგდეთ, დედოფალო, დიდ დანაკლისს, — თანაგრძნობით მიუღო სოლომონმა, მარიამს მკლავი მოახვია და მისი თავი გულზე მიიხლო. — რა გაეწყობა ასეთია ღვთის განგება, ჩვენ, მოკვდავნი, ვერაფერს შევცვლით.

— ჩემი წაუსვლელობა არ ივარგებს, — თქვა მცირედი ფიქრის შემდეგ მარიამმა, როდესაც ქმართან შეხვედრის პირველმა ელდამ გაიარა და ისინი ერთმანეთის პირისპირ ჩამოსხდნენ ქილით საზურგემოქსოვილ სკამებზე. — მე რომ კარგი შვილი ვყოფილიყავი, აქამდეც თავზე უნდა ვდგომოდი მამას. იყო მამა ამის ღირსი!

— რასაკვირველია, დედოფალო, — მორჩილად დაეთანხმა სოლომონი. — მე, რაც შემიძლია, ხელს შეგიწყობ. რჩეული დიდებულების, სამღვდლოების და სეფექალების დიდ ამალას გაიხლებ. თუ თავი ავიშვი, მეც წამოვალ და ჩემს ძვირფას სიმამრს უკანასკნელ პატივს მივაგებ.

— მაღლობელი ვარ, — თანამეცხედრის ამ წრფელ სიტყვებზე მარიამს ცრემლი მოერია. — მაღლობელი ვარ, რომ საწყალ მამაჩემს ნამდვილი შვილობა გაუწიე და თუმცა ამის საბუთი ბერჩერ ჰქონდა, გული ერთხელაც არ ატარე.

ახლა უკვე სოლომონის ჯერა იყო.

სამადლობელი მასაც ჰქონდა. მეფე მიხვდა, რომ ოტიას უკანასკნელ წავლის პირი, თუ თვით წიგნი არა, როგორც შიაც ოდიშის ბატონი დაუფარავ გულისწყრომას გამოთქვამდა ინალიშვილის ქალის ხელით მოქარგული სამეფო დროშის გამო, მარიამს წაკითხული ჰქონდა და თანამეცხედრის წინაშე იმდენ თავშეკავებას იჩენდა, ეს ერთხელაც არ გაუმკლავებია.

— სულ მობრუნდი? — საქმიანად იკითხა მარიამმა და ქმარს თვალეში შემოიხედა, თითქოს მისი ფარული ზრახვების ამოცნობა სწადიათ.

— არა, ჯარი იქ დაეტოვე.

— სად იქ?

— ეულაშში. ერთი ნაწილი სულორის პირზე დგას. ხუთი ათასი კაცი გურეულს და თავდგირიძეს მივაშველე.

— ვითომ ეყოფიან?

— უნდა ეყონ. რას აპირებენ, აბა! თან ხომ არ ვაღდეყვებით გათათრებულ თეიმურაზ ბატონიშვილს და მოლა აბდულა-ფაშას თორმეტიათასიან ლაშქარს!

— წუხელ არჩილი მობრუნდა ტვილისიდან.

— რა ამბავი მოიტანა?

— ერეკლე ერევანს ყოფილა სალაშქროდ. ოცდაათი ათასი კაცი წაუყვანია. ქართლიდანაც და კახეთიდანაც ახატ-ხანს ორი ათასი ჰყავსო. გემართებდა მიხმარება. ეს უბედურება რომ არ დაგეტეხოდა, იქნება კაცია მაინც დამეყოლიებინა და მამასა და ჩვენი სახელათ ხუთი ან ექვსი ათასი კაცით ერეკლესთან გაგვეგზავნა.

— მაგას რაღა აჯობებდა, მარიამ, მაგრამ როგორ? ოსმალის ზღვა ვალი გვადევს. ეს მეორედ გამოვაგლეოთ პირში ჩალა და უკან კუდამოტეხებული გავუშვიო. გავუშვიო მეთქი, სიტყვაზე ითქმის, თუ არა ბევრი ვერავინ წავვივია. მესამედ უსათუოდ ვავიძინეო. აქლემი ისე არ დავარდება, ვერის საპალნე ვერ ზიდოსო, ხომ გავიგონია? იმდენ ჯარს კი შეკრებს სულთანნი, რა გასაჭირიც არ უნდა ადგეს,

რომ ჩეჩნი ბოღმა ამოიყაროს.

— შენ იმე ლაპარაკობ, თითქოს რაღაცას შეუშინებინარ!

— შიში რა შეაშია, საღი გონება მალაპარაკებს. ქვეყანა თუ არ მოვალდონიერეთ, ამდენი ტყვისმსყიდველობისა და გაპარტახების შემდეგ ხელასლა არ მოვაშენეთ და ჯარი არ გავამარაგოთ, მარტო ჩვენ გავვიჭირდება ათწილ მრავალრიცხოვანი მტრის გამკლავება!

დედოფალი წამოიხეთქა:

— რატომ მარტო ჩვენ, ჩემი ძმა კაცია ავერ არ არის?

მეფემ ხელი დაადო ხელზე. მიხვდა, ძმის მოყვარულ დას და თავისი მოვალეობის ერთგულ დედოფალს რაც აწუხებდა და ნათქვამს ლმობიერად დასძინა:

— ყოველთვის ჯობს. უარესზე იფიქრო, უკეთესისათვის ხომ მუდამ მზად ვართ! — და უმალვე შესცვალა საუბრის საგანი: — ანტონ კათალიკოსის ამბავი მართალი ყოფილა?

— მართალიაო. ანტონის გადაყენებით მამა-შვილმა ბევრი უკმაყოფილო გაიჩინა ქართლში.

— მაგას სწორად ბრძანებ. ანტონი ქართლის ბაგრატიონებიდან ერთადერთი იყო, ვინც ქვეყნის საჭესთან იდგა. ავკაცების მოთქმა-მოთქმას აყოლილებმა ახლა ისიც ჩამოიშორეს და ქვეყნის ბედს კახეთის ბაგრატიონები განაგებენ. არ შეიძლება, ამას არეულობა არ მოჰყვეს და ქართლელმა თავადი-შვილებმა, როგორც ერთ დროს გვი ამილახვარმა, ტახტზე თავისი კაცის დასმა არ მოიწადინონ. ღმერთმა დიდი დღე მისცეს მეფე თეიმურაზს, მაგრამ ერთა რამე გაუჭირდეს და გადაბრუნდეს!..

— მამაზეციერმა ნუ ქნას ეგ, სოლომონ, მაშინ ჩვენი საქმეც სათუო შეიქნება. ვინ იცის, ვის ხელში ჩავარდეს ქართლის ტახტი! პაატა ბატონი-შვილი, ვახტანგის ბუში, არც მალავს თურმე, რომ ერეკლეს პარპაში ქართლში, უფრო კი მას შემდეგ, რაც თეიმურაზი

რაზი რუსეთს წაბრძანდა, ქართლელების თავლათის დაცხმად მიიწინა.

— მერე ითმენს ამას კანცელანტი ერეკლე?

— არავინ იცის, მოითმენს თუ არა. ჯერ შინაურა საქმეებისათვის არა სცალია.

— ჩემთვის რომ ეკითხა, ჯერ შინაური საქმეების მორიგებას ვურჩევდი. თუ კაცს შინ ზურგი მაგარი არა გაქვს, გარეშე მტერი ადვილად დაგამარცხებს. ელჩება თუ რაიმეს იტყობინებია?

— მაქსიმეს წიგნი გაახლეს ყიზლარიდან. შენს მოსვლას ველარ დაველოდე და ბატონ გიორგის გავახსენებინე. მეორე თვეა, რაც მოვედით და აქ ვდგავართო.

— ღმერთო, შენი სახელის ჳირი-მე, — მეფემ პირვეარი გადაიწერა. — სად აქაო, ყიზლარშიო? მე ამტრახანსაც გაცილებული მეგონენ!

— ყიზლარის ახლოს, ოსის სოფელ ჩერვლენში. ამტრახანის გუბერნატორს, გერენალ ჟილინს ყიზლარის ციხისთავისათვის უბრძანებია, მე არაფერი ვიცი, სანამ საქმეს არ გამოვარკვევ და კოლეგიიდან პასუხი არ მომივა, აქ ვერავის გვატარებო, ისე რომ, მანდ ჩერვლენში, მოიცადონ, ციხის კარსაც ნუ გაუღებ და ჩვენს უმალლეს გადაწყვეტილებას დაელოდონო. რწმუნებული ლეოვი ჩვენს სასარგებლოდ შეცადინეობს, მაგრამ ჳერჯერობით არაფერი გამოსდისო.

— ვაი სირცხვილო! შეპირცხვენია ამისთანა დახმარებაც და ამისთანა სტუმარ-მასპინძლობაც! ვის გაუგია, ქრისტიანმა სტუმარი ჳიშკარვარე ალოდინო, გვაცალეთ, ჳერ კარგად მოვიფიქროთ, შემოგვიშვათ ეზოში თუ არაო. მერე ამდენ ხალხს იქ, დასაყარ-გავში, ჩერვლენია თუ ჳანაბა, ლუკმა არ უნდა? ცხენებს რა უნდა აქაონ, ან თავად რით უნდა გაიტანონ თავი?!

— მისი მეუფება ყველაფერს დაწვრილებით იწერება.

— რას მირჩევ, მარიამ, ხომ არ მო-

გაფურთხოთ ეშმაკს და ხომ არ გამოვიწვიოთ უკან ჩვენი ელჩი?

— ეგ განა მარტო ჩვენს ნება-სურვილზე ჰკიდია, სოლომონ?

გვირგვინისანი ცოლ-ქმრის საჭირ-ბორბორ საუბარია სახელმწიფო ბეჭდის მცველმა გიორგი წულუკიძემ დაარღვია. მან ორივეს წინაშე ბოდიში მოახადა უდროო დროს შემოსვლის გამო და მარიამს მიმართა, ამავე დროს სოლომონს უყურებდა:

— ერისთავები გეახლნენ, თქვენო უმაღლესობავ, სამშობარზე, სად ინებებ მიღებას?

სოლომონი განცვიფრდა.

— ნაბერალი მეთოდე და იაგორა არიან, — დააზუსტა მეფის აღმზრდელმა, რომელიც ბოლო ხანს საგრძნობლად მოტყდა, სახეზე მკრთალი ტალეები გაუჩნდა, ხოლო ოდესღაც გრუხა ჰქონდა თმაში სინათლე გასდიოდა. — თვით როსტომი და დანარჩენი ვაჟები, როგორც დადიანის ახლო ნათესავები, პირდაპირ ოდიშს წაბრძანებულან.

„ვიცი, რა მუცლის გერემაც კლავთ, — გაიფიქრა სოლომონმა. — ვერ აქ მართებდათ მოსვლა. ჩვენც ნათესავები ვართ, მაგათზე ცოტა უფრო ახლობელი. ძალღისშვილები! ყელი მიპოვნეს, ხელახლა გამოჩახეს დრო შემოსარჩევებლად! ის როგორია, მაგათი პატიოსანი სიძე ურუმის ჯარით რომ შემომესია და ცხვირიდან ძმარს მანთხევიწებს?“

მეფე იტლებული გახდა, თანამეცხედრის მუდარას დაჰყოლოდა და უზომოდ დამწუხრებელი თავით ფეხებამდე შეგებით შემოსილი ერისთავიშვილებისაგან სამძიმარი მიეღო. მალე ნასახლე უახლოესი და შორეული ნათესავებით, კიდევ მათი ნათესავებით, ნათელ-მირონებით და ყველა იმით აივსო, ვისაც კი ამ შემთხვევის გამო მეფის კარზე მოესვლებოდა ნობრძანდნენ მომღურავი უდროსი ბატონიშვილები, მეფე ალექსანდრეს მშებო,

გიორგი და მამუკა, რომლებიც გაიორესვლელად თავიანთ საუფლმსწულთშმაქმულეებში ცხოვრობდნენ და უკვე სკანდალური მონაწილეობას აღარ იღებდნენ ქვეყნის მართვა-გამგეობაში.

სოლომონს დანა პირს არ უხსნიდა. ბიძა, მამუკა, თავისი ფაშაშა თანამეცხედრით, ბეჯან დადიანის ასულ და ოტია დადიანის ღვიძლ და ბიცოლა დარეჯანითურთ, აქ იყო, სიმამრის გარდაცვალებას უსამძიმებდა, ხოლო მათი საფიცარი პირშმო ბატონიშვილი თეიმურაზი გურიაში მოამბეთა წინაღმდეგ ხმაღს იქნევდა და აქეთ ტახტის დასაპყრობად მოისწრაფვოდა.

„რა გაასწორებს ჩვენს საქმეს, — ფიქრობდა მეფე. — ორი ნაბდის გაშლა ქვეყანაში მოყვრობასაც ვუწევთ ერთმანეთს და მტრობასაც. ვერ იქნა და ზუსტად ვერ დავადგინეთ, სად თავდება მოყვრობა და სად იწყება მტრობა!“

სოლომონმა მაინც ვერ მოითმინა, მამუკა ცალკე გაიხმო და უთხრა:

— თქვენს ადგილას, ბიძაჩემო, მე გამიჭირდებოდა აქ მოსვლა და მეფედლოფლის მწუხარების ვაზიარება!

— ჩემი ხნის მოიყრები, შვილო, და ამას შენც შესძლებ, — შვიდად უპასუხა თმაგათეთრებულმა ბატონიშვილმა, თავზე რომ ოდესღაც ძმისაგან წანართმევი გვირგვინი ედგა. — ცხოვრება ბევრ რასზე გეასწავლის. ამას გარდა, მე დადიანების ისეთივე სიძე ვარ, როგორიც შენ. განსხვავება მხოლოდ ის გახლავს, რომ ჩემი სიმამრი, ოდიშის ისეთივე ბატონი, როგორიც შენი სიმამრი ოტია, ჩემი ცოლისმმა იყო, ცოტა უფრო ადრე გამოეთხოვა ამ წუთისოფელს.

— ბიძა მამუკას ნურაფერს აწყენინებ, სოლომონ, — მუდარით მიმართა თანამეცხედრეს დედოფალმა მარიამმა. — დღეს ყველა მოყვარება და კეთილის მდომი. მამას პატივისცემით ყველაფერი უნდა მოვიტმინოთ.

ლელია მასხი

ერთი ღამის ზღაპარი

მოთხრობა

ბალახ-ბულახი, გამხმარი ფუჩეჩი ეკვროდა ლანჩას. ირგვლივ მსუყე ჰაერი იდგა.

ნაბიჯს აუჩქარა. ძაღლების ყეფა-წაგწკავი, თხების პეტელი და გაუნელებული ძახილი „დედაა“ მოჰყვებოდა უკან. წუხანდელი სიზმარი გაახსენდა, გარბოდა და მოსდევდნენ. ესმოდა ხენეშა, ჩოჩოლი. სუნთქვა ეკვროდა. სიმინდის ხორკლიანი ტაროები ხანჭლებივით ხვდებოდა მკერდში. გააღწია ტყვარს... გამოჩნდა ქალა... ჩამავალი მზე.

საოცარი: წინგადაშლილი სანახაობა სიზმრის გაგრძელებას ჰგავდა. გრილი, მაცოცხლებელი ჰაერი მთელი მკერდით შეისუნთქა და სწრაფი ნაბიჯით შეჰყვა აღმართს.

გზაშარაზე გავიდა. შორს, ეკვალბტების იქეთ, სასოფლო საბჭოს თეთრი შენობა მოჩანდა. საათს დახედა. რვას ითი წუთი აკლდა. საცა იყო, ავტობუსის გრძელი ლანდი ამოყვებოდა აღმართს...

ზაფხულიდან შემორჩენილ ყველს, წუხანდელი ქვირტიც გაურია, წურწურით სდიოდა წვენი... მკადის ფქვილიან ტომსიკასთან, ნაქურჩალოთ თავდაცულ, ტყემლიან ბოთლს ამოეყო თავი; მძიმე იყო ჩანთა, თითებს ტყენდა, უბეუ-

ებდა... ერთი კვირის საგზალი ედო შიგ, როგორმე უნდა ვაეტანა თავი... სტიპენდიით ჩექმების ყიდვას აპირებს...

— ნანუ!

მოხედა. გაოფლილ სახეზე სითბო და სიკეთე აღბეჭდოდა ქალს. იცნო.

— გოგუცა ბიცო!... — შესცინა.

— ჰო, შვილო,... მოგდევ... მოგდევ... და ძლივს დაგეწიე...

სუნთქვა ეკვროდა ქალს, დაღლილი და გასაფრთხილებელი ჩანდა, ჰალარა თმის ბუწუნოები თვალბში ჩამოსწეწოდა, მზერას უშლიდა. ხალათის ჯიბიდან კვერცხები ამოაქვს... ორი... ოთხი... რვა... თორმეტი. მიჯრით აწყობს ჩანთაში. ტბილკვერში გახვეულ ჩურჩხელებსაც ჩურთავს შიგ. მერე მუკში დაკმუჭვნილ, წითელ ათმანეთიანს აჩეჩებს ხელში და დადუღრულოვით იბრუნებს პირს. კარგა მანძილზე რომ გაცილდება, მოხედავს. პირჯვარს გადასწერს, გზას დაულოცავს.

გული ეტკინა ნანულის. იგრძნო, საცა იყო მდღევარების ბურთი გაეჩრებოდა ყელში. შეეცადა თავს მოერეოდა.

უცებ შარაზე ველოსიპედიანი ბიჭი გამოჩნდა. ხარის გაუნელებელი წკრილით მოიწვედა წინ. იცნო. თათუშა ბარაბაძის უმცროსი ძმა იყო, რომის-

ონა... გამურულ სახეზე თეთრი კბილე-
ბი უელავდა ბიჭს. პაპის სახელი გიორ-
გი ერქვა, მაგრამ სოფელში ყველა რე-
ბიზონის ეძახდა, მოგზაურობა, აღმა-
დაღმა ხეტიალი და ფათურაყები უყვა-
რდა, ზედმეტსახელიც თავად შეირქ-
ვაო, ამბობდნენ.

შავი პურის გოგორა შემოედო ვე-
ლოსიპედზე, სტვენით, ხმაურით ჩაუქ-
როლა. მიიშალა. მერე წითელკაბიანი
ქალის სილუეტი გაკრთა ქუჩის ბოლ-
ოს, სასოფლო საბჭოს ეზოდან გამოვი-
და, ორი მამაკაცი ახლდა. ტაატით მოი-
წევდნენ. ჩამავალი მზის სხივებზე, თვა-
ლის მომჭრელად ანათებდა ქალის წი-
თელი კაბა. ხელებს შლიდა იგი, იცი-
ნოდა. მოახლოვდნენ. იცნო. ისიდორე
მეკუტუნაის ქალიშვილი აღმოჩნდა —
თალიკო. მისი დანახვა არ ემა ნანუ-
ლის, ისე შეწუხდა და აწრიალდა, თი-
თქოს მცხუნვარე მზეს შეეკუპიტოს თვა-
ლებში. მზერა მოარიდა.

ინსტიტუტის საგზური რომ მოვიდა
კოლმეურნეობაში, ჩაის მკრეფავ ქა-
ლიშვილებში ყველაზე ღირსეულ კან-
დიდატად ნანული ცნეს, ღირსი ხარო
უთხრეს და გზაც დაულოცეს: რად გინ-
და მერე! მართალია, საგზურიც მისცეს,
გზაც დაულოცეს, მაგრამ თანამონაწი-
ლედ თალიკო გააყოლეს. ჩაი თუ არ
უკრეფია, სამაგიეროდ აბრეშუმის პარ-
კი მოიწიათ, — უთხრეს. სინამდვილე-
ში პარკი დედამისმა — ქსენიამ მოიყვა-
ნა, მაგრამ ამის გამოხელას ვინ გაბედავ-
და... მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძე-
ლოთ, საბუთები გაამზადეს და გამოც-
დებზე გავიდნენ. როგორც აბრეშუმის
ქიის მოვლა-პატრონობაში არ ჩაუწყ-
ვეტია თალიკომ წელი, არც მეცადინე-
ობისათვის შეუწყუხებია თავი. პირველ-
სავსე გამოცდაზე ჩაიჭრა და აღრიალებ-
ული დაბრუნდა შინ. დაბრუნდა და...
პირი მოალო ქსენიამ, საქვეყნოდ თავი
მოჭრა ნანულის, პროტექტორი ჰყავ-
დაო, ფული დახარჯაო. სოფელში ზოგ-
მა მართალი ყურით ისმინა, ზოგმაც...
ერთი სიტყვით, აქეთ — პო და იქით —
არა; ვინც თალიკოს იცნობდა და მისი

სიზარმაცის ამბავი გაეგო, ძნელად ირ-
წმუნა ორღობეში გამძვარლნი წინააღ-
ვინც არა და...

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო,
ერთმანეთთან შესახვედრი პირი არ
ჰქონდათ, არა და, უმატა თალიკომ კი-
სკისს. ერთ მხარეს მამა ედგა, შავულ-
ვაშა „ისიდორე მეკუტუნაე“, ფერმის
სულგუნებითა და ცაცხვის თაფლით
რომ ამარაგებდა წლიდან წლამდის
ოჯახს, მეორე მხარეს ქმარი მოჰყვებო-
და, მხარბეჭდაკუნთული, მარქენალი
ყოჩივით შემართული კაცი. არქა, ინს-
ტიტუტში ვერ ჩაერიცხა, არ იჯავროსო,
და ახლად მოვლენილ აგრონომს მიათ-
ხოვეს თალიკო. მზითვიც კარგად მის-
ცეს, სამოსახლოც შეურჩიეს.

იცინოდა თალიკო, საცხე მკერდი ერ-
ხეოდა, მიხვდა ნანული, იმიტომ კი არ
იცინოდა თალიკო ხმამალა და გამომ-
წვევად, რომ რასაც უყვებოდნენ სასა-
ცილო იყო, არამედ თავად იყო გაზა-
რებული და ამ სიხარულს, უთავბოლო
სიცილით ამჟღავნებდა. ეკვროდა და
ეგლისებოდა ქმრის მოუქნელ, მკვრივ
სხეულს...

აიწურა ნანული, აწრიალდა, საცა
იყო მოახლოვდებოდნენ... შემობრუნდა.
გზას გახედა. შორს, ეკვალიპტების
ჩრდილში ურემი მოიწეოდა. მზეზე
ვახუხული გოგო-ბიჭები შესეოდნენ
ურემს. ჭრიალ-ჭრიალით, ზანტი ნაბი-
ჯებით მოჰყვებოდნენ შარას. ყურისწა-
მღებლად იცინოდნენ, ჰყავოდნენ. ყველა-
ზე უფროსს, თერთმეტ-თორმეტი წლის
ნიკორა ბიჭს, ასაკთან შეუფერებელი
სიღინჯე რომ აღბეჭდოდა სახეზე, ზე-
ლში სახრე ეჭირა, ფეხზე იდგა და გა-
მოცდილი მეურმესავით ირჭებოდა.
იმატა ხმაურმა, ყიფინამ...

უცებ მგზავრებით გაქედილი, დიდი,
ნაცრისფერი ავტობუსი შემოიჭართა
გზაზე. თუხთუხით მოიწვედა. ჩანთას
ხელი წამოაგლო ნანულიმ, ორიოდ
ნაბიჭი გადადგა, და ის იყო, დამფრ-
თხალი ხარებითა და აყივლებული ბალ-
ლებით აქანავებული ურემი შეაში ჩა-
დგა. ეს მოხდა ერთ წამში, დროის უმ-

ნიშნულ მოსაკვეთში, ვეღარც თვითონ მიანიშნა, არც შოფერს გამოუჩენია დიდი სიფხიზლე, ჩაუქროლა და წავიდა.

შეცბა ნანული, გაოგნდა. ვერ გაარკვია რა მოხდა, ან რა უნდა მომხდარიყო... ან თავად რად იდგა ასე უაზროდ, დაბნეული, გაბრუნებული... იგი ბოლო ავტობუსი იყო.

წამით ისეთმა მღელვარებამ და აღშფოთებამ მოიცვა, დგომა კი არა, ჯდომა არ შეეძლო. შარას გახედა. აღარსად ჩანდა კრიალა ურემი, შორს, სამკედურს იქეთ, ჩახჩახებდა თალიყოს წითელი კაბა...

სევდა და დაღლილობა მოეძალა ქალიშვილს; ახლო-მალო მანქანები მიმოდიოდნენ. სვლას ანელებდნენ, დროდადრო ცნობისმოყვარე მზერას ესროდნენ შავკაბიან, ტანწერწერტა ქალიშვილს, სვედიანი თვალებით რომ გასცქეროდა შარას.

უცბე კამისა და ომბალის სუნი დატრიალდა ჰაერში. ცას ახედა... შავი ღრუბელი მოიწვედა ქვევით. სულ ქვევით... ლამის სიშინლის ყანამდე დაშვებულყო. ნიავეც ჩადგა. სუნთქვა გაქირდა. „წვიმა წამოვაო“, გაუელვა. იდგა გაუნძრევლად და ორი, ერთმანეთის საპირისპირო გრძნობა, მოვარდნილ ტალღასავით ხან აქეთ გადააქანებდა, ხანაც იქეთ. ერთი ქალაქისკენ ეწეოდა, დაუმთავრებელ ნახაზს უფენდა თვალწინ, მეორე გაურეცხავ თეფშებს... უთოდაუქრავ თეთრეულს... ვერ მოასწრო... არადა ისე ვაღიზარა მზე, გაწვი ბინდი, არც გაუფია. ოჯახში საქმეს რა გამოლევს... თანაც უქალო ოჯახში.

დგას ახლა, მარტოდმარტო, უადგილო ადგილას დატკობილი ბოძივით, ვერ გადაუწევვტია, კერძო მანქანა დაიქირავოს, ბიცოლას ნაჩუქარი ათმანეთიანი ვაიმეტოს და როგორმე ქალაქამდე ჩაადწიოს, თუ შინ დაბრუნდეს... მარტოხელა მამის მიაშუროს.

შორს, მოსახვევში შინდისფერი „ვოლგა“ გამოჩნდა, გაახსენდა, ოციოდე

წუთის წინ ჩაიქროლა, ახლა უკან ბრუნდებოდა...

მზერა გააყოლა შოფერს, მანქანას. შეხმაურება ვერ გახედა კოჭმანი იყო... მხარი იცვალა.

— ნანული!

პირველი დაძახება არ გაუგონია.

— ნანული!

მანქანის ღია ფანჯარაში მხიარული სახეები მოჩანდა.

— ნანუ დაიყო! — წყრიალებდა ნაცნობი ხმა. იმდენად ნაცნობი რომ... თავისდაუნებურად მიჰყვა გამოწვდილ ხელებს...

— ჩემო დაიყო... — გულში იკრავენ... ეფერებიან.

— ავტობუსმა გამასწრო, — ბოდიშით შეაგება.

— ჩვენც იქეთ... მგზავრები ვართ... — კარი მიხურეს. მანქანა დაიძრა.

მანქანა მიქრის, ჩასცილდა სოფლის ცენტრს, სასოფლო საბჭოს თეთრფარდებიან შენობას, საპარკინაზეროს, სასადილოს წინ შეჯგუფულ ბიჭებს. კოლმეურნეობის შოფერმა გოვია „ცხვირამ“ განცვიფრებისაგან პირი დაალო. იგრძნო, მისმა ორკოფში გამოხედეამ რაღაც მიანიშნა, გამოათხიზლა. ხვევნა-კოცნის იერიში მოიგერია და გვერდით მქდომი გულდაგულ შეათვალერია.

მანანა ბარაბაძე მარტო მოვარე კი არა, თანაკლასელი და ბავშვობის მეგობარიც იყო მისი. ახლა თუ ესამუშემა დობილის წითლად შეღებილი თმა და გაუთავებელი სიცილ-კისკისი უსიამო ჩასიათზე აყენებს, ამასაც თავისი მიზეზი აქვს. საშუალო სკოლა ექვსი წლის წინ დაამთავრეს და... ამ ხნის განმავლობაში ერთხელ არ უნახავს... დედაქალაქში ცხოვრებას უცხო და გარეშე გაეხადა იგი.

პირდაპირ შოფერი ზის. ფართო, დაშვებული ბეჭები და შავი, ჯავა თმა... ძიბბოვებით ავსებული ყელისყერი... იცნო და ვერც იცნო, თითქოს საღდაც უნახავს, შეხვედრია, მივარამ სად, ვერაფერი ვერ გაიხსენა.

უსიამო ხასიათზე დადგა.

შოფრის გვერდით, ნაცრისფერპიჯ-
აიანი, თმაბუკუქა ვაჟი სიგარეტს აბ-
ოლებს, მიმჭროლავ ხეებს, მინდვრებსა
და ბაღებს უდარდელ მზერას აყოლებს.
შეხედა და იცნო. იცნო და ნეტავ არ
ეცნო... ლუტუშა გენძებამე!

იგრძნო, სხეული ისე დაეძაბა, აეჭა-
გრა, თითქოს მორბენალი იყო და დაბ-
რკოლების გადასალახავად ემზადებო-
და.

— ჩემს ქორწილზე რატომ არ ჩამო-
ხვედი? — ეჩურჩულება მანანა. თან
აწეწილ თმას ისწორებს, ყურის ბიბი-
ლოზე ფირუზისთვლიან საყურეს აწვა-
ლებს.

— ქორწილში?!

სკოლის პირველ მომღერალს კონსერ-
ვატორიაში ჩარიცხვა გაუძნელდა.
არც სილამაზემ უშველა, არც ხმამ...
პირველსავე გამოცდაზე ჩაიჭრა. შინ
ღაბრუნება არ ინება, დედაქალაქში
ერთ შორეულ ნათესავს შეეკედლა და
რომელიღაც ჯაზ-ორკესტრში ჩაირიცხა.
ხმამ მიშველაო, მოიწერა, მალე საზღ-
ვარგარეთ წავალთ გასტროლებზეო. წა-
ვიდა თუ არა, ზეირიანად არ ახსოვს,
მხოლოდ გავთხოვდიო, მოიწერა მალე
და ქორწილშიც დაპატოქა. არ წასულა.
მერე ქორი გაძვრა-გამოძვრა სოფელ-
ში, ახალმა სიძემ ორი წყება ცოლ-შვი-
ლი უკვე გამოიცვალა... მანანა მესა-
მეაო... მერე ამასაც არ დასჯერდნენ
და...

გუშინ დაწოლის წინ მამა ეუბნებო-
და: მანანა ჩამოსულა თბილისიდან,
ორჯერ მოგაკითხა... გალანძღული ქა-
ლის სახელით დადის, შვილო, მოერი-
დეთ; მეტი არაფერი. მაშინ, დაღლილ-
სა და გასავათებულს დიდი მნიშვნე-
ლობა არ მიუცია მამის სიტყვებისათვის,
პირიქით, ნახევრად მთვლემარემ ინატ-
რა, ნეტავ მენახაო. ახლა მანანა მხარ-
ზე ეკვრის და ვხადავხა ჩასჩურჩულ-
ებს:

— ვის არ შეეხვდი ცხოვრებაში... რა
არ გადავიტანე... მაგრამ... ჩვენი მეგო-
ბრობა მაინც სხვა იყო... — გულის-

წყვეტა და უხმო სადარდელ იგრძნო-
ბოდა ხმამი.

„ნანობს“, გაუელვა ნანული...
ლოა... მიხვდა, გონებაში ატივტივებუ-
ლი ნაუცბათევი აზრით ძველ მეგობ-
არს ამართლებდა, მის გულისტკივილს
იზიარებდა და მის გამრუდებულ გზას
მისტიროდა. მერე ამ აწეწილმა, ერთ-
მანეთში გადახლართულმა ფიქრებმა
და მოგონებებმა სხვა რამ გაახსენეს...
„მანანა!“ „ნანული!“ — კვიან ტოტ-
ზე შემომგდარი გოგონები... ერთმა-
ნეთს ეძახიან, ერთმანეთისკენ მიიწე-
ვიან. აგერ მოცვს კრეფენ... შვერის
ფოთოლს აგროვებენ. ხბოებს მწყემ-
სავენ... მწვანე, ხასხასა მოღზე კოტ-
რიალებენ. უდარდელი, ქახქახა ხმები
ირევა მზესა და ღორთქო ბალახის
სუნში. როდის იყო ეს? ასე გონია სა-
უკუნეა მას შემდეგ...

— ორი დღეა ლუტუშას ვეხვეწი-
წები: წამო, ნანული ვნახოთ-თქო... —
აგრძელებს მანანა.

— „ლუტუშა თავუქვილა!“ — კვიან
ვიდაც.

... „ლუტუშა+ნანული“ — აწერია
სკოლის კედელს, ქვის გალავანს, ცარ-
ცით მოთხვრილია მერხი. უმწიფარი
ატამივით შექინქლია საუღვანე... წვრილ
ყელზე, ზვანში ლიტვივით აუღ-ჩაუ-
დის. ფერისმჭამელებით აესებია პი-
რის კანი. ჩაცვიბულ მზერას არ ამო-
რებს ვოგოს. „ღ+ნ“ — ლურჯი მელ-
ნით მოუსვირინგავს მკლავი. პირისპირ
შეყრისას ყაყაჩოსფრად აეფოთლება
სახე. როდის იყო ეს? არ ახსოვს.

უმაღლეს სასწავლებელში სწავლის
გაგრძელების აღარც სურვილი ჰქონია
ლუტუშას და აღარც უნარი. მარტსან
ქაქანიო ყურგაყრუებულმა მასწავლებ-
ლებმა ვაი-ვივით დაამთავრებინეს სა-
შუალო სკოლა. ერთხანს ჯარს ემალე-
ბოდა, მერე სავაქრო კურსებზე ჩაი-
რიცხა, დახლშიც ჩადგა. მათემატკის
ნიკი და უნარი არასდროს ჰქონია,
მაგრამ სანგარაშო ჩოთქის ჩხარა-
ჩხური, „სოტა შენ და ცოტა მე“
არასდროს შეშლია, მერე დახლში დგო-

მაც იუკადრისა და ცენტრალურ საწყობში გადინაცვლა. მუდამ მობუზულმა, ენაბლუენა ბიჭმა შექენისა და მოხვეჭის დიდი უნარი გამოამჟღავნა. ახლა რაიონის ხელმძღვანელობა საიმედო, სანდო კაცად თვლის.

* * *

მანქანა მიქრის, შოფერი ღლინებს. სდუმს ნანული. გაყურსულა ლეტუშა, მანანა ენას არ აჩერებს. თბილისს იგონებს, იქ გატარებული დღეებით ცოცხლობს. უსმენს ნანული, უსმენს გარძნობს, ერთი სული აქვს როდის დაიღწეოს თავს... მანქანას... თანამგზავრებს... შოფერმა თითქოს იგრძნო მისი წუხილი, თუ თავად გაეჰედა ყურები ქალის უთავბოლო ლაქლაქით, რადიოს მაღალ რეგისტრზე აყენებს და მანქანის ყოველ კუნჭულს, გრძელ, ოხერასავით უსასრულო მელოდით ავსებს.

ფანჯრის მიწაზე სახე აკრული ნანული გარკვევით ხედავდა საღამოს ბინდ-ბუნდით გადაჩრდილულ ველ-მინდვრებს. დროდადრო ოწინარების კრიალი და გაუსაძლისი ძახილი: „ღეღა“ ჩაესმის.

ზის ნანული გაბრუებული და ხეირიანად ვერ გაუგია რატომ შფოთავს. მანქანა ხომ მიდის დანიშნული გზით. თანდათან თუ დამდება და მწუხრი იცილებს ფებს, მერე რა მოხდა... საცაა ქალაქი გამოჩნდება, მანანა თუ ენას არ აჩერებს და მისმა ლაქლაქმა ყურთასმენა წაიღო, განა ეს ახალია?! ყოველთვის ასე იყო. გაკვეთილებზე მუდამ ცმუკავდა, ვერ ისვენებდა... გაუთავებლად ისმოდა: „ბარაბაჲე გაჩერდი, ბარაბაჲე გაჩუმდი!“ მაშ რა აშფოთებს?! ლეტუშა?! თავდახრილი ზის და ხეირიანად ვერც გაიგებ რა უღევს გულში... რას ფიქრობს?! ვერ გაიგებ და არც არის საჭირო. როდის იყო მის გუნება-განწყობილებებს იძიებდა. არასდროს უფიქრია. ერთხელ მიინც გაეგო, ისევ ისე ძველებურად უყვარ-

და ვაჟს, თუ შეეცვალა ხასიათი. ახალმა ცხოვრებამ, სიმღერებმა, ფუნებამ სხვა გატაცებები დაუჩინეს ალბათ. მაშ რა იღვლეებს?! იჭდეს თავისთვის, წყნარად, მშვიდად, გზაც მალე გაილევდა და... მერე ნახაზეტი... დამისთევა. მოიცა ეგებ ლეტუშა იცნობს სირბილადეს?... ინსტიტუტის ყველაზე მაკრ ლექტორს... მისი სახელი ყველას პირზე აყრია და ლეტუშას როგორ დარჩებოდა გაუცნობელი. ლეტუშა აღმასკომის თავმჯდომარესთან შეგობრობს, პურმარილზე ხედებიან ერთმანეთს. სირბილადის გაცნობა რა ძნელია?! მიდი, ჰკითხე! — შეაგულმიანა საკუთარი თავი. ვერ გაბედა. მანანამ იცოდა მისი დასაქმება: „ლეტუშა აქ“ „ლეტუშა იქ“... ისიც გარბოდა, ყველას სურვილს უსრულებდა. ახლა როცა ვაჟის გახამებულ საყელოს, პეწიან პიჯაკს და ფანჯარაში გადადებულ სიგარეტთან ხელს ხედავს, იაპონური მარკის უცხო საათი ლურჯ-მწვანედ რომ უციმციმებს ზედ, მიხვდა, ახლა მანანას ბრძანებას კი არა, თხოვნასაც არ შეისმენს... ხოლო სხვის ჰკუაზე სირბილს, სხვისი სურვილების ასრულებას უეჭველად მოერიდება.

— მერე ბიჭებმა ნაპირთან მოაცურეს ნავი... გაეშალეთ სუფრა, დაეყუყუეთ მტკვარს... სანთლებით... გიტარიით... ეს იყო ზღაპრული საღამო... ჩემს სიცოცხლეში არ დამაფიწყებდა... — ჩურჩულებს მანანა.

წამით, ნანულის შეეცოდა იგი. მისი დარდი, გულისღაწევება საკუთარ ტკივილად მიიჩნია და... იგრძნო: მანანას კი არა, საკუთარ თავს იცოდებდა, მის ცხოვრებაში არასდროს ყოფილა სანთლები და მოლულუნე გიტარა. იყო მარტო ობლობისა და გაუხარებლობის სეგდა... ჩაის კრფისაგან დაგლევილი თითები ახლაც ეწვის. ხოლო სტუდენტობა, რომლისაგან ყველაზე მეტ სიხარულს, სიამეს და ბედნიერებას მოელოდა, გულისწყვეტად ექცა. თანაკურსელთა ჩაცმა, დახურვა, მოდური, იმპორტული სამოსი, ძვირად-

ღირებული ბილეთები საზღვარგარეთის ჯარისკაცებს, საღამოს თავყრილობები და მსუბუქი მანქანებით სეირნობა ყოველთვის ნატურა იყო, რომელსაც ასრულება არ ეწერა.

ყველაფერს თავისი დრო აქვს. მის ოცდამდე წელს მხიარული საღამოები, სიცილ-კისკისი, თავდავიწყება ენატრება და არა ნაქირავებ ოთახში, კატა კუდს რომ ვერ მოიქნევს, ისეთ პაწაწინა ოთახში, ნახაზებზე კირკიტო... ელექტრომაგნიტური ველი და გალილის თერმოსკოპი. ამასობაში კი თვალსა და ხელს შუა გაფრინდება ყმაწვილქალობის უღარდელი წლები... ყველაზე მშვენიერი წლები. რა შერჩება ხელში! არაფერი. იგრძნო, საოცარმა გულისწყვეტამ შეიპყრო. ადამიანი ერთხელ მოდის ამ ქვეყნად, აღარც ახალგაზრდობის წლები იბრუნებს პირს. რაც წავა წასულია... რაც დაიკარგა — დაიკარგულია. თავი ატკივდა. იგრძნო, რაღაც ჩაწყდა გულში, ჩაწყდა ცხადად და უნუგეშოდა.

• • •

რბილად, მსუბუქად მისრიალებდა მანქანა. „ნელა“ — დროდადრო ჩასჩურჩულებდა ლეტუმა შოფერს და ამ ჩურჩულთ, ძნელად შესაცნობს და მოუხვედრელს მიანიშნებდა. მანქანა სვლას ანელებდა. ანელებდა და ნანული ხედებოდა, ორ მამაკაცს შორის გაბმული, უმცროს-უფროსობის, მბრძანებლისა და აღმსრულებლის დამოკიდებულება გამიზნული იყო უფრო ძნელად შესაცნობი ამბისათვის. მანქანა რომ დეტუშას საკუთრება იყო, ამას არ ჰქირდებოდა ფიცო და მტკიცე, ნანული კი არა, მთელი რაიონი ცნობდა ლეტუშას შინდისფერ „ვოლგას“.

რა განუზრახავთ? მანანას მოხედა. უსიტყვოდ დააცქერდა, შავი და ცისფერი საღებავი მოძალეოდა თვალის უბებში. ტანზე შემოტმასნილი წითელი კოფთა, სავეს მკერდსა და ვიწრო, ქალურ ბეჭებს უჩენდა. ნაზი და გნე-

ბიანი ჩანდა. ოდნავ შეტრეცილი ფერი, უარყოფილ, აბუჩად მარჯვენაზე ქალს ამგავსებდა. ოღონდ... მისი... ლილსა და შეურაცხყოფილს კი არა, საკუთარი სილამაზით თავრბუდახვეულს.

გათხოვების შემდეგ მანანას ქალიშვილური მოუქნელობა, ქალური სინაზით შეცვლოდა.

ბინდუნდში აციმციმებული ქალაქი გამოჩნდა.

ქალაქთან მიახლოებამ სხვა გაახსენა... აცა-ბაცად გამართალ ხაზებს თანდათან მოემატა შუქი. არ დაახანა და ვიღაცის უხილავმა ხელმა თვალწინ გადაუშალა სქელი გრაფილი... ხეირიანად ვერ მოასწრო ნახაზის დათვლიერება, წითელი ფანქარი ამოძრავდა, გახაზ-გამოხაზა, გამოიანგარიშა, ბოლოს ამასაც არ დაჯერდა, ამღენი ნაშრომი ჯვარედინად გადახაზა და ხილვად კონტურებსა და შტრიხებს შორის მანძილებს დაუხსტება მოითხოვა. მკაცრი დაუნდობელი კაცია სიმონ საკანდელიძე. ორჯერ დაუბრუნა ნახაზი, არ იქნა და შეფასება არ მისცა... ხელს მესამედ მიუტანს, თუ კიდევ დაუწუნა და... დამშვიდობე ინსტიტუტს. თქვენგან ინჟინერი არ გამოვა... გესმით? ახალგაზრდა!

იგრძნო, ზედმეტად აპყვა სულის ამწეფ ფიქრებს, უკეთესი იყო, საერთოდ არაფერზე ეფიქრა და ასე შეუმჩნევლად გაეყვანა დრო.

გასულ კვირას, ოთხი მეთხევრული გარიცხეს. ვინ შევიცილებს. თუნდაც იტრიე... ქვეყანა შესძარ... არა და რას გაუძლებს ამდენს... სოფელი, მამა ოჯახი... „პრიმა“ რომ „პრიმა“, ისიც თვითონ თუ არ ჩატანა, არაინ არის მყიდველი.

აგერ ლეტუშა! რა თავმომწონედ ზის. აღარც დიპლომი ეღარდება და აღარც ნუკლონების წამი. გაპარავს, გამოპარავს ჩოთქს... ჩაკვივა ხეიბრაში ასიანები. დღე ერთია და ცხრა მაქანკალი მაკითხავსო — თავს იწონებს მარუსა. „გაღმაუბნელი ქალი მერიგება, მზეთუნახავიო, დიპლომიც

აქვს და მზითვიც საუკეთესო...“ ოღონდ ლუტუშას ნაცვლად თავად დადის მგონი გადასანახულებლად.

ქალაქში შევიდნენ. მანქანა მთელი სიჩქარით მიქრის. საცაა ჩიხიც გამოჩნდება. უნდა უთხრას ვაჩერეთ... აგერ ჩემი სახლი, მაგრამ სდუმს... თითქოს თვალნათლივ ზედავს, როგორ იჩემებს მანანა ბინის დათვლიერებას... პატარა, ერთი ბეწო ოთახი... ნაცრისფერი გახუნებული საბანი. ვაი თუ დასცილნონ! როგორც ზაფანგში გამომწყვდეული თავი აქეთ-იქეთ აწყდება, ბრაზობს, იღრინება, ასე თვითონაც გაუცხადებლად უხმუროდ ებრძვის საკუთარ თავს.

ახალ ბინას არ გვანახებ? — კითხულობს მანანა.

— ბინას?! — ამდენი ხნის განმავლობაში, პირველად გაიგონა ლუტუშას ხმა.

— ნანუ! — მხარზე ხელს ხვევს მანანა, — წამო, ლუტუშას ბინა ვნახოთ... დავლოკოთ.

— „არ დაეთანხმო... არ გააყვე... გესმის!... აგერ ტროლეიბუსის გაჩერება, ჩამოდი ძირს... ჩქარა... რას უცილი!“

ქაღრების მწყრივი გასდევდა ქეჩას. ხალხმრავლობა იგრძნობოდა.

* * *

მანქანა გაჩერდა.

აგერ უნივერსალი... პირველ სართულზე ინდიკო ბარაბაძის გოგო მუშაობს — ციციო. ერთად მღეროდნენ სკოლის გუნდში. ჭრელა-ჭრულა აბრეშუმი, ფერადი ქოლგები და თვალპაჭუნა დედოფლები თვალს იტაცებს. აგერ წყლის ჭიხური... სახაპაპურე... კინო-თეატრი „კომუნა“... „როცა შენ არ ხარ“... ესპანელი მომღერალი... ავი ჯაერობდა წელან, კინო ჩვენთვის არ არის და თეატრიო... ეს ფილმი ხომ ნახე?! კი. ამის წინ ლექციები რომ გაეცდინეთ და ბოლო სეანსზე ამოყავი თავი, იმ ფილმს რა ერქვა?! არ ვახსოვს?!!

უკვე კიბეს მიუახლოვდნენ, წინ მასპინძელი, მერე მანანა, კეტუნა და ლილია თვითონ. შოფერი მანქანაში დაჯდნისას

აივანზე სარეცხი გაეფინათ, გამშრალ თეთრეულს ქარი არხვედა. ნამცხვრის სურნელი მოძალგოდა შესასვლელს. კვერცხის, რძისა და შოკოლადის სუნი ქარბობდა ირგვლივ. ბინიდან წითური, ტანსაცვს ქალი გამოვიდა.

— ოპ, ლუტუშა! — შეღიმა ვაქს.

მერე უხერხულად აბუზულ ქალიშვილებს დაადგა თვალი.

— ლილი, გაიცანი... — წარუდგინა ლუტუშამ — ეს მანანა... — მერე მრავალმნიშვნელოვნად გადახედა ქალს... — ეს ნანული...

— ჰა... ჰა... — ჩაიკისკისა ქალმა — ვიცი... ვიცი.

ვერაფრით ვერ გაარკვია ნანულიმ მიიწვ რა იყო და ამ დაქლაფა ქალმა. ქალიშვილი მკერდში ჩაიკრა.

— მე წავალ... — ჩაილაპარაკა. გაიცინეს.

— მოსვლა შენი ნებაა, წისვლა ჩვენი... — ჩასურჩულა ლილიმ.

ლუტუშამ კედელზე ჩამრთველი გადაატრიალა, გაანათა. მერე აზარტში შესულ მოთამაშესავით ჩამოუარა და, აქეთ ვენტრილიატორს დააწყებინა ფრიოლ-ფრიალი, იქეთ ტელევიზორის ეკრანზე ააციმციმა ცისფერი შუქი. მერე სამზარეულოში გაიჭრა და წყლის ონკანი ააბუჯბუჯა.

— მობრძანდით! მობრძანდით! — მიიბატივა ლილიმ. ნანულიმ შედგა ბინაში ფეხი თუ არა, უმაღლ საკუთარ თავს გამოუტანა განაჩენი: „მჩატე, უნებისყოფო ვარ... ასეთი ქცევა, ქარაფშუტა, ცერცეტა ქალების თვისებაა, ლაზღანდარობით, სიცილ-კისკისით დაუფიქრებელ ნაბიჯს გადადგამენ და მერე ნანობენ...“

ოთახში თბილი, დამდგარი ჰაერი იღვა. წამდაუნუმ მიმოდიოდა ლილი, მაგიდას შლიდა, ჭიქა-საინს აჩხრიალებდა. „შენი ჭირიმე“ და „შენ გენაცვალე“ — აფრქვევდა. ვინ იყო ეს ქალი, მეზობლობის გარდა რა საერთო ჰქო-

ნდა ლეტუშასთან, გაურკვეველი იყო, მაგრამ ღია ბუნების, მხიარული ქალი ჩანდა. მასთან დაახლოებაც ადვილი იყო და დაშორებაც. თითქოს გულის კარი ღიად ჰქონდა და ვისაც სურვილი ჰქონდა, შევიდოდა შიგ.

თავდახრილი იჭდა ნანული, ცდილობდა ბროლითა და ფაიფურით საესე კარადებს, სანთლებიან ქაღს, თურქულ ნოხებსა და ძვირად ღირებულ ანტიკვარულ ნივთებს არ მიეჭკია მისი ყურადღება, თვალი არ გაქცეოდა. მზერა არ მიჯაჭვოდა. იქვე, კედელზე, რადიო ჩურჩულებდა, ხლიჩინებდა, ხან მოემატებოდა ხმა, ხანაც ჩაუწყდებოდა.

ერთხანს ამინდის ცვალებადობას ატყობინებდა მსმენელს. მერე მოწყინდა ამდენი ჩურჩული, მიჩუმდა. კარგა ხანს დუმდა. როცა ალაპარაკდა, უკვე გარკვევით ისმოდა დიქტორის წყნარი, მშვიდი ხმა. იგი ბავშვებს ზღაპრის მოსასმენად იწვევდა.

„...ზღვის ფსკერზე, წყალმცენარეებით გარშემორტყმულ, ლალ-იაგუნდის უზარმაზარ გამოქვაბულში ცხოვრობდა ზღვის დრაკონი — წყალქვეშა სამყაროს ხელმწიფე. მას მზეთუნახავი ქალიშვილი ჰყავდა“.

ყურადღებით უსმენდა ნანული, ცდილობდა არცერთი სიტყვა არ გამოპარვოდა. მერე და მერე, გარე სამყაროს თანდათან გამოეყო და ზღაპარში გადასახლდა. ირგვლივ ხმები მიხედა, გაჭრა ქალაქი... მანქანები. შეწყდა ლილის გაუთავებელი ნაბიჯები... მანანას სიცილი...

„...ზღვის მცხოვრებნი დღე და ღამ მისი სურვილებისა და ეჩინიანობის შესრულებას უნდებოდნენ.“

თვალეები მილულა ნანულიმ. თბილი, დათენთილი ხმა ჰქონდა დიქტორს, მშვიდი, პარმონიული მუსიკა უკრავდა. სიწყნარე იყო ზღვისქვეშა სამყაროში... ოქროსფერი თევზები დასრიალებდნენ, ჭანაობდნენ, ერთმანეთს ეკვროდნენ, წამით მოეჩვენა, კაბის კალთა ფერადი

ქვებით, ლოკოკინას ნიჟარებით, მარგალიტის ზამბაკებით აეცსო. უხალხესმა ჩუქრები ამძიმებდა, მუხლებს ტყენდა, აღარ იცოდა რა ექნა, სად შეენახა, ვისთვის მიებარებინა იგი.

გაჭრა ყოველივე. ზღვის ნიჟარები... მარგალიტის ზამბაკები... შამპანურის ბოთლებით დატვირთული შოფერი, სიმძიმეების ამწევივით შემოიმართა ოთახში. თვალი თვალში გაუყარა ნანულის. გაუცინა. მერე ახლოს მოიწია და თითქოს ანიშნა: „აჰა! გაები ჩიტუნავ?!“ როცა შეპასუხება დააპირა, შოფერი ოთახში აღარ იყო. კარს იქეთ მიიმალა,

„... ერთხელ ზღვის ხელმწიფის ქალიშვილი კაკალს აქნატუნებდა და ვეშაპისა და დელფინების ცეკვით ტყებობდა. ისე გაერთო ცქერაში, რომ გაუტეხავი კაკალი ჩაიდო პირში. ზღვის კაკალს მჩხვლეტავი და ეკლიანი ნაჭუჭი აქვს და ზღვის მეფის ქალიშვილს ყელში გაეჩხირა.“

ალაგ-ალაგ აიშალა ხმები, აკენესდა ჰობოი, დიქტორის მშვიდი ხმა ქშეილმა და ზეირთთა ცემამ მიანელა.

„...მაშინ ნათელთვეზას, ზღვის ხელმწიფის მთავარ მრჩეველს გაახსენდა, წეროს შეუძლია კაკლის ამოღებო. ზღვის ხელმწიფემ შედუზა გააგზავნა წეროს მოსაყვანად. ცისფერი მედუზა მაშინ ტანადი და მაღალი იყო, მკვირცხლიც და მოხერხებულიც. მას ძვლებიც ჰქონდა.“

შოკოლადის კრებით გადაფიფინებულ, ვეებერთელა ტორტი შემოიტანა ლილიმ — „მოსკოვიდან გამომიგზავნეს რეცეპტი... ოცი კვერცხი... მაწონი... სოდა... ფქვილი...“

სიტყვა-სიტყვით იწერდა მანანა.

— მე დიტებაზე ვარ... — განაგრძობდა ლილი — გერონტის კვერცხიანი აუკრძალეს. კედლის იქეთ, ყრუდ ახველებდა ვიღაც. დროდადრო ძახილიც ისმოდა: „ლილი!“ „ლილი!“

„... გაჰყვა წერო მედუზას. ზღვისთან

რომ მივიდა, შეეშინდა წყლისა და უკან გამობრუნდა“.

„მანანამ თბილისში მივდივარო... რატომ არ ჩქარობს? არც საათს დაჰყურებს. რაღაც არ ხდება ისე, როგორც ეგონა. ყოველივე წინასწარ ჩაფიქრებულსა და გააზრებულს ჰგავს... მოატყუეს“.

მოიცა, ავტობუსისათვის რომ მიმეწყო, ხომ ავცდებოდი მათ. არც მსუბუქი მანქანით მგზავრობა მომიწყვედა, არც ნაგვიანები დროსტარებდა... ყოველ წუთს თუ ჩაუქროლ-ჩამოუქროლებდა შინდისფერი „ვოლგა“, განა პირველი შემთხვევა იყო? იმ კვირასაც ასე...

თავი გაუბრუნდა მოძალებულნი ფიქრით.

სამზარეულოში რაღაცას წვავდნენ, შიშინი ისმოდა, მაღიმალ წამოფრინდებოდა მანანა. შეაკითხავდა. კისკისს ატეხდა. შემობრუნდებოდა და ნანულის ეცემოდა, ჩაკოცინდა, ჩასჩურჩულებდა: „ერთი განახა რა დღეშია ღუტუშა...“

ავევით ავსებულ ოთახს, ეკრანიდან ახსლავს ლურჯ-მწვანე სხივები წყალქვეშა სამყაროს ამსგავსებდა... *

„...როცა ცაზე ამოსული ვარსკვლავები და მთვარე გამოჩნდა, მედუზა შიშ დაბრუნდა. ჩუმად ჩაეშვა ქვებზე და უნდოდა მთვარის სხივის ცისფერ შუქში მიმაღულიყო... მაგრამ ზღვის ხელმწიფემ გაიგო, მედუზამ მკურნალი არ მოიყვანაო, განრისხდა და ბრძანა, დაესაჯათ იგი, ვეშაპებმა და შავმა ნამგალებმა დაუწყეს ცემა მედუზას და ისე გულმოდგინედ ურტყამდნენ, ძვლები გამოუცვივდა სხეულიდან და ლავაში დაეშავდა. ზღვის ხელმწიფის ქალიშვილმა რომ დაინახა უძველო მედუზა“...

ლანგრით, შემწვარი ქათამი შემოიტანა ლილიმ.

— მობრძანდით!

— მედუზა... — ჩაჩურჩულა ნანულის.

— რა? — ჩაკითხა მანანამ.

იმდენად გაოცებული სახე ჰქონდა

მანანას, მიხვდა რაღაც უახრობა წამოროშა. საწყლად გაუღიმა.

ღუტუშამ შამპანურის ხოთლხა ააფეთქა, ქაფი გადმოიღვარა, ატყდა სიცილი. შეიქმნა სკამების ხრიგინ-ხრიგინი, მიწვე-მოწვევა. ადგილიდან არ დაძრულა ნანული... გულისყურით უსმენდა.

„...მას შემდეგ მედუზა უძველო დარჩა და ნაპირზე აღარ გამოდის. არც იმის მოგონება უყვარს, როგორ გაუშვა ხელიდან წერო, ხოლო ღელვის ან ზღვის მოქცევის დროს ტალღა ნაპირზე თუ გამოაგდებს, წყლამდე მისვლა აღარ შეუძლია და ისე გაშრება მზეზე, რომ კვალიც...“

— არ შეაწუხა გული... — ლილიმ რადიო გამოართო.

იჩვევივ სიჩუმე და გაუსაძლისი მყუდროება ჩამოწვა. ეს იყო ერთი წამით, მერე გაიწვიალა ჭიქა-საინში, არაჩხუნდა დანა-ჩანგალი. მიიწვავს. ძალის-ძალად დასვეს მაგიდასთან. გვერდით ცარიელი სკამი დაუდგეს.

მიმოიხედა. ერთმანეთს უცინოდნენ, კერძს აწოდებდნენ... დანა-ჩანგალს აჩხრიალებდნენ...

ვინ იყვნენ ისინი? რა უნდოდათ? ასე მონდომებით რად აწვდიან საცხე ჭიქას? ზღვის ვეშაპები და შავი ნამგალები... ლილი... ღუტუშა... აქვსენტრი... შოფერი... მანანა... გააქრქოლა, თითქოს მედუზას ცივ უძველო სხეულს შეეხო... საჭირო იყო მერე მოქმედება, აზრის დატანება, გამოფიხილება.

შამპანურის ერთი ყლუპიც რომ შესვას... მხოლოდ ერთხელ დაადგას კბილი მადის აღმქრელად მოშიშინე მწვადის ნაჭერს... მორჩა! მერე ყველაფერი დამთავრებული იქნება...

— ქალის ხელი უნდა აქაურობას... მარჯვე ქალის ხელი... მე როგორ დავამადლი, მაგრამ, რა ვქნა, აქეთ ავადმყოფი ქმარი... იქეთ ოჯახი... სტუმარი...

გაახსენდა... ჩაის კრეფისაგან დაღლილი და ვასავათებული ბრუნდებოდა, ღუტუშას სახლთან როცა გაივლიდა, ჩუმ, ხათრიან მზერას აყოლებდა ვაჟი,



ხოლო დედამისი ამკარად უბზუებდა ცხვირს. დილით, კიშკართან, აყვირებულ ვორკიკა ბრიგადირს ქოქოლას აყრიდა: „გარეული, შე სასიკვდილე, სტუმრები მყავს ქალაქიდან, ძილი არ დაუფრთხობო...“ ჰოდა, მაშინ იყო ჩრდილქვეშ, კილოფზე წამოგორებული უნახავს ეს ქალი. თავთან ქმარი ეჭდა, მელორტი. თვალბზასისხლიანებულ კაცი. აქვსენტი. კომპინატორიაო ჩურჩულებდნენ სოფელში, ლუტუშამ ცხოვრების შნო და ყაჩაღთი მისგან ისწავლაო...

— ამ ბინის პატრონმა, — განაგრძო ლილიმ, — გაყიდვა რომ დააპირა, კინადამ ქუელიდან შევიშალე, უცხო... გარეშე რათ მინდოდა აქ... ლუტუშას ვაცნობე... ხელად მოაბა საქმეს თავი. მერე რა ქვეიანია. უანგარიშოდ კაპიკს არ დახარჯავს...

— „უანგარიშოდ კაპიკს არ დახარჯავს“ — გაუელვა ნანულის — ამ ღამინდელი ხარჯი? რა მიზნით გაიღო? აწრიალდა.

ენას ენაზე აწებებდა ლილი... გაუსაძლისი იყო მისი თავგამოდება.

თითქოს უხილავი ძალები ჩაერია მის ბუდილობაში: ჯერ იყო და დანჯღრეული ავტობუსის შავიერ — მსუბუქ მანქანაში ამოჰყო თავი. ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, თავის ბინის ნაცვლად, აქეთ გამოსწია. მერე სუფრა გაშალეს, საბატიო ადგილას დასვეს, გვერდით ცარიელი სკამი დაუდგეს. მალე ლუტუშა საქმეს მოილევს და გეაბლებათ... ცარიელ ადგილს შეავსებს... მერე სადღეგრძელოები დაიღვევა... ბოლოს ყველა ნაბიჯი რომ მიწვდებდა... ჰო... თქვი! გეშინია?! ამ ქვეყანაზე რა არ ხდება... მთავარია მიხვედრის უნარი არ დაკარო, გესმის?! მიხვედრის უნარი... თორემ შედუზად იქცევი... უძვლო, უფორმო სხეულად... აქ, ამ აცვარიუმში მოგათავსებენ და კაბის კალთას ბრჭყვიალა ნივთებით ავიცხებენ. ხომ მოგწონს?! ფეხქვეშ ხალიჩებს გაგიფენენ, ფანჯრის მინებს სქელი ფარდებით დააბნელებენ...

წამოდგა.

თავდაპირველად. ხეირანად ვერც ჩახვდა რა უნდოდა, ან რას აპირებდა. მთავარი იყო, ლილის გაუთავებელი ლაქლაქი როგორმე შეენელებინა და შემოსეული ფიქრები, თანდათან გაეფანტა, მიმოიხედა. იქვე, სულ ახლოს, კედელთან რადიომიმღები იდგა. თერთი, ლაპლაპა კლავიშები თვალისმომკრელად ბზინავდა. შეიძლება კლავიშების ელვარებამ მიიტაცა მისი ყურადღება, თუ წუთის წინ შეწყვეტილი ზღაპრის გაგრძელება სურდა, კლავიშებს თითი დაჰკირა. ჯერ ზუზუნი გაისმა, მერე...

— ყურადღება! ყურადღება! ლაპარაკობს მოსკოვი!

გაისმა ძლიერი, ომახიანი ხმა.

— დღეს, ოთხ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე ომის გამოუცხადებლად საზღვრები გადმოლაბა...

ერთიანად გალურჯდა ლილი, შუა კარებში შედგა ლუტუშა.

— დაიკავა ვიტებსკი... კაუნასი... სევასტოპოლი...

ცრემლით, შიშითა და ვაგებით აევსო ნანულის გული. აკანკალდა მანანა.

— დაბომბეს მშვიდობიანი მოსახლეობა...

ვილცამ დაიკვნესა... დაწუწუნა...

— ამ დღეებს შეეწირა ქართველი ჭაბუკი ავთანდილ ჩოგოვაძე. სამარადისო დიდება მას!

— ოჰ! — სული ჩაითქვა ლილიმ. მერე ჩამრთველს ეცა, გამოგლიჯა.

— არ დავიზაფრე ქალი?! მანც რა ამბავია, ამდენი ომი... ტელევიზორს ჩართე ბათქა-ბუთქი... კინოში წახვალ თოფის სროლა, დახრჩობა, წამება. გავიგეთ ბატონო! ძნელი იყო... გვიკირდა, ბევრი სისხლი დაიღვრა, მაგრამ სულ?! მუდამ?! არ მოგვედი ქალი?! — გულზე ხელს იჭერდა ლილი, კვნესოდა, წუხდა.

ახლახან განცდილმა საშინელმა წუთებმა, ომის სიბოლოვემ, სუსხმა სხვა რამ მოაგონეს ნანულის... კინო-ფილმით გაიელვა და გაქრა... უცებ დაინა-

ხა მამაკაცის დიდი, ტლანჭი ხელეზი. შამა!... წყნოთი შეყვითლებული თითებით ყველი ამოჰყავს... ამოიხენეშა კაცმა. წამოდგა, ტანჯვით აითრია გაშეშებული ფეხი. ქერწში გადაუშხვრიეს წვივი... წვიმიან ამინდში სახსრები უწყებს მტვრევას. მარტოდმარტო ზის დაცარიელებულ სახლში... გული აეწვა.

— მე წავალ...

— სირცხვილია! — მხარზე აეკრა მანანა.

ვერაფრით ვერ მიხვდა რა იყო სირცხვილი.

— ნანული! — ლუტუშა მიუახლოვდა. წყენასთან ერთად, თხოვნა-მუდარა არეოდა თვალეშში. თითქოს ახლა დაინახა... ისევ ის მოუქნელი, ენაბლუ ბიჭია... გააბრაზებ და იტირებს...

— ნუ წახვალ...

— „ნუ წახვალ და... დედოფალივით შეგინახავს, ხელისგულზე გატარებს... ჩიტის რძეს არ მოგაკლებს... გესმის?!... კიდევ?!“

სახე ახლო მოაქვს... ეჩურჩულება...

— რა ჩანდაბად მინდა რამე... თუ შენ...

მეტი მონდომებით გადაუხვევს ფანქარი ნახაზს, შეუბრალებელი კაცია სიმონ საკანდელიძე... მასთან არც ცრემლი ჰრის და აღარც ხეწნა-მუდარა... ასეთ ხალხს — ჯერ ლილის შეხედა, მერე ლუტუშას... დასანახად ვერ იტანს... იოლად, შეუწუხებლად რომ სურთ ამ ქვეყანაზე ცხოვრება... ცდილობენ საღმრთო გაძვრენ... გაიპარონ... სხვისი ნაშრომი მიისაკუთრონ.

კარს რომ მიუახლოვდა, მაშინ გაახსენდა, ჩანთა დარჩა, ერთი კვირის საგზალი ედო შიგ... ძებნისა და ანგარიშის დრო აღარ არის, რადგან ხელაქს, გარს უტრიალებს ლილი... აღარც ენას აჩერებს და აღარც აფუებულ თეძოებს. ყველაფერს ეღება... აქეთ სკამს გაჰყრა ფეხი, იქეთ, პურის მოზრდილი ნაჭერი გადმოაგდო მაგიდიდან... თეთრი პურის ნაჭერი... ახლაც იქ გდია... არავინ იღებს... „ამოდენა პური რომ

ჰქონილა“ — აუტიტიტივდა გონებაში — პო... ამოდენა პურის ნაჭერი რომ ჰქონილა ტანია სავიწყვას... საოცარია! რას გაახსენა, პატარა ლენინგრადელი გოგონა... ამოდენა პურის ნაჭერი ორ დღეს აცოცხლებდა... მერე ჩვენებიც მიუღწრებდნენ... შემობრუნდა. აიღო. სული შეუბერა. გაწმინდა. მაგიდაზე დადო, მერე ერთბაშად იბრუნა პირი, ერთი მოქნევით მოიცილა მანანა... ლილი... პირისპირშემოფეთებულ ლუტუშას ხელი აუკრა. უკან არ მოუხედავს, ისე ჩაღრბინა კიბე.

ჩაიღრბინა და... ერთხელაც არ აკანკალებია გული, დამეწვევიან და დამაბრუნებენო. ლუტუშას მსგავს ბიჭებს ქალის მოტაცება არ შეუძლიათ... ისინი ყიდულობენ მას... ძვირფასი თვლებით, ჩაცმა-დახურვით, მანქანებით ატყუებენ... აბრუებენ მათ.

ცრიატი ღამე იყო, ცივი და უსინათლო. შედგა: დაიხარა. ჩაწეული წინადა გაისწორა, თვალეშში ჩამოწეწილი თმა უკან გადაიყარა. ცას ახედა, პირქუშსა და ბაგეშეკრულს. დაცარიელებულ ქუჩაში თითო-ორიოლა მგზავრი გამოჩნდებოდა და უმაღლ მიეფარებოდა თვალს. წელანდელი მოთენილობა, სისუსტე გაუქრა, სხეული თანდათან გაუმჩატდა, გაუმსუბუქდა.

უცებ ყრუ გუგუნე ჩაესმა. ფეხდაფეხ, ნელ-ნელა, მოპარვით მოყვებოდა მანქანა, შიშისაგან თავბრულ დაეხევა, უკან მოხედვა ვერ გახედა. ნაბიჯს აუჩქარა, თითქმის გარბოდა. ერთი ქუჩა... მეორე... მანქანა მოყვებოდა. უხმაუროდ, სულ მტკაველ-მტკაველ. საშინელება იყო! როგორც კი სიბნელეში იძალა და ჩიბიც გამოჩნდა, მანქანამ გადაუსწრო და შედგა. ჯერ ერთი გადმოვიდა... მერე მეორე... ჭიქურ, დაქანდებით გამოემართა თავჯირკა. მხრებში მოზრდილი კაცი, იცნო ლუტუშას შოფერი... საცაა მიუახლოვდება... დაეძვრება და როგორც ქორი წიწილას...

აიტაცებს. ილაგაწყვეტილსა და სასო-
მიხდილს არაფრის თავი არ აქვს.
არც ტირილის, აღარც ბრძოლის... ში-
შმა ერთიანად მილუშა, ძალა გამოაცა-
ლა. ღმერთო! ახლა რომ წაიჭყეს, წა-
ბორძიკდეს... თითქოს მოაჯადოვა ამ
კაცმა, თაღისმით შეუტარა ხელფეხი,
ამა მიუახლოვდა კიდევ... თავხედი,
უტოფარი სახე აქვს... ურცხვი თვალე-
ბით შესცქერის, თითქოს ეუბნება: „აა,
გაეზი ჩიტუნავ?!“ ცოტაც და... ხელს
წაველებს, მკლავებში მოიმწყვდევს...
შეიძლება ტუჩზე ააფაროს ხელი...
მოგუდოს. მოაღრჩოს... მერე მის უგ-
ონო... უსიცოცხლო სხეულს, რასაც
სურთ, იმას დამართებენ... ღმერთო!
ახლა მიეცე გამძლეობა... გამოუნახე
რაიმე ძალა... მოიცა! სად უნახავს ეს
თვალეები... მტაცებლის სახე?! იცნო.
გედევანა სევანიძის ჩვიდმეტი წლის
ფოთოლა, სამმა ბიჭმა გაიტაცა... გააუ-
პატიურეს. მერე ღამით. ნაცემ-ნატანჯი
გოგო ტყეში დატოვეს მარტოდმარტო.
თხუთმეტ-თხუთმეტი წელი მისცეს იმ
ბიჭებს... შოფერი გადარჩა... არ ვიც-
ოდი, შეცდომით წამიყვანესო... პთე-
ლი სოფელი ესწრებოდა პროცესს,
თვითონაც იქ იყო. ის არის! შოფერი...
— ვაი, დედა! — ამოიკვნესა ყრულ,
გამძლეობით, საკუთარი ხმა ვერ იცნო,

შორეული და უცხო მოეჩვენა, თითქოს
საღდაც, უსასრულობიდან მოედინა
სუსტი, მითრთოლვარე ხმა, დახმარებას
ითხოვდა....

აგზნებას აფეთქება მოჰყვა. სწორედ
ამ დროს, მამაკაცის ცივი, ოფლიანი
თითები გაედვა მკლავზე. გაედვა
და... თითქოს ყინულიანი, ცივი წყალი
გადაასხეს სხეულზე, ფოცხვერივით
თვალეებანთებული ქალიშვილი განზე
გაბტა. საბრძოლველად მოემზადა,
კვლავ მიწვდა მამაკაცის ოფლიანი თი-
თები, ცხელი სუნთქვაც შეიგრძნო და...
ეცა როგორც კატა, ფოცხვერი, ბრძო-
ლის ქინით ატორტმანებული ბრჭყა-
ლებით ჩამოკაწრა სახე.

შედგა კაცი. გაოცებისაგან პირი და-
ალო... ჭერ ერთი ნაბიჯი მოინაცვლა,
მერე მეორე... იკადრა გაქცევა...

შორს, ძალიან შორს, ქარი სტვენდა
ჭალაში.

თვლემდა და ძილი მორეოდა სო-
ფელს...

ეძინა მოხუცს, სიზმარში უნახავ
აისბერგებს ხედავდა, ყინულის ცივი-
სა და მძიმე ლოდებს...

კვნესოდა მამა... ნესტი და სიცივე
უხრავდა სახსრებს.



დილარ ივარღაშა

ბავროსილვა

ვის გაუვლია თოვლში ამ დილით,
ვისია ეს გზა და ნაკვალევი?!
ზვერავს ჩემს ნაბიჯს ტყეში ნადირი,
შეშინებული ყინვის თვალებით.
ვინ მიატოვა ზღვაზე ნაეი და
მწუხრში ჩააჭრო მზე მეწამული,
სად გაფრინდა და
ვისთან წავიდა,
ქარს აყოლილი თეთრი ამური.
გდია ისარი წვერმომახული,
თოვლის ლიკლიცში —
იოდის ფერში
და ყინვისაგან უღეთოდ დაბრულა:
ბზის,
ბამბუკის და

მოთმენის ფესვი.
ალარ იტირებს ახლა გიტარა,
რადგანაც დარდის ნიჭიც წამართვი,
კერპთან მიმდება მსხვერპლის მიტანა,
უცბად ცოცხლდება აზრი-წარმართი...
კურთხეულ იყოს ეს გახსენება,
ტკივილითა და სუედით ნაფერი,
ამ მიწას, მახსოვს ცისფერ ვენებად,
მკერდზე უკრთოდა მაშინ ნამჭერი.
შემდეგ?
რა ვიცი ვის გაუვლია?
ან ქარი ფიფქებს რაზე ატირებს, —
გუგუნებს გული —
ხსოვნის ვუალი
და საველკანოდ წარღვნას აპირებს.

მეტამორფოზა

კრწანისთან,
რუხთან,
დიდგორთან,
ბვერგან —
ათას იარად — ქართულ მიწაზე,
დაფარული მაქვს ბალახით ტანი,
შენივთული ვარ მიწას, რომელსაც
აწ საქართველოს ხმობენ, დიახაც!

მე ვარ ბალახი
აწ და მარადის,
მუდამ ემუშაკობ,
მერმისს გაეყურებ...
ჩვენ ყველას,
როცა ვიბრძოდით რუხთან,
ბახიანთან,

ან ასპინძის ველზე!
სახელი გვერქვა
და გვექონდა გვარი...
დღეს კი

ერთნი ვართ —
ყველა ერთია
და... საქართველოს
გვამობენ, დიანას!

• • •

ჩეხვა ტყეების...
კენესა ხეების —
თავბრუსხვევა და...
ძირს ეცემიან...
დრო ისევ მოპქრის შიშველ ხელებით,
მოპქრის,
ჭრისა და...
მჭრელი ცელია...
ცელია, რადგან ყველაფერს თიბავს,

არ ეპუება დიდს და პატარას,
თავად ქმნის ამ ჭრულ ცხოვრების იგავს—
მტყუანს და მართალს,
ღმერთს და სატანას.
ცელია, რადგან არ ებრალება,
არც გუშინდელი,
არც ხვალისდელი...
დასაბამიდან ზეარაკ-ფარებად,
ამ წუთისოფლის გზაზე მიგვდენის.

• • •

გულუბრყვილობაზე,
ხელიდან მეცლები,
ნეტავი გაგანდეს
თვისება მერცხლების, —
დაუბრუნდებოდი ადგილის დედას, —
იმ პირველ ჭიკჭიკს —
თოვლივით სევდას.
ნეტავი გეცლია —
ხასხასა ბალახი,
ყვავილთა ჯარობა,
კვირტების კვირტები,
რაცა მაქვს
ბალღობის მინდორზე ნანახი,
გულზე დამეყარა
საკმეველად ღმერთების...
ნეტავი გეცლია —
სიმართლის ფესვები,
თავად შემარგლა

სიფხიზლის მანვილზე...
გულუბრყვილობაზე,
ხელიდან მეცლები,
რაიც ძილშიაც
უფროვე მაფხიზლებს...
თანდათან
იკვრება სამყაროს ჯერადი,
თანდათან
დაბლდება ოცნების კიბე,
სიცრუე,
სიმართლე,
სიმღერა ფერადი,
აწ გზებზე
ცხოვრების შუქნიშნებს ჰკიდებს.
გულუბრყვილობაზე,
ხელიდან მეცლები,
არ ვიცი გავებით
თუ ემეცრებით!..

სიყვარულის გზები და...


 GEORGIAN WRITERS' UNION

ოთარ კითხნავს

ოთარ, ჩვენი სიყვარული
 ხვეწი ნისლად განრილა, —
 გახლენილა ორად გული,
 ორ თანაბარ ნაწილად.
 ერთზე სვედა დახატულა,
 მეორეზე — იმედი, —
 თი, ჩემო თვალნატულავ,
 გაფანტულა მძივები.
 თვალნატულა დღეებია,
 სიყმაწვილის დღეები,
 რა გოროზი ფერებია —
 ირემო ყვლმოდერების.
 გაიშალა თუ არა,
 ყვავილები იმ წლობით...
 დადიოდა ლუარა
 და ზამთარშიც ვიწვოდით,
 მოზიმშიმე ივლისის
 და კარმენის თვალებით,
 თუ არა ჩვენ,
 ვინ იცის,
 ფერთა გარდაცვალებით,
 როგორც ზღვაზე თოლია,
 მოლიცლიცე თოლითა,
 ყოველ ცისკარს ჩხორია,
 ვნებიანი თრთოლითა,
 რად გვხვდებოდა?
 ქარების
 მოფრიალე ფაფარით —
 აღქაჯების, ალების
 საოცარი ზღაპარით.
 ოთარ, წლები გაფრენილა —
 გიღულუნებს სამი ზუნდი,
 ვით ჩხორიას ლორთქო დილა,
 ვით შიმშიმა იაგუნდი...

მაგრამ ფერებს,
 თითქოს ფერი
 არვცა, დაჰკარგვია,
 იადონი წარსულს მღერის,
 რაც გვიფვარდა,
 რა კარგია...
 ორი ბარტყი მიზის ფრთაზე,
 მაინც ვიცქირები უკან...
 დღევანდელი სილამაზე,
 გუშინდელზე ჩელოს უკრავს...
 — რა ყოფილა?

ეს ყოფილა!
 წუთისოფლის ლიტანია,
 გუშინდელი გაყოფილა,
 თითქოს ორი მზის ტანია —
 დღევანდელზე ვმღერით და...
 სხედან ფრთებზე ბარტყები,
 შეცვციცინებთ,
 ჰერი და...

თურმე ასე არ კვდებით,
 საზრუნავი ბევრია —
 ოჯახი თუ სხვა რამეც
 და ბარტყებიც ნღვრიან,
 ჩვენთა სულთა ანარეკლს.
 სინამდვილე?
 სულ სხვაა და...
 ოცნება კი — ფრთოსანი,
 გახსნილია ცისკრის ფარდა,
 ვდგავართ ორი მგოსანი,
 ორი ბედისმჭედელი
 ვისმენთ ფუნჯის მოძახილს
 და, ვით ტაძრის კედელი,
 ზურგს გვიმაგრებს ოჯახი.

ზღაპრის პირაში

არა!
 პრინციპი და დრაკონი,
 არც ბრწყინვალეა ტაძართა,
 იმპერიათა არც ომი —
 უბრალოდ,

ხსოვნა ახანძრდა.
 სოფლის უბეში ზღაპარი:
 იყო და არა იყო რა...
 დვევის ეშვი და ფაფარი,
 ჭალაში ჭრელი ნიკორა,

ჭინკა მეწამულ ჭაობის,
მღერა ბაყაყთა გუნდების, —
რაზედაც მაშინ უდავობდით —
კოლხური იატუნდებით,
კვლავ აელვარდა სამყარო,
მბრწყინავი მთვარის ძაღვებით,
მიწა მკვრივი და აყალო,
მიწა — ჟანკისფრად ნაფერი.
კვართნი ჭარის თმები და
ბურბუმულათა ციალი, —
შორს, ოსაჩქუეს მთებიდან
ვარსკვლავთა იალკიალი.
იქ, არამხუტუს ძახილი
ყურში ჩამესმის ზაროვით...
ნამქერს მიაპობს მარხილი,
მოაქვს სვანეთში მარხილი.

ფაზისს აფრინდა სოხობი,
ნოქალაქვეთან ჩაემვა,
ამ წუთისოფლის ოხრობით
მივძაღვებოვარ კაემანს.
შაგრამ ზომ იცრთ, ნიადაგ
ის გემი, ამირძალენის,
ამ ყურეს რაზე მოადგა,
წადილითა და ბრძანებით,
საოცარია ზღაპარი,
ხანძრის ჩაუმქრალ აღებით,
თვალეზში მიცქერს მართალ:
ბოჩოლას წყლიან თვალებით.
ასე მივყვები იმ წადილს,
რაც არ ქრება არასდროს —
და ახლა ციდან მიწამდის
ვგავარ სიმართლის პარადოქსს.


• • •

ნუ, ნუ, დამიშლი ბავშვობის გუმანს,
თუ სწევას დასავალს ფერი ზაფრანის,
ამ წუთისოფლის წამიერ სტუმარს
მელამაზება ოდეს ზღაპარი —
ზღვაზე დაფინე გრილი რტოები,
როგორც ხალისის ბუდეშურები,
აწ და მარადის რომ გეთხოვები
სულ სხვა ბილიკზე მივეშურები.
ნურავინ მეტყვის — იყოს აოლი,
რაც დაქტოვე და, რაც მიკაფია,
იმ სიყმაწვილის ახლოს ფიორი,
ხსოვნას აწყდება დაქრილ კაფიად.
ნურავინ იქნება ფიქრის მთაფლავი,
რადგან დინებას აღარ მიენებდი,
როგორც მკათათვეს ხორბლის თავთავი,
მზეს ეფიცება ჩემი იმედი.
შენ დაიფარე დასაფარველი,
გადამყოფე წამიერ ხალისს,
მე კარგად ვიცი უკვე რა მელის, —
ხომ საჭიროა ვარდახდა ვალის?
კვლავ წონის აღერს ის ნემეზიდა,
მკაცრია, მკაცრი მსაჯული ძველი
და ტვირთი, რაც უნდა მეზიდა
ჩემი მხრების ბოყეს ისევე ულის.
ნუ კი დამიშლი ბავშვობის გუმანს,
გინდაც დასავალს სწვედეს ზაფრანი!
ზომ იგრძნო ახლა უცაბედ გულმა,
იმ ბავშვობასთან ჩქამი ნაპარალის.

მარიამოვის ლექსი


 ქართველი
 ჯიჯლიწმინდისა

დაწყებულა ხობალა,
 პო, და კენესის ლარჭემიც,
 როგორც ზეცის ნაჭერი,
 ან მუსიკის კოდალა —
 იკვერება ბეგრები,
 და ტაძარში ხანთლები,
 თრთოლად ცისარტყელების,
 ანდა ზღაპრის ფანტელის,
 თრთობად მიმოიქცევა
 სუნი ღვთიურ საკმეველის.
 ვარსკვლავები იცრება,
 დგება ეამი მყურების, —
 შემოდგომა იწყება,
 იძარცვება ტყე-ველი,
 დაეალ თავდაფიწყებად
 მეტყვეის და მეველის;
 დაეალ, დავეხეტები:
 ტყე-ტყე
 მინდორ-ველადა
 კოლხების და ხეთების
 აქ ვიპოვე ელადა...
 წარმართული ფესვებით,
 „ოდოიას“ ჰანგებით,
 დამაქვს ცეცხლის ლეჭები,
 ღვთაებათა განგებით!
 იყოს საღმრთო წყალობა:
 მაღაზახთან,
 მარანთან,
 ჭირნახულის გლობად,
 შენი ხილვა — მარაშნავ!
 აგუგუნე ლარჭემის
 მოწყურიალე ჰანგები, —
 ღმერთო, ტრფობით დამჭერი
 და მიცოცხლე გამგები.



ტაგუ მთაწარიშვილი

ნატვრა

ხალხურ კილოზე

ნეტავ ბედი მქნა,
პტრედივით
ლაგიჯდებოდი ერდოზე,
ან შენი ციხის
მცველი მქნა,
ან შენი ჯარის
მედროშე...
შენთა ღამეთა მქნა მნათი,
ან მნათე შენი ზარების...

ანდა ახდომა — მაგ შენი
ნატვრის,
ოცნების,
ზმანების...
მთლად უკეთესი: ჰიმნი მქნა
და შენი გული მმღეროდეს...
ნურე სიკვდილი დაჯდეს და
ათას წელიწადს მელოდოს.

უფლებაც მომეც

რამ მომილანდა ახლა ის ღამე,
ღონის ჩრდილი და მოწყენის მზვარე,
ნატვის რტოები ზღაპრებს ისხამენ
და მისი ალღო სიცილის ზარებს.
ახალი წელი!
და შორიალე
ფერების ფრქვევა ლალად და ქარვად...
გულზე პირველად ვით მორიელი,
მკებნს შური — რატომ ჭაბუკი არ ვარ.

ოდეს ამ მაღალ თასში მომღერალ
თეთრ ღვინოსავით ანთია ყელი,
ორღესულებით ვინ დამალირა
ასაკი,
ჩემი სურვილის მკვლეელი.
უფროთად აფრენას ვაპირებ მიწით,
ცხელი სინათლე სულში მიგალობს...
ღმერთო! თუ ტრფობის მიბოძე ნიჭი,
უფლებაც მომეც რომ შევიყვარო.

იგი შორს არი


 ქართული
 წიგნიწიგნი

ამ გორაკს —
 შალვა ნუცუბიძის
 პლატოდ მონათლულს,
 ბერიკაცების,
 დედაბრების ბაჩუნს მონატრულს —
 ესტუმრა გლეხი
 რომელიდაც ქართულ სოფლიდან,
 გულმკერდზე წვერი
 დაპფენოდა თეთრი, ფოფინა.
 მოხუცის ხილვა
 გვხარებდა ყველას,
 მეტადრე
 ბაფშვებს,
 მოხუცში
 თავთავიანთ პაპებს ხედავდნენ,

დინჯი ნაბიჯით
 მიჰყვებოდა იგი შესახვევს.
 ნეტავე იმ ბინას,
 რომლის კარსაც იგი შეაღებს,
 ხომ გაუთენდა აღდგომა დღე
 და გამკურნელი
 ხომ დადგა სახლში
 სოფლის სითბო,
 სოფლის სურნელი.
 ვერ მესტუმრება
 მე ბაბუა ზღაპრის გუდებით,
 მისი ქართულით
 ვერასოდეს ვერ ვაგბრუცდები.
 იგი შორს არი...

ო, რა დილაა

განთიადია,
 შეითვალა ცა ნალამური
 რა სიმშვიდეა!
 მზის სხივების
 ისმის ხმაური,
 მომესმა ჩქამიც
 კვირტის გაშლის,
 კვირტის ფაჩუნის,
 სივრცეს აქა-იქ
 გაეცრიცა ნისლის სარჩული...
 კვამლად აუშვეს
 თეთრი ფერი
 ცაში შვინდებმა,
 რა სიმშვიდეა,
 დმერთო ჩემო,
 რა სიმშვიდეა!
 სარკმლით სივრცელე
 წყაროსავით მოწანწკარეა,
 რა სიმშვიდეა სულშიც,

სულშიც რა სიმწანარეა! —
 სწორედ ისეთი,
 ნათქვამა რომ იცის ველმა
 ოდეს მთავრდება
 სისხლისფერი ტყვიების დელგმა...
 წუხელ სიტყვებთან
 გარდვიხადე ზრდილა ფიცხელი,
 ვცემდი ნალარას,
 საგანგაშო ზარს ვარისებდით...
 საჭალალდემი,
 მრავალ მათგანს გადაუძახე,
 ბევრიც ვიფრინე,
 ბევრიც ლექსში დავატუსაღე
 რა სიმშვიდეა!
 მზის სხივების
 ისმის ხმაური
 ო, რა დილაა!
 რა ცინცხალი,
 რა საამური!

დავით გურამიშვილის საუბარი საპროზაოსთან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამშობლოე ჩემო, ვერვინ მოთვალა
შენი ჭირი და წყლული ამდენი...
ეს წიგნი შენი ბედის მოთქმია —
ჩემი სულიდან ცრემლად ნადენი.

მაგ წიგნს ებარა, წლობით ებარა
იმედი შენი ხსნიისა და შევლის...
ეს წიგნი შენი მოფერებაა
და ფრთაგაშლილი ნატერაა შენი.

იმიტომ მეწევის გული და ღვიძლი,
შენს მტერს ვერ მივწვდი ამ სატყვეართ,
სხვისი მიწისთვის დაჯთხიე სისხლი —
შენი მიწისთვის დასათხევარი.

როდის იქცევა შენთვის ცა ქუდად,
მიწა — ქალამნად, ზეიმად ზარი...

როდემდე უნდა, როდემდე უნდა
იღო სხვის თეფშზე ულუფასავით.

რა თავში იხლი მტერთა შექებას
მათი უღლის ქვეშ მკენესარ-მკუთარი,
თუ არ გექნება თუ არ გექნება
სიცოცხლესავით გზა საკუთარი.

ნაღველში ვაწრთე და ვაფოლადე —
ეს წიგნი ოხვრით არას მდიდარი...
იქნება გარგოს და გამოგადგეს
დაფითზე მტყად ნადავითარი.

შენი წყურვილი ვერვინ ჩამიკლა,
შენსკენ მომჭროლ სულს მოსდევს სხეულიც
მაგ სიზმრადქცეულ მკერდში ჩამიკარ,
შინ დაგიბრუნდი წიგნად ქცეული.

პაპა მუხომეისა

ჩემს ლექსებს

მხოლოდ თქვენ უწყით,
თქვენ —
ჩემი დარდის
და სიყვარულის ღვიძლმა შვილებმა
ხად ვტყუი,
ხად ვარ მართალი ცამდი,
რას არ ვუფრთხობდი,
რა მაშინებდა.
ვის დავტყობდი,
რას ვველებოდი
თავს
მთელი ჩემი დღე და მოსწრება,
რატომ და რისთვის ვერ ვვლუოდი
ორივე ფრთაში დატყობილ ოცნებას.

მხოლოდ თქვენ იცით,
თქვენ — სიძულვილის
და ტრფობის ჩემის ღვიძლმა შვილებმა,
სულის კი არა, ხორცის სურვლი
რამდენჯერ უღვთოდ მაყოფილებდა.
ო, სტრიქონებო,
ასე რომ გაეზარო
შუბლის ნაოჭებს თქვენი მშობლისას,
მოძმისთვის შევბად,
მტრისთვის ლახვრად
იქცეით,
გასწით,
გზა მშვიდობისა!



ალექსანდრე ტაბატაძე

ამ ბაიხსენე

გარბიაში ექსკურსიაზე მყოფ ახალგაზრდებს.

აქ შენ არა ხარ მხოლოდ სტუმარი —
მარტო იღბენდე გაშლილ სუფრებთან,
აქ გაიხსენე, შენც გაქვს თუ არა
ამ სიმაღლეზე დგომის უფლება.
გადაივიწყე სიცხე საფხულის,
ჭრელ-ჭრელ ტურისტებს თავი ანებე,
იქვე, ხელმარცხნივ გამოქვაბულის
ზღურბლზე გაჩერდი, სული განაბე
და შეეცადე ის ხმა გაიგო,
რომელსაც არეინ არ გამოგძახებს
და ნუ იკითხავ, ვისი ხმა იყო,
უცებ რომ ასე აგაცახცახებს.
თავქვე წახვალ და მოგეჩვენება —
ეს კიბეები მაღლა მიდიან,
მთაზე ადინარ ხვეწებ-სვეწებით
და ზურგზე მძიმე ტვირთი კვიდია.

• • •

პატარა ქალაქის, პატარა ქუჩებში
მამაკაცს ათასში ერთხელ თუ შეხვდები,
დასადგურებულა დუმილი უჩვევი,
ალარ შრიღლებენ თითქოს და ვერხვებიც.
არსად — თავმომწონე კბაუკები,
ყველგან — თავმომწონე გოგონები...
რად მოუწყენია ზეცას ჩამუქებულს?
რატომ მისცემია სხვაგვარ მოგონებებს?
ცაგ, შუბლი გახსენი, გაბრწყინდი, განათდი,
ამაოდ, ამაოდ სული შეგზუთვია,
ეს ომი როდია, ეს — ორი საათით, —
პატარა ქალაქში დიდი ფეხბურთია.

დონორი

შეგობარ პოეტებს.

ვალდაცას შევლიას დონორის სისხლი,
 საქმე კეთდება,
 რა თქმა უნდა, ფრიად საქები,
 პოეტიც ასე
 ხულის ნაწილს სხვას აძლევს მიწყვივ,
 ნაღდი პოეტიც
 დონორია არანაკლები.

როგორც სისხლისთვის,
 ლექსისთვისაც სწერენ პონორარს
 (თუმცა კი ძუნწობს
 რედაქტორი თითო-ოროლა...),
 ოღონდ ვგ არის, სიკვდილია მერეც
 ნაღდი პოეტი
 ისევე დიდხანს რჩება დონორად.

ჩვენი

შოთა ლომსაძეს, ავტორს წიგნისა
 „სამცხე-ჯავახეთი“.

ვამთავრებ და ვზურავ.
 და ხმას აღარ ვიღებ.
 თითქოს სადღაც აზლოს
 თათრის ხმალი მიცდის.
 ცეცხლი უკიდია
 აწყურს, ახალციხეს,
 პაპაჩემის პაპის
 პაპის სახლიც იწვის.
 ყველაფერი იწვის,
 დგას ბული და კვამლი,
 იქ სადღაც ვარ, ბოლი
 მწვავს ცრემლიან თვალებს,
 გაბაწრული ვგდივარ.
 და წამებით დაღლილს
 მწმბირება თვალში
 ის ნახევარმთავარე.

ცოტაც — ცეცხლი შთანთქავს
 ყველაფერს და ყოველს,
 რაც დარჩება, ნასაც
 მიართმევენ ზონთქარს...
 აჰა, უკვე მთხოვენ,
 ენას, რწმენას მთხოვენ,
 გაბაწრული ვგდივარ
 და ხმამაღლა მოვთქვამ.
 ...უცებ მზარზე ხელი
 მებება და გკრთები —
 თავზე დამდგომიხარ
 მაგ ნათელი შუბლით
 და მიმაფრენ ცისკენ
 უბილაგი ფრთებით,
 ცაა ლურჯზე ლურჯი,
 არ ჩანს ფთილაც ღრუბლის.

მუნა

ო. ხეიძემ.

რა აღარ ახსოვს ამ ბებერ მუნას,
 რაღაც განგებით
 გადარჩენილს ცეცხლსა და ბუზარს
 წვიმა, ვითარცა მდულარე ცრემლი,

სეტყვა, ვითარცა ზუზუნა ტყვია,
 ტკივილი ბევრი, ოცნება ბევრი
 ქრილობებივით
 მის ნაოჭებს დღესაც ატყვია.

ერეკნული
მეზარსი

რა აღარ ახსოვს ამ ბებერ მუხას,
რადაც განგებით
გადარჩენილს ხერხსა და ბუხარს:
ბურუსი, ზვატი და ბორიაცყი,
კალაპოტიდან ამოვარდა შლეგი ლიპზვის,
კასპიის ზღვაში ჩატანილი
თბილი აკვნები,
უგუნურება,
უზნეობა,
შური,
მზაკვრობა...

რა აღარ ახსოვს ამ ბებერ მუხას,
რადაც განგებით

გადარჩენილს მეხსა და ზუზარს
თავლაფუდასხმული სათნოება
და სამართალი
და ლობევებზე
მოზეიმე ყვავთა ყრანტალი.
...ისევე დგას იგი —
ერთკაციან პიუხის გმირი
(გუთ სცენაა,
დანამული ბუნებრივ წვიმით)
და მამაკაცის ქემშარიტი ცრემლებით
ტირის
იმას, რაც მოხდა დიდხნის წინათ.

სიყვარული

ბაჭანზე, დიდი საათის გვერდით
მდუმარედ იდგა გოგო და ბიჭი.
გოგო — ლამაზი, მნათობი როგორც,
ბიჭი — მაღალი, ვითარცა ფიჭვი.
და ყველაფერი ხუთ წუთში მოხდა
მატარებელი დაიძრა ვიდრე:
ბიჭს შესცქეროდა გოგონა კობტა
და ნერვიულად იმტვრევდა თითებს.
იმტვრევდა თითებს, იკვნებდა ტურებს
და სათქმელს ასე აყვებოდა უზმოდ...

მერე ეღმავლის საყვირმა უცებ
მგზავრებს კვილით თავისკენ უზმო...
გოგონამ თავი ასწია მაღლა
და ბიჭს თვალებში შეხედა ისე,
ყველას ეგონა საცაა ახლა
დაგვიდება მის მაღალ კისერს.
ბიჭი ვაგონში ავიდა ხელად,
ბაჭანზე დარჩა გოგონა კობტა,
მატარებელი დაიძრა ნელა
და ყველა ვაგონს აღმოხდა ოხვრა.

• • •

შენ ტყე ხარ დიდი და მოშრიალე,
დიდი წყალი ხარ, დიდი მეწყერი,
მწვანე ტყესავით მუდამ ხშიანებ
და გარინდული ზეცას შესცქერი.
და შუბლი შენი მინანქრიანი
მუდამ ოცნებით შენისლულია,
ზოგჯერ რომ ტყეში ქარი გრიალებს,
მგონია იგი შენი სულია.
შენ ხარ ვნებების დიდი ჩანჩქერი
და ხარ ბალახი, ასფალტს რომ არღვევს,
შენ ხარ მდინარე ამოუმშრალი,
ედგაფუნები კლდეებს და არხებს.
შენ ხარ სინედლე და ათქვირება
და გაკართობს სულის გადამწიფება,

ხარ გაოცება და გაკვირება
და ზოგს პკონიხარ ხმელი წიფელი
და მენანება, როცა კაცები
შეუბრალებლად ჭრიან წიფელებს,
მგონია ფიჭვებს ძალად გტაცებენ
და გაბრალებენ ადრე სიბერეს.
შე გული მტკიცა და მწვეწნება
ვილაცამ შენზე ცუდი იფიქრა,
უნდა წაგართვას სითბო ქალური,
დაგტოვოს ცივი, როგორც სიბი ქვა.
შენ ხარ მდიდარი, როგორც სამყარო
და ზეციური, ვით ზეცა ლურჯი,
შენი ღმერთთა მწვანე სამყურა
და შენი ხატი — ფერი და ფუნჯი.

პვიმრის ფოთლები

რომანი

წიგნი მეორე

ნაწილი მეორე

თავი მეთორმეტე

სარდიონ რაჭველიშვილმა შახტზე უკანასკნელი თათბირი ჩაატარა. მის კაბინეტში გრძელ მაგიდას უსხდნენ კახაბერ გურასაშვილი, ტერენტი ჩაგუნაყა, შინაგო ჩარკვიანი. ზეინაბ ოცხელი, შახტის მთავარი ბუხალტერი დიმიტრი იობაშვილი, კიდევ რამდენიმე ინჟინერი, ყველა ისინი, ვინც წლების მანძილზე სარდიონის უახლოეს მეგობრად და თანამშრომლად ითვლებოდა კარები: შარაქნივ, ჩაბნელებულ კუთხეში, ტახტზე ვანარტოებით იჯდა გედეონ ხაზარაძე. იგი შახტის მთავარი ინჟინერის თანადეობო. ზეი ჯერ დამტკიცებული არ იყო, მაგრამ უკვე ყველამ იცოდა, რომ ეს საქმე გადაწყვეტილი, ტრესტშიც და რაიკომშიც შეთანხმებული იყო და დღეს თუ ხვალ ბრძანება დაიწერებოდა. გედეონი ვინმეს არც ამ თათბირზე გაუნაპირებია, — პირიქით, ლაპარაკი რაზედაც არ უნდა დაეწყოს, მისკენ უთუოდ მიბრუნდებოდნენ და აზრს ჰკითხავდნენ

უბრალოდ ასე მოხდა: კაბინეტში შემოვიდა თუ არა, გედეონი კუთხისკენ გაშართა და ტახტზე მორიდებით ჩამოჯდა. მთავარი ინჟინერის მდგომარეობას იგი ჯერაც ვერ მიჩვეოდა და თათბირის ბოლომდე იქვე დარჩა.

სალაპარაკო, კაცმა რომ თქვას, არც იმდენი პქონიათ. ყველაფერი ნათელი და გარკვეული იყო. სარდიონის წასვლა არაფერს არ ცვლიდა. ყველამ იცოდა, პირველ რიგში რომელი საქმე უნდა გაკეთებულიყო, რომელი — მეორეში, და ისიც, რის გაკეთებაც აუცილებელი სულაც არ იყო. მაგალითად, ქვანახშირის ხარისხის გაუმჯობესებაო, კომპინატიდან რომ იწერებოდა კომპინატის ხელმძღვანელობამ მართო ის იცის, რომ ბრძანებებს იძლევა, — მომავალ კვარტალში ქვანახშირის ნაცრიანობა კიდევ ერთი მეთაიდი პროცენტით შეამცირეთო. პო, მაგრამ — როგორ? რის ხარჯზე? მიწისქვეშეთში ქვანახშირის ხარისხი ისეთივეა, როგორც წინა კვარტალში, გასულ წელს, ათი წლის წინათ, მილიონობით წლის წინათ იყო.

ამოღებული ქვანახშირი მომავალ კვარტალში კიდევ უფრო მეტიც კი უნდა ამოიღონ. მუშახელის რაოდენობას ისევ შეუცვლელად გიგეცმავენ. ორი-სამი ერთეული შტატით კიდევ რომ მოეგიატონ, მუშახელი მაინც არსად იშოვება. მიწისქვეშეთში მუშაობა აღარავის უნდა. ყველა პროფესიონობასა და მომღერლობაზე თუ არა, ტაქსის შოფრობაზე მაინც ოცნებობს. რატომაც არა? ჩაჯდება იმ გაკრიალებულ „ვოლგაში“ და ისრიალებს, საღამოს კი აკაღუნე იმდენ ფულს შტატის ზომ შოგენშახტეს არც კი დაეხასოებოდა. ეს ქვანახშირის ხარისხი როგორღა გააუმჯობესონ? იწერებიან შესაფერისი კონვეიერები და რეშტაკები დადგითო. ძალიან კარგი, დადგით მაგრამ ხარისხს რომ მაინც არაფერი ეშველება? როგორც იყო ისეთივე დარჩა, ასლა? გამამდიდრებელი ფაბრიკა? მუშაობს და კიდევ იმუშავებს, მაგრამ რასაც შარშან და შარშანწინ აკეთებდა, მომავალ კვარტალშიც იმასვე გააკეთებს, მოიგონონ იმ ინჟინერ-კონსტრუქტორებმა ახალი რამე, დაწერონ და — კი, ბატონო! ვინ მამაძალი! ეს ნაცრიანობა ნეტა სულაც გამჭრალა და მოუსაველეთში გადაკარგულა. ამას რა საზობია, ქვანახშირის დაწვის შემდეგ ღუმელში ცრითი გრამი ნაცარიც რომ აღარ დარჩება? იფ, იცოცსლე, ეს კარგი აკარამ კონსტრუქტორები რამეს იფრებენ? ქმნიან? ნურგავენ? შენც არ მომიკვდე! რა ვიცი, შახტებამდე კი არაფერი აღწევს და... სხედან. შენ ხარ ჩემი ბატონი, იმ თავის გაბინტებში, რალაცებს ხახვენ, რალაცებს ანგარიშობენ... იპ, რაც იქ ქალაღი ისარჯება! კვარტალის ბოლოს კი პრემიებს იღებენ, ნახაზები დროზე ჩავაბართო, და მორჩა! შენ კი აღეკი და „ნაცრიანობა შეამცირე“ არა, კაცო. ამაზე უარს კი არავინ ამბობს, რაკი კომბინატი იწერება, ალბათ საჭიროცაა, და ეს უქსოლოატაციის ხალხი ყოველნაირად შეეცდება ამ ბრძანების შესრულებას, მაგრამ...

— ბრძანება რომ მოგვივით, ნაცრიანობა შეამცირეთო, თავი დაუქნიეთ და... — სარდიონმა ყურის ძირი მოიქექა. — არა, თუ რამეს მოახერხებთ, ამას რალა აჯო-

ბებს. მე იმას კი არ გეუბნებით... ნაცრის ყოველი პროცენტი, ვინ იცის, ჩვენს სახალხო მეურნეობას რამდენი მილიონი მანეთი უჯდება. ჯერ მარტო იმ ნაცრის განება, შედმეტი მუშახელი... ერთი სიტყვით, იფიქრეთ და... შოგჯერ ძალიან თავსატეხი საჭმე სულ უბრალოდ, რომ არ მოვლი, ისე უბრალოდ გადაწყდება ხოლმე.

— ეგ მთავარ ინჟინერს უფრო ეხება. — კახაბერმა გედეონ ხაზარაძისგენ დიმილით გაიხედა. — ხომ გესმის, გედეონ ნაცრიანობა შეამცირეთო.

— შესმის.

— შე ოჯახშენებულო, გედეონის მაგირად კახაბერს ტერენტი ჩაგუნჯავმ უპასუხა, — მთავარი ინჟინრის სკამზე ათი წელიწადი ვიჯექი და ნახშირის ხარისხს ვერაფერი შევმატე, ეს აღამიანი კი ჯერ დანიშნულიც არ არის და უკვე ამდენ რამეს სთხოვ?

— კახელი რომ სუშრობას დააპარებს, წინასწარვე უნდა გამოაცხადოს, — შეინაბ ოცხელი დაიხარა, ხელჩანთა გახსნა და პაწაწინა, მრგვალ ხარკეში ნამალეკად ჩაიხედა.

ყველამ გაიცინა. მათ შორის, კახაბერმაც. ისე გულიანად ხარხარებდა. რომ სკამის ზურგზეც კი გადაწვა.

— კიდევ რა? — სარდიონმა ისე მიმოიხედა, თითქმის კედელზე უნდა ამოვიკითხა, რა დამრჩა უთქმელიო, — მეტი, მე მგონია, არაფერი. დანარჩენს თქვენ ძეითონვე დაინახათო. კო, ზე-ტყა ანუ შევეშინდებათ. ისე სხვა მასალუბააც და თუ უჩემობა მართლა ძალიან გააძვირდეთ, თუ მართლა რაიმე ისეთი გამოტკორეს, მე შორს კი არსად მივდივარ. კომბინატის გზა და დერეფნები ყველამ იცით. ახლა რომ აკაკი ზის, მე ზუსტად იმ კაბინეტში ვიჯდომები. გასაგებია?

— გასაგებია.

თათბირის ყველა მონაწილემ ძალიან კარგად იცოდა, რომ შახტიდან მიმავალ სარდიონს ყველაფერზე უფრო მესამე უბნის საქმეები აწუხებდა. მაგრამ ამ თემაზე ლაპარაკისაგან სარდიონიც იკავებდა თავს

და დანარჩენებიც. ან კი რა უნდა ეთქვას? ის ოხერი, ის უფიქრელი არაყვანიძე იმ ტიპალ გოგოლა ხომასურსიძეს რომ არ გადაჰკიდებოდა, საქმეს კიდევ მოეფლებოდა. რაც არ უნდა იყოს, იმ ბიჭმა თანამდებობაზე უკვე რამდენიმე თვე იმუშავა, მუშახტებთან თითქოს საერთო ენაც გამოიტანა, — რაც მთავარია! — ისედაც ჭკვიანი და დახედული ბიჭი ჩანდა. და უცბათ — ყველაფერი წყალში არ გადაყარა? ამბობენ, მუშახტებს მისი დანახვაც კი აღარ უნდათო. და არავინ იცოდა, თუ ეს ამბავი რითი გათავუდებოდა.

— კიდევ რა? — გაიმეორა სარდიონმა.

— მეტი არაფერი. — გაიხმა აქეთ-იქიდან.

— მართლა მოსკოვში ხომ არ გადადიხარო.

— ჩვენ ისევ თქვენნი იმედით ვარჩებით.

— ნამდვილად! უთქვენოდ ერთი დღეც ნუ გვამყოფს.

არავის უნდოდა, მესამე უბანი ეხსენებინა და სარდიონისთვის მეგობარ-ამხანაგებთან განშორების ბოლო წუთები ჩამწარებინა.

— ადამიანმა კერ საკუთარი თავის იმედი უნდა იქონიოს და მერე კი სხვისი. — თქვა სარდიონმა და წამოდგა.

— დღეს ვახშობას სახლში ხომ არ აპირებთ? — სწრაფად ჰკითხა გურასაშვილმა და ისიც წამოდგა.

— აბა?!

— ოჰ, ბატონო სარდიონ, მაგაზე კი დიდი ბოდიში! „მარგალიტის წყაროში“ პატარა სუფრა უკვე შეგვეთილი გვაქვს. ამ ახალგაზრდა, გამოუცდელ, მოუმწურებელ ხალხს ამოდენა უღელი დაგვადგი და განშორებისას ერთხელ მაინც აღარ დაგვლოცავ?

— დაგვლოცავს, დაგვლოცავს... — დარწმუნებით განაცხადა შვინაბ ოცხელმა და იმ პაწაწინა სარკვეში ერთხელაც ჩაიხედა, ოღონდ, ახლა უკვე აშკარად, ყველას დახანაზად.

— თქვენი ნება იყოს! — სარდიონმა ხელები გაშალა.

„მარგალიტის წყაროში“ სუფრაზე თამალობა შახტის ასალმა უფროსმა კახაბერ

გურასაშვილმა ივისრა. როგორც იტყვიან, კახაბერი იმ დღეს ფორმა-შეცვლაში ჰქონდა. უდღევრძელებელი არავინ დაუტოვებია, ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელებიც კი, — მართალია, ზოგჯერ ძალიან უზვიერო და თავსატეხ ბრძანებებს გვიგზავნიან, მაგრამ უიმათოდ მაინც არ ვვარგევართ. ჩვენი გზის გამკვლევი ისინი არიანო. კახაბერს სხვებიც აყვინ და ბოთლები ბოთლებზე იცლებოდა. ერთი სადღევრძელოც კი არავის გამოუტოვებია. შვინაბ ოცხელმა ორი ჭიკა დასცალა, ლოყები აუვარდისფრდა და იქაურობა კისკისით აიკლო. მაგრამ დათრობით მაინც არავინ დამთვრალა. და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ მესამე უბანიც აღარავის უხსენებია.

მეორე დღეს სარდიონი შახტზე უკვე აღარ გამოჩენილა. ამიტომაც იყო, რომ — თითქოს სარდიონის წასვლა ახლა გაიგესო, — იმ დღეს შახტზე ბევრი ოხრავდა, ბევრი თავჩაქანდრული, ჩაფიქრებული დადიოდა. და მართო მუშახტები კი არა, ინჟინრებიცა და ტექნიკოსებიც. უსარდიონოდ ეს შახტი ბევრს ვერც კი წარმოედგინა და ვინმემ არც ის იცოდა. თუ კახაბერ გურასაშვილი როგორი უფროსი გამოდგებოდა.

ეს არც თვითონ გურასაშვილმა იცოდა და საკმაოდ უგუნებოდაც იყო. „ხომ ყოფილა, რომ სარდიონი შვებულებაში წასულა, — უთხრა მან დიმიტრი იობაშვილს როცა მან რაღაც ჭალადები ხელისმოსაწერად შეუტანა, — მთელი თვე, თვე-ნახევარი, ზოგჯერ ორი თვითაც კი შემიძლია — და არაფერი. ისე არჩეინად ვიყავი, რომ შენი მოწონებული ვიცოდი, რომ უკანვე დაბრუნდებოდა. ახლა კი... აბა, რა ვიცი!“

— ღმერთი მოწყალეა, ბატონო კახაბერი!

— სხვა რა და გეოქმის.

თერთმეტ საათზე ტრესტიდან თვითონ სარდიონმა დარეკა, ხაზარაძის საკითხი გადაწყდა და ახლავე ბრძანება დაწერეთო. ბრძანება მარგალიტა ხევერიანმა

საკუთარი ხელით დაბეჭდა, — მან ჯერ არ იცოდა, თუ შახტის ახალი უფროსი როგორი თვალთ უყურებდა, — და კახაბერს შეურბენინა. კახაბერმა ბრძანებას ხელი მოაწერა და მარგალიტას უთხრა,

გედეონს უთხარი, ბარემ ჩემთან შემოვიდე. გედეონი მალე შემოვიდა. კახაბერმა თანამდებობა მიულოცა და დაჯდომა შესთავაზა.

— დაბრძანდი, ჩემო გედეონ. მეც დავჯდები. დაესხდეთ და მოვიტათობროთ.

თავი მესამე

გედეონ ხაზარაძე ინჟინრების ოჯახში იყო გაზრდილი. მამამისმა სამთო ფაკულტეტი მადებურგში, ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის წინ დაამთავრა, დედა კი თბილისის უნივერსიტეტის ერთი პირველი სტუდენტთაგანი იყო. ხაზარაძეებს შვილი დიდხანს არ ჰყოლიათ და ბოლოს, როცა, როგორც იქნა ეყოლათ, იფიქრეს, ამას რაიმე სხვა სპეციალობა შეუერთოთ. ჩვენც გვეყოფა, რაც მიწისქვეშეთში ვიწვავლეთო. მაგრამ მერე ეს აზრი შეიცვალეს. ესეც სამთო ინჟინერი იყოს, საქართველოს ასეთი ხალხი ასევე ჭირდება და მომავალშიც დიდხანს დასჭირდებაო. გედეონმა სწორედ დედ-მამისაგან შეიხისხლსორცა სამთო საქმისა და გეოლოგიის სიყვარულიც, სწავლის მუდმივი, დაუოკებელი წყურვილიცა და ინჟინრული ეთიკაც. არ იყო შახტზე საქმე, რომელსაც გედეონი ყოველმხრივი ინჟინრული შესწავლის გარეშე გადაწყვეტდა, და არ იყო ქვეყნად ძალა, რომელიც გედეონს ინჟინრული და სამსახურებრივი ეთიკის თუნდაც სრულიად უმნიშვნელო ნორმიდან გადაახვევინებდა. სწორედ ამ პრინციპულობით მიიქცია მან თავიდანვე სარდიონის ყურადღება. სარდიონმა თავიდანვე იგრძნო, რომ ეს სიტყვაძვირი ახალგაზრდა აქ სამუშაოდ იყო ჩამოსული და არა რაღაც „ვალის მოსახდელად“. და აკი თავის გულში თავიდანვე „მობაზა“ ამ ახალგაზრდის კარიერაც.

თავის მხრივ გედეონიც ღრმა პატივსა სცემდა სარდიონ რაჭველიშვილს. ყოველ შემთხვევაში, სარდიონის არც ერთ გადაწყვეტილებაში, რომელიც კი პირადად

მას, გედეონს შეეხებოდა. ახალგაზრდა ინჟინერს არასოდეს არავითარი ეჭვი არ შეუტანია. ასე იყო თავიდანვე და ასე გრძელდებოდა წლების განმავლობაში. გედეონი დარწმუნებული იყო რომ სარდიონს მისთვის მხოლოდ სიკეთე უნდოდა და მისი — ახალგაზრდა ინჟინრის ზრდისა და დაგეგმვისათვის ყველაფერს აკეთებდა.

სარდიონის პირველი ნაბიჯი, რამაც გედეონს გაკვირვება და, რაღა დასაშალავია, მცირე უკმაყოფილებაც კი გამოიწვია, თეიმურაზ არჯვანიძის უბნის უფროსად ნაკუბათევი, ყოვლად გაუმართლებელი დანიშნა იყო. სიმართლე უნდა ითქვას: გედეონს საექსპლოატაციო უბანზე არასოდეს უმუშავნია და როცა გაიგო, ჯიბრაილ ხელაკლიშვილის მოხსნა ვადაწყვეტილიათ, სულის სიდრემში რატომღაც ასე გადაწყვიტა, ჯიბრაილის თანამდებობაზე სარდიონი ნამდვილად მე დამნიშნავსო. მით უმეტეს, რომ ამ დროისთვის გედეონი უკვე რამდენიმე თანამდებობაზე იყო ნამუშევარი და საკმაო გამოცდილებაც კჭონდა შექენილი.

გედეონმა მაშინ უკვე იცოდა, რომ სარდიონი მას შახტის საწარმოო განყოფილების უფროსად ამზადებდა. ამ თანამდებობის კაცს კი საექსპლოატაციო უბანზე მუშაობის გამოცდილება ყოველთვის, ყოველ ნაბიჯზე ძალიან გამოადგება. და მაშინ, იმ დღეებში გედეონი, ცოტა არ იყოს, უკვე შეფიქრანებულიც კი დადიოდა, ხომ არ შეერცხვები, შეეძლებ თუ არა, ამოდუნა უბნის გაძლიერება.

მაგრამ მესამე უბნის უფროსობა, გედეონისთვის არავის შეუთავაზებია. მხოლოდ

თუ მეხუთე დღეს მან გაიგო, ჯაბრალ ხელთუფლიშვილის ადვილზე ვიღაც თბილისიდან ჩამოსული ახალგაზრდა ინჟინერი დანიშნესო. „ახალგაზრდა“ — საკმაოდ ფართო ცნებაა და გედეონ ხაზარაძემ იტიქრა, ის თბილისელი ინჟინერი ოცდაათი წლის მაინც იქნება და შახტში მუშაობის საკმაოდ გამოცდილებაც ექნება, თორემ სარდიონი ამოდენა უბანს არ ჩააბარებდაო. გედეონი სარდიონზე ცოტა ნაწყენიც კი დარჩა, გვერდი რატომ ამიარაო. მაგრამ ეს წყენა მალე გაუნელდა, ხოლო როცა ერთი კვირის შემდეგ შახტის სასადილოში ვიღაცამ ან შესამე უბნის ახალი უფროსი თეიმურაზ არჯევანიძე გააცნო, ის პატარა წყენა უსაზღვრო გაოცებამ და შემოფოთებამაც კი შეცვალა: „ეს ბავშვი — შესამე უბნის უფროსი?! ან სარდიონმა როგორ გაბედა, ან თვითონ ეს ბიჭი რას ფიქრობს?!“

გედეონმა მაშინ თავისი გაოცების დამალვა ვერ მოახერხა და არჯევანიძის ღიმილს წააწყდა. ის ღიმილი გედეონს ოდნავ ირონიულიც ჰქვენა და ოდნავ თავდაჯერებულაც. მაგრამ გედეონი ძალიან კარგად აღზრდილი, უაღრესად თავაზიანი ახალგაზრდა იყო. მან არჯევანიძეს ხელი მაგრად ჩამოართვა, მუშაობაში წარმატება უსურვა, უთხრა, ამ ქალაქში ახალი ჩამობრძანებული ხარო და თუ რამეში დაგჭირდეთ, აქა და აქ მზახეთ, ძალიან ვთხოვო, ნუ მოშერიდებითო, და დაემშვიდობა.

ამის შემდეგ შესამე უბნის ამბები გედეონში მუდამ პროფესიულ ცნობის წადილს იწვევდა. და რაკი შახტზე არაფერი იმალებოდა, ყველაფერს იგებდა ხოლმე. ჯ. იგო იორამ ნოსელიძის დაღუპვის ამბავიც, მერე ისიც, რომ გერასიმე ცნობილიაძის პანაშვიდზე ბერიკაცის სიკვდილს ზოგი არჯევანიძეს უფრო უსამძიმრებდა, ვიდრე გარდაცვლილის ნათესავებს. ყურმოკრული ჰქონდა ოდიბაშვიის ინტრიგების ამბავიც. ბოლოს ისიც გაიგო, რომ არჯევანიძეს ვოკოლა ხომასურიძესთან რაც საქმე ჰქონდა და ამით თავისი უბნის მუშახტები, რომლებიც მას უკვე მიეწვივნენ, პატივსაც სემდნენ და ანგა-

რის უწყედნენ, ძალიან გაანაწყენა. ზოგი იმასაც კი ამბობდა, მუშახტებს არჯევანიძის დანახვაც კი აღარ უნდათო.

გედეონ ხაზარაძე თავისი საქმის, თავისი შახტის პატრიოტი იყო და ეს ამბავი მას ძალიან აფიქრებდა.

სარდიონ რაჭველიშვილს გედეონის თვალში პატივისცემა ერთი წუთითაც არ დაუკარგავს. სარდიონი პატიოსანი, დაულალავი, ალალმართალი შრომელი იყო. მაგრამ გედეონ ხაზარაძე თანდათან უფრო და უფრო ხშირად ფიქრობდა, სარდიონსაც იგივე ნაკლი აქვს. რაც ბევრ კარგ, გამოცდილ, პატიოსან, საკრამ უკვე ახალი შესულ მუშაკს ახსიათებსო. ძნელიც კია, ამ ნაკლს სახელი მოუძებნო. ეს არც გულგრილობაა, არც დაღლილობა, არც საქმის მობეზრება. ეს ადამიანები თითქოს ისევ მონდომებით და უანგაროდ მუშაობენ, ისევე უზადოდ იტყვიან, მაგრამ... ცოტა გაამაჟებულნი და ზედმეტად თავდადებულნიც არიან. არა პოინიათ, თუ მათ რამე შეეშლებათ, რამეში შეცდებიან...

რალა შორს მივიდვიართ, აი, თუნდაც სარდიონის გუშინდელი საქციელი ავიღოთ: კომბინატის ხელმძღვანელებს ქვანახშირის ნაცრიანობის შემცირებაზე თავი კი დაუქნიეთ, შესრულებით კი ამ ბრძანებას, თუ გინდათ, ნუ შეასრულებთო. და ეს საჯაროდ თქვა, თითქოს არ, იცოდეს, ნაცრიანობას რა მნიშვნელობა ჰქონდეს. მერე თითქოს ნათქვამი გამოასწორა, მაგრამ თავი დიდად არც ამისათვის შეუწყუხებია. ახალგაზრდა ინჟინერი კი, რომელსაც მთელი ცხოვრების გზა წინა აქვს, თავის თავს ასეთი საქციელის უფლებას არასვზით არ მისცემს. სარდიონის ხნის ხალხს კი რაღაც დაუჯერებლობის გრძნობა უჩნდებათ. თითქოს, ცოტა ცინიკურად ხდებიან.

ან იმ ანთიმოზ ჩახუნაშვილის საქმე ავიღოთ. მთელმა შახტმა იცის, რომ ეს კაცი ნამდვილი უსაქმური, ინტრიგანი, მოშვევტი, ნამდვილი ხორცმკვია. აქანდუ ასჯერაც უნდა მოესწათ და გაეგდოთ. ამით იმავე არჯევანიძესაც შეეშველებოდნენ. მაგრამ სარდიონმა ერთხელაც კი „არ იკადრა“, „თავი იქამდე არ დაიმკირა“,

რომ ანთიმოზისთვის ბრძანებით ორიოდ საყვედური მაინც გამოეცხადებინა, თუმცა ის კაცი ამას ყოველდღე იმსახურებდა. მაშინ კანონიერად მოხსნიდნენ ან სარდიონს ასეთი „წერილმანებისთვის არ ეცალა“, ანთიმოზი ვინღა გვია, რაი სარდიონმა მასზე ხელი გაისვაროს? მერე კი, როცა უბანზე კაცი დაიღუპა და მონასტერი აირია, სარდიონმა აიღო, ყოველგვარ კანონს გადააბიჯა და ანთიმოზი თანამდებობიდან ძალღვივთ გააგდო. ის კაციც გამწარდა. ისე გამოდიოდა, თითქოს იორამ ნოსელიძის დაღუპვა ანთიმოზის ბრალი იყო: ის დაიღუპა — პასუხად ეს მოხსნეს. გედონს არც კი გააკვირვებია, რომ ანთიმოზი ასე თავგამოდებით იბრძოდა აღდგენისათვის და თავი აღიდგინა კიდევ.

ან იგივე არჯევანიძის დანიშვნა. ერთი შეხედვით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: უბანზე საქმეები საათივით იყო აწყობილი. კოლექტივი მეგობრული, მრავალნაგადი, მტკიცედ შედუღებული იყო. არჯევანიძეც, დინჯი, დაკვირვებული ბიჭი ჩანდა. ყველაფერი რიგთანად უნდა წასულიყო. მაგრამ... სულ მოკლე ხანში ყველაფერი ისე შეიცვალა რომ აღარავინ იცოდა, საქმეს რა ეშველებოდა. გედონს აღარც კი აკვირვებდა, რომ ტრესტში ხანმოკლე ვადასულ სარდიონს ყველაფერზე უფრო მძიმე ტვირთად მესამე უბნის დარდი მოჰყვებოდა და მანამავე კი მხოლოდ თვითონ იყო. სხვა მის ადგილზე ქვას გახეთქავდა და უბანს უფრო ღირსეულ ხელმძღვანელს გამოუნახავდა.

ახლაც, როცა კახაბერ გურასაშვილის კაბინეტის კარი ჩაიკეტა და გედონთან სათათბიროდ მოემზადა, ხაზარაძე მიხვდა, რომ ლაპარაკი უმთავრესად მესამე უბნის გარშემო იტრიალებდა და არც შემცდარა.

— გედონ ბატონო! — დაიწყო კახაბერი, — ჩვენი შახტის საქმეები თქვენ ჩემზე უკეთ თუ არა, ნაკლებად არ იცით. ჰოდა, თქვენ მითხარით, ყველაფერზე უფრო რა გაწუხებთ, მე კი გეტყვით, ყველაფერზე უფრო გულს რა მიღონებს. ჰოდა, მერე ერთად ვიმოქმედოთ... თუ არა-

და... რა ვიცი... კახეთი დიდია, ერთ სავე-
ნახეს მე არაფერს დამამადლებს. ვლახუნის
პაერით მაინც ვისუნთქავ სარდმე...

— ეგრე გული რამ გაგიტყვიათ, კახა-
ბერ ბატონო?!

— ეგ თქვენც კარგად მოგვსენებათ.
ეგ ამბავი შახტზე ვინ აღარ იცის? ჰოდა,
მე ასე ვიტყვი: კარგი ბიჭია, პატიოსანი
ბიჭია, განათლებული ბიჭია, მცოდნე ბი-
ჭია, მაგრამ... არ ვიცი, თავისი საქმე,
თითონვე გამოასწოროს მე რა ვუყო?

— თქვენ, ალბათ...

— დიახ, დიახ. არჯევანიძეზე, მოგახ-
სენებთ. საყვარლები არ მომინდომა! აი
ზოგი ამხანაგის უპასუხა! მგალობა ხანა-
მდის მიდის! დღისით-მისიხით, სხვაუ-
ცოლოთან, თავისივე თანამშრომლის ცოლ-
თან კოტრიალი არ წამოთმეწყო?! არა, ეს
გაკონილა?!

— მე მითხრეს, ეგ ამბავი ღამე მოხ-
დაო, — ღიმლით უთხრა გედონმა.

— აა! ღამითათ? ჰოო... ეპ თქვენ ხუ-
მრობთ, ჩემო კარგო, მე კი... არა, კა-
ცი ინიერი ხარ, გენდეთ, იმოდენა უბ-
ნის. უფროსად დაგაყენეთ, ასეთი პატივი
გეცით — იმდენი როგორ არ უნდა გეს-
მოდეს, რომ აქა, შახტებში, მთავარია
ადამიანებთან ურთიერთობა, ამხანაგების
პატივისცემა, ერთმანეთისათვის ანგარი-
შის გაწევა... ეს თუ არ იცი, მაშ, რაღა
ინიერი ხარ. შეგაი კაცო, სიტყვაზე ვამ-
ბობ, მე თუ შენი ოჯახში შემეშენისა შე-
მეშინდა, მაშინ... ჰო! სარდიონი ამ სა-
ქმეზე დარდმა გაათურა. კაცმა ღამის
ტრესტში გადასვლაზე უარი თქვა, მაგ-
რამ გადავიდა, იმას ვინღა ვკითხებოდა!..
ჩვენ კი, აი, ეს აპენდიციტი დაგვიტოვა.
ან კი რაღა გქნა? ამ დილას აქეთია,
უკვე ორჯერ დამირგვა, საქმეები როგორ
არისო. მე ხომ ვიცი, იმას რაც აწუხებს.
მაგრამ ახლა მე რაღა გქნა? აი, მიბრძანე!
შეშახტეები ყოველგვარ ჩახლართულ
საქმეებს აპენდიციტს უწოდებდნენ.

— რას მტყვი, გედონ ბატონო? ვე-
ძვერო და მოგხსნა? ვერა! სარდიონის
დანიშნულია ან მის მაგივრად ვინ და-
ვაყენოთ?

— ეგ ცოტა რთული საკითხია, ბატონო

კახბერ! იქნებ, ჯერ უფრო ადვილი საქმე იქნება თვის მიგეხედნა?

— ბატონი ბრძანდები! ისე კი, უნდა გიხარა, მესამე უბანი ძალა და დიდად მთელი შახტი მაგაზეა, თორემ... კარგი; ეგ მერე იყოს. ახლა მიბრძანე რაცა გნებავს.

— უპირველეს ყოვლისა, ზედა სავენტილაციო შტრეკი ახლავე უნდა გაეაწვროთ. ისინი მიდგნენ და გარეგეს რამეს აღარც მარკშეიდერებს ვკითხებთან, აღარც სხვა ვინმეს. ადვილი სამუშაოა და იმიტომ. ჭერიც საიმედოა, ქვანახშირიც მშრალია. ქვევით საკონვეიეროში ჩამოსვლა კი ესარებათ, იქ არც ჭერი ვარგა და წყალიც ბევრია. იქიდან ამოსულ კაცებთან აღარც კი ჭირდება.

— ნამდვილია მივხედავ.

— ბუნკერის ქვეშ და ხაწყობშიც, ქვანახშირის დასატვირთავ ადგილებზე განათება უნდა მიეუმატოთ. ამაში ტექნიკური კონტროლის ინსპექცია მართალია. იქ კი ორი ამწე რა საჭირო იყო, ვერაფერი ვერ გამოიგია.

— დაიცა, ჩავიწერ.

— ახლა უფრო სერიოზული ამბავი: შახტში ძალიან ბევრს ეწვეიან.

— ეწვეიან?! — კახაბერმა თვლები გაკვირვებით დააჭყიტა, — ბერებს?!

— ეწვეიან, — თქვენ და ხარდიონს გერიდებოდნენ. უფროსები ბრძანდებოდით და თქვენს გამოჩენაზე პაპიროსებზე მალავდნენ ამისათვის სპეციალურა ხიჯნალიზაცია კი აქვთ: თქვენი გამოჩენისას ვენტილაციის მილების რკინებს ურახუნებენ. მე კი... პატარა კაცა ვიყავი და არავინ არაფრად მაგდებდა. ყოველი ჩაბნელებული კუთხიდან პაპიროსები ციმციმებენ. პირდაპირ ციცინათულები გეგონებათ.

— ერთი იმათ დამიხედდე! — კახაბერს ფერიც კი წაუვიდა. — არა, ერთი იმათ დამიხედდე! კაცო, საკუთარი თავი, საკუთარი ცოლ-შვილი მაინც არ ეცოდებათ? მე მაგათ ვაჩვენებ. ნახვარ შახტს რომ უპრემიოდ დაეტოვებ, მაშინაც

მოსწიონ. ან ცვლების უფროსები კრალას უყურებენ?!

კახაბერმა მაგიდაზე დადულილ გეგმებზე ბლოკნოტზე რაღაც გაფაციცებით ჩაჩხანა.

— მეშახტებს, მოგეხსენებათ, გათამამება ჩვევიათ. ერთი მხრივ, ეს გასაგებია: კაცს ბეზრდება სულ ხიფათის მოლოდინი. წესს ჯერ ერთხელ და ვეხს, მერე შეორეჯერ... ჯერ გაუბედავად, მერე კი თამამად და...

— ეგ მე არ ვიცი! ეგ ფსიქოლოგია მე არ მაინტერესებს. მე ის ვიცი, რომ ზოგან ერთადერთ ნაპერწკალს მთელი შახტი დაუნგრევია. უბრემიოდ! მორჩა! კიდევ რა? ვისმუნ, ბატონო გედუონ!

— ხე-ტყის მიწოდებლებს ხელფასი უნდა გაუდიდდეს.

— მაგისი უფლება ჩვენ ვინ მოგვკა?

— ეგ მე არ ვიცი, მაგრამ აქ დიდი უსამართლობა ხდება. ჩვენ მთავარ ყურადღებას მწვრეტელებს, მექანიზატორებს, ნებიგებს, ჩამომტყველებს, ვაქცევთ. ნამდვილ მეშახტებად მარტო ამათ ვთვლით. ესენი არიან გმირებიც, საამაყო ხალხიც და ყველაფერი. ხელფასსაც დიდს იღებენ და ეს სწორიცაა. მაგრამ ხე-ტყის მიწოდებლებმა რა დაანავეს? მაგათ ძალიან ხშირად მუშაობა ისეთსავე სახიფათო პირობებში უხდებათ. ძალ-ღონესაც უამრავს ხარჯავენ. არა, მე მესმის. რაღაც განსხვავება უნდა იყოს, ჩამომტყველის შრომა მაინც სულ სხვაა. მაგრამ... ამ საქმეს მაინც მიხედვა უნდა.

— ვნახოთ. ტრესტს შევევითუკი.

— შევეითხეთ.

— სხვა?

— მეტი ჯერჯერობით არაფერი. მეტი ჯერ არც მომეთხოვება.

— რატომ?

— ისე. შახტისთვის ჯერ მთავარი ინჟინრის თვალით არ შემიხედავს. რაც

აქამდე მოგახსენეთ, ეს სულ შემთხვევით შემჩნეული ამბებია.

— იჟ! აი, ეს მომწონს. როცა მთავარი ინჟინრის თვალით შეხედავ, მაშინ რაღა იქნება? მაშინ, ვინძლო, აჭაურობა სულ თავდაყირა დააყენო!

— არა მგონია. ჩვენს მასტრს მაინც კარგი უფროსი ჰყავდა.

— ოღონდაც! მაგრამ მე, ამ კახელ კაცს, რა ძალა მადგას, რომ აქა ვჯახირობ? ა, გედეონ!

თავი მეთორმეტე

კახაბერ გურასაშვილმაც და გედეონ ხაზარაძემაც კარგად იცოდნენ, რომ გერასიმე ცნობილადის სიკვდილის შემდეგ მესამე უბნის მემსახტეებში ყველაზე გამოცდილ და პატივსაცემ კაცად არქიტო ცალუღლიშვილი ითვლებოდა. არქიტო რბილი და უწყინარი კაცი იყო და გერასიმესოდენა გავლენა მემსახტეებზე არასოდეს ჰქონია. ეს კეთილი და პატიოსანი ბერიკაცი მემსახტის თითქმის ყოველგვარ პროფესიას ფლობდა, არავითარ დავალებზე არასოდეს უარს არ იტყოდა და უბნის საქმეებშიც კარგად ერკვეოდა. ყოველ შემთხვევაში, გამოპარებით ვერაფერს გამოაპარებდი და თუ ჩარევას ზოისურებდა, ყველაფერი მოწყობრივად ხდებოდა. მაგრამ საქმეც ის იყო, რომ ეს ჩარევა არ უყვარდა.

ხმები დადიოდა, გერასიმემ არჯევანიძე არქიტოს გადააბარაო, რაც შეგვეძლოსო, დახმარება გაუწიეო. და არქიტოც თითქოს მხარში ამოუდგა არჯევანიძეს, ზოგი რამ ურჩია და თავისი გამოცდილების კვალობაზე გააკეთებინა. მაგრამ გოგოლა ხომასურბის ამბავმა, ალბათ, არქიტოსაც ხელ-ფეხი შეუბოჩა. და ახლა, როცა მემსახტეები, განსაკუთრებით კი გრიშა ოდიბაშვილი, თეიმურაზს უდიერად იხსენიებდნენ, არქიტო ჩარევას და გამოსარჩლებას ვეღარ ბედავდა, თუმცა სულის სიღრმეში დარწმუნებული იყო, არჯევანიძე ჭაღვების მადგვარი ბიჭი სულაც არ არის და მანდ რაღაც სხვა ამბავი უნდა იყოსო.

კახაბერმა და გედეონმა ისიც კარგად იცოდნენ, რომ მესამე უბანზე ვითარება ძალიან დაძაბული იყო. რაიმე ზომები ახლავე უნდა მიეღოთ, თორემ შეიძლებაო-

და, დაგვიანებულიყო. ამიტომ არქიტო ცალუღლიშვილი გამოიძახეს და, ბევრი აღარ მიუკბინა-მოუკიბავთ, პირდაპირ ჰკითხეს, უბნის საქმეებზე რას ფიქრობო.

— რას უნდა ფიქრობდე?
— არჯევანიძე კარგად გიძღვებოთ?
— აქამდე თუ გვიძღვებოდა, ახლა რაღა დაეშართება?
— გრიშა ოდიბაშვილი რომ უკმაყოფილოა?

— ის გრიშას ჰაქმეა.
— გერასიმეც აღარა გყავთ.
— გერასიმე კაცური კაცი იყო. იმისთანა ადამიანი — ძნელად... მაგრამ ერთი კაცის მაგიერობას სამი და ოთხი ვეღარ გასწევს?

— ვინ სამი და ოთხი?
— მოინახება.
— ჩახუნაშვილზე რას იტყვი?
— არაფერს.
— რა არის საქმეო, რომ უბანმა კარგად იმუშაოს?

— რა მოგახსენოთ. უბანი ახლაც კარგად მუშაობს.
— მეტს არაფერს გვეტყვი?
— მეტი რაღა გითხრაოთ?
— შენგან, არქიტო, მეტის იმედი გვქონდა.

— რამე დაემავე?
— არაფერი, აჰ!
— აბა, რაღა გინდაოთ?
— არაფერი, კარგად იყავი!
— ნახვამდის!

არქიტომ კარი გაიხურა.
— ეგეც შენი ხანდაზმული და პატივცემული მემსახტე! — წაიბურტყუნა კახაბერმა.

— ყველა გერასიმე ვერ იქნება. — მოწყვნით დაუდასტურა გედეონმა.

— რა გქნათ?

— ნამდვილად არ ვიცი.

— არც მე ვიცი. არადა, ისეთი გრძობა მაქვს, თითქოს საღაცაა, მაგ უბანზე ველკანი ამოხეთქავსო.

— ისეთი იქნებ სულაც არაფერი მოხდება.

კარგა ხანს იყურეს.

მერე კახაბერი შეინძრა და გედეონს აღმაცერად, ეშმაკური ღიმილით გადახედა.

— დაეწერო ბრძანება, მთავარ ინჟინერს ვაგალებ, მესამე უბანს განსაკუთრებული ყურადღება მიექციოს-მეთქი?

— თქვენი ნებაა.

— ეჰ, არა, ძმარ გედეონ, მაგას ვერ გიხამ. აკი იმ დღესაც გითხარი, თუ საქმე ძალიან გაჭირდა, კახეთში წავალ და ვენახს ჩაეყრი-მეთქი. შენ კი იმ ქუთაისში რა უნდა აკეთო? ერთ კვირაში ისევე აქ გამოიქცევი.

— ალბათ, მართლაც ვგრე იქნება.

— ეჰ!.. ხუმრობა კი გვეხერხება, მაგრამ... — საქმე?

— ჯერ არც საქმე გაგვიფუჭებია.

— ჯერ კი, მაგრამ...

— რაღაცას მოვიფიქრებო.

— მაშ, იცი, რა, ჩემო გედეონ? ბრძანება-მეთქი რომ გითხარი, ის უხეირო ხუმრობა გამომივიდა, მაგრამ იცოდე, ძმარ, რომ ჩემი მთავარი სადარდებელი ვე მესამე უბანია. სულ მაგაზე ფიქრობ და მოდი, შენც სულ მაგ უბანზე იფიქრე. დილით, შუადღისას, საღამოს, შუალამისას, კარგი? ნუთუ ვერაფერი უნდა გაეახერხოთ?

— გაეახერხებო.

— იმ ერთი ქალის გულისათვის მიკელ უბანს ხომ ვერ დავეღუპათ!

— რა თქმა უნდა, ვერა!

თვითონ გედეონი ქალების მიმართ ძალიან თავშეკავებული კაცი იყო. მას, ახალგაზრდა, მომავლიან ინჟინერს, ცნობილი და პატივცემული ოჯახის შვილს, დახვეწილ და განათლებულ ინტელიგენტს აქაც და ქუთაისშიც ბევრი ქალისა თუ ქალიშვილის გული აუძგვრებია. ამ რვა

წლის განმავლობაში, რაც ის შახტზე იყო, არაც ერთ ქალთან გაელილი არ დაუნაწახებო. მოცილილმა და ენაგრძელმა ხალხმა ერთხელ გედეონს რაღაც უკულმართი ხმების დაყრაც კი დაუპირა. მაგრამ ამ წამოწყების მთავარ ინციატორს ახალგაზრდა ინჟინერმა სადღაც დერეფანში თვალები ისე დაუბრიალა, რომ ის უბედური კედელს აგერა და მანამდე აღარ განძრეულა, სანამ გედეონი თავის კაბინეტში არ შევიდა. გედეონის დედ-მამას შეგობრული, პატიოსანი, შეურყვნელი ცოლ-ქმრობა ჰქონდა. ხაზარაძეების ოჯახში ყოველგვარ ქვენა გრძობებსა და უსუფთაო ამბებზე ლაპარაკი კი არა, ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ოჯახიდანვე გამოიყვანა გედეონს უაღრესად თავშეკავებული, თავაზიანი და პატიოსანი დამოკიდებულება ქალებისადმი. ამიტომაც იყო, რომ იგი დაუძლეველ ზიზღს გრძობდა არჯევანიძისა და გოგოლა ხომასურძის ამბის გახსენებისას. რა თქმა უნდა, არჯევანიძე სიმპათიური გარეგნობის ყმაწვილი იყო და ადვილად შეიძლებოდა, გოგოლას იგი კიდევ შეეყვარებოდა. მაგრამ გოგოლა მაინც ამხანაგისა და თანამშრომლის ცოლი იყო და არჯევანიძეს არასდიდებით ის საქმე არ უნდა ეკადრა.

ასე ფიქრობდა გედეონი. და, ალბათ, სწორედ ეს ფიქრები უშლიდნენ ხელს იმასი, რომ არჯევანიძე გამოეძახა და უბნის საქმეებზე გულახდილად მოლაპარაკებოდა. არჯევანიძესთან მშვიდი და გულითადი საუბარი გედეონს ახლა ნამდვილად არ შეეძლო. მერე — ვინ იცის...

დრო კი არ იცდიდა. მესამე უბნის საქმეების გამო რაღაც გაურკვევლობის, შიშისა და ავის მოლოდინის გრძობა გედეონსაც გადაედო. რაღაც ზომები უთუოდ უნდა მიეღოთ. არქიფო ცალუღლიშვილის იმედი ფუჭი გამოდგა — ის ბერიკაცი არც რამეს დააშავებდა და არც რამეს გააკეთებდა; საქმე რომ საქმეზე მისულიყო, არქიფო შეიძლება, პატიოსან და პირუთუნელ მოწმედ გამომდგარიყო. ეს იყო და ეს. მისგან ესეც დიდი იყო

გედეონის აზრით, პირველი, რაც ახლა უბანზე უნდა გაკეთებულიყო, ჩახუნაშვი-

ლის შეცვლა და ოდიბაშევის მოთრგუნვა იყო. და თუ ოდიბაშევი თავისას მაინც არ მოიშლიდა, მაშინ ისიც უნდა გაეგდოთ. არავითარი შეუცვლელი სპეციალისტი ის არა ბრძანდებოდა, და ეს გედღონმა სხვებზე უკეთ იცოდა.

გარდა ამისა, წარმოდგენილი იყო, რომ უბანზე არ ყოფილიყვნენ მემახტეები. განსაკუთრებით ახალგაზრდები, რომლებიც მხარს არჯუენიძეს დაუჭერდნენ. არჯუენიძე შეცდა, მაგრამ ამ მიზეზით თავისი უფროსი რომელ ახალგაზრდას შეუტლებოდა? ეს თეიმურაზი კი თითქოს მაინც გონიერი, წინდახედული, თავაზიანი ყმაწვილი ჩანს. არ შეიტლება, რომ ამდენი ხნის განმავლობაში იგი უბანზე რამდენიმე კაცს მაინც გულწრფელად არ, შეგვარებოდა. იმ მკმახტეებს, იქნებ, გულითაც უნდათ, რომ მხარში ამოუდგნენ, მაგრამ ან ოდიბაშევისა ეშინიათ, ან რაღაც სხვა მიზეზები უშლით ხელს.

„აი, აქედან უნდა დავიწყოთ. — გაიფიქრა გედღონმა. — ხომასურნიძეს და მის ქმარს კი არჯუენიძემ თითონვე მოუაროს“.

მაგრამ დაწყებით გედღონმა მაინც სხვანაირად დაიწყო. კახაბერს უთხრა, პარტიზურის მდივანს და ადგილკომის თავმჯდომარეს უხმო, ამ საქმეზე ერთად მოეთათბიროთ.

— ვითომ, ეგენი რამეს გვიშველიან?

— მოვალენი არიან.

— მართლა, დავუძახოთ.

ტერენტი ჩაგუნავა და მინაგო ჩარკვიანი მალე მოვიდნენ. მტკიცედ დარწმუნებულნი ისინი მხოლოდ ერთ რამეში იყვნენ, — არჯუენიძე სარდიონის დანიშნული კაცია და მაგისი მოხსნა არაფრით არ შეიძლება.

— ან არ მიზეზით ვხსნით? — ტერენტი ჩაგუნავამ გაკვირვებით მიმოიხედა. — უბანი კარგად მუშაობს.

— ნამდვილად. — დაუდასტურა ჩარკვიანმა.

— არჯუენიძის მოხსნა ჩვენ არც კი გვიფიქრია, — გედღონს გულიც კი მოუვიდა და თავი ძლივს შეიკავა, — საიდან აიღეთ? ან ის ვინა თქვა, უბანი ცუდად

მუშაობსო?! ჩვენ ვამბობთ, რომ უბანზე მრავალი მიზეზის გამო, უკმაყოფილოება შეიქმნა და შეიძლება, ხვალ ყველაფერი აირ-დაიროს. იგივე სარდიონი წასვლისას ამას გვეუბნებოდა. ჩვენ კი არ გვინდა, რომ ეს მოხდეს. წამხდარი საქმის გამოსწორება უფრო ძნელია, სჯობია, თადარიგი ახლავე დავიჭიროთ.

— ეგრეა, — მყისვე დაუდასტურა გურასაშვილმა. — საიდან მოგვლანდათ, არჯუენიძესა ხსნიანო. სხვა თუ არაფერი, სარდიონს როგორც გუშინა ვცემდით პატივს, ისე დღესაც ვცემთ. გესმით? სხვა თუ არაფერი — და კახაბერმა თითი მრავალმნიშვნელოვნად ასწია.

— თუ ეგრეა, კი, ბატონო. — ტერენტიმ შევებით ამოისუნთქა. — გვიბრძანეთ და, რაც შეგვიძლია...

— რა თქმა უნდა... — მხარი აუბა მინაგომაც.

— ახლა შახტის მთავარ ინჟინერს მოვეუსმინოთ. — კახაბერმა ეს ისეთი კილოთი წარმოთქვა, თითქოს ჩაგუნავამ და ჩარკვიანმა აქამდე არ იცოდნენ, რომ გედღონი მთავარი ინჟინერი იყო.

ისინი სმენად იქცნენ.

— უბნის მემახტეებს ძალიან არ მოსწონთ არჯუენიძისა და ხომასურიძის... ამბავი. — გედღონმა სხვა სიტყვა ვერ იპოვნა. — უბანზე ურთიერთობა დაძაბულია. ამით სარგებლობს, ვთქვათ, იგივე ოდიბაშევი, ალბათ, კიდევ რამდენიმე კაცი... აი, რაშია საქმე!

— სწორია! — კვერი დაუკრა კახაბერმა, — ის, რაც სხვებს ეპატიება, არ ეპატიება უბნის უფროსს. შით უმეტეს, არჯუენიძეს. ქალაქელი ბიჭია, კულტურული...

— ეს უკვე მორალის სფეროა. — გედღონმა ჯერ ტერენტის შესვლა, მერე ჩარკვიანს, აქაოდა, ეს საქმე პირველ რიგში თქვენ გეხებათო.

— არა, კი... ნამდვილად... ეგ სწორია... მართალია... — ტერენტი სიტყვებს ვეღარ პოულობდა, — შეცდა... ჩვენ, რასაკვირველია... მაგრამ... ახლა მაგას რაღა ეშველება, ამხანაგო ხაზარაძე? თქვენთან ბოდიში, მაგრამ ეგ საქმე რომ მოხ-

დება, მერე იმის უკან დაბრუნება შეიძლება? მოხდა და მოხდა!

— ჩვენ არ გვეზურება, ბატონო ტერენტი!

— მე კი ეზურობ?!

— შეშახტები სწორედ იმიტომ არიან ნაწყენები, — კახაბერმა თავისი წელანდელი სათქმელი ასლალა ჩამოაყალიბა, — სწორედ იმიტომაც, რომ არჯევანიძე თავისთავად კულტურული ბიჭია, მაგას არ უნდა ეკადრა! აი, საქმე როგორ არის.

— ეგ კი ნამდვილია.

— რას გვირჩევთ? — გედეონმა გულხელი დაიკრიფა.

— მე ვიცი, ასლა თქვენ გუნებაში რაცა გაქვთ, — მინაგო ჩარკვიანმა ორივე ხელი ხვეწნის გამომეტყველებით მკერდზე მიიღო, — თქვენ გინდათ, მე ის ბიჭი გამოვიძახო, მოველაპარაკო, ერთი სიტყვით, გონებაში ჩავაგდო... კი, მაგრამ... არა, თქვენი ჭირიშე, მაგას ნუ მოხოვთ. მე მაგას... აგერ, იქნება ტერენტი? ა?

ყველამ ტერენტის შეხედა.

ჩაგუნავამ მინაგოს გაბრაზებული მხერა შეაგლო, ეს უკუღმართი საქმე მე რატომ მომიგდეთ და მხრები აინეჩა:

— კარგი. ვთქვით, მე გამოვიძახე და მოველაპარაკე. მერე? გერონტი ჩაფიქრებულს, გოგოლას ქმარს, ეგ ეყოფა? მაგითი დაშოშინდება? ან შეშახტებს წყენა გაუვლით? დიდება შენდა, ღმერთო! არჯევანიძეს ეგ არ უნდა მოსვლოდა. მაგრამ ახალგაზრდაა და შეცდა. ახლა?

— აბა დაესხდეთ და გულხელი დავიკრიფოთ?

— რატომ გულხელი? იმოქმედეთ.

— კარგი ერთი და...

სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნეტავი, ერთმანეთს კიდევ ხვდებიან? — კარგა ხნის შემდეგ უიმედო კილოთი იკითხა კახაბერმა.

— როგორ შეხვდებიან?! ჭალი ისეა ნაცემი, რომ ფეხზე ვეღარ დგება.

— თ-თ-თ-პ-პო!..

— მაშ!..

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

გედეონი მიხვდა, რომ ამ თათბირიდან არაფერი გამოვიდოდა. აქ მარტო ის გამოირკვა, რომ არჯევანიძეს შახტზე თავგამოდებული მფარველები ჰყოლია. მაგრამ ეს მფარველები არჯევანიძეს ვისგან იცავდნენ, ეს მარტო ალაშმა უწყობდა.

— ბატონო ტერენტი ერთში მართალია, — თქვა გედეონმა, — რაც მოხდა, იმას უკვე აღარაფერი ეშვებოდა. მაგრამ გულხელის დაკრეფაც არ გვარგებს. ჩემი აზრია: შეშახტებს — ყველას — კატეგორიულად ვაგრძნობინოთ, რომ შახტის აღმინისტრაცია არჯევანიძეს მტკიცედ უტყერს მხარს. საწარმოო საკითხებში, რა თქმა უნდა, საამისო ღონისძიებებს მე მოვიფიქრებ. ეს, რაც შეიძლება, მალე უნდა გაკეთდეს. რაც შეეხება ხომასურიძეს და იმ საქმეს, ეგ უკვე მე აღარ ვიცი... მაგას პარტიურად და ადგილკომში მიიხედონ. მოთავარ ინჟინერს ეგ ნამდვილად არ ეხება. იმ ღონისძიებებზე კი მალე მოგახსენებთ.

— აგაშენა ღმერთმა!..

თავი მეთხუთმეტი

თეიმურაზ არჯევანიძე ბაიბურშიც კი არ იყო, თუ მასზე ამდენს ფიქრობდნენ, მსჯულობდნენ და კამათობდნენ. სარდიონის ტრესტში გადასვლამ იგი სერიოზულად შეაფიქრინა. გერასიმე ძალიან უხმარებოდა, რა თქმა უნდა, მაგრამ ამ შახტზე თეიმურაზს ყველაზე მეტად მიანიც სარდიონის იმედი ჰქონდა, და იმასაც კი

ფიქრობდა, რომ როცა შახტის უფროსი გაიგებს, ჩემსა და გოგოლას შორის რაც ხდება, ნამდვილად თვითონაც მამატიებს და დანარჩენებსაც რაღაცას შეავნებინებს.

მაგრამ სარდიონი შახტზე აღარ იყო. თეიმურაზი სულ მარტო დარჩა. თავის მოვალეობას ახალგაზრდა ინჟინერი მაინც

ჩვეული მუყაითობით ასრულებდა. შახტზე ყოველი ცვლის დასაწყისში მიდიოდა, მე-შახტებს დავალეებს აძლევდა, ყოველდღე თუ ორჯერ არა, ერთხელ მაინც შახტში ჩადიოდა და ხანგრძობებს ამოწმებდა. გარეგნულად თითქმის ყველაფერი ძველდებოდა იყო უფრო მეტიც. თავის თანამდებობაზე თეიმურაზი თავს ახლა რატომღაც უფრო თავდაჯერებულად გრძნობდა. მაგრამ სამორიგეოში ალარ ურგავადა ხარდიონი, ალარსად იყო ვერასიმე და უკვალოდ გაქრა ის უბრალო, გულითადი და მზიარული დამოკიდებულება თეიმურაზსა და მეშახტეებს შორის, რითაც სულ ცოტა ხნის წინათ თეიმურაზი სულის სიღრმეში კიდევ ამკობდა, თუმცა მშვენიერად იცოდა, რომ ის ურთიერთობანი მართო მისი დამსახურება სულაც არ იყო. მეშახტეები უბნის უფროსს გულგრილად, ძალიან თავდაჭერილად ესალმებოდნენ. დავალებებს, რა თქმა უნდა, ყველა ასრულებდა, მაგრამ თეიმურაზს ალარც კი ახსოვდა, უკანასკნელად რომელი მათგანი, ან რომელ მათგანს შეეხებოდა. ამ შახტზე თითქოსდა იბღლიანად დაწყებული ინჟინრის კარიერა ამკარად საეჭვო შეიქნა.

მაგრამ თეიმურაზ არჯევანიძე გულწრფელი ახალგაზრდა ვახლდათ, და მისთვის რომ გვეითხათ, უბნის ამბები უფრო გაწუხებს, თუ გოგოლასიო, უთუოდ გამოგიტყდებოდით, გოგოლასიო. ეს ლურჯთვალა, მშვიდი და კეთილი ქალი სამუდამოდ შევიდა თეიმურაზის ცხოვრებაში. თეიმურაზი ახლა ზოგჯერ გაკვირვებითაც კი იხსენიებდა იმ დროს, როცა ნათია ავალიშვილის დანახვაზე ფიქრდებოდა და ენა ებზოდა. თანაც ნათია ახლა შორს იყო, თეიმურაზი, ალბათ, ალარც კი ახსოვდა, ბოლო წეროლზე ალარ უპასუხა, იქნებ, კიდევ გათხოვდა, გოგოლა კი...

თეიმურაზმა მშვენიერად იცოდა, რომ უბანს, ბოლოს და ბოლოს, უიმისიდაც მოუვლიდნენ. გოგოლას კი თეიმურაზის მეტი ნამდვილი პატრონი არ ჰყავდა გოგოლას წინაშე თეიმურაზი გადაუხდელ ვალში იყო და იცოდა, რომ არ არსებობდა საწყაული, რომლითაც ის ვალი გაი-

ზომებოდა. ბოლოს და ბოლოს, ასე იყო თუ ისე, ახალგაზრდა ქალმა ცხოვრება მოიწყო; თეიმურაზი რომ არა, ჩაფიჩაძეს, ალბათ, ბავშვებსაც გაუჩენდა და მოსვენებითაც იცხოვრებდა. ახლა კი...

გოგოლას წინაშე დანაშაულის გრძნობას თეიმურაზი პირდაპირ სიფიქსმდე მიჰყავდა, ჩაფიჩაძისადმი ეჭვიანობის გრძნობაც ემატებოდა. ღამ-ღამობით ბნულ ოთახში მწოლიარე თეიმურაზი გამწარებული წამოიჭრებოდა ხოლმე, ოთახში აწრიალდებოდა, ხელებს იკებდა და სასწრაფო კეთილი ფიქრობდა, რა ექნა, რა გზას დავადგეო. შესაძლებელი რომ ყოფილიყო, თეიმურაზი გოგოლას დღესვე ცოლად მოიყვანდა! ორიენტი გაბედნიერდებოდნენ და იმ პირქუშ მეშახტეებსაც შუბლები გაეხსნებოდათ. მაგრამ...

მაგრამ კიდევ უფრო მწარე ფიქრი თეიმურაზს მაშინ ეწვეოდა ხოლმე, როცა ოდნავ დამშვიდდებოდა და ჩაფიჩაძისადმი ეჭვიანობის გრძნობას ღრობით მაინც გაიყურებდა. მაშინ იგი თვალნათლივ ხედავდა, რომ გოგოლა არასგზით მას ცოლად არ გაჰყვებოდა, თუნდაც ჩაფიჩაძეს ამისი უფლება დღესვე მიეცა. რატომ და რა მიზეზით, ეს სხვა საქმე იყო. გაყოლით კი არასგზით არ გაჰყვებოდა. და თეიმურაზს ამხანაგების, მეშახტეების თვალში სამუდამოდ უზნეო კაცის სახელი უნდა შერჩენოდა. ყველაფერს ამას იხიცი ემატებოდა, რომ, როგორც ლაპარაკობდნენ, ჩაფიჩაძე გოგოლას თითქმის ყოველდღე სცემსო. ჩაფიჩაძის ყოველი მუშტი კი თეიმურაზის ვაჟკაცობასა და თავმოყვარეობას წარუშლელ ლაქად აჩნდებოდა. როგორმე ამას ბოლო უნდა მოღებოდა. მაგრამ რა გზით? რანაირად? სად და როდის იყო, რომ ნორმალურმა კაცმა მეორე კაცს პასუხი მოთხოვა, შენს ცოლს ჩემთან სიარულს რატომ უშლიო? გოგოლასთან შეხვედრას და მოლაპარაკებას კი თეიმურაზი ვერასგზით ვერ ახერხებდა. არც კი იცოდა, თუ ცოლ-ქმარი სად ცხოვრობდა. კი შეიძლებოდა, გაეგო და მისულიყო, მაგრამ ჩაფიჩაძეს რომ წაყდომოდა?



ისევ „მაგრამ“! იმ დალოცვილ ღმერთს რამდენი „მაგრამ“ გაუჩენია! და რაღა ვფელა თეიმურაზს მიუსია?!

• • •

იმ საღამოს თეიმურაზი სამორიგეოში დაფიქრდა. საკონფერო სტრეკის ქვედა ნაწილი, — ასე, სამი-ოთხი მეტრის სიგრძეზე, გადასამაგრებელი შეიქნა და თეიმურაზს მებრძოლებსათვის ახალი, რიგ-გარეშე დავალებები უნდა მიეცა.

— გააკეთებთ, ოღონდ მოვალენი არა ვართ. — ხენწმით უთხრა თეიმურაზს ელიზბარა ზინზიბაძემ, ზონზროსა, დიდ-მეცელა მებრძომ, ხელფასის დარიგების დღეს საღაროსთან რიგის დაკავებას რომ ვერაზინ ასწრებდა. — მე ჩემი რვა საათი უკვე ვიმუშავე.

— ვიცო, რომ იმუშავე. — საკმაოდ მკვახედ მოუჭრა თეიმურაზმა, ზედმეტ საათებში მუშაობისათვის ორმაგ საზღაურს გამოგვიწერ. მეტი რაღა გინდა?

— ო! მეტი არაფერი.

ზინზიბაძე კარებში ძლივს გაეტია.

თეიმურაზი კიდევ კარგა ხანს იჯდა სამორიგეოში. ზინზიბაძის საქციელმა გააღიზიანა, მაგრამ ამ ბოლო ხანებში ზოგი მემშატისსაგან ასეთ წკიპურტებს ხშირად იღებდა და თავის შეკავებას მიეჩვიდა. მერე ის იყო, წამოდგა და წასვლას აპირებდა, რომ კარებში არქიფო ცალკუდლი-შვილი გამოჩნდა. ეტყობოდა, პირდაპირ სამსახურთან მოდიოდა, — ჭაღარა თმა სველი ჰქონდა, საყელო — მოღვლილი, გამხდარი, დანაოჭებული სახე კი ვარდისფრად ჰქონდა, გაღვივებული.

— საღამო მშვიდობისა, თეიმურაზ ბატონო

— ოჰ, არქიფო, მომრძანდი! რამდენი ხანია, აღარ მინახავხარ.

არქიფო ცალკუდლიშვილი უბანზე ერთადერთი კაცი იყო, ვისთანაც თეიმურაზს ისევ მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა. ამიტომ, ბერიკაცის დანახვა ახლაც ძალიან გაუხარდა, ლაბადა ისევ საკიდზე მიაგდო და ცალკუდლიშვილს სკამი მიუწია:

— დაჯექი, არქიფო ბიძია, დამელაპარაკე.

— კი, ბატონო... ოღონდ..

— ოღონდ — რა?

— ჯერ შენთან ერთი პატარა საქმე მაქვს.

— რა საქმე?

არქიფომ მიიხედ-მოიხედა, ოთანში ხომ მართლა არაფერ არისო. ვარდისფერი სახე კიდევ უფრო გაუწითლდა გულისჯიბიდან ოთხად დაკვიცილი რვეულის ფურცელი ამოიღო და თეიმურაზს უხმოდ გაუწოდა.

თეიმურაზმა ჭაღალდი გაშალა.

„გამარჯობა თეიმურაზ! ამ წერილს მე გწერ. დიდი ხანია, აღარ მინახავხარ და იმიტომ, იცოდეს, რომ მე კარგადა ვარ. მაღლე სულ მოვჯობინდები და სამუშაოზე გამოვალ. ეს წერილი გინდა დახე და გინდა შეინახე. ეს შენი ნებაა. გოგოლა“.

„გოგოლა“ წინ კიდევ რაღაც სიტყვა ეწერა. მაგრამ გოგოლას იგი მელნით მაგრად, რამდენჯერმე გადაეჩახანა. თეიმურაზი ძალიან დააკვირდა და სიტყვა „შენი“ ამოიკითხა.

— გოგოლამ მოგცა? — სიწითლემ სახეზე ახლა თეიმურაზსაც აჰკრა.

— აბა, ვინ მომცემდა. — არქიფომ გულკეთილად გაიღიმა.

— ძალიან დიდი მადლობელი ვარ, ბიძია არქიფო!

— არაფრის. შე კაცო, სამადლობელი რა არის..

— როგორ ნახე?

— ეგენი სწორედ ჩემს პირდაპირ ცხოვრობენ?

— გოგოლა... როგორაა? — თეიმურაზისთვის ნამდვილად მოულოდნელი იყო, თუ უბნის მემშატეებიდან მისა და გოგოლას რომანს ვინმე თანაუგრძნობდა და, გულანჯუბებული, არქიფოს მზერას არიდებდა. ეზინოდა, თუალები არ გამიწყვიტანდნენ.

— არა უშავს... — არქიფომ ჯიბიდან ცხვირსასოცი ამოიღო და თეიმურაზს ამინაც მზერა აარიდა. — კენჭივით ჭალია, მავითი რა დაუშავდება?

თეიმურაზმა იცოდა, სიტყვა „მაგიობის“ იქით რა იმალებოდა.

— რომ ვნახო?

— ეგ გოგოლას არ ეწყინება, მაგრამ..

— ქმარი სულ სახლშია?

— შემახტე კაცა სახლში როდის არის და როდის არა, მაგას ვინ გაიგებს! ხან მესამე ცვლაშია, ხან პირველში... სამუშაოზე რომ გგონია, აგერ, აივანზე გამობრძანდება.

— მაინც რომ ვცადო?

— ა?

— ბიძია, არქიფო, მომეხმარე.

— ბატონი ბრძანდები, მაგრამ...

— კაცურად გთხოვ, ბიძია არქიფო!

— კი, შეილო, ბატონი ბრძანდებით, მაგრამ..

— წავიდეთ, ახლავე წავიდეთ. შენგან მეტი არაფერი მინდა, ოღონდ სახლი დამანახე.

— ეგ ადვილია.

— აბა, ვიცვამ! — თეიმურაზი წამოხტა და ლაბადას წაიტანა.

არქიფოს სახლამდე დაახლოებით ორი კილომეტრი იქნებოდა. ამ მანძილს მოხუცი მემახტე ყოველდღე ფეხით გადიოდა. იქითაც და აქეთაც, და სურმობით იტყოდა ხოლმე, ამაზე უკეთესი ფიზკულტურა და სეირნობა ღმერთმა შეარცხევინოს, თუ მთავრობამ პატივი მცა და ამ გზაზე ავტობუსი არ გაიყვანა, მე ნამდვილად ათას წლამდე ვიცოცხლებო.

— ავტობუსმა თავისი გზით იაროს, შენ კი შენი გზით იარე.

— აჰ, არა, ავტობუსი რომ ქუჩას ააქოთებს, მაშინ იქ ფეხით სიარული აღარ ღირს! მაშინ ისევ იმ ავტობუსში ჩაჯდომას ხეობია.

გზა იმერული, ეზოებიანი, კრამიტი დახურული, მაღალ ბოძებზე შეყვებულნი ხის სახლების გასწვრივ მიდიოდა. როგორც კი შახტს ხუთასიოდნე ნაბიჯით გამოსცდნენ და მარჯვნივ გადაუხვიეს, და შახტის აღმინისტრაციისა და საზანქანო განყოფილების თეთრი შენობები, ჩაშავებული ბუნკერი და მბოლავი, წითლად მოგაზგიზე ტერიკონი თვალს მოეფარნენ, თეიმურაზმა თავი ნამდვილ იმერულ სოფე-

ლში იგრძნო. საღამოს მოლურჯო ბინდ-ბუნდში ჩიტის ნაგვიანები ტყვედურტულეობა, ხაძოვრებიდან მიბრუნებული ძროხების ბლავილი, ბავშვების ვივილ-ხივილი და საიდანღაც, ძალიან შორიდან, ღელის მიყრუებული შეილიც კი ისმოდა. თეიმურაზი და არქიფო უხმოდ მიჰყვებოდნენ მოასფალტებულ შახტს და შემწვედრ თუ უკანიდან წამოწვეულ მსუბუქ ავტომანქანებს გზას უთმობდნენ.

„სოფელიცაა და ქალაქიც“ — ფიქრობდა თეიმურაზი.

გზადაგზა არქიფომ რამდენჯერმე გადაწყვიტა, მოდი, თეიმურაზს გავემხელ, შახტის უფროსებმა რაღაც საეჭვოდ რომ გამოიძახეს და თვითონ შენზეც ზოგი რამე მკითხესო. მაგრამ ბოლოს მაინც არაფერი უთხრა. ფრთხილმა, მშვიდი ცხოვრების მოყვარულმა ბერიკაცმა ჯერ არ იცოდა, უბნის საქმეები როგორ წავიდოდა, ვის ასწევდნენ და ვის დასწევდნენ. უფროსებმა, ალბათ, რაღაცა იციან და რაღაცას ფიქრობენ, არქიფოს ტყუილად ხომ არ გამოუძახებდნენ? არადა, რაც არ უნდა მოხდეს, ქალაქიდან ჩამოსულ ინჟინერს საბოლოოდ არავინ გასწირავს, ის კი, ბებერი არქიფო... ეჰ! თეიმურაზს იგი მაინც დიდ პატივსა სცემს, მაგრამ ნეტავი ახლა, აჰ არ წამოიყვანა. თუმცა არქიფომ რა იცოდა, რომ თეიმურაზი იმ წყრილს არ იკმარებდა და გოგოლას ნახვას მოინდომებდა?

— კიდევ შორს არის?

— ერთი ამდენი კიდევ და..

— ის რომ სახლში იყოს?

— მეც მაგას არ გეუბნები!

— წვლან შახტზე იყო.

— წვლან მე და შენც შახტზე ვიყავით. ახლა კი... ხე-ხე!.

— მანქანა ჰყავს?

— არა, მანქანა ნამდვილად არა ჰყავს. თეიმურაზი გაჩერდა. პაპიროსის მოუკიდა. გაჩერდა არქიფოც.

— ჩაფიჩაძის მე არ შეშინია, ბიძია არქიფო. შენ ეს არ იფიქრო.

— მაგას ვინ ოხერი ფიქრობს?!

— მაგრამ რომ მოგვისწროს...

— ყველაფერი გოგოლას თავზე გადატყდება. — დაამთავრა არქიფომ.

— ნამდვილად.

— ჰოდა...

— ა?

— დაბრუნდი, თეიმურაზ ბატონო! მეც გამოგვეყვი და ერთად დავბრუნდეთ თუ გზად შემოგვეყვარა, ვითომ შენ ჩემთან სტუმრად იყავი.

— დაიჯერებს?

— ეგვეც ვინ იცის.

— სახლი მაინც მაჩვენე.

— ჩემი?

— იმათი.

— მობობდანი.

კიდევ ერთ კილომეტრამდე გაიარეს და ქუჩის ბოლოს მიაღწიეს. მარჯვნივ, თხემულზე სურსათის ყვითული ფარდული მოჩანდა. ფანჯრებს სქელი გისოსები ეკეთა, კარებს კი ვეებურთულა ბოქლომი ეკიდა. ფარდულის პირდაპირ, ქუჩის მარცხენა მხარეს, კარგა მოზრდილ ეზოში ორსართულიანი, ღიაიანი იმერული სახლი იდგა. თვითონ სახლი დროთა ვითარებისაგან ჩაზავებული წაბლის ხისა იყო, მაგრამ ეზოქან მეორე სართულის აივანზე ქუჩის კიბე აღიოდა. აივანის შუაში ორი კართით მოჩანდა, კარებს აქეთ და იქით კი — თითო ფანჯარა. კარები ორივე ჩაკეტილი იყო, ფანჯრებში კი ბნელოდა.

— მარცხენა ფანჯარა იმათა. გერონტი რომ სახლში იყოს, ფანჯარაში სინათლე იქნებოდა. გოგოლა ახლა იმ ჩაბნელებულ ოთახში წევს.

სახლამდე ორმოცდაათი ნაბიჯი თუ იქნებოდა.

— წერილი როგორ მოგცა?

— ეზოდან რომ გავდიოდი, ფანჯრიდან ხელი დამიჭნია.

თეიმურაზმა თავი ჩაჭინდრა.

— თეიმურაზ, შეილო — ხევეწის კილოთი უთხრა არქიფომ, — მოდი, ასე ვწნათ: შენი იქ მისვლა ახლა ნამდვილად არ შეიძლება. ყოველ წუთს შეიძლება ის ბიჭი დაბრუნდეს. მარტო უკან დაბრუნებაც არ გაწყობს. გზაში შეგხვდება და ვინ იცის, რა იფიქროს. ჰოდა, მოდი, ჩემთან შევიდეთ და ვიჯავშნოთ. ერთ-ორი ჭიქა მზატე ღვინო შენ ახლა ნამდვილად არ გაწყენს. მერე შენც წავალ ხოთ! თუ კაცი ხარ, უარს ნუ მეტყვი. მე კი გოგოლას უსიკვდილოდ ხვალ დილასვე ვახარებ, თეიმურაზი აქ იყო და შენ თვითონაც მიხვდები, შენთან რატომ არ შემოვიდა-თქვა. ცუდი იქნება?

— არც მთლად კარგი იქნება.

— რატომ?

— იფიქრებს, სავახშმოდ ამ სიშორეზე წამოვიდა და ჩემთან არც კი ამოვიდაო.

— მაგას ნამდვილად არ იფიქრებს. გონიერი ჭალია. ეს არქიფო მოგიკვდეს თეიმურაზ, თუ ხათრი გაქვს, შემომყევი.

— ეჰ, მოგყვები, არქიფო ბიძია, მოგყვები.

არქიფო იქვე, გზიდან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით ისეთსავე იმერულ ოჩოფეხბიან სახლში ცხოვრობდა. მხიარულად მომღიმარე დიასახლისმა უბნის უფროსს მშვენიერი სუფრა გაუშალა და ღვინოც მართლა სასიამოვნო მიართვა. შემთხვევით მოსდა, თუ არქიფომ განგებ მოაწყო, ეს თეიმურაზმა ვერ გაიგო, მაგრამ სუფრაზე კი ისე იჯდა, რომ პირდაპირ გოგოლას ფანჯრებს მისჩერებოდა. თეიმურაზი ჭიქას ჭიქაზე ცლიდა და იმ ფანჯარას თვალს არ ამორებდა. არქიფომ და მისმა ცოლმა ერთმანეთს რამდენჯერმე თეიმურაზის ნამალევად გაუღიმეს. იმ ფანჯარაში კარგა ხანს ბნელოდა. მერე სინათლე აინთო. ალბათ, ჩაფიჩაძე მოვიდა. ყვითლად განათებულ ფანჯარაში წინ და უკან რიალებდა რაღაც ლანდი. უფრო კაცისა უნდა ყოფილიყო. ხმა კი იქიდან, რა თქმა უნდა, არ აღწევდა და ვერასჯით ვერ მიხვდებოდით, იმ ოთახში რა ხდებოდა. ლანდი კარგა ხანს დაბორიანებდა ოთახში. მერე სინათლე ჩაქრა.

თეიმურაზს ღვინო კარგა მაგრად მოეკიდა. არქიფომ იგი მარტო აღარ გამოუშვა და შუაგზამდე გამოაცილა, მანამდე, სანამ ღამის გრილი ჰაერი ახალგაზრდა ინტენერს ცოტათი მაინც გამოაფხიზლებდა და გონზე მოიყვანდა. მოსახვევთან ერთმანეთს დაემშვიდობნენ და თეიმურაზი სატრთო საცხოვრებლის გზას მარტო დააღდა.

თავი ნათესავები



შახტის საქმეებს რაც უფრო გულდას-
მით სწავლობდა, გედონ ხაზარაძე მით
უფრო ნათლად რწმუნდებოდა, რომ სარ-
დიონ რაჭველიშვილს საეჭვოდ და საეგე-
ბიოდ მარტო მესამე უბნის საქმეები რო-
დი დაეტოვებინა. შახტში მოსამზადებელი
სამუშაოები დამტკიცებულ გრაფიკზე გა-
ცილებით უფრო ნელა სრულდებოდა. ქვა-
ნახშირის ხარისხის საქმე გაცილებით
უფრო ცუდად იყო, ვიდრე ეს შეიძლებო-
და ერთი შეხედვით მოგჩვენებოდათ. ხა-
რისხის ინსპექციის თანამშრომლებს ზოგი
გადიდგულბული უფროსიც კი სანგრევი-
დან ვრეკებოდა, — თქვენ რომ მართლა ვა-
ჟაკები იყოთ, უფრო შესაფერის საქმეს
მონახავდითო, კონვეიერზე ფუტი ქანების
ნატეხებს ჩვენ თქვენზე უკეთესად დავი-
თვლითო. მერე კი, როცა კონტროლიორებს
სანგრევიდან დაიფრენდნენ, იმ „ქანების
ნატეხების დათვლა“, რა თქმა უნდა, ფი-
ქრალად აღარ მოხდოდოდა და ბუნკერებს
თუ საწყობს უზღვიო, უვარგისი ქვანახში-
რით ავსებდნენ.

ბევრი ცვლა და ზოგი უბანიც მთელი
თვის განმავლობაში ზოზინობდა, ვაივაგ-
ლახობდა და თვიური გვემის შესრულებას
ბოლო კვირაში ემუშავებოდა. ამას კი ბევ-
რი უსიამოვნო ამბავი მოჰყვებოდა ხოლ-
მე;

არც თუ მთლად სახარბიელო იყო შრო-
მის ნაყოფიერების ზრდისა და ქვანახში-
რის თვითღირებულების შემცირების მაჩ-
ვენებლებიც. ბევრ ცვლაში დიდი იყო მუ-
შახელის დენადობა, აკლდათ კვალიფიცი-
ური მემანტეები, მექანიზატორები. ზოგ
ცვლას კომპლექსური მეთოდის გაგონებაც
კი არ უნდოდა, — ჩვენ აკადემიკოსები კი
არა ვართ, ყველაფერი რომ ვიცოდეთ,
უბრალო მემანტეები ვართ, ყველას საკუ-
თარი პროფესია გავაჩინა, კეთილ ინებუთ
და ჩვენს საქმეებზე გვამუშავეთო. ზოგჯერ
მთელი უბანი საათობით ჩერდებოდა ხოლ-
მე, — არიჭა, კონვეიერზე ჯაჭვი გაწყდა,
ან ელექტროკაბელი დაზიანდაო და ახ-
ლო-მასლო არავინ იყო, ვინც ამ უბრალო

საქმეებს თავს მოაბამდა. ერთხელ მეორე
ელექტროკაბელის მიზეზით უბანი საათ-
ნახევარს არ მუშაობდა. ისხდნენ და ელო-
დნენ, სანამ შახტის მორიგე მექანიკოსი
მოვიდოდა. ის კი სხვაგან, უფრო სერიო-
ზული საქმით იყო დაკავებული და როცა
მოვიდა და გაიგო, რისთვისაც უხმობდნენ,
იქაურობა დედის გინებით აიკლო.

ეს ყველაფერი ასე იყო. იყო კიდევ ბე-
ვრი სხვა ნაკლი და ხარვეზიც. გედონ ხა-
ზარაძე შახტის საქმეებს მთელი კვირის
განმავლობაში სწავლობდა და მტკიცედ
დაადაგა იმ აზრს, რომ ყველა ეს ნაკლი
უმოკლეს ვადაში უნდა გამოსწორებული-
ყო. მაგრამ ახალმა მთავარმა ინჟინერმა
ამავე დროს ისიც მტკიცედ გადაწყვიტა,
ამ უსიამოვნო ამბებზე სარდიონ რაჭველი-
შვილს არაფერი არ უნდა გაავაგებინოთ.
ამ ამბებიდან სარდიონმა ბევრი, ალბათ,
თვითონაც კარგად იცოდა და არაფერი
საქირო არ იყო, რომ ტრესტში ახალ სა-
მუშაოზე გადასული ბერიკაცისთვის მათი
გახსენებით გუნება ერთხელაც მოეშაშათ.
გარდა ამისა, სარდიონი მაინც დიდ პა-
ტივისცემას იმსახურებდა, ვინაიდან შახ-
ტის მუშაობის საერთო ხურათი მაინც კარ-
გი იყო და ასეთ მაჩვენებლებს საქართვე-
ლოშიც და მის გარეთაც არაერთი შახტი
ინატრებდა.

მაგრამ გედონი ყველაფერზე უფრო ერ-
თმა გარემოებამ გააოცა: როცა სხვადასხვა
უბნების მუშაობა ერთმანეთს შეადარა,
პირდაპირ ამკარად, თვალნათლივ დაინა-
ხა, რომ ყველაზე კარგი მაჩვენებლები მე-
სამე უბანს ჰქონდა, სწორედ არჯევანიძის
უბანს, რომლის ბედიც ტრესტში გადა-
სულ სარდიონს ასერიგად აწუხებდა. სხვე-
ბთან შედარებით ამ უბანზე გაცილებით
უკეთესი იყო ქვანახშირის მოპოვების სა-
ქმეც, რიცხოზრივი და ხარისხობრივი მა-
ჩვენებლებიც, შრომის ნაყოფიერებაც,
პროდუქციის თვითღირებულებაც, და სხვა
ყველაფერიც, რითაც საექსპლოატაციო
უბნის მუშაობა ფასდება. ამ უბანს — თუ
იორამ ნოსელიძესა და გერასიმე ცნობი-



ლაქს არ ჩათვლით — რამდენიმე უკანასკნელი წლის მანძილზე არც ერთი მუშატე არ მიმატებია და არც გამოკლებია.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი, უპირველეს ყოვლისა, კიბრაილ ხელთუფლიშვილის ვაჟაკობა იყო. ამას გედეონი კარგად ხედებოდა. მაგრამ უკვე რამდენიმე თვე გავიდა მას შემდეგ, რაც კიბრაილი უბნიდან წავიდა, უბანს არაფეანიძე ხელმძღვანელობდა და მაჩვენებლები არამც თუ არ გაუარესებულა, პირიქით, ზოგ რამეში კიდევ გაუმჯობესდა. იტყვიან, უბნის კოლექტივი კიბრაილმა შეჰკარა, შეადუღა და საქმეც კარგად იმიტომ მიდისო. მაგრამ ყოველგვარ კოლექტივს, როგორც ფაქცი და შედუღებულებს არ უნდა იყოს, მანაც კარგი მეთაური ჭირდება. ცუდ წინამძღოლს უმტიციესი კოლექტივის რამდენიმე კვირაში დაშლა და გაძაბუნება შეუძლია. მაშასადამე, არაფეანიძემ შეძლო კოლექტივის შენარჩუნებაც და, თუ ზოგი მაჩვენებლების მიხედვით იმსჯელებდით, მისი მუშაობის გაუმჯობესებაც, ყოველ შემთხვევაში, სურათი ჯერჯერობით ახლი იყო.

გედეონი იმასაც ხვდებოდა, რომ ამ საქმეში დიდი წვლილი მიუღწევლად სარდიონსაც და ვერახიშვილსაც. ამ ორი კაცის ავტორიტეტმა შეუნარჩუნა უბანს სიცოცხლისუნარიანობა. მაგრამ ვერაფეთარი გაჩემე ავტორიტეტი ვერაფერს უშველის იმას, ვინც თვითონ არაფერში ვარგა და ვერაფერს აკეთებს. მაშასადამე, თვითურავ არაფეანიძეს ბევრი რამ შეძლებია და კიდევ უკეთებია.

გედეონ ხაზარაძე, ცოტა არ იყოს, დაბნეული დასწერებოდა მასტის საგვემო განყოფილებიდან შემოტანილ ქაღალდებს. ამ წუთში მას თვითურავი პირდაპირ ეცოდებოდა. ის ბიჭი რომ ახლა თათასში ყოფილიყო, გედეონი, ალბათ, გადაეხვეოდა და აკოცებდა.

ერთადერთი მაჩვენებელი რომლის მიხედვითაც უბნის ახლანდელი მუშაობა კიბრაილის დროინდელს ჩამორჩებოდა, მოპოვებული ქვანახშირის საერთო რაოდენობა იყო. არაფეანიძე თვითურად ხაშუალოდ ასე, ზუთასამდე ტონით ნაკლებ ქვანახშირს

იღებდა, ვიდრე ხელთუფლიშვილი. ეს ციფრი დიდს არაფერს ნიშნავდა. უბნის გვემა მაინც გადაჭარბებით სრულდებოდა. მაგრამ სწორედ ეს ციფრი იყო, — გედეონმა ესეც კარგად იცოდა, — გრიშა ოდიბაშვილს მოსვენება რომ დაუკარგა. ამ ციფრის გამო ოდიბაშვილის ხელფასმა თვითურად სამი თუ ოთხი თუშნით იკლო. მემონტაჟეების ბრიგადირი უბნიდან არაფეანიძის გაძევებაზე და „ძველი კარგი დროების აღდგენაზე“ ამიტომაც ოცნებობდა. და არა მარტო ოცნებობდა.

გედეონმა გადაწყვიტა, ყველაფერ ამას გურასაშვილს მოვასხენებ და ჩემს ჩარევას მესამე უბნის საქმეებში ოდიბაშვილის მოთრგუნვით დავიწყებო. მერე კი, ალბათ, ჩახუნაშვილის ჯერიც დადგებოდა.

კახაბერმა გედეონს ყურადღებით მოუსმინა და ყველაფერში დაეთანხმა, ოღონდ ბოლოს უთხრა, მოსამზადებელ სამუშაოებს ნუ შევესებებით, სარდიონს ვერ უნდოდა და რომ გაიგოს, ეწყინებაო.

— ბატონო კახაბერ, სავენტილაციო შტრეკი სადაცაა ქუთაისში, საფინსიაზე გავა.

— შევიდეს! სუფთა ჰაერი არც საფინსიელებს აწყვთ.

— კი, ბატონო, მაგრამ...

— არაფერი! მე შენ ყველაფერში ეთანხმები. ახალი თვალი ყოველთვის უკეთ ხედავს. ბევრი რამ მეც ვიციოდი. მაგრამ სარდიონის დანატოვარს ყველაფერს ასე უცბათ ნუ შეცვლიათ. ხალხიც ვერ გაგვიგებს... ჰო... რაც შეეხება მესამე უბანს, ერთი, თუ ხათრი გაქვს, გამიმეორე, რაც მითხარი.

— შატზე ყველაზე კარგად ეგ უბანი მუშაობს აი, ბატონო, ციფრები.

— ჰოდა, მავას რალა სჯობია! ვილცა ვილცას მუდამა სჯობნის.

— კი, მაგრამ, თქვენ ხომ იცით, რომ..

— ჰოო... ვიცი ყველაფერი ვიცი და ყველაფრის უფლებასაც გაძლევ. ეგ ოდიბაშვიე თუნდაც გააციმბირე, ხელს გიწერ!

— ციმიბირში ცხოვრებას ახლა არაფერი სჯობია.

— მაშინ სადმე კიდევ უფრო შორს,

სადმე მოუსაველეთმი გავეზავოთ... მაგისი პატრონი დედაცა... თავი მართლაც რაღაცა ჰკონია.

— ახალგაზრდების იმედი მაქვს.

— სწორია. არჯევანიძეც ახალგაზრდა-ახალგაზრდა მუდამ ახალგაზრდას მიემხრობა.

— მერე კი — ჩახუნაშვილი. ხომ?

— მერე ჩახუნაშვილი. სწორია! ოღონდ, რასაკვირველია, თუ მოახერხებ. მაგაზეც ორივე ხელი მომიწერია. აჰ! ოღონდ, გედეონ...

— ბატონო!

— ისა. ასე გვინდა... ხარდიონის დატოვებულს ასე აშკარად ნუ მივასწორ-მოვასწორებთ. ის კაცი ახლაც ჩვენი უფროსია. გარეკონ ე სავენიტილიაცით შტრეკი. ცოტა ვაკალოთ და საკონვეიეროში მერმე გადმოვიყვანოთ. ჩვენი ნება არ არი?

— ბატონი ბრძანდები!

გედეონ ხაზარაძე დიდხანს ყოყმანობდა, ის საქმე როგორ დაეწყო, — პირდაპირ გრიშა ოდიბაშვიცი გამოუძახა, თუ ჯერ მისი ბრიგადის წევრები. მემონტაჟებს შორის გედეონი რამდენიმე ახალგაზრდას, ასე თუ ისე, იცნობდა და ფიქრობდა, პატროსანი ბიჭები ჩანან და ძნელი დასაჯერებელია, რომ ოდიბაშვეს იმ წერილმან ინტრიგებში აპყოლოდნენო. მაგრამ გედეონმა ისიც იცოდა, რომ ოდიბაშვეს თავისი ბრიგადის წევრებზე დიდი გავლენა ჰქონდა; საერთოდ კი, ოდიბაშვეზე არა მარტო მისი ბრიგადის წევრები, არამედ ბევრი სხვა მემსატყვე ძალიან კარგი აზრისა იყო. განსაკუთრებით მისი ის თვისება მოსწონდათ, რომ თავისი ბრიგადის წევრებს არაყის დაანაგვირინებდა, წყალში ჩადგება, კლდეს გაანგრევს და თავის მუშას კი არაფერს გაუჭირვებსო.

ახე რომ, გედეონს ისევ ოდიბაშვეის გამოძახებით უნდა დაეწყო.

მთავარი ინჟინრის კაბინეტში ჩვეულებრივამებრ თავგადავარცხნილი და გამოუკიბული გამოცხადდა ამჯერად თამბაქოსფერი კოსტიუმი და მუქი შინდისფერი

პერანგი ეცვა. მოღური, სქელღანჩებიანი ფეხსაცმელები თვალისმოშვრუნად უკრი-ალეზდნენ. მთავარ ინჟინერს თამბაქო, უტეხი შურა შეაელო, მაგიდასთან ახლოს გაჩერდა და ამით აგრძნობინა, ველოდები, როდის წამოდგები და ხელს როდის გამო-მიწვდიო.

გედეონი კიდევ წამოდგა და ხელიც გამოუწვდა.

ოდიბაშვეი დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო და მაშინვე სიგარეტების კოლოფი და ასანთი ამოიღო. აშკარად დარწმუნებული იყო, აქ იმისთვის გამოიძახეს რომ ახალმა მთავარმა ინჟინერმა ახლოს გამიცნოს და შეიძლება, რაიმე დავალებაც მომცესო.

— შეიძლება, მოვწიო? — იკითხა ოდიბაშვემა.

— ხამწუხაროდ, არა! — გედეონმა, თავისთვისაც კი მოულოდნელად თავი მძიმედ გადააქნია და ოდიბაშვეს თვალი თვალში გაუყარა. მე თვითონაც არ ვეწევი და ვერც სხვის ბოლს ვიტან. სხვისი ბოლი კი უფრო მავნებელიცააო, არ წაგიკითხავთ?

— დიას, როგორ არა... — ოდიბაშვეი ოღნავ დაიბნა, მაგრამ უხერხულობისა ბევრი არაფერი დასტყობია. კოლოფი ისევ ჯიბეში ჩაიღო და თავისთვის კი გაიფიქრა ბატონი მთავარი ინჟინერი ცოტა უცნაურ ხასიათზე ბრძანდება, მე თვითონ ძალიან ხშირად მინახავს, თვითონაც რომ აბოლებდა და სხვისი ბოლით გამოტენილ ოთახშიც არბეინად იჯდაო.

ოდიბაშვეი ხაზარაძეს უტეხ მშერას არ ამოვრებდა და მარჯვენა ხელის თითებით მუხლზე რაღაც მგლოდიას უკრავდა.

„თავხედი! — გაიფიქრა გედეონმა, — თავხედი და უტიფარი! ახლა ამის გული-სათვის პაპიროსი მთელ საათს ვეღარ უნდა მოვწიო. ისიც კარგი იქნება, თუ ამ რეგვენს ერთ საათში მაინც რამე შევაგნებინე“.

— ხედებით, რისთვისაც გამოგიძახეთ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, ვერა.

ნამდვილად კი ოდიბაშვეი უკვე ხედვ-ბოდა, რისთვისაც გამოიძახეს „ესეც და არჯევანიძეც ჭალაქიდან ჩამობრძანებუ-

ლი ინტინრები არიან, — ფიქრობდა იგი, — ძალღი ძალღის ტყავს არ დახვეს...
 — ჩვენ გავანალიზეთ, უბნების მუშაობა უკანასკნელი თვეების მანძილზე და გამოირკვა, რომ ყველაზე უკეთ მესამე უბანს უმუშავენია. — გედეონმა მაგიდაზე მუშტებად შეკრული ორივე ხელი დააწყო.

— თუ ვგრა, ძალიან სასიამოვნოა. მე თვითონაც, მოგესხენებათ, მესამე უბანზე ვმუშაობ. მაგრამ თქვენს აზრს კი ვერ გაგიზიარებ.

— რატომ?

— თქვენ, ბატონო ინტინერო, საქმეს, ასე ვთქვათ, მეცნიერულად უდგებით, თქვენ იღებთ ციფრებს და ანგარიშობთ, ეს თვითღირებულებათ, ეს ნაყოფიერებათ, ეს ამონალის ეკონომიათ... და კიდევ ათასი რამ. მე კი უბრალო მშრომელი ვარ და უბნის მუშაობასაც სხვანაირად ვზომავ.

— ალბათ, პირადი შემოსავლით, ხომ?

— ალბათ კი არა, ნამდვილად. თვითღირებულება და ამონალის ეკონომია მე ნაკლებად მაინტერესებს.

— მე ვიცი, რომ თქვენ ახლა წინანდელთან შედარებით ცოტათი ნაკლებ ხელფასს იღებთ. მაგრამ თქვენც იცით, რომ ის, რასაც ჯიბრილ ხელთუფლიშვილი ზოგჯერ თქვენი გულისთვის აკეთებდა, ყოველგვარი წესებისა და კანონების დარღვევა იყო. არაფრანძვე კი ამას არ აკეთებს.

— ესუდავ.

— რა ვქნათ? — გედეონმა გულხელი დაიკრიფა, სკამის ზურგს მიაწვა და ოდიბაშევს თვალი თვალში გაუყარა.

— ესე იგი? ოდიბაშევი ახლა კი დაიბნა მთავარმა ინტინერმა ეს კითხვა მას ჯიქურ დაუსვა, მზერას არ ამორებდა და პასუხსაც დაუყოვნებლივ ელოდა.

— თქვენ და არაფრანძვე ვერ ეწყოებით. ამიტომ ჩვენც არჩევანის წინაშე ვდგევართ.

— აჰა... მე შემძლია, დღესვე წავიდე. მაგრამ..

„ასე უნდად ხად უნდა წავიდე?“ — ჩუისვე გაუელვა ოდიბაშევს.

— მაგრამ — რა?

— როგორ გითხარათ... ჯერ ერთი, მავ

არაფრანძვის წყალობით უბანზე კაცი დაიღუპა. მეორეც ისა, რომ არაფრანძვიმ მთელი ქვეყნის დასახლება თავისი ამხანაგის, თავისი ოთახის მოზიარის ცოლთან ცხოვრობს. და უბანზე არც ერთ მემსახტეს თვალთ არ დანახებდა თქვენც მოვალენი ხართ, მორალზე იზრუნოთ. არაფრანძვე მთელი უბნის მემსახტეებს გველივით ეზინდებათ. ეგ მაგას არც შერჩება დიხა... მესამე კი ისა, რომ ბატონ სარდიონთან, ამ დიდებულ, ნამდვილად დასაფასებელ ადამიანთან შვიდი წელიწადი ვიმუშავე და მისგან მაღლობის მეტი არაფერი მახსოვს. ჩაიხედეთ ჩემს პირად საქმეში. ბატონი სარდიონი კი ახლა ტრუსტის მმართველია და ისევ თქვენი უფროსია. ეს ნუ დაგაგიწყდებათ. პატოსანი მშრომელის დანაგვრის უფლებას ის თქვენ არ მიგცემთ. თქვენ რომ იცოდეთ, ჯიბრილ ხელთუფლიშვილი მიხი კაცი იყო და ბატონმა სარდიონმა ძალიან კარგად იცოდა, უბანზე რაც კეთდებოდა. თქვენ ამბობთ, ხელთუფლიშვილი ავანტიურისტი იყო. ესე იგი, სარდიონიც ავანტიურისტი ყოფილა. კარგი! ეს ყველაფერი ფერწასულმა ოდიბაშევმა გედეონს სხაპა-სხუპით მიაყარა და აკანკალებული ხელით ჯიბიდან ისევ სიკარეტის კოლოფი ამოიღო. სკამზე ველარ ჩერდებოდა.

— მე გითხარით, აქ ნუ მოსწევთ-მეთქი!

— ბოდიში! ამაზე ბოდიში... მაგრამ სარდიონ რაჭველიშვილი ავანტიურისტია, თუ არა, ამაზე ჩვენ სხვა ადგილას მოვილაპარაკებთ. — ოდიბაშევმა კოლოფი ჯიბეში ძლივს ჩაიტუნა.

„რა ხარ, ვინც არ გიცნობს!“ — გაიფიქრა გედეონმა.

— ტყუილად გაირჯებით. სარდიონი არ დაგიჯერებთ, რომ მე იმას ავანტიურისტი ვუწოდებ.

— ვნახოთ! მაშ! მე მახტიდან რატომ უნდა წავიდე?

— თქვენ ისიც თქვით, დღესვე წავალო.

— არა! ბოდიში! მე პატოსანი მშრომელი ვარ. მე არსადაც არ წავალ. ან რატომ უნდა წავიდე? რა, რამე დავაშავე?

ვთქვათ, არჯუვანიძე გაგაკრიტიკე. მერე რა? ეს დანაშაულია? კრიტიკის უფლება ყველას აქვს. თუ ცილი დავწამე, კი ბატონო, პასუხი მაგებინეთ, მაგრამ თუ მართალი ვარ? რა არჯუვანიძე გოგოლასთან არა ცხოვრობს? ან და, იგივე ხელფასის საკითხი ავიღოთ. რა, მე უფლება, არა მაქვს, კარგი ხელფასი მქონდეს? მაშ, პარტია და ხელისუფლება ჩვენზე რატომ ზრუნავს? რატომ, რატომ ზრუნავს?

— ჩვენ ერთმანეთის არ გვესმის.

— ეგ რა შუაშია? თქვენ მე ვერ მომხსნით.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კარგი მუშაკი ვარ. ოდიბაშევი გედეონს გაოცებით შეხედა, ასეთი უბრალო და ნათელი რამ როგორ არ იცისო. — აი, ჩემ ხალხს ახლაც რემტაკები გადააქვთ.

— მოგხსნით!

— რა მიზეზით?

— ხელმძღვანელის ავტორიტეტის შელახვისა და უბნის მუშაობის დესორგანიზაციისათვის.

— აკი უბანი კარგად მუშაობსო? — ოდიბაშევი გაოცებისაგან პირიც კი დაალო. — ან ეგეთი მუხლი კოლექსში არის?

— არის.

— მაშინ შეამოწმეთ. არჯუვანიძეზე თუ ტყუილი ვთქვი. გოგოლა...

— კარგი! — გედეონმა მაგიდას ხელი დაქრა, — გოგოლა! ჩვენ მაგ საქმესაც მოუვლით, შენ ნუ გეშინია.

— მოუარეთ, რატომ... მაშინ, პო... რა ოქმა უნდა... — ოდიბაშევი მიმოიხედა. მას არც კი შეუქმნევია, რომ უკვე კარგა ხანი იყო, რაც ხაზარაძეს ფეხზე წამოხტარი ელაპარაკებოდა. ახლა თითქოს ცოტათი გონს მოეგო და დაჯდა.

— მოვუვლით, ნუ გეშინია. — გაიმეორა ხაზარაძემ. — ახლა ასე: თუ წასახელებელი გაქვს და წახელა მართლა გინდა, ძიბრძანდი! ორი კვირის ხელფასს ახლავე გამოგიწერო. და თუ არჯუვანიძესთან ისე იმუშაობ, როგორც საჭიროა, მაშინ... იმუშავე! ჩვენ შენთან სადაო არაფერი გვექნება.

— ბატონო... მე რა... ვერე რატომ შელაპარაკებით? მე ერთი მწირომელი ვარ... მე რასაც მტყუნიან...

„მწირომელი კი არა, არამზადა ხარ. მაგრამ, ჩემდა საბედნიეროდ, კურდღელივით მშიშარაც ყოფილხარ. შენი მოთრგუნვა მე არ გამიჭირდება.“

— წაივდე?

— მოიცა. ცვლის ბოლოს მთელი შენი ბრიგადა აქ მოიყვანე. გესმის? მარტო შენი ბრიგადა. არჯუვანიძეს ნუ გააგებინებ. იმას თავისი საქმეებიც ეყოფა.

— მესმის.

— ნახვამდის!

— ნახვამდის!

„აკი წიგნის ჩრჩილიაო!.. — ფიქრობდა ნირწამნდარი ოდიბაშევი კაბინეტიდან გამოსვლისას. — ჩრჩილი კი არა... არადა, მაგას ყველა კანონი ზებირად ეცოდინება. თუ მოგხსნა, ისე მოგხსნის, რომ ვერა სასამართლო ვერ აღადგენს. საიდან შემოშიარა! წადიო! სად წაგალ? ბრიგადირები ყველგან თავსაყრელია, შენ მუშა თქვი. არა, ეს არც სარდიონია და არც კახაბერი ამასთან ტყუით!“

— გედეონს, რა ოქმა უნდა, ერთი წუთითაც კი არ უფიქრია, ოდიბაშევი საბოლოოდ მოვარჯულებო. მარტო ეს იყო, რომ შემოხტაყვების ბრიგადირი ძალიან შემინდა და ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ ძალიან მალე მართლაც საბოლოოდ მოითრგუნებოდა. გედეონისათვის ეს შედეგიც იმაზე გაცილებით უფრო მეტი იყო, ვიდრე ოდიბაშევიან ამ პირველი გასაუბრებისაგან მოელოდა. მთავარიმა ინჟინერმა ყურმილი აიღო და კახაბერს დაურეკა.

— ოდიბაშევი, მგონი, შევაფიქრებ.

— კარგი ერთი და!..

— ღმერთმანი!

— მე კი ეს-ესაა, სარდიონმა დამირეკა, ოდიბაშევის ყურადღება მიაქციეთ და თუ თავისას არ დაიშლის, შეეჭვებ შეხტეზე გადავიყვანო. შანტის უფროსთან უკვე ულაპარაკებია, ეთომ, რაღაც დაწინაურებასავით გამოვა... უარს ვერ იტყვება უფრო მოსიყვანებს და ჩვენც.

— გადაიყვანოს! მაგის შემცველს როგორმე ვიშოვნით.

— ჰოდა, ვნახოთ!..

ცვლის ბოლოს გედეონის კაბინეტში ოდიბაშევის მთელი ბრიგადა — ოციოდე მემონტაჟე შეიკრიბა. სულ ახალგაზრდები იყვნენ და უბრალო, გულდია, კარგი ბიჭები ჩანდნენ. გედეონი თითქმის ყველას იცნობდა და შესდგდრისას ესალმებოდა ხოლმე, თუმცა მუშაობით მათთან არასოდეს უმუშავენია. ახლა, როგორც ცვლების შესაყარში ყოველთვის ხდება, ზოგს, ვინც შახტში უნდა ჩასულიყო, სპექტანსაცმელი და რუზინის ჩექმები ეცვა, ხელში აკუმულიატორის ლამფებიც კი ეჭირათ, სხვებს კი, ვინც შახტიდან ის-ის იყო ამოვიდა, ჩვეულებრივი კოსტუმები, შარვალ-ხალათი და ჯემპირი ეცვათ. თვითონ ოდიბაშევი ამჯერად სპექტანსაცმელა და ახლად გარეცხილ კრიალა რუზინის ჩექმებში იყო გამოწყობილი... ალბათ, გედეონისათვის უნდა ეჩვენებინა, თათბირები და სხდომები საჭიროა, მაგრამ ჩვენი მთავარი საქმე მაინც შახტში მუშაობაა და ეს მე არცერთ ვითარებაში არ მიაწვივდებაო. ისე კი, სიმართლე უნდა ითქვას, ადამიანის ფერი არც ახლა ვდოდა თვალებს მოუსვენრად, დამფრთხალი აციცებდა.

— დასხედით, ყმაწვილებო!

მემონტაჟეები სკამების მრიგინ-ბრიგინით დასხდნენ.

— გთხოვთ, მიცნობდეთ: მე შახტის მთავარი ინჟინერი გახლავართ!

— ვიციო, ვიციო... — ამოიბრიალა ოციოდე ხმაში.

— კეთილი და პატიოსანი. თქვენ, მემონტაჟეების ჩვეულებრივ გრაფიკს არ ემორჩილებით. შახტში მაშინ ჩადიხართ, როცა საჭიროა, და ამოდისხართ, როცა საქმეს მორჩებით. ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ თათბირს მაინც ნუ გაავარკველბთ. მით უმეტეს, რომ, როგორც მე ვსვდებ, ბევრი თქვენგანი სამუშაოდაა გამზადებული. ერთი სიტყვით: არც ისე დიდი ხნის წინათ თქვენს უბანზე ცვლილება მოხდა. წავიდა ჯიბრალილ ხელთუფლი-შვილი და მოვიდა თეიმურაზ არჯვეანიძე.

უფროსის შეცვლას მუდამ მოსდევს რაღაც ცვლილებები თვითონ მუშაობაში, სტაბილური, შედეგებში. მე მაინტერესებს თქვენი აზრი, ამ ცვლილების შედეგად უბანმა მოიგო, თუ წააგო?

კაბინეტში სიმუშე ჩამოვარდა. მემონტაჟეები ხან ერთმანეთს შეხუდადენენ, ხან გედეონს, ხან ოდიბაშევეს და დუმდნენ. ყველაზე ადრე ხმის ამოღება ისევ ოდიბაშევემა დააპირა, მაგრამ გედეონმა იგი შეაჩერა:

— თქვენ — მერე. ჩვენ ხომ უკვე ვილაპარაკეთ. აბა, ბიჭებო? ხმა მაინც არავის ამოუღია.

განაპირა სკამზე ერთი სულ ახალგაზრდა, ოციოდე წლის, უწყვერული, მაგრამ ძალიან კუსტი, რომ იტყვიან,, პირქუში გამომეტყველების, წარბშეკრული ტაბუკი იჯდა. გედეონმა ყურადღება რატომღაც მასზე შეაჩერა, მას საერთოდ მოსწონდა ასე კუსტად მოშხირალი, უკარება ბიჭები. ფიქრობდა, ვგენი მუდამ პატიოსანი და მტკიცე ხასიათის ხალხიაო. შახტზე ამ ბიჭს მანამდე რატომღაც არსად შეხვედრია.

— თქვენ რა გვარის ბრძანდებით?

— ჯაბადარი, — ტაბუკის სახელზე კუნთიც კი არ შენძრეულა. არც გამომეტყველება შეუცვლია — ისევე თავჩაღუნული იჯდა შეშინებული ორბივით.

— მერე? რამე გვითხარით. სათქმელი არაფერი გაქვთ?

— მე ბრიგადაში ახალი ვარ.

— რამდენი თვეა, რაც ბრიგადაში ხართ?

— ორი.

— ოჰ, ეს მართლაც ძალიან ცოტაა. ბოდიშს ვისდი, ტყუილად შემიწუებინხართ. თქვენ? — გედეონმა შვერა ჯაბადარის გვერდით მჯდომ, ქვერა, ჩასუქებულ, ძალიან ადრე გამელოტებულ ახალგაზრდაზე გადაიტანა.

— მე... — მელიოტი უკმაყოფილოდ შეინძრა. — მე არ მესმის ჯერ ერთი, ამჟანაგი ჯაბადარი ტყუილს რატომ ამბობს. ეგ ორი კი არა სამი თვეყაა, რაც ბრიგადაში მოვიდა. დიახ! მეორე კი...

— სამი? — გედეონმა ღიმილი ძლივს

შეიკავა. — ჰოო! მაგრამ — მეორე? მეორე-რა?

— არა, არაფერი, ოღონდ... აქ თუ გამოგვიძახეს, სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ. ეს კი ამბობს, ორი თვეო. ორი კი არა, სამი თვეა. თვითონ უფრო არ უნდა ახსოვდეს!..

— სრული სამი თვე ჯერ არ არის. — დინჯი, ობიექტური კაცის კილოთი წარმოთქვა ოდიბაშევი, მაგრამ არც ბევრი უკლია.

— კარგი. მაგაზე ნუ ვიკამათებთ. დროც გარბის. — გედეონმა საათზე დაიხედა. ბიჭებო, როგორ, არაეინ არაფერს იტყვიან?

არა, არაეინ არაფერს თქმას არ აპირებდა.

— ოჰოო! ამას თქვენგან არ მოველოდი. მაგრამ არა უშავს. მოდიოთ, ახე შევთანხმდეთ: უბნის საქმეებს მე თვითონვე უფრო დაწვრილებით შევისწავლი, შევადარებ, გავეანალიზებ და მაშინ უფრო დაწვრილებით მოვილაპარაკოთ. შევთანხმდით?

— დიას! — თითქმის ერთხმად უპასუხა ოცივემ.

აბა, ჯერჯერობით!..

მემონტაჟეები ისევ სკამების ზრიგინით წამოღძვნი და კაბანეტიდან ერთიმეორის გაყოლებით, დამწკრივებულნი გავიდნენ. კაბინეტში მარტო კრიალა რეზინის ჩექმებში გამოწყობილი ოდიბაშევი დარჩა.

— თქვენ რამე გნებათ? — ოფიციალური კილოთი ჰკითხა გედეონმა.

— არა, მაგრამ... იცით... ის ხმები სმდივლად გადაჰარბებულა... ესე იგი, რაც ჩემზე მოგსვლიათ. არჯევანიძე კარგი ბიჭია. მე თუ რამე ვთქვი, არ ვიცი, თქვენ როგორ გადმოგცეხ, მაგრამ ისევე მაგის და უბნის სასარგებლოდ ვიტყოდი. არა, მე პირდაპირ უნდა მოგასწავლოთ: ის ამორალური საქციელი, რომელიც მან ჩაიდინა, მასვე ძალიან ენებს, რა თქმა უნდა, მემშახტეების თვალში. იმდენად ახალგაზრდებში არა, რამდენადაც აი, უკვე დამჯდარ, ხანდაზმულ ხალხში. მე კი, პირიქით! ის კი სულ ტყუილია... აი, გუებნებით.

— მე აკი გითხარით, თავის დროზე იმ

ამორალურ საქციელზე იმსჯელებენ-მეთქი.

— დიას. თქვენ ბრძანეთ. ჰოდა, მეტი არაფერი. ჩვენ კი, როგორც ვმუშაობდით, ისევე ვიმუშაებთ. ამას რა ლაპარაკი უნდა!

— მაგას რაღა აჯობებს!

— ჰოდა. მეტი არაფერი. ნახეამდის, ბატონო გედეონ!

— ნახეამდის!

კახაბერ გურასაშვილი გედეონ ხაზარაძის ყოველ ნაბიჯს თავიდანვე გულდასმით უკვირდებოდა. ყველაფერს ამჩნევდა და იხსოვებდა, თქმით კი ჯერჯერობით მთავარ ინჟინერს არაფერს ეუბნებოდა. საერთოდ გედეონი მას მოსწონდა, — მცოდნეცაა, ენერგიულიც, პატიოსანიც და ამხანაგურიცო, ბედმა ნამდვილად კარგი მთავარი ინჟინერი მარტუნათ. მაგრამ კახაბერს არც თუ ისე ეგაშინებოდა ის მეთოდი, რომლითაც გედეონი მესამე უბანზე მოქმედებდა. ოდიბაშევის რომ ცხვირი მიწაზე აკვრეფინა, ეს ძალიან კარგი. მაგრამ მერე ერთხმად ძალიან ბევრი მოინდომა. ან მარტო ის რაღა ჰგავდა, რომ მემონტაჟეების მთელი ბრიგადა თავისთან გამოიძახა, უბნის უფროსს კი, არჯევანიძეს ამაზე არაფერი უთხრა. არჯევანიძეს, მგონი, ჯერ საერთოდ არც კი დალაპარაკებია.

სალამოს, სამუშაო დღის დამთავრებისას, როცა ორივენი კაბინეტში იხსდნენ, კახაბერმა გედეონს ეს ყველაფერი ძალიან ხათრიანად, მაგრამ მაინც საკმაოდ გარკვევით უთხრა.

— არ მესმის, ბატონო კახაბერ! — გედეონს დაწვენი შეუფაცვალა.

— არა, გედეონ, მე ისეთს კი არაფერს გუებნებო. მე ძალიან გამეხარდა, ოდიბაშევის ფრთები რომ შეაკვცვეთ. პირდაპირ მოსალაცი საქმეა. მაგრამ... ისა... როცა უბნის საქმეებზე ვფიქრობთ და ვსრუნავთ, არჯევანიძის გვერდის ავლა... აბა, როგორ გითხრათ...

„მართალია, — გაიფიქრა გედეონმა. — ეს როგორ მომივიდა!“

— ძალიან გთხოვ, გედეონ, ჩვენი ერთად მუშაობა ახლავს იწყება და ერთმანეთისა არაფერი უნდა გვეწყინოს, მაგრამ... იქნება, იმ ბიჭს შენ თვითონვე გამოლაპარაკებოდი? ოფიციალურად გაგაცნობ, რა თქმა უნდა, და, ალბათ, გიცნობს კიდევ, ისე როგორ იქნება, მაგრამ... ეს სხვაა. ხომ გესმით, არა? თორემ რა გამოდის? ყველანი გავყვირით, ხომასურით, ხომასურით. არადა, რა არის ეს ხომასურით, ვერ ხომ არც ერთმა არ ვიცით. დღეს მთელი დღე ამაზე ვფიქრობდი. ის ბიჭი ყველამ ძალიან გავენაპირეთ. იქნება, მაგ ხომასურითეს ვგ ბიჭი უყვარს, გასაქანს არ აძლევს... ამიტომ უნდა ჩამოვებაროთ? აქ დიდი, ძალიან დიდი დაკვირვება გვმართებს.

— ხომასურითესუ მე არკვევანიძეს ვერ დაველაპარაკებო.

— ხომასურითესუ ნურც დაველაპარაკებო. ისე მიდი, გამოეცნაურე, იქნება, დღესვე გაიშინაურო. თორემ უბნის შემასტეში ზედაც აღარ უყურებენ. როგორი საქმეა!

— ერთი რამე რომ გითხრა, კახაბერ, დამიჯერებთ?

— როგორ თუ არ დაგიჯერებ?

— ჰოდა, იცოდეთ, რომ სწორედ ამ საღამოს იმ ბიჭთან მისვლას მე თვითონაც ვაპირებდი.

— გედეონს იმ წუთში მართლაც სჯეროდა, რომ ეს ნამდვილად ასე იყო.

— ჰოდა, იცოცხლე! — კახაბერს გედეონის სიტყვები სულაც არ გაკვირვებია. — სწორია. შენ გაიხარე! ვინ იცის, მაგ ერთი მისვლით რამოდენა საქმე გაკეთდეს! ეს ჩემი ნათქვამი კი, ძმურად, არ გეწყინოს! კაცო, ხან მე გეტყვი, ხან შენ მეტყვი, მაშ, ისე როგორ იქნება!

თავი გვიმღვებე

თეიმურაზი ჩაცმას და გოგოლას სახლისაკენ გავლას აპირებდა, — იქნებ შორიდან მაინც თვალი მოგვარო, რომ კარზე შეტად ზრდილობიანად დაუკაკუნეს. ვერასგნით ვერ მოისაზრა ვინ უნდა ყოფილიყო. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ აქ ჩაფინაძე მოვარდნილიყო და ჩხუბი აეტება. ჩაფინაძე არც ასე ზრდილობიანად დააკაკუნებდა. შეიძლება, ანთიმოზი, ან მისი ცოლიაო, გიფიქრა, ესენი მართლხელა ინჟინერს ზოგჯერ სადილზე პატივებდნენ ხოლმე. თეიმურაზმა კარი უხალისოდ გამოადო და ხელთ შახტის ახალი მთავარი ინჟინერი შერჩა.

- შეიძლება, ბატონო თეიმურაზ?
- ჩემთან მოხვედით?
- დიახ!
- მობრძანდით!

ხაზარაძე შევიდა და ლაბადა გაიხადა. თეიმურაზმა ჩამოართვა და კაუჭზე ჩამოკიდა.

— თქვენი გულისთვის შახტის უფრო-

სისაგან საყვედური მივიღე. პირად საქმეში არ ჩაუწვრიო, მაგრამ... ამ ორი სკამის მეტი არა გაქვთ? აი, ამაზე ჩამოჯდები. დიახ, ბატონო თეიმურაზ, თქვენი გულისთვის საყვედური გამომიცხადეს. სულ ნახევარი საათია.

გედეონი იმ სკამზე ჩამოჯდა, რომელიც მასთან უფრო ახლოს იდგა, სიგარეტი ამოიღო და თეიმურაზს შეხედა.

- შეიძლება?
- ინებეთ.

თეიმურაზმა გედეონ ხაზარაძე შახტზე მოსვლის პირველსავე დღეებში შეამჩნია. მერე ხომ ის იყო, გააცნეს კიდევ. თეიმურაზმა პირველი წუთებიდანვე იგარძნო. რომ გედეონი მის სწრაფ დაწინაურებას

— პირდაპირ საექსპლოატაციო უბნის უფროსად დანიშვნას, ცოტა არ იყოს, უნდობლად უყურებდა და ამის დამალვას არც თუ ძალიან ცდილობდა. რაკი თეიმურაზი გედეონზე უფრო ავტორიტეტული და გავლენიანი კაცის — ხარდიონის და-

ნიმნული იყო, მან გადაწყვიტა, ეს ქუთაისელი ინჟინერი ინტელიგენტი და კარგად აღზრდილი, თავდაჭერილი კაცის შთაბეჭდილებას კი სტოვეებს, მაგრამ მაინც შეზღუდული, ცივი, მხოლოდ საკუთარი პირიყენებით გართული ვინმე უნდა ბრძანდებოდესო. თეიმურაზს იხიცი კი მოერვნება, ხაზარაძე სულის სიღრმეში ძალიან არასერიოზულ ვინმედა მთელის და სრულიად დარწმუნებულია, რომ უბნის უფროსის თანამდებობაზე ძალიან მალე ჩაფეხლავდებიო. ამიტომ თეიმურაზი არასოდეს გედეონთან დაახლოებას არ ცდილა: თავის მხრივ თეიმურაზთან დამეგობრების დიდი სურვილი არც გედეონს გამოუმტლავებია, და იყენენ ასე: გამარჯობათ! გაგიმარჯოთ! ხომ კარგად ბრძანდებით? არა მიშავს!.. კარგად ბრძანდებოდეთ! — და მეტი არაფერი.

თეიმურაზმა იცოდა, რომ გედეონს შახტზე ყველანი კარგი თვალთ უყურებდნენ და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, მაგრამ ეს არცა სწყინდა და არც უხაროდა. რატომღაც ვერ წარმოუდგინა, რომ შეიძლებოდა. როდესმე მისი და გედეონის გზები შეიძლებოდა შეყრილიყვნენ. ამიტომ გედეონთან ურთიერთობის მოწყობრივებაზე არასოდეს უფიქრნია. და აი, სწორედ ის მოხდა, რასაც თეიმურაზი არ მოელოდა.

გედეონს გულთბილი ლაპარაკი და ადამიანთან ინტიმური ურთიერთობის დამყარება არასოდეს ესერსებოდა. კახაბერის წვლანდელმა გაუბედავმა, მაგრამ არაორაზროვანმა შენიშვნამ უხერხულ მდგომარეობაში წააგდო და შემონტაჟეების ბრიგადასთან თავისი საქციელის ამკარა უტაკტობა დაანახვა. მწარედ ფიქრობდა, ადამიანმა რამდენი უნდა იცხოვროს და ისწავლოს, რომ ასეთი შეცდომები აღარ მოგივიდესო. აქ იმიტომ მოვიდა, ის გულცივი დამოკიდებულება, რაც აქამდე მას და თეიმურაზს არჯეგანიძეს შორის სუფეხდა, სამუდამოდ გაქვარწყლებინა. მაგრამ არ იცოდა, თეიმურაზთან ლაპარაკი საიდან და როგორ დაეწყო. იმ წინდაწინვე მომზადებულმა რამდენიმე ფრაზამ ყინული სულაც ვერ გააძნო.

უძილო ღამეებისაგან ფერწასული და უბეჭნამავებული არჯეგანიძე წელში-მხრითი, ხმაგაკმენდილი იჯდა თავის-ხაზოლზე და ლაპარაკის დაწყების არავითარ სურვილს არ ამტკიცებდა.

„დაქანცული და დადარდიანებულია, — გაიფიქრა გედეონმა, — მაინც ძალიან მძიმე ტვირთი აკვიდეს! ახლა კიდევ ის...“

- ოთახით კმაყოფილი ხართ?
- დიას!
- შესობლად ვინ ცხოვრობს?
- ჩახუნაშვილი.
- თქვენი მოადგილე?
- დიას!

სიწუმე ჩამოეარდა. იმის ნაცვლად, რომ თეიმურაზთან ლაპარაკი გავერძელებინა, გედეონი მოულოდნელმა აზრმა შეიპყრო: კახაბერმა აკი დღეს უთხრა, სარდიონმა ოდიბაშვიცი შეიძლება მეექვსე შახტზე, რაღაც ახალ თანამდებობაზე გადაიყვანოს, დაწინაურებასავით გამოვა და ოდიბაშვიცი ხმასაც ვერ ამოიღებსო. თუ ამის გაკეთება ოდიბაშვიცის მიმართ შეიძლება, რატომ არ შეიძლება ჩახუნაშვილის მიმართ? მისი თავიდან მოცილება ხომ დიდი ხანია უნდა. ეს უბრალო აზრი რატომ აქამდე ვერაინ მოიფიქრა?

- ჩახუნაშვილთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?
- ჩვეულებრივი.
- არა, შახტზე კი არა, აქ კარგი მეზობლები არიან?
- არა უშვას.
- გასაგებია.

არა, არჯეგანიძესთან საქმეებზე ლაპარაკი ახლა ნამდვილად არ შეიძლებოდა. კახუკს თავისი მთავარი დარდი ლოდივიც აწვა გულზე. და გედეონმა უეცრად, თავისდა მოულოდნელად იგრძნო, ამჟამად, თვალნათლივ დაინახა, რომ თეიმურაზს ახლა სწორედ იმ თემაზე დაულაპარაკებოდა, რომელზეც გურასაშვილს გადაჭრით უთხრა, — იმაზე არჯეგანიძეს ერთ სიტყვასაც არ ვუტყვიო.

- თეიმურაზ, ცოტა ხომ არ გაგვესვირნა? გარეთ მშვენიერი ამინდია.
- სიამოვნებით!



ინერტობა ლაბადები აუჩქარებლად ჩაიყვან და გარეთ გამოვიდნენ.

თეიმურაზი ახლა გოგოლას სასლისკენ წასვლას აღარ ფიქრობდა. იგი გრძნობდა, რომ ხაზარაძე მასთან ტყუილად არ მოსულა, რადგან უნდოდა... იქ კი, აივანზე შეიძლებოდა, ჩაფიჩაძე გამოსულიყო, თეიმურაზი დაენახა. და... არა, მისი მუშტებისა თეიმურაზს არასოდეს შინებია, საქმე მხოლოდ ის იყო, რომ ის მუშტები გოგოლას ხედებოდა... მაგრამ ხაზარაძე ხომ იფიქრებდა, შე ამასთან საქმეზე სალაპარაკოდ მოვედი, ამას კი მაინც თავისი საყვარლის სახლისკენ წამოვეუთრევივარო.

მაგრამ თეიმურაზისთვის მოულოდნელად ხაზარაძე თვითონვე დაადგა გოგოლასა და არქიფის სახლებისკენ მიმავალ შარას. ეს გასაგებიც იყო: ამ გზით ადამიანი ძალიან მალე შორდებოდა შახტის და ქალაქის მტვერსა და ხმაურს, ტერიკონის გოგირდის სუნიანი კვამლით გაყვნილ ჰაერს, ვაგონტებისა და ბუნკერის გრუნუნ-გრიანს და სულ ათიოდე წუთის შემდეგ სოფლურ, პირდაპირ იდილიურ გარემოში ხედებოდა, სადაც სუფთა ჰაერით სუნთქვა, ბატკნების პეტელისა და ჩიტების ფურტკულის მოსმენაც კი შეიძლებოდა.

თეიმურაზი ხმაიმოულებლად მიაბიჯებდა ხაზარაძის გვერდით. ერთი-ორჯერ კი გაიფიქრა, ნუტავი, ის იდიოტი ჩაფიჩაძე მართლა გამოჩნდებოდა, ვეცემი და ყველაფერი გათავდებოდა.

მაგრამ შარაზე არავინ ჩანდა.

— თეიმურაზ, თქვენთან უბნის საქმეებზე ლაპარაკი ახლა სრულიად შედმიტია.

— რატომ გგონიათ?

— რაღა მგონია... მაგაზე ლაპარაკი რამდენჯერმე წამოვიწყებ და თქვენ სიტყვა ყოველთვის ბანზე ამიგდეთ.

— მაინც როდის?

— თუნდაც მაშინ, ჩახუნაშვილი რომ ვახსენე.

— თქვენ მკითხეთ, ჩახუნაშვილი როგორი მეზობელიაო.

— ეე მაშინ, როცა შეგატყვევთ, რომ

უბნის საქმეებზე ლაპარაკი არ გინდოდათ.

— შეიძლება. — თეიმურაზს უნალი-სოდ გაეღიმა.

— მაგრამ ის საქმე, რომელიც... თქვენ გაწუხებთ, ასე თუ ისე, მაინც უბანს უკავშირდება, ხომ?

— არ მესმის.

— ჩაუკვირდით.

თეიმურაზს სახეზე აღმურმა აჭრა. ხაზარაძე მასთან გოგოლაზე სალაპარაკოდ მოსულა მაგრამ რა იცის ამ კაცმა თეიმურაზის და გოგოლას საქმისა? ან რა უფლება აქვს?

— რას ჩაუკვირდებ?

— რასაც შე გვეითხებით, — გედეონი თვითონაც გაკვირვებული იყო, თანამდებობას რა შეიძლება, ამ საჩოთირო თემაზე რა თავისუფლად ავლაპარაკდით. — ჩაუკვირდით!

თეიმურაზმა რამდენიმე ნაბიჯი ხმაიმოუღებლად გადადგა. მერე გედეონს პირდაპირ თულებში შეხედა.

— ჩაუკვირდით.

— მერე?

— რაც მოხდა. იმის გამოსწორება აღარ შეიძლება... და არც საჭიროა.

— თქვენ ის ქალი... — გედეონი ახლა კი ცოტა გაუჭირდა; სიტყვა ყელში გაეჩხინა. — ის ქალი თქვენ... გიყვართ?

— შე მზადა ვარ, ის ქალი დღესვე ცოლად შევიერთო და მთელი სიცოცხლე მასთან ვიყო. — თეიმურაზმა ეს ფრანა მტკიცე კილოთი წარმოთქვა და დასასრულს გედეონის გაოცებულ მხერვას წააწყდა. — ძალიან გიკვირთ?

— როგორ გითხრათ... — გედეონი ნამდვილად დაიბნა. — ჩემს აზრს აქ თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. თითქმის კი არა, არავითარი. — გაასწორა მან. — მაგრამ... ის ქალი სხვასაც უყვარს.

— მის ქმარს. ვიცი.

— დიახ!

— ის კაცი მხეცია, მაგრამ რაკი გოგოლა უყვარს, რაღაც ადამიანური მაინც აქონია. ეს რომ არ მაჩერებდეს, აქამდე თავს გაკუხუთებავდი.

— თეიმურაზ, ჩვენ აქ იმისათვის არ ჩამოვსულვართ, რომ ქალების გულისათვის ვილატეებს თავები ვუხეთქოთ.

— ქალების გულისათვის... — თეიმურაზმა ეს სიტყვები ყოველგვარი ინტონაციის გარეშე გაიმეორა და უცბათ გედდონს პირდაპირ თვალებში შეხედა. — მე ძალიან გთხოვთ, იმ ქალზე ასე ნუ ილაპარაკებთ.

— მესმის... — ახლა გედდონის წამოწითლების ჯერი დადგა, — ბოდიშს ვიხდი, მაგრამ...

— ბატონო?

— უბრალოდ, ბატონო თეიმურაზ, მე მინდა გითხრათ, რასაც მაგ საქმეზე ვფიქრობ.

— ბრძანეთ! — თეიმურაზმა მხრები აიჩეჩა.

ნული ნაბიჯით მიდიოდნენ.

დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე ისევ იმდღევანდელი სურათი გამოჩნდა: ქუჩიდან მხარმარჯვნივ — ყვითელი ფარდული, მარცხნივ კი, ღობის იქით. უზოს სიღრმეში, ის ორსართულიანი. ღიააიენიანი იმერული სახლი. აივანზე იგივე ორი კარი გამოდიოდა — ორივე დახურული იყო, აქეთ-იქით კი — იგივე თითო ფანჯარა. არაფერი შეცვლილიყო.

თეიმურაზს გული შეეკუმშა.

— მე გეტყვი, ბატონო თეიმურაზ მაგ საქმეზე რასაც ვფიქრობ. მოვალე ვარ, არ გეწყინოთ. მაგ შახტზე მე უკვე რვა წელიწადი ვმუშაობ და არავის... დიას, დადიოდა ხმა — გოგოლა ცოტა არ იყოს თავდაუშვრელი ქალიაო, ამ ამბებს ყურადღებასაც კი არავინ აქცევდა. არა, ნუ გეწყინებათ! მე ძალიან ბევრი წიგნი წამიკითხავს. მაგრამ ნართაული და დასვეწილი ლაპარაკი მაინც ვერ ვისწავლე. ალბათ, დაბადებით ინენიერი ვარ. დიას. არახოდეს არავითარი რეაქცია... არა, არა, ნუ გეწყინებათ... ახლა კი, თქვენ თვითონ ხედავთ, უბანზე ურთიერთობა ერთბაშად ძალიან დაიძაბა. და არა თქვენსა და ვთქვათ, ახალგაზრდა მეშახტეებს შორის, არამედ თქვენსა და სწორედ ხანდაზმულ, კეთილშეშობიერ, დაბრძნებულ მეშახტეებს

შორის, რაზეც ჩვენს საქმიანობაში ძალიან ბევრი რამე არის დამოკიდებული. უმაგათოდ ჩვენ ნაბიჯსაც კი ვერ გადავდგამთ, თეიმურაზ; და მე მახსოვს. როგორ მგაცრად, პირდაპირ სასტიკად მოექცა ვე ხალხი ერთ ახალგაზრდა ინჟინერს, რომელმაც თავი მართლაც აიგდო და ვე ხალხი არაფრად ჩააგდო. არა იქ სულ ხხვა ამბავი იყო, ის ყმაწვილი იძულებული გახდა, სულაც წასულიყო ამ ქალაქიდან. თქვენი საქმე კი სულ ხხვაა. მაგრამ. მე ვფიქრობ, რომ... დიას, თეიმურაზიერობა და სიამაყე მაგ ხალხს თქვენც შეუღალეთ. თეიმურაზ, თქვენ ყურს მიგდებთ?

— დიას. დიას;

— თქვენ ვე ხალხი შეურაცხავით უნებლიედ, რა თქმა უნდა, მაგრამ... ეს მდგომარობას სულაც არ ცვლის. მაგ ადამიანებმა თქვენ დიდი ანგარიში გაგიწიეს, მხარში ამოვიდგნენ, მიგიღეს... თქვენ ამას უარყოფთ? ახლა კი ყოველი მათგანი დარწმუნებულია, რომ თქვენ. ქალაქელმა დარდიმანდმა მათი თქვენდამი მგებობრული გრძნობები არაფრად ჩააგდეთ და, რაკი ქალის ხაფანგში გაბმა მშვენივრად იცით, მათსა და თქვენსავე საერთო ამხანავს ცოლი... არც კი ვიცი, რა სიტყვა ვიხმარო... ერთი სიტყვით, თქვენ მაგ ქალთან ერთობით. დროს ატარებთ, და ეს მაშინ, როცა თვითონ ვე ქალიც მემახტეა, მძიმე ცხოვრებას ვწევა, თქვენსავით განებივრებული არ არის... ახლა, როცა ვე ქალი. ბოლოს და ბოლოს, დაშოშმინდა. და ოჯახს მოგვიდა, სწორედ ამ დროს თქვენ... თეიმურაზ, გამიგეთ?

— რას ნიშნავს, ჩემსავით განებივრებული არ არის? ჩემს ცხოვრებაზე მაგათ რა იციან?

— რა უნდა იცოდნენ! შეიძლება. მე და თქვენ ცხოვრებისაგან განებივრებული სულაც არ ვიყოთ, მაგრამ ქალაქელებს ეგენი ასე უყურებენ. და მართალიც არიან. სად ჩვენი ცხოვრება და სად მაგათი! მაგალითისათვის რალა შორს წავიდეთ. აი, ჩამოებრძანდით, მე ცოტა უფრო ადრე, თქვენ ცოტა უფრო გვიან, მაგრამ ორივენი უკვე პრივილეგირებული ადამიანები, უფროსები ვართ. მე უკვე მანქანა მემსა-



ხურება. ხვალ თუ ზგე თქვენც მოგემსახურებათ. ერთი სიტყვით, თეიმურაზ გამაგვთ?

— დიას!

— ახლა მდგომარეობიდან როგორ გამოვიდეთ?

ისინი უკვე გოგოლას სახლის პირდაპირ იდგნენ. ის კარიცა და ფანჯარაც იმდღევანდელივით ჩაკეტილი იყო. სასურსათო ფარდულიდან კი ვიღაც ქალის თავშეუკავებელი კისკისი ისმოდა.

— მოვბრუნდეთ? — გედეონმა მზერა ჯერ ფარდულს და მერე ქუჩის დასასრულს შეავლო. — მსიარულობენ... ქუჩა კი თავდება.

— მოვბრუნდეთ. — თეიმურაზმა გოგოლას ს.ხლს უკანასკნელი მზერა ესროლა.

ერთ ხ ნს ხმამოუღებლად იარეს.

— მე გკითხეთ, მდგომარეობიდან როგორ გამოვიდეთ—მეთქი!

— ბატონო გედეონ, მერწმუნეთ, მდგომარეობიდან გამოსვლა მეც ძალიან მინდა, მეც სულ მაგაზე ვფიქრობ. მაგრამ ვერაფერი მომისაზრებია.

ამიგონებე ფრაზა მთელი ამ ხნის განმავლობაში თეიმურაზმა პირველად წარმოთქვა. გედეონს გულიანად გაეღიმა. ეს უკიათი, აშკარად, ნამდვილად პატიოსანი თეიმურაზი მას სულ უფრო და უფრო მოსწონდა. მაგრამ ვერასვლით ვერ მიმხვდარიყო, თუ ეს ბიჭი ასე რატომ ჯიუტობდა. აკი გედეონმა პირდაპირ უთხრა, გოგოლასათვის შენ პირველი არა ხარო.

— დღეს, ბატონო გედეონ. მე მეტს ველარაფერს გეტყვით.

— თქვენ სულაც არაფერი ვითქვამით!

— არ ვიცი.

ცოტა ხნის შემდეგ გედეონმა თეიმურაზს აღმაცერად გახედა და უთხრა, მაინც ვერაფერი გამიგიაო. მაგრამ პასუხს ვედარ ვლირბა.

— თქვენ სად ვახშობთ ხოლმე? —

ისინი უკვე თავიანთი შახტის გადასახვევთან იდგნენ.

— ხან სად და ხან სად.

— ხანაც, ალბათ, ჩახუნაშვილთან. მაგრამ ახლა რესტორანში წავიდეთ. ჩემი დაწინაურება მაინც აღვნიშნოთ.

— რატომ — მაინც?

— იმიტომ, რომ დღეს მეტს ვერაფერს მივალწივ.

— თქვენი დაწინაურება პატარა საქმეა?

— ეპ. არც ისე დიდია.

თეიმურაზისთვის მოულოდნელად რესტორანში გედეონმა გაუგონარი პირის გემო და ღვინოების ცოდნა გამოამჟღავნა. თეიმურაზს თავიდანვე შეუვალად მოუჭრა, ჯიბისკენ ტყუილად ხელი არ წაიღო, ჩემს დაწინაურებას გზვიმობთო, და ისეთი უხვი ვახშამი შეუკვეთა, რომ ოფიციატებს თეფშებისათვის მაგიდაზე ადგილი არა ჰყოფნიდათ.

— ოდიბაშევის ამბავი გითხარი? — ჰკითხა გედეონმა, როცა ერთი ბოთლი გამოსცალეს.

— არა.

— მაგრად ვაჭანჭყარე. თუ ჰკუაზე მოვიდა, ხომ კარგი, თუ არადა, ხარდიონს დაურეკნია, მეექვსე შახტზე გადავიყვანო.

— ძალიანაც კარგი იქნება.

— ამის მეტი აღარც უბნის საქმეებზე და აღარც გოგოლაზე იმ საღამოს აღარ ულაპარაკნიათ. რვა საათზე რესტორანში ჯაზ—ორკესტრი აგრიალდა და გედეონმა თეიმურაზი იმიტაც გააოცა, რომ რესტორანში მსხდომი თითქმის ყველანი იცნობდნენ, იცნობდნენ, რომ ის შესანიშნავად ცეკვავდა და არც ერთ ქალს მისთვის ცეკვაზე უარი არ უკადრებია. პირიქით მისთვის ჩვეული თავაზიანობით მიეახლებოდა და თავს დაუკრავდა თუ არა, მაშინვე თვალეზგაბრწყინებულნი წამოხტებოდნენ ხოლმე ქალებიცა და ქალიშვილებიც.

თავი მეთორმეტე



მეორე დღეს გედღონმა კახაბერს ყველაფერი დაწვრილებით უამბო. და მერე ღიმილით დააყოლა, თქვენი პირველი შენიშვნა, ამხანაგო - უფროსო, გავითვალისწინე და კიდევაც შევასრულო.

— რესტორნის ამბავს რატომ აღარ მიყვები? — ღიმილით ჰკითხა კახაბერმა.

— შენ საიდან იცი?

— ჩიტმა ამბავი მომიტანა.

— მაინც?

— მაგას რაღა ცოდნა უნდა! მთელი ქალაქი და ეს თქვენ ორნი. სხვა არა იყოს რა, საცოლო ბიჭები ხართ.

— არჯევანიძეს საცოლო აღარც კი ვთქმის.

— კი!

— ეგრეა.

— მაშ, არაფრის გაგონება არ უნდა?

— არაფრის!

— ერთი შეხედე! — კახაბერმა ამოიხვინემა. — აი, შენა, ნახავ, გედღონ, მაგ ბიჭს ჩვენ ყველაფერს მოეუწესრიგებთ, დაეხმარებით, უჭკუო და უცოდინარი ხომ არც თვითონ არი, მაგრამ თუ ემაგ გოგოს არ ჩამოეხსნა, შეიძლება, ფეხი სწორედ მაგაზე წაიშტვრიოს. აი, შენ ნახავ! მეშახტეებმა თუ კაცი შეიძულეს — ხომ იცი!..

— ამბობს, დღესვე ცოლად შევირთავო.

— იფ! სხვის ცოლსა?!

— ასე ამბობს და...

— კარგი. ეს მერე იყოს. მაგ უბანზე, ალბათ, მაინც საერთო კრების ჩატარება მოგვიწევს. ახლა ის მითხარი, ჩახუნაშვილზე შენ წუღან რაო?

— რაო და — სარდიონს რომ დაურეკავს, ოდიბაშევს დავაწინაურებ და ხმასაც ვერ ამოიღებხო, ჩვენც ჩახუნაშვილი დავაწინაუროთ და ხმას ვეღარც ვე ამოიღებს. გუშინ სწორედ ამაზე ვფიქრობდი. მაშინ სასამართლო მაგას ეტყვის, დაუწინაურებისხართ, ხელფასი მოუშატვბიათ, საჩივარი რაღა გაქვსო. არჯევანიძეს კი გვერდში ისევ ის მონახელიძე ამოვეყენოთ. მორჩა და გათავდა.

— ეგ არ გამოვა.

— რატომ?

— ოდიბაშევი ჯიბვირია, მაგრამ მუშაობა შეუძლია. კარგი პატრონის ხელში ეგ ბევრს აჯობებს. ჩახუნაშვილი კი სად უნდა დააწინაურო?

— სადმე.

— მაინც?

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს! თუ მუშაკი უფრო მაღალხელფასიან თანამდებობაზე გადაგყავს...

— ეგ მეც ვიცი. სარდიონმაც იცოდა. შენ ამ დღილით აქ რა ახალ ამბებს მეუბნები, რა ვქნა? შენ ის მითხარი, ჩახუნაშვილი მაინც რომელ „უფრო მაღალ ხელფასიან“ თანამდებობაზე გადავიყვანოთ? ხელი დაადე.

— მაგას მოფიქრება უნდა.

— ჰოდა, მოიფიქრე.

— ახლავე?

— აბა, როდის? აი, ეს ჩვენი შახტი და ეს ჩვენ ორნი. ესეც ჩვენი საშახტო განრივი. ხომ ყველაფერი გვახსოვს? ჰოდა, ერთი მითხარი, მაგ კაცსა შენ რომელ „უფრო მაღალ ხელფასიან“ თანამდებობაზე გადაიყვან, რომ იქაურობა მეორე დღესვე არ გააბაზროს? აბა, მითხარი!

— მოფიქრება უნდა-მეთქი!

— ჰოდა, მოიფიქრე! აბა, ორივემ მოვიფიქროთ.

— მოიცა, კახაბერ... რას მაჩქარებ!

— არ გაჩქარებ.

— საწარმოო განყოფილებაში?

— იფ! ბარემ შენს ადგილზე წამოვსვით, არა? იობაშვილთან! შე კაი კაცო, ეს აკადემიკოსივით ტკუის კოლოფი იქ გვეგვი და საქმეს თავს მაინც ძლივს ართმევდი, იქ მაგ უდღეურმა რა უნდა გააკეთოს?! ხეირიანად თავისი გვარიც კი ვერ მოუწერია. ან რომელი „უფრო მაღალი ხელფასი“ მაგ განყოფილებაში შენ გეგულება? თქვენ ხომ პრემიის ნახევარსაც არ იღებდით. დაგავიწყდა?

— გვარსაც თუ ვერ აწერს, დიპლომი ვინდა მიაშავა?!

— დიპლომი კი არა... ომის მერე, ხალ-



ხი ისე უჭირდათ, რაღაც სამთო ოსტატე-
ბის კურსები მოასწრო. რაც აქაურ ბა-
ზარში ჭათმები შემოდოდა, ყველას ვე-
ყიდულობდა და ლექტორებს უკლავდა, გა-
მოდებზე არ ჩამჭრათო. დიპლომი!

— მთავარი მქანაცოსი არ აიყვანე?

— შალვა დიასამიძე?! მოდი, შალვას
მაგ საქმეზე შენ დაელაპარაკე, ნახავ, რა
ოინს მოგიწყობს.

— ვენტილაციის უფროსი?

— ირაკლი? აი, ვე კი აიყვანს. ნამდ-
ვილად— ვე კარგი გამასხენე. ბუნჯერზე
აიყვანს და იქიდან პირდაპირ ვაგონში ჩა-
უჭახებს, შენი ბურღლა აღარ ვენახოთ, ზე-
ვიდანაც ხუთიოდე ტონა ქვანახშირს და-
აფრის. გაიგე, ადამიანო, ევა ჩახუნაშვილია,
ჩახუნაშვილი! ევა სადმე გამოფენაზე უნდა
გვიდოს და ბავშვებს აჩვენებდნენ, აი, ყალ-
თაბანდი როგორ გამოიყურებაო.

— აბა, რა ვქნათ?

— მე რა ვიცი! მაგ საქმეს სარდიონმა
ვერაფერი უშველა და მე და შენ რას გავ-
ხდებით?

— ის ბიჭიც ცოდვია, კახაბერ! სამცე-
ლიან უბანზე უფროსს მოადგილეც არ ჰყა-
ვდეს, ეს მე ჯერ არ გამიგონია.

— შენ ჯერ ბევრი რამ არ გაგიცია. მა-
ლე გაიგე?

— გაკაიღლება, გადაიქანცება და...
აიხზე ახლაც ძლივს დგას.

— გოკოლასთან მეტი იკოტრილოს!

— მონასელიძე კი მართლა კარგი მო-
ადგილე იქნებოდა.

— მერე, დაუნიშნე!

— ჯერ ეს უნდა მოიხსნას!

— ისევე ახალი ამერიკა! ერთი გაიხსე-
ნე, ვე საქმე თავის თავზე ვინ აიღო.

— მახსოვს.

— აბა, ჩემგან რაღა გინდა?

კარგა ხანს კიდევ ისხდნენ და ვერაფე-
რი მოითქვრეს. მერე გედეონი წამოდგა.

— შახტში ჩასასვლელი ვარ... ისე კი...
სარდიონის ადგილზე მაგას რამეს მოუუ-
ხერხებდი.

— სარდიონის კრიტიკას თავი დაანებე.
სარდიონის ადგილზე ახლა მე და შენა
ვართ, და თუ რამე შეგიძლია...

— კარგი! ოღონდ ცოტა მაცალე. მოვი-
ფიქრებ.

— მოიფიქრე! და თუ შენ მაგას ვამბო-
ტებ, სახლში ოცი ზოთლი „ქინძმარაული“
მიღება. სულ შენი ფეშქაში იყოს! მეტი რა-
ღა გინდა?

— მეტი არაფერი.

— იცოდე, ჩვენი მთავარი საზრუნავი
ისევე და ისევე მესამე უბანია.

— ვიცი.

გედეონი შახტში ჩავიდა, მოსამზადებე-
ლი სამუშაოები დაათვალიერა („ვერ იტყ-
ვი, ხე-ტყვეს ძალიან უფროსილდებიათ“) და
მერე არაქვეანძის უბანზე შეიხედა.
ხანგრევში ხუთიოდე მემასტე წვალობდა—
საყვლაე მანქანას უშვებდნენ. კონვეიერი
გამორთული იყო. ისმოდა ხუნეშა, რკინე-
ბის ეღარუნი, შეძახილები:

— ნელა ბიჭო! ასე ნუ აწვეები.

— იქიდან აჯობებს-თქვა, არ ვითხარი?

— მიაწვეი! ახლა რაღა დროს ეგაა! მა-
გაზე თავიდანვე უნდა გეფიქრა.

— სწორედ თავიდანვე გითხარით, იქი-
თა მხრიდან აჯობებს-თქვა!

— მიაწვეი, მიაწვეი! გამომიწყო ახლა!..
არც არაქვეანძი და არც ჩახუნაშვილი
ხანგრევში არ იყვნენ. გედეონმა იფიქრა;
ჩახუნაშვილის ისე ჩემთან გამოვიძახებ და
მოველაპარაკები, მით უმეტეს, რომ ჩემს
კაბინეტში კაცის გამოძახება და დამუშა-
ვება უკვე კარგად უნდა მქონდეს დაცდი-
ლით.

გედეონის კაბინეტში ჩახუნაშვილი
მთლად აღურსიან ღიმილად ქვეული შე-
მოვიდა.

— გამარჯობათ, ბატონო გედეონ! მოგ-
დივარ და ვფიქრობ, ჩვენ ახალ მთავარ
ინჟინერს ჩემი ბებერი თავი ნეტავი, რაში
დაჭირდა-მეთქი. ხომ კარგად, ბატონო გე-
დეონ, ხომ ჯანმრთელად? მთელი ქვეყანა
მოწმეა, თქვენ რომ ამ შახტზე მოხვედით,
მე ჩემს ახლობლებს მაშინვე ვუთხარი, —
ეს კი კარგი ვიღაცა გამოუგზავნიათ, ჩემი
სიტყვა დამიხსსოვრეთ, თუ ეს ჭაბუკი ძა-
ლიან შორს არ წაეიდეს-მეთქი და არ ამი-
ხდა? ნეტავი, როგორც მე ადამიანის გა-

მოცნობა არ შემეშლება, ისე სხვა არაფერი შემეშლბოდეს! მაგრამ ეს კიდევ რა არის? ნეტავი, თქვენი თავი მალე მინისტრად მენახოს! რა, ვერ შეიფერებ, არ შეგშვენდება, საქმეს ვერ გაუძღვები, თუ რა? ისე მტერი დაგელიოს!.. კიდევ ერთხელ უმდაბლესი, სალამი და გულითადი, ნამდვილად გულითადი მოლოცვა მიმორთმევი, ჩემო ბატონო!

„ეს მართლაც რა სულელი ყოფილა! — გაიფიქრა საკმაოდ შეცმარმა გედეონმა. — ნუთუ მართლა ჰგონია, რომ ამგვარი ლაპარაკით მომინადირებს?“

— მოზრძანდით, ბატონო ანთიმოზ!

„ახლა არ ღირს, ამას რომ ვუთხრა, სარდიონი შეცდა, ნოსელიძის დაღუპვასთან დაკავშირებით რომ მოგხსნა-მეთქი, — გაიფიქრა გედეონმა, — ისევ რაიმე სხვა გზით უნდა მივუდგე. თორემ სულ გატუტულდება!“

— როგორ გიკითხობ?

— ეპ, ჩვენ რა საკითხავი ვართ, თქვენი ჭირიმი! მთელი სიცოცხლე მიწაში, მთელი სიცოცხლე წვალეებაში. მოშავალი ჩვენ არ გვიღიმიხს და არაფერი. ჩემი წუთისოფელი ასე ჯახირში უნდა დავალამო. არადა, ზოგერთი აქაც არ მასვენებს. ამას წინათ, ეს ჩემი უბადრუკი თანამდებობა რა არის, და ისიც კინალამ დამატოვებინეს — უბანზე კაცი რატომ დაიღუპაო. ჭრისტე აღარ არის? მე რა ვიცი, რატომ დაიღუპა? გაფრთხილებულიყო და არ დაიღუპებოდა. რასაც ჩვენი მთავრობა უსაფრთხოების ტექნიკაზე სარჯავს, რა ვიცი... იმდენს კაპიტალისტები... მაგრამ რა გინდა? ის ამბავი, ალბათ, გაგებული გეწნებათ.

— როგორ არა, გაგებული მაქვს.

— მე უნა როგორ მომიბრუნდება, სარდიონზე რაიმე უკუღმართი ვოქვა? კაცი ტრესტში წაიყვანეს, ამხელა საქმე ჩააბარეს და, რა თქმა უნდა, სამართლიანადაც, მაგრამ... მაშინ ნამეტანი უსამართლოდ მომექცა. მეტი რომ აღარ შეიძლება. ბატონო, თუ ამ თანამდებობაზე აღარ გინდევარ, მითხარი და დღესვე წავალ, ქვეყანა დიდა, მაგრამ... ის ბიჭი ჯერ საფლავში არ გაციფხულა და შენ მე აქრომ მხსნი, ჭირისუფალი არ იფიქრებს, ის ბიჭი ამის გა-

მოისობით დაიღუპაო? ერთმანეთს მეტი ანგარიში არ უნდა გავუწიოთ? სქეს მურატომ მასოცავ, ადამიანო, რომელი უვარჯისი და გადასავადები ჩვარი მე მნასე? იქნებ, რამე სარგებლობის მოტანა კიდევ შეიძლება. მაშინ ძალიან შეცდა. მაგრამ ტრესტს კი სარდიონი ნამდვილად უნარიანად გაუძღვება. ეს შეიძლება ასლავე დანამდვილებით ითქვას. აჰ! ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. სარდიონს ჩემზე უკეთესად ვინ იცნობს? ვეადგილი მაგაზეა უდგამოჭრილი.

„მართლა ვერა სედება, რატომ გამოფუძახე, თუ თავს იკატუნებს? — გაიფიქრა გედეონმა, — თუმცა, რა უნდა ვუთხრა, ეს მე თვითონაც არ ვიცი და მაგას საიდან ეცოდინება? ასლავე სომ ვერ ვეტყვი, თანამდებობა უნდა დაგატოვებინოთ-მეთქი?“

— დაბრძანდით, ბატონო ანთიმოზ!

— გამდლობთ! ისე, ახალ თანამდებობაზე ბევრი საზრუნავი დაგხვდებათ. თქვენ, ბატონო გედეონ, აქამდეც პასუხსაგები პოსტი გეკავათ, და, რა თქმა უნდა, დიდებულადაც უძღვებოდით, მაგრამ მთავარი ინჟინრის თანამდებობა და მოვალეობები, რა თქმა უნდა, სულ სხვაა. ნამდვილად ძალიან ბევრი საზრუნავი მოგემატებოდათ. არა, სარდიონმა შახტი მოწესრიგებული დატოვა, ის იმდენად თავმოყვარე კაცია, რომ ისე წასვლას არც კი იკადრებდა, მაგრამ... ახალი თვალა და ახალგაზრდა კაცი მაინც სულ სხვაა. თქვენ ჩვენი ნამოქმედელი, შეიძლება, ბევრი არც კი მოგეწონოთ. და ჩვენი მოვალეობაც სწორედ ის არის, რომ თქვენ, ამ ახალგაზრდა თაობას, სწორად გავიგოთ, თქვენი კარგი დაინახოთ, დავაფასოთ, ფართო გზა მივცეთ და თუკი სადმე რაიმე უშუსტობა, ან გადახრა, ან ვთქვათ, შეცდომა შეგამჩნიეთ, — შეცდომებისაგან, რა თქმა უნდა, ღმერთმა დაგიფაროთ, — მაშინვე პირუთენელად გითხრათ და რასაკვირველია, საერთო ძალეობით გამოვასწოროთ. ასე მესახება მე ჩვენი და თქვენი დღევანდელი უფლება-მოვალეობანი. და, არ დავმაღავ, პირდაპირ გეტყვით, რომ აუწერლად მომეწონა, თქვენ რომ გუშინ გრიშა ოდიბაშვილი გამოვიძახინათ, ამაზე სწორ ნაბიჯს თქვენ ნამდვილად ვერაფერს გაუადგამდით. რას მიქვია,



ჩემო ბატონო, ვე არჯევანიძის ავტორიტეტს ეხება და ძირს უთხრის! თქვენ რომ ეს გუშინ არ გაგვეკეთებინათ, მე დღეს აქ თვითონ ამოვიდოდი და მაგ საქმის გაკეთებას პირდაპირ მოვთხოვდი. სარდონის შესტიდან წახვლა ისე კი არ უნდა გავიგოთ, რომ ზოგიერთებს თავის აშუაბის უფლება მიეცემათ. არავითარ შემთხვევაში! და მე პირდაპირ დიდი მადლობელი ვარ თქვენი, რომ ეგ ზომი სწორი ნაბიჯი გადადგი. მე თქვენი ნამდვილად მადლიერი ვარ.

„საინტერესოა, ამ მადლობას ზეპირად მიცხადებს, თუ საქმეში ჩამიწერს? — გედონს კინაღამ ირონიულად გაეღიმა, — მე გამოვიძახე, ნოტაციებს კი ეს მიკითხავს“.

— გრიშა ოდიბაშვეისთვის ვე გამოძახება პირდაპირ წამალი იყო, მცოდნე და გულისხმიერი ექიმის ხელით გამოწერილი წამალი. დროზე გამოწერილი წამალი კი, — ეს თქვენ, ბატონო გედონ, ნუ დაგავიწყდებათ, — ყოველთვის შესანიშნავად მოქმედებს. ის არ თქვას ვინმემ, დროულად აღებულმა გადამჭერლმა ზომებმა შედეგი არ მოიტანესო. ეს არ ხდება. დროულ ღონისძიებებს შენ ვერხად გაქცევი, თუკი, რასაკვირველია, ნამდვილი მუშაკი და მოქალაქე ხარ.

ოთხ საათზე გედონთან მარკუშვიდურები და გეოლოგები უნდა შემოსულიყვნენ და შესტიში ახალი ჰორიზონტის გახსნის გეგმები შემოეტანათ. ოთხ საათამდე რაღაც ათიოდე წუთი რჩებოდა, ჩახუნაშვილი კი ენას არ აჩერებდა და გედონს ლაპარაკში ხტყვის ჩართვის საშუალებასაც კი აღარ აძლევდა. გედონს რაღაცა უნდა ეღონა.

— ბატონო ანთიმოზ!

— დიას!

— ჩვენ, ერთმანეთს, ალბათ, კიდევ ბევრჯერ შევხვდებით და ყველა საჭირობოროტო საკითხებზე მოვილაპარაკებთ. მაგრამ ახლა სულ მოკლედ ზომ ვერ მეტყობოდი, უბანს რა უჭირს, რა აწუხებს, რა აკლია. არჯევანიძე თავისას იტყვის, მაგრამ თქვენც, თქვენი გამოცდილებით... ერთი სიტყვით, მგონი, გამიგეთ, არა?

— როგორ გვეადრებათ! მე, ბატონო გე-

დონ, ყოველი თქვენი ფიქრი მესმის, არამც თუ სიტყვა. რაიცა შეხება უბანს, ბატონო გედონ, ენდეთ ჩემს ჭიკაძას, ჩემს, რასაკვირველია, გამოცდილებას, ჩემს სინდის-ნამუსს, რომ უბანს ახლა, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც თქვენი გუშინ ოდიბაშვიი გამოძახებთ, აღარაფერი, იოტისოდენი რამეც კი აღარ აწუხებს. თითქმის ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ნამდვილად ასეა, ბატონო გედონ! ეს ასლგაზრდა, რომ იტყვიან, ეს უწვერული, ეს მთლად გამოუცდელი ბიჭი ასე როგორ გამოგადგა, ბატონო! ან სარდონმა ეს ამბავი როგორ განჭვრიტა? თავიდან, იცოცხლეთ, ყველას გულები დაგვისკადა, ამ თითისხელა ბავშვმა როგორ უნდა გვიხელმძღვანელოსო, მაგრამ... თქ, ვინც სარდონ რაქველიშვილს არ იცნობს, იმან არ დიტრამბოსო, ნამდვილი ხელმძღვანელი მინახავსო. მიწაში რა არის, იმას ხედავს. მაგრამ მე თქვენთან, ბატონო გედონ, ერთადერთი სათხოვრი მაქვს. ზომ წარსული საქმეა, მაგრამ მაინც: იორამ ნოსელიძის დაღუპვაში ბატონ თეიმურაზს იოტისოდენად ნუ დაადანაშაულებთ! არა და არა! ამ ცოდვას კისრზე ნუ აიღებთ. იმ უკულმართ ღამეს, ბატონო, სანგრევში ისეთი რა მოხდა? კი, გვეგონა, ჭერი მოიხსტეტეს და ნუ ვენდობითო, მაგრამ — არაფერი! კვენციც კი არ გაფანუნებულა. ეს ალბათ, თქვენც კი იცით. იმ უბედურმა კი, — მიცვალებულზე როგორ ვთქვა, მაგრამ, — იმ უბედურმა ყელი საკუთარი ხელით გამოიჭრა. ვინ დაავალა, წალო გამაგრეთო. არა, ბატონო, მე ღმერთი არა მწამს, მაგრამ ადამიანს რაც შეუძლავ გაწერია, იმას ვერ გაქცევი. ეს ტყუილად არავინ თქვას.

ანთიმოზმა მარჯვენა ხელი თვალბეზე აიფარა, თითქოს იორამის სიკვდილი ახლაც ვერ მოუნელებიაო.

„უბნის უფროსის მოადგილე ეენობა ახალ მთავარ ინჟინერს! — გაიფიქრა გედონმა, — ჰქრდაპირ იდილიური სურათია“.

იგი უკვე ნერვიულობდა და ჩახუნაშვილის ნამალევადა კედლის საათს შეხედა. ოთხ საათს თითქმის აღარაფერი აკლდა.

— ესე იგი, ამხანაგი არჯევანიძე...

— აჰ! აჰ! ანგლოზი, ბატონო! ანგე-

ლოში! იმ უმაღლესმა სასწავლებელმა გაიხაროს, რომელმაც ჩვენ ეგ ბიჭი მოგვიყვინა! მხნე, ჩემო ბატონო, დახედული, უბრალო, ჭკვიანი. რაც მთავარია, ჭკვიანი. არა, თქვენ ჩემი ნალაპარაკები რაში გამოგადგებათ ამხანაგ არჯევანიძეს თითონვე დაუკვირდებით და შეისწავლით, ეს თქვენი უპირველესი მოვალეობაა, მაგრამ თუ გამოცდილ, ბევრისმნახველ, მიწისჭვეშეთში გაჭადრაკებულ მემხატეს დაუჯერებთ, ეგ ბიჭი უბანს სანაქებოდ უძღვება. მაგ ბიჭმა უბანს პირდაპირ ჯიდა დაადგა. თითო პაწია ნაკვი ვის არ გააჩნია, რაღაცა იქნება, მაგ ჭაბუკსაც უპოვოთ, მაგრამ... არა, ბატონო! ჩემი ერთადერთი სათხოვარია: ეგ ბიჭი თავის ნებაზე მიუშვით. თქვენ, ბატონო გედლონ, როგორც ახალ ხელმძღვანელს, შეიძლება, ჩვენს უბანზეც ბევრი რამე არ მოგეწონოთ. წელანაც მოგახსენეთ, ახალი თვალი მაინც სულ სხვაა-მეთქი, მაგრამ... აცალეთ! ჩემი თხოვნაა. ნუ უკარნახებთ! ნუ შებოჭავთ! არტახებში ნუ ჩააწვენთ. ინიციატივის საშუალება მიეცით! და თქვენ იცოდეთ, იმას არაფერი სჯობია, ადამიანი საკუთარ შეცდომებსა და ხარვეზებს თითონვე რო დაინახავს. ეს, შეიძლება ბევრს არ შეეძლოს, მაგრამ არჯევანიძეს ამისი უნარი ნამდვილად გააჩნია. ენდეთ ჩემს ჭაღარას! აგერ, ხელზე ოდესღაც ბიგა დამეცა და ნაიარვეი ასლაც მეტყობა. ამ ჩემს ჭრილობას, ამ იარას ენდეთ! ეგ ბიჭი თქვენ არ დაგაღალატებთ. ეგ საერთოდ უღალატო ადამიანია.

„უკვე იცის, რომ ჩვენ არჯევანიძეს ვესმარებოი. — გაიფიქრა გედლონმა. — მოდი ახლა შენ და სარდიონი გაამტყუნე, რომ ეს ციცერონი თანამდებობიდან ვერ

მოხსნა. ეგ კი არა, სარდიონი შახტიდან, მგონი, თვითონ ამან გააქცია.“
 გედლონი ანთიმოზს აღარ მორიდებია, კედლის საათს შეხედა. უკვე მესუთე საათი დაწყებულიყო. კამინეტში დაუაკუნებლად შემოლაგდნენ საქალღდებითა და ნახაზებით დატვირთული მარკშიდღერები და გეოლოგები. გედლონი წამოდგა და ანთიმოზს ხელი გაუწოდა:

— ჩვენ კიდევ შეესვდებით, ბატონო ანთიმოზ!

— თქვენთან ღმერთმა დღეში ათჯერ შემახვედროს!

ჩახუნაშვილი ოთახში შემოსულებს თავის ქნვევითა და ღიმილით მივხალმა, გვერდი აუარა და კარებისაკენ წავიდა. მაგრამ გედლონმა აშკარად დაინახა: რთვა უკვე გარეთ გასული კარის მოსახურავად მობრუნდა, ჩახუნაშვილმა გედლონს უკვე ინტერესითა და ბოროტებით აღსავსე მზერა ესროლა და იმავე წამს კარიც მოიხურა.

• • •

კახაბერ გურასაშვილს ოდნავადაც არ გაჰკვირვებია, მეორე დღეს გედლონმა რომ მოახსენა, ჩახუნაშვილთან ვერაფერი გაეაწყლო; გულგრილად უთხრა, ვიცოდი, რომ ვერცე იქნებოდაო, და თვალებით ორ ქალღღღზე ანიშნა, რომლებიც მის წინ მაგიდაზე იდო.

— ეს რა არის?

— ნახე.

გედლონმა აიღო. ეს იყო განცხადებები შახტის უფროსის სახელზე, ერთი ვოგოლა ხომასურიძისაგან, მეორე გერონტი ჩაფიჩაძისგან. ცოლიცა და ქმარიც ერთთვიან უხელფასო შვებულებას თხოულობდა.

ღურჯი შრინვალი

ვეჭლენი კომკავშირის სამოცი წლისთავს.

მიმწუნრზე,
 მზით და გზებით დაღლილი,
 როცა საკუთარ თავთან ვბრუნდები,
 მაფხიზლებს შენი ხმა და ძახილი
 და დიდხანს,
 დიდხანს გესაუბრები!
 ჩამესმის შენი ცხენის ჭიხვინი
 ადვენებული ლანდების თქრიალს,
 მონატრებია ქარზე მიხლილი
 შენი სიმღერა
 და პეშვი შერთია.
 სცემს ოქროსფერი ურჩი ფაფარი
 გზისკენ აღერილ მომშვილდულ კისერს,
 თარეშობს სტეპზე ქარი აშარი
 და ნაღვლობს ცხენი ისევ და ისევ!
 მღლა დაღლილი, თაკარა მზეა,
 მიარღვევს რაზმი ჰორიზონტს გაშლილს,
 ზის შაშხანაში მუხთალი ტყვია,
 მტერის ბული ზანტად მიიწევს ცაში.
 გაიჭახჭახებს უცბად შაშხანა
 და ჩუმი კვნესა ზეცას შესწივის,
 ცრემლად იღვრება პოლკის დობილი,
 ცისფერთვალა და თმაგაწეწილი.

თვალწინ აელგვებს ჩავლილი კადრი
 თეთრგვარდიელის ღრჭიალა კბილებს,
 მე ვიცი, ჩემო, იმ დღეთა ყადრი
 და მკერდში ვიკრავ შენეულ ბილეთს.
 ჩაიბრუნებენ ბოდმას ბიჭები
 და თეთრ ურდოებს გადაჰკაფავენ,
 კომკავშირული გზის და დიდების,
 არის ეს სისხლი წმინდა სათავე!
 ბინდი რომ სიერცეს დაიშარტოვებს,
 ძმობილი ხელში აიღებს გარმონს,
 კენესის გარმონი,
 შფოთავს გარმონი,
 ცეცხლში დაცემულ ბიჭებზე დარდობს.
 ცრემლს უხშიდ იწმენდს
 პოლკის დობილი
 და ძმებს ჭრილობებს
 სათუთად უხვევს,
 ოცმეთაურსაც ხმა უკანკალვებს:
 მეტი ვისხედით კოცონთან წუხელ —
 რა ბევრი დარჩა სტეპში ჭაბუკი!
 არ ცხრება გულში ბოდმა და ბრაზი!
 წყდება ვარსკვლავი შუქურ-ჩაუკი
 და ძილშიც ბორჯავს წითელი რაზმი!

ჩაივლის დღე და,
ბინდში,
დაღლილი,
როცა საკუთარ თავთან ვბრუნდები,
ჩამესმის შენი ხმა და ძახილი
და დიდხანს,
დიდხანს გესაუბრები!

* * *

მეც მომყოფა ლურჯი ფრინველი
იმ შორეული, მწელი გზებიდან,
მეც გამოვრბოდი ქარში პირველი,
რომ შენი წილი ტვირთი მეზიდა!
მე კარგად ვიცი, ვისი მოდგმის ვარ,
სადაური ვარ, ანდა საიდან...
გჯეროდეს, მეც შენს ფრთებს გამოვიხსამ,
ბოლომდე ყველა ლელოს გავიტან!
მეც კორჩაგინის ქვეყნიდან მოველ
შენი ნალართ, შენი ბუკითა,
სიყრმის შეუცვლელ მეგობრად გპოვე;
მხარდამხარ მომდევ სიჭაბუკიდან,
ფიფქა ენძელებს მე შენ მოგიტან
საგაზაფხულოდ რომ მოვირთვები,
ვარ ჩაფრენილი შენი დროშის ტარს,
გაფითრებული,
ცივი თითებით
ჩემი გზაც შენსას გამოჰყოლია,
ვითარცა დიდი,
ისე მცირედი,
აი, შეხედე! — მკერდთან ზოიას
სისხლით მოსვრილი მეწვის ბილეთი!

* * *

ჩემი პირველი უძილო ღამე,
ჩემი პირველი ტრფობა და ცრემლი,
მომიკაკუნებ მაღიმალ კარებს,
მეც ჩემი თრთოლვით
გელი და გელი!
მაგონებ ბორცვებს,
თოვლიან ბორცვებს,
ტკივილიან და

სისხლიან წერილს,
მშურს თქვენზეტი წლის ცალი ბორცის
და ღამეს ვუთვე, გმირ ტიულენინს!
გზებს ისევ მინთებს ლაქვარდისფერი,
ქაღარა ბიჭის ჯიუტი მწერა,
შენს ქარიშხლიან სიმღერებს ვმღერი
და შენი სულის სინათლის მჯერა!
შენ ვერ მოგკლავენ,
ვერა და ვერა,
უკვდავებისკენ კვლავ უძღვი ტოლებს,
გულეში გვინთებს ოცნებებს ფერადს
და იწვის სული:
ოლეჟა,
ოლეჟ!
ულია! —
შენ მზის წყურვილი გკლავდა,
თმაში ინთებდი ვარდსა და შროშანს, —
დღეს კი...
შენს მკერდზე ამოქრილ ვარსკვლავს
მე ვფიცავ
როგორც უწმინდეს დროშას!
ჩემი გზაც შენსას გამოჰყოლია,
ვითარცა დიდი,
ისე მცირედი!
და მკერდთან მეწვის ორი ზოიას
ფიქრი, ტკივილი, წმინდა ბილეთი!
ის სიყვარული ასე მცხუნვარე,
ის სიყვარული ასე მარადი
მანთებს მარადჯამს გაუხუნარი,
ცუცხლოვანი და თავისთავადი!
და ეგ ციცაბო — ჩემი აღმართი
კვლავ შენგულად მძლეა, დილია,
მე შენი რწმენა მარად წალმართი,
ავეგაროზივით მკერდზე მკიდაი!
ასე მართალი,
ასე ამაყი,
გზა მაღალი და ფიქრებნათელი,
მოგვეები, მეც მზით მოვივარაყე
ჩემი სავალი, ჩემი სახელი!
ყური დაუგდე! გესმის სიმღერა
უნგურაქსიდან, ანდა ბამიდან?
ეს ჩემი სულიც შუქად იღვრება

როგორც მოდგამდა, ჩემო,
 თავიდან!
 მეც მზის სინათლეს შენებრ შეეხარი,
 არ ვემონები ღმერთს, არც დემონსა
 და უკვდავების გამძლე ბეგთარი
 ისევე შმოსაეს,
 როგორც გემოსა!
 შენი ნათელი გზა და სინდისი
 არის, ძვირფასო, ამის თავდები,

რომ მეც ყოველდღე, ყოველ ცისკრისას
 ახალ სიმაღლის სტარტზე დავდგები
 შენეულ ბრძოლის უინით, ხალისით,
 აბა, ვინ შესძლებს
 ქვეყნად ჩემოდენს,
 მეც მოველ,
 რათა ჩემი ხალხისთვის
 ვცოცხლობდე,
 ვენთო,
 ცეცხლში ვდგებოდე!



რამის ამონაწერი

ტროლეიბუსი გაურბოდა თითქოს ბიკელებს,
ამ ამბის ცქერით ველარ გაეცდი ამ გაჩერებას,
ხვალ უსათუოდ შენს სახლამდე წამოვალ, ფეხით,
მსუა გავიხსენებ და მოგიტან, ჩემო გოგონა!

ერთხელ, როდესაც წითელ ღრუბლებზე
ფირფიტასავით ბრუნავდა მთვარე
და ირგვლივ ისმოდა, იასამნის შესრულებით,
ძველი რომანსი, —
მე შენ გითხარი,
რომ მცირე ნაწვევებს წაგვიტოხავდი
გრიგოლ ხანძთელის სურვილებიდან
და ამით შენს თვალში
გამოეჩნდებოდი მეტად მალალი, ჩემის გაგებით...
ამ დროს შენ ძალზე მშვიდად წარმოთქვი —
— რაა მეუბნები!

ს ი ზ მ ა რ ი

ვიარე, ვიარე,
მაინც ვერ მივედი,
იქ,
სადაც მინდოდა მისვლა.
გალახულ ძაღლივით.
კენესოდა იმედი,
გზა ოდეს დაფარა ნისლმა!.,



პაპანაძე

სულ ცოტა დროით რომ ვიქცეოდეთ —
 ჰიანჭველების სიმალლისანი
 და ამ მაგნოლიის ნამიან ფოთოლზე,
 სულ ცოტახანი რომ შეგვეძლოს
 გავლა-გამოვლა,
 თავს წარმოვიდგენდი
 ძველ ვევიბტელად
 და ფარაონია ბაღში ხილულს
 გეტყოდი ლექსებს
 ქურუმის ასულს...

დ ე ლ ა

უკვე მეორე გაზაფხული
 ჩურჩულებს
 შენი საფლავის ბორცვთან.
 ნიავე ჩუმი, ენანავება საფლავზე
 ალაგ
 ამოსულ ბალახს —
 რომელიც მოგავს შენს მწვანე ფიქრებს...
 მე ულურჯესი ცისა და მაღალ
 ლეგა ღრუბლების უნათლეს ფონზე,
 ვდგევიარ
 აჩრდილი,
 მხრებში მოხრილი,
 მკერდში ჩაკრული უმანკო კრავით —
 რომელიც ნიშნავს, თეთრი ღრუბლების
 მცირე სამძიმარს
 დ ე ლ ა.

• • •

რა ვქნა, მეგობარო,
 ზღვის წვეთი არის ჩემი სხეული
 და თეთრი ღრუბელი
 ისე მთხოვს შევლას მძაფრი კრწხილით,
 როგორც რომ ქურციკი,
 ჩვილ ტანზე კობრა შემოხვეული
 რა ვქნა, მეგობარო?...
 ჩემი განცდები, ჩემი გრძნობები
 თუ არის ყივილი



წინაპრის ხმაღზე შემხმარი ოფლის,
და თუ ბედ-იღბალი
ცოტნე დადიანის მე ხვალ მომტებნია...

მაშ რად გაოცებს ჩემი ხულის მარადიული
ფერისცვალება?
მაშ, რად გაოცებს მისი ქროლვა ნდუმარებაში
აჭინებულ ლურჯა ცხენივით მით უფრო, ოდეს
რომელ გზაზეც კი გაგელდება, მწარე დაცინვად
შენ ვეგებები...
მაშ, რად გაოცებს,
და თუ გაოცებს,
რა ვქნა, მეგობარო?...

ვერ გაპატიებ

ვერ გაპატიებ, მეგობარო, ვერ გაპატიებ,
ვერ გაპატიებ იმ ყვაფილებს, მორთმეულს სხვიანგან!
სანთელს ავუნთებ უსაშველო მიაშიტობას,
მკერდს დაფუკონი გოლგოთაზე დაცემულ რისხვას!
იქნება მზე და მერე წვიმა და, ბოლოს, თოვლი,
და, ბოლოს, ღამე, ანთებული თავთან შანდლები,
იქნება, მაგრამ არ იქნება შენდობა ყოვლის,
თუ რამ არ ვიცი თეთრ ბორანზე რიათვის დაფშვებით;
შენ რას ნახავდი ჭიანჭველას, რომელსაც მხრებით
მთაზე აქჷონდა მზე ვარჯარა ვით სახარება,
თქვენ ვერასოდეს ვერ გაიგებთ, თქვენ რას მიხვდებით,
მამაშეციერს ქრისტეს ჯვარცმა რად ახარებდა.
მე მახარხარებს, მახარხარებს მარად ბავშვობა,
რომელსაც, ალბათ, უკონიან ღრუბლები ტერფებს,
უკანასკნელი ალტაცება რიოშს დაშორდა
და მერე მხოლოდ მძულვარების შავ რითმას ეტრფო...
მე მახარხარებს, მე ვიცი და მე — ხა, ხა, ხა,
ვხარხარებ, როგორც გამშაგება ყოვლად კეთილზე,
მე ხომ ვითხარი, მე ვიცი, შენ ის არა ხარ!
დარწვეულ ბორანს რომ არ გვინთებს ციდან ერთი მზე.
სანთელს ავუნთებ უსაშველო მიაშიტობას,
მკერდს დაფუკონი გოლგოთაზე დაცემულ რისხვას,
ვერ გაპატიებ, მეგობარო, ვერ გაპატიებ —
ვერ გაპატიებ იმ ყვაფილებს, მორთმეულს ახვისგან!



• • •

ყალიონივით მოხრილიყო მოხუცი წელში,
 მის თეთრ თმებს
 ბოლივით
 აპნევედა ნიაფი.
 ნასახლარ ადგილას
 ქვა-ღორღზე ჩამოჯდა,
 ახედა
 ატეხილ ზეცას და
 სრულიად მშვიდად გაიხსენა ძველი სურათი...

• • • • •
 იგი ამბობდა, რომ ალვის ხიდან
 მზეს მოუხმობდა დედალი სვავი.

• • •

შემოდგომამ ყვითელი თვალები
 რომ გაახილა,
 მითხრა:
 — ვიდრე ზამთარი თეთრ თმებს
 გადივარცხნიდეს ნეკურჩხლის ტოტებით,
 დალოცე მიწა, რომელზედაც
 დაბადებულა კეთილი ოფლი...

• • • • •
 — ვიდრე ვიტყოდი სადღეგრძელოს
 მე გამახსენდა ბერიკაცი, თოხზე
 დაყრდნობილი, სიმინდის ყანაში...
 და მზე კი მაშინ გედის უკანასკნელ
 კივილივით წითლდებოდა ცაზე.



იროდონე ქაჭვარაძე

ვ ა ლ გ ო ს დ ი ლ ი

დოკუმენტური მოთხრობა მემედ აბაშიძის ცხოვრებაზე

მე ახლოს ვცნობდი გამოჩენილ ქართველ პატრიოტს, შესანიშნავ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს მემედ აბაშიძეს. მე თავითონ ბათუმელი ვარ და მემედის თითქმის მთელი ცხოვრებამ, უფრო ზუსტად, ბოლო თბზა ათეულმა წელმა ჩემს თავღწიან გაიარა. მას ხანტერებო ბიოგრაფია ჰქონდა და ჩვენ, მისი ნაცნობები და უმცროსი მეგობრები, ხშირად ვსისოვდით მოთხრო თავის ხანტერებსო წარსულზე, რაც განუტრედად იყო დაკავშირებული აჭარის ისტორიასთან. მე სისტემატურად ვაწერდი ამ საუბრებს და ახლა, დედა-სამშობლოსთან აჭარის დაბრუნების ასი წლისთავზე, გადავწყვიტე მემედის ნამშობო ალაგ-ალაგ შევესო მისივე წერილებიდან, სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვებიდან, უტრნალ-გაზეთებიდან თუ სააქტივო მასალებიდან ამოღებული ცნობებით და ასე შემედივინა წინამდებარე დოკუმენტური მოთხრობა მისა ხანტელოვანი ცხოვრების შესახებ.

ყოველოდე ზემოთქმულის ვამო ვარჩიე თხრობა პირველი პირობ, ამ მოთხრობის ქვეება თავითონ მემედი...

შეება თავის ცხოვრებაზე, გულიდან განუშორებელ აჭარაზე, დედა-სამშობლო — საქართველოზე.

ამტორი

ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ სამხრეთ საქართველოს დაპყრობა ოსმალებმა 400 წლის წინათ დაიწყო, აჭარა კი მფრედიმეტე საუკუნეში დაიმორჩილებ და ოსმალების კანონების გატარება მხოლოდ XVIII საუკუნის 40-იან წლებში შეძლეს. ცალკე თავადებსა და აზნაურებს მათ სანჯაყ-ბეგობა უწყალობეს. ფირმანის ძალით, ისინი როგორც ვასალები, სულთანმა დაიმორჩილა და ყველას შაჰმადიანობა მიადებინა. მთელი ხელისუფლება დაპყრობილ ოლქებში მათ მიენიჭათ.

სანჯაყ-ბეგ აბაშიძენი, თურქეთის ადმინისტრაციული წესით, ბათუმ-ლაზისტანის გამგებელნი იყვნენ. ომის დროს

სანჯაყ-ბეგი თავის ოლქში ჯარს შეკრებდა და საგვარეულო დრომით თურქეთის ლაშქარს შეუერთებდა.

მთელი გუბერნიის მმართველი ფაშა სულთანს დროგამოშვებით წარუდგენდა სანჯაყ-ბეგის გვარიდან უფრო შესაფერისს და ღირსეულ პირს. მას სულთანი ფირმანით ოლქზე ხელისუფლებას მიანიჭებდა.

მმართველობის ასეთი სისტემა XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე არსებობდა, ესე იგი, სულთან მეჯიდის მიერ გატარებულ რეფორმამდე. რეფორმის შემდეგ სანჯაყ-ბეგებს ჩამოერთვათ ხელისუფლება. ოლქზე ადმინისტრაციული ხელისუფლება გადაეცა სახელმწიფოს,

შემოსავალი და ადგილ-მამული სახელმწიფო ხაზინის გამგებლობაში გადავიდა.

სანჯაყ-ბეგებს დაენიშნათ მემკვიდრეობით გარდამავალი პენსია და გამოეყოთ საკუთრებად მიწები (სახანა-სათქის, საძოვარი, საკარმიდამო და ტყე შემოსათვის იმდენი, რამდენიც საჭირო იყო საცხოვრებლად, ოჯახის შესანახად).

რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა; რუსეთის არმიის ეს სახელოვანი გამარჯვება ოქროს ასობით არის აღბეჭდილი ჩვენი სამშობლოს მატრიანეში. თანახმად ბერლინის ხელშეკრულებისა, ყარსის, არტანის, ართვინისა და ბათუმის ოლქები დედა-სამშობლოს — საქართველოს დაუბრუნდა. ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნებამ ფრთები შეისხა.

დომიტრი ყიფიანის თაოსნობით 1878 წლის 20 ნოემბერს სამუსლიმანო საქართველოს დელეგაცია თბილისში მიიპატიჟეს; ბანკეტი გაიმართა მუხრან-ბატონის სახლში, კლუბის დიდ დარბაზში. მასპინძლობდნენ: გრიგოლ ორბელიანი, დომიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, პეტრე უმიკაშვილი, სერგეი მესხი, კონსტანტინე მამაცაშვილი, ისე ანდრონიკაშვილი, დომიტრი ჯორჯაძე, დომიტრი ფურცელაძე, ივანე კერესელიძე, ნიკო ავალიშვილი და სხვ.

თქვენსებრი სტუმარი იყო: დელეგაციის მეთაური გენერალ-მაიორი შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი, ხუსეინ-ბეგ ბეჟან-ოღლი, სუსეინ-ბეგ აბაშიძე, სული-ბეგ-ზადე მაჭახელი, ახმედ-ეფენდი ხალვაში (მარადილელი), ნური-ბეგ ხიმშიაშვილი (შავშეთიდან), ოსმან-ალა მაქრიალელი (გონიოღან), ემინ-ეფენდი მუფთი-ზადე (არტანუჯიდან), მუფთი-ეფენდი სურმანიძე (ქედიდან), სალიხ-ეფენდი-ზადე და სხვ.

გრიგოლ ორბელიანმა ასე მიმართა დელეგაციის წევრებს:

„თვალი გვეჭირა თქვენკენ, ბატონებო, და ვნატრობდით, როდის ამოვა მზე შეერთებისა! და აი, გვისმინა ღმერთმაცა, დღეს ჩვენს შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმებთა და მოხარული ვმადლობთ ღმერთსა და ვვედრებით, რომ შეერთ-

ბა ესე ჩვენში იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყვევლად... და დღეის იმით უბინძურა, აც, ჭირშიაც, უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ერთარცა ერთნი დედა-საქართველოს შვილინი“.

შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა დომიტრი ყიფიანმა:

„ორასმა, სამასმა წელიწადმა განვლო, რომ აქაურ ქართველებს იქაური ქართველებისა არა გვსმენია-რა, ისინი ჩვენთვის სწუხდნენ, ჩვენ — იმათთვის; ჩვენ იმათ არა ვიციოდით-რა, იმათ — ჩვენი.“

უინ იცის, კიდევაც რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, რომ დიდი რუსეთისათვის არ მიგვენდო თავი; იმისმა ზრუნვამ ხალხთათვის მოგვამადლა ეს შეერთება ამდენი ხნის დაშორებულებსა... ვისურვოთ თავად გრიგოლის სიტყვებისამებრ, სიმტკიცე ამ ახლად აღდგენილი კავშირის უკუნისამდე! და ამ ჩვენს ძველს მოძმეებს რომ თვალითა ვხედავთ და ძმური სიყვარულით შევხარით, შევხვათ სადღეგრძელო იმათი!“

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილმა თავის ვრცელ სიტყვაში, სხვათა შორის, აღნიშნა:

„თქვენისთანა პატივცემულ ყოველ წოდების პირთა ისეთი საგრძნობი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემს გულში, რომ ვერასოდეს ვერ დავივიწყებ ჩემს დღეში მე თქვენს დიდ მოკეთობას, წრფელ კაცთმოყვარეობას და მიღებულებას!.. თქვენ ბრძანდებით ჩემი გონების მარად მამრწყენნი, სასო-იმედნი და დაუვიწყებლად ძვირფასნი სახსოვარნი...“

ღმერთმა კჳმნას, ბეჯა და ჩემთანა თანამოძმეთა საქმით დაგვემტკიცებინოს ჩვენგან მოსალოდი კეთილშობილური მოქმედება; შევერთბულიყოთ ნტკიცე ძმურად ჩვენს დიდის ხნის აქეთ დაშორებულ მრავალ რიცხვს ძმათთანა, სულითა და გულითა და ყოველ კეთილგანწყობილებითა ხელი-ხელს მიგვეცეს და გარდავუდგას ის გმირული ნაბიჯები, რითაც განთქმული იყვნენ ქრისტიანობისა ჩვენნი წინაპარნი საქვეყნოდ, უხაროსთ დიდის ხნის მოღმა იმათ ღრმად მიძინებულს სულ-გულსა და იმეზბდნენ ჩვენის ღირს

მემკვიდრეობითა, რომლით წინ წავა ქვეყნის მამულებომა“.

ნადიმის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა აკაკი წერეთელმა: მან განაცხადა: „ბატონებო, დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიღეთ ჩვენი წინაპრების საფლავებთან და ჩავძახოთ, რომ მათი ანდერძი ჯერ კიდევ არ გაგვიუქვებია!“

აქ შე გადაჭარბებულს არას ვიტყვი. ეს ანდერძი იყო: დედაენა და ერთობა! ამავების სადიდებლად ბევრი შრომა გაუწევია და დიდი მსხვერპლი შეუწირავს ჩვენს ნეტარსხენებულს მამა-პაპებს.

პირველი, ესე იგი, რომ ენა ისე მდიდრულად შეუკაზმავთ და ისეთი გენოც მიუციათ, რომ ჯერ კიდევ ვერ მოგვიხერხებია მისი დავიწყება და, არა თუ ჩვენ, იმ ჩვენ მოძმეებსაც, რომლებიც რამდენიმე საუკუნის განმავლობაში დაშორებულები გვყავდნენ, იმათაც კი შერჩენიათ დედაენა ტკბილად სასაუბროდ.

მეორე, ესე იგი, ერთობა, ისე მდიდრულად შეუმუშავებიათ და ისეთგვარად აუბუქდავთ, როგორც გარეგანის, ისე შინაგანის საკუთრად ქართველი ერის საკუთრედ ნიშნებით, რომ დღესვე ქართველი ერთი შეხედვისთანავე იცნობა. ესევე ნიშნები დარჩენია ჩვენს მოძმეებსაც: ამის დასამტკიცებლად შორს ნულარ წავალთ, — საცმაოთ, რომ აქვე, აი სუფრაზე მივიხედ-მოვიხედოთ.

ასლა ვხედავთ, რომ ჩვენი წინაპრების დანაპირები აქეთაც და იქითაც შენახულა და ამით ჩანს, რომ ჩვენ შორის ძმური კავშირი თურმე აროდეს არ ყოფილა ნო-შლილი!

დიას, დღემდე თუ ცალ-ცალკე შეგვიწახავს ის ანდერძი, დღეს უფრო ადვილად და ძლიერად ავასრულებთ, თუ კი ძმურად მივცემთ ერთმანეთს ხელს. დავადგებით ერთ გზას და მიემართავთ ერთ მიზანს.

თუ ჩვენი მამა-პაპები ადევნებდნენ თვალს ქვეყნის მოძრაობას, ნურც ჩვენ ვიქნებით თვალდახუჭული...

შზად ვიყოთ, რომ ბედს, ხაიდანაც უნდა მოდობდეს, კარი გავუღოთ, — და უბედობას ვწინააღმდეგობ!

ეს იქნება იმ ანდერძის სისრულეში მოყვანა!

მაგრამ რომ კიდევ უფრო გააძლიერდეთ, ვიცნოთ ჩვენი თავი, დავაფასოთ ჩვენი წინაპრები და თვალ-ყური ვადევნოთ დროთა ვითარებას, საჭირო არის, რომ ვეცადოთ ჩვენი შვილების გამოზრდას... მივცეთ გზა განათლებას, და შემდეგ იმათ ენერჯიას და ცოდნას მიმეზამც დავახმაროთ ჩვენი გამოცდილება და ისე შეერთებულად ვიღვაწოთ, რომ ჩვენს წინაპრებთან პირშავად არ დავრჩეთ!..“

ილია ჭავჭავაძემ ვერ შესძლო ამ ნადიმს დაწერებოდა; პრესის ფურცლებიდან იგი ასევე გულმხურვალედ მიესალმა ასლად შემოუერთებულ ძმებს:

„აბა, ქართველობავ, ასლა შენ იცი, როგორ დაანახვებ თავს შენს ასლად შემოერთებულ ძმებს, ასლა შენ იცი, როგორ დაუმტკიცებ ქვეყანას მამა-პაპათ ანდერძს: „ძმა ძმისთვისა და შავი დღისთვისია“.

უწარჩინებულები მამანი, საღმრთო-ხაერო თხზულებათა მწერალნი ჩვენი, ესლანდელი ოსმალის საქართველოს შვილნი და მცხოვრებნი იყვენენ. ჩვენი საბიჭადულო „ვეფხისტყაოსნის“ მთქმელი შოთა რუსთაველი იმ მზარის კაცი იყო... ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქენფია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა... სწავლა-განათლება, მამულისთვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთ დროს“.

იაკობ გოგებაშვილი დიდად იყო ადფრთოვანებული ბერლინის ხელშეკრულების დადებით:

— კონსტანტინე სიმონოვს დიდი ხანა ეცილობ. სიმონოვი სამამულლო ომის ღროს 1942 წლის შემოდგომაზე თბილისში ჩამოვიდა, იგი, საქართველოზე გავლათ, რუსეთში მიემგზავრებოდა. თბილისში ერთ კვირას დაბუჟო. მეზობლებთან ერთად ომში ნატარია და ნატარია შერაილი — კორეხონდენტები სიმონოვი უკვე ავტორი იყო საქვეყნოდ ცნობილი თავისი ლექსისა: „მოცადე“, რომელშიც იგი უკველა მეზობლის სახელით მიმართავდა მშობლებს, მეგობრებს თუ ხატრფოს: „მოცადე და მე უთუოდ მოცადე უკველა ეშმაკის, აფსულის ჭიბრზე“... ქართველი შერალები ღირსეულად გაუქმასხინდლათ სიმონოვს. შერაალთა სახლის სხდომათა დარბაზში დიდი საღამო მოუწყვეთ, სადაც მან, სწორედ ის თავისი ცნობილი ლექსი „მოცადე“ წაიკითხა და ბევრი ფრონტელის მშობელი, ნათესავი და მახლობელი აატროა. ის ლექსი, მართლაც, მაკოფრ გაუღენას აბღენდა მამენელზე და მასში მტერზე შერბობების გრწობასა და ბრძოლის სურვილს ბადებდა. მალე სიმონოვი მოსკოვს გაემგზავრა...

ათი დღის მეორნალობის შერმე უკეთესობა დაპეტყო, ჩანდონე და ცხოვრების ხალისიც მომეშატა; მე, ლიბესკი და კულევსოვი მთაზე გაემენებული „იშპერილითს“ ბალიდან ფუნეკულეორათ ქალაქში ჩავდიოლით და სამკურნალო წყლის აბაზანებს ეღებულთოთით. აბაზანის მიღებამ შევბა მომგვარა, თავს კარგად ვგრწობდი და მეგონა, ჩიტივით ვავფრინდებოდი. აბაზანის მიღების შერმე გვერდითით ოთახის საწოლში ოცე უფითი ჩავთებოლით და საათს მივაშტერდებოლით, დარეკავდა თუ არა საათი, მამინეე ჩავიცემილით და „ქუნა-ბაღს“ კარლოვა ვარის წყაროების თავზე აგებულა, დიდებული კოლონადისკენ ტატიოთ გაუყვებოლით. განწარბ დავწერე „ქუნა-ბაღი“, რადგან კარლოვა ვარის ქუნების ორივე მხარეს თვალისათვის საამო გაწონებო, ხასხასა, წითელი, თეთრი, უვითელი ხვერდოვანი ვარდების ბუნჩები და ათასფერი ყვავილების ჩარი ამკობს, რის გამო ქუნა, მართლაც, ბაღსა მგავს... აქვე უნდა შევნიშნო, რომ ჩეხო-სლოვაკიაში, საერთოდ, ბავშვებისა და ვარდ-ყვავილების ერთგვარი კულტო სუფევს. დაბადებმა თუ არ ბავშვი, იგი და მისი მშობლები მაშინვე მთავრობის — იმეამად ნოვოტინის ხაშუქარს ღებულბენე ერთდროულ ფულად დახმარებას, ოთხობრბლბან, დიდებულ საბავშვო ეტლს, სათამაშოებს. ბავშვი უკველა მოქალაქის უფრადღების ცენტრშია და იგი მას დიდი შწრუნეულობით გვიღება, დიდ მოწონებაშია აქ, აგ-

რთვე, ვარდ-ყვავილებიც, რომელითაც ჩეხო-სლოვაკელის წრუნეა, მოვლა და სუფარული არ აკლია. სად არ ნახავთ ვარდ-ყვავილებს, ეწოში, ბაღში, ქუნის გაწონებში, რკინიგზის სადგურების ბაქანზე, ბაქნის სვეტებზე ჩამოკიდებულ თიხის ქოთნებში, ნიფარებშიც კი. კარლოვი ვარში შექენილი ფაფურის სახმისით წულულის სამკურნალო მეექვეც ნომარის წყაროს ცხელ წყალს ნელინელ ვწრუპავდი და დასვენებლებს ვათვლიერებდი. ვის არ ნახავდი აქ: პოლონებს, უწგარებს, ბულგარებს. იუგოსლავიებს, გერმანებს, რუსს, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა რესპუბლიკის ბინადართ. ამ წელს ბევრი ქართული დამსვენებელი ჩამოსულიყო კარლოვა ვარში. მართლ ჩვენს სანატორიუმში, „იმპერიალიში“ დასახლებულიყო მთელი ახალშენი. ქართველები უკველასგან გამოირჩეოდნენ თავისი ხამბრეთული მგწნებარებით, ხმამაღლი, ჩქარი ლაბარკით, სიცილ-სარბართითა და ნამირ-გადიხული ენებკულაციით. ეტყობა ამა თუ იმ გეოგრაფიულ თავისებურებათა გავლენა ადამიანის ხასიაზე მეტად მყარი რამ არის და მისი წამლა არც იხე ადვილი საქმეა.

დღეს მიროსლავ ზიმამ თავის კაბინეტში ისევ გამოიძიხა, წნევა გამოინიჭა, ნორმალური აღმოჩნდა: 140-70. თანაც სასიხარული ამბავი მითხრა:

— ორჭერ გაგაშუქეთ რენტგენზე და ორჭერვე წულულის შეხორცება უწენეა. ჩემის აწრით, აჯღემციოსმა ლიბესკიმ დიდი ხამსახური გაგრიათ. ილოცეთ მასზე, თუთუნის წევა რომ მაგატოვებოთ. ნიკოტინი წულულისთვის მართლაც საწამლია...

— თუთუნას წევა რომ მიმეტოვებო, წულული, ოლბათ, თბილისშიც შემხორცდებოდა, — შეენიშნე ექიმს.

— შესაძლებელია... მიუხედავად იმისა, რომ რენტგენმა წულულის შეხორცება გვიჩენეა, რევიმის დარღვევას მაინც არ გიორეკთ, ცოტა კიდევ და კარდიოგრაამაც უკეთესა იქნება, მაშინ, ეკირასა და დასვენების დღებში, ჩემი მანქანით, ჩეხო-სლოვაკიას თუ არა, პრადისა და კარლოვა ვარის მახლობელ რაიონებს შემოგატარებთ. წავიქეფებთ კოდევც, ჩემს ოქახშიც მიგაწვეთ ჩვენს სანატორიუმში დასასვენებლად ჩამოსულ უფილ პარტიზნებს, დავითის მეგობრებს გაგაცნობთ... ნეტავ დავითიც აქ იუოს, მაშინ ბურმარაღს მეთი შნო და ენში ექნებოდა, — განაცხადა მიროსლავ ზიმამ.

გახარებული შევედი ჩემს ოთახში და თბილისში მიუღლესა და ჩემიანებს წერაილი მივ-

წერე, თან წუხილი გამოცეკვი იმის თაობაზე, რომ მეუღლე კარლოვი ვარში არ წამოვიყვანე. წერილი ის ის იყო კონკრეტში ჩაფიქრებული, როცა სანატორიუმის შორივებ დაშირეკა, თქვენთან სტუმრად მივიდნენო. სტუმრები ქალაქ პეტიდავს კარლოვი ვარში ჩემს ხანახანად ჩამოსული ვაღამეგარი ზენერალი კოვალიოვი და მისი მეუღლე მარია აღმოჩნდნენ. ისინი ნომერში მივაპატეთე და ნამცხვრებით, ხალითა და, ყოველ შემთხვევისათვის, თბილისიდან წამოდებული ღვინით გავუშპისინებდი. კოვალიოვი და მისი მეუღლე ჩემი განმრთვლობით დაინტერესდნენ და მერმე ისევე ჩემს ძმავზე ჩამოვადეს საუბარი. მე მათი ქალი და შეუღლებული მაშინვე მოვიციოხე. პაპამ და დედემაც ისევე დიდხანს ილაპარაკეს მიმწვანე, მის ოინებზე... ბოლოს მათი შეუღლებული ისევე ყველა ზავზევე უფრო გონიერი, ნიჭიერი და ღამაზი აღმოჩნდა. კოვალიოვი და მისი მეუღლე კოვალშობილი, კაცთმოყვარე, სპეტაკი და უბორბოკო აღმიაწები იყვნენ. მე შემოყვარდნენ ისინი, საქართველოში, ჩემთან მოვიპატეთე და თბილისის მისამართი ჩაგწერინე. კოვალიოვმა მოპატეთებისათვის მადლობა გადასახა და ახლა, თავის წილ, ღვინვარაღში მოპატეთე და იქაური მისამართი ჩამაწერინა.

კოლ-ქმარი ჩემი ხანატორიუმის წინ მდგარი, მათი სიძის მანქანაზე მივაყვალე, დავემშვიდობე და პეტიში მომავალი გზა დაველოცე.

კოვალიოვმა და მისმა მეუღლემ ჩემს მნახედებს, თოქო, გზა გაუხსნესო: მეოთხე დღეს, კარლოვი ვარის მახლობლად მდებარე სანატორიუმო ავარაკიდან — „პარიანსკიე ღამინდანი“ პარალის უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ქართველოლოგი იერიომირ ედლიჩა მესტუმრა. ედლიჩა საქართველოში ნამეყოფი კაცი იყო. იგი თბილისში ქართველ მეცნიერებს, ფილოლოგებსა და გრამატიკოსებს აკაცი შეიძებს, ალექსანდრე ბარამიძეს, შოთა ძიძიგურს, ალექსანდრე ღვინტსა და სხვებს გავცნო და ერთობრა. მწერალთა კავშირშიც გვეახლა. მის გიარაკ ღვინომემ, სიმონ ჩიქვაძისა, ორაკლი ამამამე და მე შესაფერი მიღება, მასპინძლობა გავუწიეთ და ქართლ-კახეთში წავიყვანეთ. კარლოვი ვარში იედლიჩას სტუმრად ძალიან მისამოვიწინა. იგი ჩებურ ენაზე ჩემი რომანის „პირისპირ“-ის თარგმანის მოთავე იყო, რაც „სერთამორისო წიგნის“ ხაზით განზორციელდა. რომანი ჩებურ ენაზე დოქტორმა ოდელიჩოვამ თარგმნა და ბოლოსტყუარობაც მანვე დაწერა, ხოლო პროფესორმა იერიომირ ედლიჩამ ჩებური ტექსტი ქართულ დედანს შეა-

გერა. რომანი „პირისპირ“ ჩებურ ენაზე პარალში გამოცემლობამ „სტუმრად“ 1952 წელს გამოუშვა. ედლიჩა ტანჯიჩიძის ქალახდარი კაცი იყო, მეტად თავაზიანი, მოყვარული, ხოლო მეცნიერებისათვის თავგამოდებული, აქტიური და მომისმოყვარე, კოლიზანდისიერი, ქეშმარიტი ჩემი ინტელიგენტი. მან პარალის უნივერსიტეტში ზევი ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველოლოგი გამოზარდა, რომლებიც პარალში მათთან სტუმრობის ეამს გავიცანო. იერიომირ ედლიჩა და მე ქართულად ვსაუბრობდით. მისი ქართული ერთგვარად შეიგნობრდი იყო და ძველ ქართულსა მგავდა, ვინაიდან ქართული ენის ეშხი და მადლი მას დედის ძმძისთან ერთად არ უწყოთა, ქართველი ხალხისაგან არ შეუსისხლობრცებია, არამედ ძველი ლიტერატურული ძეგლების საშუალებით მქონდა შესწავლილი. მისი ქართული არ იყო თანამედროვე ქართველი ხალხის ცოცხალი ენა ყველა თავისი გრამატიკული კანონებით, მდღარა ლექსიკონით, ფავარაკებო, მეტაფორებოა და იდიომებოთ სავსე... ედლიჩას ქართულის განსხვებებს ჩებური კლას უწყობდა ზედს. მაგრამ რაღა ედლიჩას ჩავაცვიდეთ! განა ყველა გამართული, ნარნარი და სუფთა, უზადო ქართულით ვმეტყველებთ და ვწერთ ახლა?!

კოლა ხნის მერმე ედლიჩა და მე მწერალმა კარლო კალამემ ვადაგვიპატეთე თავის ნომერში. იგი ჩემზე უკეთესი მასპინძელი აღმოჩნდა, რადგან საქართველოდან ღვინო და ოხუნჯობით სავსე ვუდა წამოდო.

ამ დღით მე და აკადემიკოსი ლედსკი, სტუკოალური ახანის მიღების მერე, ღვინის მოედნისკენ მიმავალ ზევიანს გავყვით და იქ ჩარაწული ძეგლების ტერეტით დაეტებით. აქ სამსტრნალოდ ჩამოსული, დიდებული აღმიაწების, ერთმანეთისაგან დაშორებული ქანდაკებები და ბიუსტები იდგა. გოეთის, ბეთოვენიის, პეტრე დიდიისა და სხვათა. კარლოვი ვარში სამსტრნალოდ უყოფილა აგრეთვე ჩემი დედი ილია ქავჭავაძეც...

ღვინის მოედანზე მე, ლედსკი და კუდენის მერმე კი, ყოველ დღე...

კარლოვი ვარი სერთამორისო მეთერთმეტე კონფერენციისათვის მზადებას შეუდგა. ღვინის მოედანზე ორმოცი სხვადასხვა სახელმწიფოს ალამი აღმართეს. მსოფლიოს სუთივე კონტინენტებიდან ჩამოვიდნენ კინოშემაკები, რეჟისორები, მსახიობები, კინოფარსკულები — უცხოელგამოწეობილი, ჩინებული ღამაზანები. უღვისსიბოთერი ქვეყნებიდან კინომოყვარულნიც მოზღვადნენ. ზევი ჩემოსოფლის მეზობელ — ცვროსულ ქვეყნებიდან კარლოვი

ვარში საყოფარღო მანქანით ჩამოვიდა. რა ჯერის ხალხსა და რა ფერის მანქანას არ ნახავდით აქ კინოფესტივალის პერიოდში! მანქანების „გოდს“ — ავადმყოფის არკადო ტინოთის ღეღუნის ყოველ დღე მთავადი „იმპერიალი-დან“ ქალაქში — ლენინის მოედანზე, სადაც სასტუმრო „მოსკოვისა“ და „რინმოდის“ წინ ბრუნდნით გადასურულ პავლიონში უცხო ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები ისხდნენ, საუბრობდნენ, ნაყინსა და გასაჭარლებელ სასაზღვლებს მიირთმევდნენ. იქვე მოედანზე, როგორც უკვე ითქვა, მრავალი ფირმის მანქანა ჩაერთოვებინათ: „ბიუცი“, „შეგრადე“, „ტომოლინი“, „როლს-როისი“, „ეარტბურგი“ და სხვა, მანქანის მოყვარულე ლილხე არ ეშვებოდა, გარს უვლიდა, ხინჯავდა, თვლით ამოწმებდა მათ, დალუნებოდა და ქვედადანაც კი უცქეროდა. განსაკუთრებით გერმანული მანქანა „ვარტბურგი“ ამოიღო ნიშნში. აქებდა: ამას ორტაქტიანი ძრავა აქვსო, მისხნიდა. მანქანების მოხუცის ასეთმა დაინტერესებამ და გატაცებამ გაიპოვა, მაგრამ ჩემზე მეტად, იქვე მდგარი, შავგვრემანი, შავკოტლში გამოწყობილი, ბაკენბარდიანი ვიდეო ქაბუცი გააოცა და შეაქვია, რადგან მოედნიდან კოლონადებისაგან მიმავალ ხეივანს რომ დავადექით, ის ბაკენბარდიანი ვეჯაცი აფევიდა და ორმოცი ნახიჯის მანძილზე მოგვედგა.

კოლონადის რომ მიუხაზოვდით, „იმპერიალის“ დამსვენებლები მოგვეცვიდნენ.

— სად ბრძანდებოდით აშლენ ხანს, ალბინისტები? სადღეზე რად დიავიანეთ? კულდ-შოს რად გაუბარეთ? იგი ობლად იქდა შავი-დასთან სასაიდლოდ? — გვიოხრა საქართველოს უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ, ცისფერთვალთა, ეშხიანმა კაცმა მიხეილ ლომიძემ.

კარლავი ვარში გამართული მეთერთმეტე საერთაშორისო კინოფესტივალზე დემონსტრირებული თითქმის ყველა ფილმი უნახე, ჩამოვთვლი მხოლოდ პრემირებულ ფილმებს: 1. დიდი პრემია მიენიჭა საბჭოთა ფილმი: „წყნარი დონი“ (მესამე სერიას). 2. იპონურ მილიტარიზმისა და დესპოტიზმის წინააღმდეგე მშობრთულ ფილმი: „გერი ძმები“, მ. ფესტივალის პირველი, მთავარი პრემია მიენიჭა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფილმი: „ოხვრავია ტეტრონური ზმლი“. 4. მესამე პრემია — ნეოსოლოგურ ფილმი: „შავი ბატალიონი“ და 5. უნგრულ ფილმი: „მარლის სეტი“, ხოლო სეციალური პრემია მიენიჭა მსახიობს შტრაუხს, ლენინის როლის შესრულებისათვის ფილმი: „მოთხრობები ლენინზე“, და მსახიობ ქალს ნარჯის მთავარი როლის შესრულებისათვის ფილმი „ინდოეთის დედა“.

უპირავი კინოფილმის ნახვით გამარებულს დღეს კარლავი ვარის ქუჩებშია და სანატრიო-

უმის „იმპერიალის“ ვესტიბულში გაკრული დიდი აფიშები შემომეფეთინენ, რომელზედაც არწივისებრ ფრთავილილი, ჩოხიანი ქაბუცი და ხელიხელნაკიდებული, მოგოგმანე ასუღები ცხატა. ზედ ეწერა: „საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი ნინო ჩაიშვილისა და ილიკო სუხიშვილის ზელმძღვანელობით“. ანსამბლის გამოსვლა გაიმართა კარლავი ვარის გარეუბნის ცისქვეშ, სასაფხულო თეატრში, რომელიც, დაახლოებით, ათი ათას მაყურებელს იტევს.

მიროსლავ ზიმა, ლილხე, კულუშვი და მე სცენასთან, შედარებით ახლოს ვისხედით. საღამოს რვა საათზე ნათურები აანთეს. ფარდა ნელელედ ასწევს. უცემა: დოლების ისეთი გამარლებული გრგვინვა და გრიალი ატემა, იფიქრებდით, ცა ჩამოინტარაო. ხალხი გაირინდა და, სასწაულის მოლოდინში, ცარიელ სცენას მიაშტერდა. გრგვინვა შეწყდა. ახლა დოლების რაკრავზე და აკორდეონის სააო, ჩუმ ხმაზე ჩაქურაში გამოწყობილი, ხელიხელნაკიდებული აქაურელი ვაჟაკები სცენაზე შემოლაგდნენ, სამხედრო ცეკვა გამართეს, მიწაზე დაეცნენ, მიწას უფრი დაადეს და მტრის ქარის ფეხის ხმასა და მათი ცხენების თქარუნს მოუსმინეს... მეტრე მტრზე გამარჯვებულეშმა ისევ წრე შეტყრეს, სამსართულიანი ხორტუმი გამართეს, იცეკვს, ილაღს, გამარჯვება იზეიმეს. ბოლოს ისევ მწკრივისა და მწკრიბრში ჩადგნენ და ხელიხელნაკიდებულნი სცენიდან ისეთივე ნული რაკვით გავიდნენ, როგორც შემოვიდნენ. ცეკვა კარლავი ვარის მაყურებლებს ძალიან მოეწონათ, მაგრამ ცეკვის გვირგვინს, როგორც ურეველით „ცეკვა ქართული“ და ოსური „სიმღმი“ წარმოადგენდა. „ცეკვა ქართული“ ხალხი ერთთავად მოაქადოვა. ცურვის მსგავსი გრაციოზული მოძრაობა წელგაზუნქილი, ჩისტაკობიანი, „ეშხიანი ქალისა, მისი კდემამოსილება, სხანარზე და ტანუძრავი, ჩოხიანი ვეჯკის უღებების თავბრულმძვევი გასან-გამოსმა, ქალისადმი რაინდული მოკრძალება, ქალის პატივისცემა, ქალთან თავდაქერილი აშკოაბა, მისთან სრული შესმატკიბლება, ეს, მართლაც, ცეკვიცა და რაკვით გამოთქმული ტრფიალისა და მიწურობის მთელი პოემაა. ძალიან მოეწონა მაყურებელს აგრეთვე, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ოსური ცეკვა „სიმილი“, მოკლე ჩოხში გამოწყობილი ქაბუკებისა და თვისრი გედების მსგავსი ღამაში ქალიშვილების ღარიბი სწორი მწკრივის მოძრაობა, მოძრაობა კი არა — ცურვა, ფეხის წვერებზე შემდგარი ვაჟაკების ჩოხის სახელიდაშვებული ხელების ელვაგანტურ აწევა-დაწევა, მოძრაობა. მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა აგრეთვე ზეკულუღმა ცეკვამაც, ფარის მომარჯვებამ და ერთმანეთზე მისული ვაჟაკების ხმლის მიმოქნევამ, ჩახაჩუმმა, მეტრეპოლთა შორის დიაციის მიერ მანდილის ჩაგდებაზე გაფორებული ვაჟაკების

დაწვევამ, რომელშიც ქალბილგი რაინდული პატივისცემა შედევნდება. მაროსლავმა, ლილ-კომ, კუდიშოვმა, ნაცსობებმა და უცნობებმა, რომელთაც ჩემი ვინაობა შეიტყვეს, კეთილად გამოდიმეს და მიდღეერების გრძობით სავსე თვალებით მოცქერდნენ.

მაროსლავ ზიმაი დამარება შესრულა: მან-ქანით ჯერ კარლოვი ვარის მიდღეობები შემო-მატარა, ფრანტოვოზე დაწინა, მარიასკოე დაწინა, პეტი, ლოკტო მაჩვენა, მერმე კი მანქანაზე თავისი შოფერი ვარვა დასვა და მე და საქართველოს უჩვენა ჩემი სასამართლოს თავმჯდომარე შეხეილ უარამანის ძე ლომიძე პარადში ჩავიყვანა.

კარლოვი ვარიდან პარადში მიმავალი გზის ორვე მხარეს აღუბლის, ქლაივის, მსხლისა და ვაშლის ხეები იყო ჩამწკრივებული, ზღუდულში გზაზე დაფრულ მათ ნაყოფს მგზავრები არ ევარებოან და ხეებსაც არ აფრანებენ, ქურდობა ჩემოსლოვავიაში არ არსებობს. ჩემები ნაქიერო, კეთილმინდობიერი, მრავალ დარგში მომუშავე, ოქროს ხელების მქონე, გამოჩენილი ოსტატები, ვულმაროალი, უზაროტო, წესრიგის მოყვარული არიან. უსახლობა, ქურდობა და კნზგრობა ჩემოსლოვავიაში თითქმის აღარ არსებობს. ეს ჩემს თავზეც გამოცდად, ერთხელ მე და ლილკო კარლოვი ვარის ბაღში გრძელ სკაზე ვისხედით. პატარა ჩემოდანი გვერდზე მედგა. ცოტა ხნის მერმე ხანტორიო-ნისკაც ვაძწიეთ. გზაზე თავზარი დამეცა: ჩემოდანი ბაღში დამარჩა. თავ ლაღეცაში გამოცემული, ხასხასა ფერებით შესანიშნავად შესრულებული, ფრანგო ემპრეზორისტების სურათების აღბოში მეღო, რომლის შეტენისათვის კრონები არ აღეიშურე. ლილკომ დამამშვიდა: თქვენს ჩემოდანს არაფერს ხელს არ ახდებსო. მართლაც, ჩემოდანი იქვე დამხვდა, ხადაც დამტრავე: გრძელ სკაზე ობლად მდგარა. არაფერს მისთვის ხელი არ უხლია, თუმცა ბაღში უამრავი ხალხი მიღი-მიღიღოდა...

მაროსლავ ზიმაი ჩემოსლოვავის დედაქალაქის—პარადის ღირსშესანიშნავი ადგილები და ინტეროიული ჭეკლები დავათვალიერებინა. გილისა და ექსტრისანტების ხელმძღვანელის რილაც მანვე იცისრა. პარადი მდინარე ვლტავის ნაპირებზე გაშენებული, ევროპის ერთ-ერთი უღამაზესი ქალაქივანია. იგი მთავრ საუკუნე-დან მოყოლებული უკვე ჩემოსლოვავის დედაქალაქად არის ცნობილი. დავათვალიერეთ კრეილი, წმინდა ვიტას კათედრალური ტაძარი, კარლოს მე-1-ის დროს 1244 წელს აგებული წმინდა ლორეტას ეკლესია, ხადაც მოთავსებულია ოქრო-ვერცხლისა და ჭვრეტატი ქვების განძთა-საფარი. ენახეთ მე-14-ე საუკუნეში მოედანზე გაშენებული ქალაქის სამმართველო, რატრუში, მისი კოშკის საქვეწმედ ცნობილი იშვიათი საათი, შუაღლისას თორმეტჯერ რომ

რეკავს, რომლის ღეროსაც კოშკი ტრიალებს, მისი უველა სარკმელი იღება და მათ გასწვრივ თორმეტი მოციქული ჩნდება. მოციქულები ხალხს ესალმებიან. ეს სახანაობა თორმეტის სპეტაკვალა მკავს და თანამედროვე ადამიანში ირონიულ დიმილს იწვევს. ფლორენციელებს კი ძალზე მოსწონდათ იგი და სურდათ პარადის იმ ჭადოსნური საათის ოსტატის მიწვევა ოა ფლორენციაშიც ასეთივე საათისა და მოციქულების გაკეთება, მაგრამ პარადლებმა დიდებულ თავის ოსტატს თვალები დათხარეს, რათა სხვათათვის იმ საათისა და მოციქულების გაკეთება არ შესძლებოდა. მაშინ ხანა ოსტატმა ქალაქის რატრუშის ის იშვიათი საათი გაატერა, იგი მუცხრამეტე საუკუნეზე იყო ვაჩრებული ვიღერ ახალი ოსტატი არ გამოჩნდა... ქალაქის რატრუშის კოშკის ღირსშესანიშნავი საათის ოსტატის ბედი სვეტიცხოველის მშენებელი ოსტატის არსაკიის ბედსა მკავს, ხოლო იმ განსხვავებით, რომ არსაკიეს თვალები კი არ დათხარეს, არამედ მარჯვენა მოკვეთეს, რათა სვეტიცხოველის მსგავსი დიდებული ტაძარი სხვაგან არ აეგო... სხვადასხვა ქვეყნის ტაძრების აგების თუ ქალაქების დაარსების გარშემო შექმნილი ლეგენდები, მითები ხშირად ძალიან მკვანან ერთმანეთს: ასე მაგალითად თბილისისა და კარლსბადის (კარლოვი ვარის) დაარსების ისტორია (ლეგენდა): შეუე კარლოს მეოთხემ, ნადირობის ვაშს ცხელი წყაროების მიდამოებში მომკლა ცხელი, რომელიც იმ ცხელ წყაროში ჩავარდა და მოიხარშა. ახლა იმ გიზვის ქანდაკება ქალაქის მახლობლად კლდეზე დგას და შეუე კარლოსის მცერ დაარსებულ დიდებულ ქალაქს კარლსბადს — კარლოვი ვარს ვაძაქურებს. საქართველოში კი შეუე გორგასალმა, ნადირობის ვაშს, არა ჩხვი, არამედ ხობოში მოკლა, რომელიც ნარეალის მახლობლად, ენლანდელი ამანოების მიდამოში, მწიფიან ამო-ღუდებულ თბილ, ცხელ წყაროში ჩავარდა და მოიხარშა. გორგასალმა იმ ადგილას ქალაქი გააშენა და მას თბილისი შეარქვაო. ასე ენმინებოან ერთმანეთს ამა თუ იმ ქვეყნის ქალაქებისა და ტაძრების გარშემო შექმნილი ლეგენდები.

ენახეთ მთავრ გაშენებული პანთეონი, ვეება ცხენზე მქდარი სახალხო გვირგვინი, გოლითი, ბრმა მხედართმთავარი, თავისი ზღაპრული გურ-ნით (ცხელი)-იან ტოქვა, რომელმაც ცხარ-ბრძოლაში ჭვაროსნები დაამარცხა და ჩემოსლოვავია და მთელი ევროპა ვანათავისუფლა. პანთეონში განისვენებენ კლიმენტი გოტალდი და გამოჩენილი წესები. უკრავს ორგანო. იხე კროვარც ლენინის მავროდუშის შესახებელ კარებთან, აქაც ორი ვატრუნელი, თოფანის ქარისკაცი დგას.

წარუშლელი, მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ქალაქის გარეუბანში, მთის ტოფონზე გამართულმა მშათა სასაფლაომ, ხადაც დაქრძა-

ლული არიან უცრანის ფრონტის სარდლებს კონცესია და რიბაქოს არმიების 487 საბჭოთა ქარისაკი და ოფიცერი, რომლებიც ფაშისტურ-კარმანის ქარებისაგან პრადის განთავს-სუფულებისათვის შარბოლაში დაიდნენ. შერ-ძოლა სახუმარლოან ამართულ დეფაზე მათი სახელა, ვვარი, დამადებისა და დამდების წელი და თევა აღნიშნული. ამ გმირ ჭაბუკებს 18-დან

22 წლამდე უცხოვრიათ. გული გვატ-კინა ამდენი ჭაბუკი შერძოლის დამდებამ და მათი საფუძვლების ხილვამ, დაღუპულთა საფ-დავები ვარდ-ყვავილების თაგულეებით შევაშ-კეთ, მერვე დეფექტით და დიდხანს ვუბნენდით გარდასული ქარიშხლისა და გრიჯლისაგან აქ დაწვანულ — სამარადეთაშ მდუმარების, გლო-ვას და, რასაც მამის განვიციდით, მას ახლა მილიონები მოკლულ გამოთქვანენ: „შრძოლა მწიფობისათვის“.

ქალაქში ჩავდივართ. წინ ფართო მდინარე ვლ-ატავა გადგავს. ზედ ნივები, კატარღები და პატარა გემები მიდი-შოდოდნენ. ვავიარეთ ძეგლებით შემკული მშენ-შტრინი, ვრქველი ზი-დი. ქალაქიდან გასვლის წინ, მოედანზე გაშენ-ბული უნივერსიტეტი „გედი“ მოვიარეთ. ზოგი რამ წერაღმანი შევიპინეთ, ხოლო ვაპარის-თან, შპრუნავ ქანებზე შეშდგარ მანქანებს: „შკოდა“ „ტატრა“ „როლან-როისი“ შორიდან ვათვლიერებდით. „პარავა: მანქანების გიტი აკადემიკოს ლანსკი ახლა ჩვენს შორის არ არის“ — ვავიტიქუე მამინევი.

პრადიდან ნაშუადღევს 5 საათზე ვამოვედით. შოფერი ვარგა კარლვის ვარისაყენ მიმავალ გზაზე ვავიდი, უკან ჩამოიტირვა ორი სოფელი, სოფელი კი არა, პატარა ქალაქი, ვინაიდან ქა-ლაქსა და სოფელს შორის აქ მიიწევა და მა-ინც დიდი ვანსხევაება არ არსებობს.

— კარლოვი ვარამდე დიდი გზა, შიშნალით დავოცებით, ნეტა რად ავუვიკრძალა შიროს-ღავმა პრადში სადილობა?! — მკითხა სასო-წარკვეთილის ხმით მიხეილ ლომიქემ, როცა ორი სოფელი ვავიარეთ და ხალხით გაქედელი სასოუნე, ლული და გრძელი ძეხვები დამანხა.

— ვერ ვამეგია, რად არ გვასილილა პრად-ში — მიფუცე მიხეილს და დავსმინე: — ბა-ტრონი მიხეილ, ერთი რამ მაოცებს. მოუხედავლ იმისა, რომ ჩეხები ლულს ეტანებიან და მაგარ სასმელსაც მიირთმევენ, მთვრალი, შარბოცი თამავალი, უგარძნობლად ქუჩაში დავდებულნი ჩეხი არსად მინახავს.

შიროსლავმა მესამე სოფელთან შოფერს მან-ქანის ხელა შეანდუნებინა და გზის მოავარ ტრაქტორით სოფელში გადაახვეინა.

იგი სად მიდის-მეთქი, — ვავიტიქუე, სოფ-ლის ბოლოს, მწვანესა და ბაღნარში ჩაფლული,

გოტიკური სტილით აგებული ორსართულიანი, მადალი სახლის დაქანებული, წითელი სახურა-ვი გამოწნდა. შიროსლავ ზიამ იმ სახლს ეგზო-ტონის ჭიშკართან ვანერტებინა შოფერს მანქა-ნა: ქიშკარი თვითრასლიონმა, გოლიათმა ქვე-აკენა ვადო, შიროსლავს ვაფლიმა და მანქანა შოფერს ეგზოში შეაყვანინა. შოფერმა ვარგამ მანქანა ჩრდილში დააქნა, შიროსლავმა კი ის შრდიმარი ქვერა ცაცე ვავიქნო:

— იცნობდეთ ჩვენს მახინძელს, უოფელ პარტოზანს, ანტონ შეინლს, — ბალის ბილიკუე პატარა ქვერა ქალი და მისი მსგავსი ჭაბუკი გა-მონდნენ — ანტონის შეუღლდე ვერა და მათი წელიო სტუდენტეი ვუხტავი. შიროსლავმა ესე-ნიც ვავიქნო.

ეგოში ვეგმა ცაცხვის ქვეშ მავილა იდეა და ირველიე სტუპრები ისინდნენ, ისინი კარლოვი ვარის სანატორიუმში „მიპერიალში“ დასახე-ნებლად ჩამოსულიყვენს. მათ ამას წინათ ჩვენი სანატორიუმის სახალილოში მოვკარი თვლი, მაგრამ ვინ იყენენ, ცაცხვის ქვეშ ვვარდალდე-ბივით ახლა დარჩნული ის მადალი, შრგე ვა-კაცები არ ვიცოდო, შიროსლავ ზიამ ვასწავა მათ:

— აი საბჭოთა გმირის, ჩვენი ხეყვარელი და-კით ბაქრაძის მეგობარი ქართველი მწერალი, რომლის ვაშო ამას წინათ ვესაუბრებოდით. ეს კი საქართველოს უწენავის სასამართლოს თა-ვქლოშიერ მიხეილ უარამანის ძე ლომიქე ვას-ლავთ. მერვე დავით ბაქრაძის მეგობარი პარ-ტიზანები სათითაოდ წარმოვავიდავან:

— ბრანკის ტყეებში ბელორუსელი პარ-ტიზანული მოძრაობის ხელშედავანელი საბჭო-თა კავშირის ორგზის გმირი ფეოტოროვი, პარ-ტიზანული მოძრაობის უკრაინის შტაბის უფ-როსის მოადგილე დეონტი პეტრეს ძე დროფე-ნი, პარტოზანი ოფიცერი ალექსანდრე ალექსან-დრეს ძე მერესევი... ესენი, ჩვენი მახინძელი ანტონ შეინლი, მისეილ უარამანის ძე, ალექსან-დრე ნიკოლოზის ძე და მე, — ვველანი დავით ბაქრაძის მეგობრები ვართ, — დამანა შიროს-ლავმა და ამის მერვე დავითზე საუბრით ვვე-ლანი ბალის ბილიკს ვავიქეთ, ოკონებდნენ და-ვითის საგმირო საქმეებს...

დავითის მეგობრებთან შეხედრდა, პურის ქა-მა — სოურპარინა შიროსლავ ზიამ მომიწყო, რითთვისაც დიდი მადლობა მოვახსენე.

გულუხვი მახინძელები მერე სოფრაზე მო-ტანილა ჩეხოსლოვაკური გემრიელი კრემებით, დიკარვისფერი სააშო ლულით და გულითადი, მეგობრული საუბრით კიდდე დიდხანს დავტკბე-ბოდით, მიხეილ ლომიქე რომ არ აქარებუ-ლიყო ვველანი ახმალენე.

საბჭოთა კავშირში ჩემმა წამოხელის ვამაც მოადწია.



ალექსანდრე ბარამიძე

მომგონებათა ფურცლები

ბორის ბაკონოვის ბასსინება

შვეიცარიულ გაზეთში „ბაზელერ ნახრიხტენ“ (18.9.69, № 859) დაბეჭდა ვ. არნოლდის წერილი „ქართული ეროვნული ეპოქის ისტორია“ (შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ებრაული თარგმანისათვის)1. წერილის ავტორი ამბობს, რომ „ვეფხისტყაოსნის (ებრაული) თარგმანი ნამდვილ სენსაციას წარმოადგენს“. ამ ამბავს, წერს არნოლდი, „ორი ვიზიტი ჰქვას“. პირველია თვითონ შოთა რუსთაველი, XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტი-უმანისტი, რომელმაც შექმნა სრულიად განსაკუთრებული საკუთარი პოეტური საშუარო. მეორე ვიზიტია ახალგაზრდა ბორის გაპონოვი, რომელმაც ბრწყინვალედ გადათარგმნა შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი კლასიკურ ებრაულ ენაზე. „ძნელი დასაქრებელია, — შენიშნავს ვ. არნოლდი, — როგორ მოაღწია ბორის გაპონოვმა ასეთ ვირტუოზულობას ებრაული ენის ცოდნაში“. ამ თარგმანის მთელი ისტორია „სახწაფლსა ჰგავს, არა?“ — კითხულობს შვეიცარიელი რეცენზენტი.

მაინც ვინ არის მანამდის უცნობი ეს ბორის გაპონოვი, რომელმაც ასე ერთბაშად მოხიზლა და გააოცა ებრაულის მცოდნე სპეციალისტი?

გაპონოვის სახელი პირველად გავიგონე ბესო ელენტიხაიანს. ერთხელ, 1968 წლის ადრე გაზაფხულზე, ბესომ მითხრა, რომ ქუთაისში ცხოვრობს ასეთი კაცი, ნიჭიერი შთარგმნელი რუსულიდან და ქართულიდან ებრაულ ენაზე. რომ ახლა იგი გატაცებით მუშაობს ვე-

ფხისტყაოსანზე, რომ კიდევაც აღუთქვებს ისრაელში ვეფხისტყაოსნის მისეული თარგმანის გამოქვეყნება და მოხოვა ამ გამოცემისათვის დაუწერო შესავალი წერილიო. ნარკვევი მოვაშაადე და ბესოს ბელით გავგზავნე ქუთაისში. რამდენიმე ხნის შემდეგ გაპონოვისაგან მივიღე წერილი, რომლის ტექსტიც აქ მთლიანად და უცვლელად მომყავს:

„პატავცემულო ბატონო ალექსანდრე! ბესარიონ ელენტის მეშვეობით მივიღე თქვენი ფორტო-სურათი გამოცემულ შლიონსკისათვის. ბოლო წერილებში ის დაყინებით მითოვს გვეუგზავნო თქვენს შესახებ ბიოგრაფიული ცნობები, რომლებიც შას სურს გააცნოს ვეფხისტყაოსნის თარგმანის მომავალ შეითვლელს (ძალიან ახლო მომავლის). შეწუხებდა ზომი არ ჩამოშართმევთ ეინშეს დაივლოთ ამ ცნობების გამოგზავნა?

რაც შეეხება თვით თარგმანს, ეს უკვე აწუხობილია და პირველი კორექტურაც ჰქონიათ წაითხული. შლიონსკი ვარაუდობს, რომ წლის ბოლომდე წიგნი ხელთ მექნება. მაშინ ეპაირებ თბილისში ჩამოსვლას, რათა მოგართვათ ვეგუმლარი თარგმანისა, რომელსაც თქვენი წინასიტყვაობა ამშვენებს.

მე განზრახული მაქვს დაწერო წიგნი „რუსთაველი და ბიბლია“. შეგროვილი მაქვს სითანადო მასალები და ძალიან მადლობელი ვიქნები თქვენი, თუ თბილისში ჩემი ჩამოსვლისას ჩივეა-დარიგებასა და კონსულტაციას გამიწვეთ. ვფიქრობ, რომ ასეთი წიგნის გამოსვლა (რაც თქმა უნდა, თუ გავართვი თაგი) სასარგებლო იქნება და ვიცი, რომ საქართველოში მისი დასტამების შემდეგ ჩემი ლენინგრაფელი მსახივრელები (პროფესორი) ანუ სინი და დოცენტი) ირბული აზრის ხალხთა

1 ვ. არნოლდის წერილის ქართული თარგმანი გამოქვეყნებულია ჟურნალ „მაცნეში“ (1969, № 9).

ინსტიტუტიდან, პროფესორ(ი) ვინიკოვი — უნივერსიტეტის სემიტოლოგიის კათედრის დეკანი და სხვა) სათანადო დებამარებას გამოიწვევენ ლენინგრადში ან მოსკოვში ამ ნაშრომის დასაბუქებად.

გათვალისწინებული მაქვს აგრეთვე ებრაელ შვითხველს ვაეაცნო ქართული ლიტერატურის ნიმუშები — ჩვენი თანამედროვე გამოჩენილი პოეტების ლექსები, ზესარაონ ელენის სტატია ვერცელ ბაზოვზე და სხვა. დიდ ბოდიშს ვიხდის შეწუხებისათვის.

ღრმა პატივისცემით ბ. ვაპონოვი, 2.IX.68 წ. ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 36 135^ა.

შე ვამაყვითა ბ. ვაპონოვის წერილის ვაპართული ქართულმა, შთარგნელების იშვიათმა ოპერატოლოზამ და წიგნის ბეჭდვის ელვისებურმა სისწრაფემ. მომეწონა წერილის საკმინაი კილო, ავტორის მოყრდნობა, მისი ბეჭდები.

ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი მართლაც დამაქმულ ვადაში ვაპოვებ. 1989 წლის დასაწყისში (იანვარსა თუ თებერვალში) ვაპონოვი თბილისში მეწვია ბინაზე და ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანის ერთი ცალი აბრამ შლიონსკის მოძღვნიან წარწერით ვადმიმცა (აბრამ შლიონსკი არის ცნობილი ებრაელი პეტიტი, ვაპონოვისეული თარგმანის რედაქტორი და წინასიტყვის ავტორი). ვარგულად წიგნი საუცხოთა. დაბეჭდილია საუფთოდ ქადაღდზე, ჩასმულია მუხენიერ უდაში, ამკობს მამუა ავაქარაშვილის ილუსტრაციები. ვაოცება და სიხარული ვერ დავფარე, ვაპონოვს ვადავებზე და წიგნის ვამოსვლა მივთლოცე. ეტკობიდა კმაყოფილი დარჩა, თუმიც ცდილობდა არ დემწინა, თვალიხი ვაუბრწენდა და ვავეუბზე დიმი მოადვა.

ბორის ვაპონოვა ტანმორჩილი მეწვენა, ვამხდარი იყო, ძლიერ შევეგრემანი, სახის მუქი კანით, უკან ვადავარცხნილი შავი სპირი თმით. უბრალოდ, ღარიბულად, მაგრამ სუფთად ეცვა. ბევრი ვისაუბრეთ, ქართულად სრულიად თავისუფლად დამარაკობდა, დავწარილებით ვამოკეთებ მისი ცხოვრების ამბავი. ბორის ვაპონოვა ჩემზე დატოვა ზრდილი, თავაზიანი, თავიდაბალი, ვანათლებული და ვანსწავლული, ენერგიული კაცის შთაბეჭდილება.

იგი დაიბადა ურიშიში, ქ. ევატორიაში 1934 წლის 20 თებერვალს. მამამისი იყო რუსი ოფიცერი, დედა ებრაელი, დიასახლისი, პაპა (დედით) მწიგნობარი, კლასიკური ებრაული ჩინებული მცოდნე. სწორედ პაპამ შეასწავა და შეაფარა თავის შვილიშვილს ავრითი. ბორისის მამა სამამულო ომში დაიღუპა. 1948 წელს ვაპონოვების ოჯახი საქართველოში ვადმოვიდა და ქუთაისში დავსახლა. ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. ბორისმა ქუთაისში დამთავრა საშუალო სკოლა. უკვე ბავ-

შვობაში შეისწავლა ავრითი და ვერამანული ენა. დაეფუღა ქართულს. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვში (სწავლუნი ჯერ კლასიკური სხელური ენების ინსტიტუტში). კარგა ხანს მხატვრობდა ქუთაისში საუწევრო ვაწვთის კორექტორად, თავისუფალ დროს ანდომბდა ლიტერატურულ საქმიანობას, ჩართადად ნორგმენლობას. ვაიწყო და დახელოვდა რუსულიდან ვადათარგმნა ლერმონტოვის თხზულებანი, შეუდგა ბართაშვილის, ილია ქეჭავაძის, აკაკი წერეთლის ცალკეული ნაწარმოებების თარგმნას. ვეფხისტყაოსანზე მუშაობის წარმატებამ ძლიერ წაახალისა და ფრთხილ შეასხა.

თბილისიდან ქუთაისში ძლიერ კმაყოფილი დაბრუნდა. ვიორგი წერეთელი დამპირდა, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ვადმოეთვანდა მეცნიერ თანამშრომლად.

ვეფხისტყაოსნის ვაპონოვისეული თარგმანის ღარგნებაზე ცხადად მტუხვევლებს აბრამ შლიონსკის სიტყვები: „ამ კლასიკური ქართული თხზულების ებრაული თარგმანის კითხვისას ხანდახან ვგონია, რომ წინ ვადეფხებ ებრაული ხელწიწერი, რომელიც თითქოსდა რომელიმე ვანთხასაკეში აღმოჩენილია“. ამ თარგმანის დიდ მნიშვნელობაზე ჩვენიც, — თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში — საკმაოდ იტყვა და დანიწრა. უნდა ცალკე ვამოყუო ზურაბ კეკელიძის სპეციალური ნარკვევი „ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანი“ (მაყუნ, 1975, № 1). ზ. კეკელიძე თავიდან ბოლომდე დანჯარბებით შეუდარა თარგმანი დედანს და აღტაცებული დასკვნები ვამოიტანა მის სინატიფეზე. დავიმოწმებ ნარკვევის მხოლოდ ერთ ნაწივეებს: „ეს თარგმანი ორიგინალურ მოვლენად არის შევაცხილი, ისეთ ნაწარმოებდ, რომელიც თავისთავად არგნობასა და მნიშვნელობას აპოვებს, ვითარცა დიდი სიხელე თანადროულ ებრაულ პოეზიაში. იგი მართლაც ხაყვირეული ენობრივი მოვლენაა“.

1968 წლის ნოემბერში ვაპონოვი ლენინგრადში ჩავიდა და მოხსენება წაკითხა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში — „ვეფხისტყაოსნის ბიბლიური მოტივები“. სპეციალისტები უკვე იცნობდნენ მის თარგმანს და მოხიბლული იყვნენ იმით. მოხსენებასაც დიერ წარმატება რეები წილად. ლენინგრადში წაკითხული მოხსენების სტატიად ვადამუშავებული ტექსტი ბ. ვაპონოვმა ქუთაისიდან ვამომიგზავნა და მომწერა (მომამყვს წერილის მთელი ტექსტი):

„დიდად პატრეკმულო ბატონო ალექსანდრი“

24 ნოემბერს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში წაკითხი მოხსენება თემაზე: „ბიბლიური მოტივები რუსთაველის

შემოქმედებაში“, რომელმაც დამსწრე მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია. დამნაშავედაც ვერანობ თავს თქვენს წინაშე, რადგან პირველად თქვენთვის უნდა მომემართა ამ საკითხზე, როგორც რუსთაველის შემოქმედების გამორჩენილი მკვლევარის და ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ხელმძღვანელისათვის; მაგრამ ეს გამოსვლა უკვე ჩემი ინიციატივა აღარ იყო, რადგან ლენინგრადში ჩასვლისთანავე შემოხსენებული ინსტიტუტის თანამშრომლებმა, კერძოდ, რუსუდან ორბელიანი (რომელიც ორი წლის წინ ამავე ინსტიტუტში ჩემი გამოსვლის მომწყობი იყო), მთხოვეს გამოვესულიყავი და უარით ვერ ვაგისტრუქა...

ესლა ვასრულებ ჩემ სასიამოვნო მოვალეობას თქვენს მიმართ და გიგზავნით ჩემი მოხსენების ტექსტს, რომელიც სტატიად გადავამუშავე, და მისი მსგეულობის ანგარიშს, დაწერია ლენინგრადელი პედაგოგი მწერლის ა. ბელოვის მიერ, რომელიც ამ სხდომას ესწრებოდა.

იმედი მაქვს, ბატონო ალექსანდრე, ჩემ ნაშრომს წაიკითხავთ და თქვენს კომპეტენტურ აზრსაც გამოთქვამთ, რის შემდეგ, — რა თქმა უნდა, თუ ლიტერულად სცნობთ მას, — თქვენი შენიშვნებით გამოაქვეყნებთ სადაც ჯერ არის. სასურველია სტატია დაბეჭდოს რუსულად, რადგან მან დიდი ინტერესი გამოიწვია ლენინგრადულ მეცნიერებში და სურვილებიც გამოთქვეს უცხო ენებზე გადათარგმნოს.

ვისურვებთ წანმრთელობას და ყოველივე კეთილს.

თქვენი პატივისცემული ბორის გაბონოვი.
12.12.69*.

მე არ დავაყოვნე და შემდეგ პასუხი ვახებლე ბ. გაბონოვს:

«დიდად პატივეცემული ბატონო ბორის, მე გულდასმით წაიკითხე თქვენი ნარკვევი «Библейские мотивы в творчестве Руставели» «სტატია საინტერესოა, ოღონდ სრულიად არ ითვალისწინებს საკითხის ისტორიას. არ არის სწორი, თითქო «Как известно, тема библейских мотивов в творчестве Руставели еще не ставилась», ვაგვი უთქვამს რუსულად ორბელს — «тема, которую разрабатывает В. Гапонов совершенно новая и не исследованная в руставелологии».

უნდა მოგახსენოთ, რომ აღნიშნულ თემაზე ბერის უწყრითთ აკად. ნ. მარს, კ. კიკელიძეს, შ. ნუცუბიძეს, და სხვებს, განსაკუთრებით ვტყვითად აქვს ეს საკითხი განიხილული. ნოზაძეს მან მთელი წიგნი მიუძღვნა ვედისტიკაში მისი დგომისმეტყველების პრობლემაზე, სადაც ბიბლიურ მოტივებზე საგანგებო საუბარია ჩამოგდებული. ცოტა რამე მეც

მაქვს ჩემს მონოგრაფიაში. ყოველზე ეს უნდა იქნას გათვალისწინებული. სხვა შემთხვევაში ვეცს არ შეიძლება ჰქონდეს მტკიცებულებები მნიშვნელობა და მისი გამოქვეყნებაც ჩვენი თანხმობით შეუძლებელი გახდებოდა.

კეთილი სურვილებით ალექსანდრე ბატონიძე.
22.12.69*.

ახლა რომ ჩემი პასუხის ტექსტი გადავკითხე, ცოტა მაკადრი მომჩვენა, თუმცა შენიშვნებიც და დაცვენაც საშარითლიანია. ნარკვევის ბ. გაბონოვი ემტარება თავის ბუნებრივ აღღოს და ბიბლიის ტექსტში კარგ გახსწავლულობას. მთელ რიგ შენიშვნებში მისი დავკრებებში ბუნებრივად ემხილება სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულმა და დასაბუთებულ მოსაზრებებს, რასაკერაეღოა, უოველი ახალი მკვლევარი უნდა იცნობდეს მისი წინამორბედისა თუ წინამორბედების ნაღვაწს. ამას მჯავთხოვდი გაბონოვისაგან. დრმად ვთვავი დარწმუნებული, რომ იგი აღღლიად შეძლებდა ხარვეზის შევსებას და უფრო სრულყოფილი სახით მომაროდებდა ტექსტს გამოხატვეუნებლად. ჩემი ვარაუდი გამართლდა. გაბონოვა მისასუბა, რომ მთლიანად დებულობს შენიშვნებს, რომ მალე ჩამოვათბილისში, პირადად შეხვდებო და მომესაუბრება, მოხვლდა დავხმარებოდი ლიტერატურით, ჩემთვის სრულიად ხელმწიფადენელიო «ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება». სამწუხაროდ, ბ. გაბონოვის ეს წერილი ვეღარ ვიპოვე. სახავგეროდ შემოხრჩა მისი კიდევ ერთი წერილობითი სათხოვარი:

«დიდად პატივეცემული ბატონო, ალექსანდრე!

მწერალთა კავშირში ჩემ შესვლასთან დაკავშირებით ნებას მიეცემ ჩემ თავს სათხოვრით მომმართოთ, რომლის შინაარსიც უკვე გასაგებია თქვენთვის (მხოლოდ აღამიანთა შორის კავშირგამშელობის — მერტივლების — ნაკლოვანების გამო იჭრებულნი ვარ სიტყვები ვხმარო...), ვინაიდან თქვენ ჩემი თარგმანის თანამოზიარე ბრძანდებით, სასურველი და მოსაწონია რეკომენდაცია მომეცეთ მწერალთა კავშირში შესასვლელად.

მადლობას მოგახსენებთ იმ წვლილისათვის, რაც მიგაძღვით და კვლავაც გასწევთ ქართული ელტურის დაწინაურებამი.

დიდი პატივისცემით ბორის გაბონოვი.
ქუთაისი, ჯაფარიძის ქ. № 135,
ან — ქუთაისის მწერალთა კავშირის
მისამართით.
24.4. 69*.

4 მისის თარღით პასუხად ვაფუგზავნე მას საჭირო დანახაობება. რეკომენდაცია (დოკუმენტური ხიზუსტით მომამქვს სრული ტექსტი).

როგორც ცნობილია, ჭალაჭ ჭეთაისის მკვიდრმა ერნანდესმა ბორის გამოწვევაში მლიონად გადათარგმნა კლასიკური ებრაული ენაზე (ივრიტზე) შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი. ბ. გამოწვევის თარგმანი ახლახან გამოქვეყნდა ისრაელის დედაქალაქ თელ-ავივში. თარგმანს ახლავს მთარგმნელის შესავალი წერილი და კომენტარები, აგრეთვე წიგნის რედაქტორის, ცნობილი ებრაელი პოეტის აბრამ შლონსკის წინასიტყვაობა ვეფხისტყაოსნის ებრაული თარგმანის საუცხოოდაა გამოცემული. მთავარი ისაა, რომ როგორც შლონსკის, ისე სხვა სპეციალისტების შეფასებით ბორის გამოწვევის თარგმანი უოველმხრედ სრულფასოვანია, შესრულებულია დიდი პოეტური ნიჭით. თარგმანს შენარჩუნებული აქვს დედნისეული ტექსტის შინაარსობლივ-აზრობრივი და მხატვრულ-გამომსახველობითი სიდიდე.

ამრიგად, ახლა ვეფხისტყაოსანი ამტკვევლად კიდევ ერთ მსოფლიო ენაზე, ესაა ბორის გამოწვევის დიდი დამსახურება. იგი მომავალშიც აძარებს განაგრძოს ისე წარმატებით დაწყებული კეთილმოზილური საქმე და ებრაულ ენაზე გადათარგმნის სხვა ქართველ კლასიკოსთა რჩეული ნაწარმები.

ბორის გამოწვევა დაამტკიცა, რომ იგი დიდი ზღვრის მქონეა, ნიჭიერი პოეტი-მთარგმნელი. ვმუშაობდით. რათა ბორის გამოწვევი მიღებული იქნას მწერალთა კავშირის წევრად.

ალექსანდრე ბარამიძე
საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის წევრი
თბილისი, 4.5.69.

რამდენადაც ვიცი, ანდოლოგიური დიხასიათება-არეკომენდაცია ბ. გამოწვევის მისცა ბენარიონ ფლენტმა. მე არ ვიცი, რა შედეგი გამოიღო ჩვენმა რეკომენდაციამ. სამწუხაროდ, მწერალთა კავშირის ჭეთაისის ორგანიზაციაში ვერაკეთარი ნაკადევი ვერ ვიპოვეთ.

იმ ხანებში ცნობილი ვადა, რომ ვეფხისტყაოსნის გამოწვევის ებრაული თარგმანს მიეწერა ისრაელის სახელმწიფოს პრემია. ამის თაობაზე მივიღე ოფიციალური ცნობა და მიწვევა (ასეთივე ცნობა და მიწვევა მიიღო, რა თქმა უნდა, ბორის გამოწვევაც): „ალექსანდრე ვიორგის ძე ბარამიძეს. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, ლენინის ქუჩა, № 5, თბილისი. თელ-ავივიდან. მოხარული ვარ გაცნობოთ, რომ პოეტ ნერნისოვსკის სახელით

ბის ლიტერატურული პრემიის ეროვნულმა კომიტეტმა მიანიჭა პრემია ვეფხისტყაოსნის ივრიტზე თარგმანს, რომელიც შეასრულა თქვენმა თანამემამულემ, ჭეთაისში მცხოვრებმა ახალგაზრდა პოეტმა ბორის გამოწვევამ. კომიტეტი ვთხოვთ დაესწროთ პრემიის გადაცემის საზეიმო აქტს, რომელიც ჩატარდება იენისის თევში, მოამხდელ ვართ დადებითი პასუხისა.

გამომცემელმა: „სოფრით პოალიმის“ სახელით აბრამ შლონსკი“.

ბორის გამოწვევის დიდი ზღვრის სახელმწიფოს ეროვნული პრემიით ვეფხისტყაოსნის მისეული თარგმანის დიდი აღიარება იყო. შალე ნერნისოვსკი, რომლის სახელმწიფოს პრემიაც მიანიჭა გამოწვევა, გამოჩენილი ისრაელი პოეტია, რომელსაც თავის დროზე თვითონ მკონდა განზარბული ვეფხისტყაოსნის გადათარგმნა თავის ენაზე, მაგრამ განზარბვა ვერ შეასრულა, სიკვდილმა უსწრო, გადათარგმნელი დარჩა პოემის მხოლოდ მხატვრული, ოქავური ხასიათის სხვადასხვა მიწევის გამო ისრაელში გამწვავრების მატონებელი მიწვევით ვერ ვისარგებლდე (მაშინ ისრაელში არ გამწვავრებულა არც ბორის გამოწვევა).

ბორის მე თბილისში ველოდებოდა მისი ნაშრომის თაობაზე საკონსულტაციოდ. თითქო ვედადგერი კარგად მიდიოდა, გადაწულა მისი აუვანა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის თანამშრომლად. ვაგლახ, რომ თბილისში ნამოსვლა ველარ შეძლო. ბესომ მაცნობა, რომ ბორის გამოწვევი მიმიე ავად ვაბდაო, რადაც უკრინებელი სენი აღმოჩენია, ავთიგებთან სიმსივე თავის ტვინში. ვერაკეთარმა აქიმობამ ვერ უშველა, მალე დამკარგა მოძიარობისა და აზროვნების უნარი შეძრწუნებულმა დედამ შვლილი ისრაელში წაიყვანა. თარგმანის პონორარი ვადუხადეს, მისცეს პრემიის საზღაფრიც. ბევრაც უმკურნალებს იქაური ქალებით. ველოდგერი ამო გამოდგა. ბორის გამოწვევი გარდაიცვალა რამათ-განში, თელ-ავივის მახლობლად, 1972 წლის 25 ივლისს. ბორის გამოწვევი იყო დიდი პოეტი, რომელმაც მხოლოდ ნაწილობრივ თქვა თავისი პოეტური სათქმელი, ერთმანად ვაიგლვა დიდი პოეტის ცაზე და ანაზდულად ჩაქრა.

ბორის გამოწვევის ნაშრომს („ვეფხისტყაოსნის ბიბლიური მოტივები“) უყველად ვაქვეყნებ ვურნად „მაცნეში“.



სამაგულო პრესის ისტორია

„განათლებამ“ გამოსცა ცნობილი მკვლევარის ალექსანდრე კალანდაძის „ქართული ჟურნალისტიკის ისტორია“. წიგნი განიხილვია „საქართველოს გაზეთი“, „ტფილისის უწყებანი“, „სალიტერატურონი ნაწილნი“, „აკაკიასის მხარეთა უწყებანი“ და გ. ვრახთაიის „ცესკარი“. თემის მეცნიერული აქტუალობა უდავოა. XIX საუკუნის სამაგულო პრესა თვალსაჩინოდ წარმართავდა საზოგადოებრივ აზრს და, ამდენად, მისი შესწავლით ნათელი ეფინება ჩვენი ქვეყნის ისტორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პერიოდს.

სენებულ ჟურნალ-გაზეთებს არაერთი ნარკვევი თუ წერილი მიეძღვნა. ანტონიაც ბუნებრივად ისმის კითხვა: — რით განსხვავდება ა. კალანდაძის ეს სქელტანიანი წიგნი წინამორბედი შრომებისაგან, რა სიახლეს გვთავაზობს ავტორი?

ასე მასშტაბურად და მრავალმხრივ, მთლიანობაში არავის განუხილავს 1819-1853 წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მხატვრული ნაწარმოებები. მკვლევარი უურადლებოდ არ ტოვებს იმ თხზულებებსაც, რომლებიც დღეს მივიწყებულია, მაგრამ რომელთა ცოდნა აუცილებელია აღნიშნული პერიოდის ლიტერატურული ტენდენციების, გემოვნებისა და სტილის გასარკვევად. ფაქტთა გლობალური კვლევა სამუდამად იძლევა მოვლენების არსი სწორად წარმოჩინვას.

ა. კალანდაძე ქართულ ჟურნალისტიკას უბიძგისად ლიტერატურული განხრით სწავლობს. მკვლევარმა საგანგებოდ გაამახილა უურადლება სამაგულო პრესის აღმოცენების წინაპირობებზე, კერძოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიაზე. მკვლევარი ავითარებს დებულებას, რომ ერთკლე მეორის დროს მნიშვნელოვანი წინსვდა შეინიშნებოდა პოლიტიკური, ეკონომიური

და კულტურული თვალსაზრისით. ამდენად, ნიადაგი ობიექტურად მზადდებოდა გაზეთის დასაარსებლად. ალა-შაჰაბ-ხანის შემოსევამ ქვეყანას ღრმა პრილობა მიაყენა, მაგრამ ინტელიქტუალურ და ფსიქიკურ სფეროში მოპოვებულ წარმატებებს უშედეგოდ არ ჩაუვლია. მათ თავი იჩინეს უფრო მოგვიანებითაც და ხელი შეუწყეს 1819 წელს ქართული გაზეთის დაარსებას.

„... XIX საუკუნის პირველი ნახევრის მწერლობა ძველის გავრცელება და ახლის დასაწყისია, — წერს ავტორი, — ახალს ძველს ლიტერატურაში აქვს ფესვები და ამის გარეშე მისი ახსნა შეუძლებელი იქნებოდა“ (გვ. 118). ეს დებულება არგუმენტირებულია ცნობილ მწერალთა შემოქმედების ანალიზით.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოშვალი ქართული გაზეთები ოფიციალური იყო, მაგრამ მათში იბეჭდებოდა ეროვნული ინტერესების გამოხატველი ნაწარმოებებიც. ა. კალანდაძემ სწორედ ამ გარემოებაზე გაამახილა უურადლება და თვალნათლივ დაგვიანა „საქართველოს გაზეთის“ თუ „ტფილისის უწყებანის“ დამსახურება და ღვაწლი ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების საქმეში.

ა. კალანდაძე საფუძვლიანად მოგვითხრობს „ტფილისის უწყებანისა“ და „სალიტერატურონი ნაწილნი“ შესახებ. მისი გაგებით, „... სოლ დოდაშვილის გამოცემები „საქართველოს მოამბის“ უშუალო, სახელოვანი წინამორბედება არიან“. უთუოდ გასაზიარებელია მკვლევარის მოსაზრება, რომ ს. დოდაშვილმა შეუძნელად ჩამოაყალიბა პროგრესული ქართული ჟურნალისტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად დაედო ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ განვითარებას.

ავტორი ისტორიული თვალთახედვით განიხილავს პრობლემებს და ბევრ ვასაზიარებულ დაცემას გვთავაზობს. მართლაც, პირველ ქართულ გაზეთსა თუ „სალიტერატურონი ნაწილნი“ დაბეჭდილი სენტრამენტალური ნაწარმოებები დადებით შეფასებას იმსახურებენ. სენტრამენტალაში იბრძოდა აღმოსავლური მწერლობის ლეგენდების დაძლევისა და ენის გახალხურებისათვის. ის წევრში ევროპეიზმის დროებით გამოდიოდა.

წიგნში დიდი ადგილი ეთმობა გ. ერისთავის „ციცკრის“ შესწავლას. ეს აიხსნება, უპირველეს ყოვლისა, ამ ეურნალის ზეგდროითი წონით, მასში დაბეჭდილი ლიტერატურული პროდუქციის სიუხვით.

მკვლევარის აზრით, გ. ერისთავის „ციცკრის“ ფორმლებზე ურთიერთგამომორციხევი ტენდენციების გამოვლენა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ეურნალი 1852-1853 წლებში გამოდიოდა, მაგრამ ხასიათით XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ლიტერატურის შესიტყვე იყო.

ა. კალანდამეზე ადრე სხვებიც წერდნენ ძველი თაობის შესახებ, მაგრამ მისი წარმომადგენლების შემოქმედებას უშეტესად ერთი ან პექტით, ნეკატური მხრით წარმოაჩენდნენ.

ა. კალანდამე მთლიანობაში გაიაზრა ზოგიერთი მათგანის ნაღვანი, აღნიშნა როგორც უბრუნდით, ასევე დადებითი მხარეები. ამით კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა 60-იანი წლების ბრძოლის პერსპექტივები, ის ატმოსფერო, რომელიც თერგდალეულებს დახვდათ.

მოსაწონია თარგმნილი ნაწარმოებების დაწერილებითი ანალიზი. მკვლევარი მსჯელობს თარგმნის ოსტატობაზე და მოპოვებულ დასკვნებს საბოლოო სიოქმელს უკავშირებს.

ა. კალანდამე ავითარებს დებულებას, რომ „ციცკრის“ სტილურ-ლიტერატურულ პრაქტიკაში კლასიციკური ნორმები გვხვდება. ამ თეზისის დამატკიცებლად მას მოაქვს ფაქტები. მაგალითად, ლ. ისარლიშვილი „დაბალი ენის“ ნაწარმოებებს — ივანე-არაკებს თარგმნის ხალხური ენით, ხოლო „მაღალი ენის“ — ფილოსოფიურ-ლირიკულ ლექსებს წერს არქაული, ბუნდოვანი ენით, ე. წ. „მაღალი სტილი“. ა. კალანდამე უარაღივება მიიქცევა იმ ფაქტს, რომ მარლინსკის მოთხრობები გ. ერისთავს უთარგმნია მძიმე, გაუგებარი ენით

და ეს მაშინ, როცა პიესებს ხალხური, სადა ენით წერდა. ფაქტთა განზოგადებებს და მოვლენების დიფერენციაცი-კლასიფიკაციის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ „... გ. ერისთავის „ციცკრის“ პოეტურ სახეს ქმნიან არა ეს ეპიკურული ლიტერატურა, არამედ მთლიანად ეროვნული გრძნობით გამსჭვალული, წარმოსახვის თავისუფლების, მტანჯველი სულიერი ძიების გამოხატველი რომანტიკული შედეგები, რომლებმაც უდავოდ დიდი როლი შეასრულეს ქართული პოეზიის შემდგომ წინვლაში (გვ. 313).

„ციცკრის“ ქართული კლასიკური ნაწარმოებების პუბლიკაციით, რუსული და ევროპული ლიტერატურის პოპულარიზაციით, ნამდვილად, დიდად შეუწყო ხელი ჩვენი ერის სულიერი კულტურის აღმავლობას.

ა. კალანდამე კრიტიკულად უდგება ფაქტებს. სამართლიანად ფიქრობს, რომ პატრიოტიზმში აღტინებაში არ უნდა ჩაყლას ტემპარიტიზმა. მკვლევარი მიუთითებს იმ ხარეებზე, რაც სამაშულო პრესის ჰქონდა და მიზეზებსაც სწორად ასახელებს. ნაკლოვანებები უშეტესად იმ სიძნელეებით იყო გამოწვეული, რომლებიც ქართული ეურნალ-გაზეთების ორგანიზატორებს ობიექტური ვითარებას გამო ელოებოდათ.

სირეცენიო წიგნი არა მარტო ახალი მასალით იპურებს ურადლებას, არამედ ცნობილ ფაქტების არსში წვდომითა და ორიგინალური გაზრებითაც.

პრობლემის სირთულე, მოვლენათი ფესვების თუ საწყისების ძიება-წყენება მოითხოვდა ისტორიულ ექსკურსებსა და პარალელებს. ნიწილობრივ ამით აიხსნება ალვა-ალვ ვრცელი გადახევები.

„ქართული ეურნალისტკის ისტორია“ დაწერილია მკვლევარის მიერ, რომელიც კარგად იცნობს რუსულ და ევროპულ მწერლობას. ეს გარემოება მნიშვნელოვანად განსაზღვრავს დასკვნათა სისწორეს.

წიგნში არაერთი გონებამახვილური მინიშნება გვხვდება. განსაკუთრებით საყურადღებოა ტრადიციასა და გელენასთან დაკავშირებული ფაქტების გამოვლენა-შეფასება.

ნაწილის მკითხველი ლოგიკურად მიდის იმ დასკვნამდე, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული პრესამ ნიადაგი მოემზა-

და 60-70-იანი წლების ქართულ დემოკრატიულ ეურნალისტიკას; რომ იგი მრავალმხრივ საკულისსმო და დასაფასებელია.

ფტორი უურაღღებოდ არ ტოვებს წმინდა ეურნალისტურ საკითხებს. საგანგებოდ ჩერდება პერიოდულ ორგანოთა დაარსების ისტორიაზე, მსჯელობს თანამშრომლებზე, გამოდგამს პერიოდულობაზე და ა. ს.

კარგი იქნებოდა მეტი ადგილი დათმობოდა პუბლიცისტური ოსტატობის საკითხებს, ენარების სპეციფიკას, რამეთუ ისინი თვალსაზრ

ნოდ განსაზღვრავენ ეურნალისტიკის თავისთავადობას.

გვხვდება მსჯელობათა გამეორებებიც.

ა. კალანდაძის ზოგიერთმა დებულებამ შეიძლება აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვიოს, მაგრამ ვადაწყვეტი ეს კი არ არის, არამედ ის პოზიტური მხარე, რომლითაც ესოდენ გამოირჩევა ქართული ეურნალისტიკის ისტორია.

ნოდარ ტაბიძე



8560 80 808.

0103/155



ИНДЕКС
76128

„МНАТӨБИ“

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ